ლუარა სორდია

სამების სამრეკლოდან



"გამომცემლობა თბილისი"
თბილისი 2018

რედაქტორი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ტიტე მოსია**

ტექნიკური რედაქტორი: **ლამარა გერგედავა** –
ფილოლოგიის დოქტორი

© ლუარა სორდია, ყველა უფლება დაცულია


"გამომცემლობა თბილისი"
ISBN 978 – 9941– 9431– 9 – 5

სამების სამრეკლოდან

წინამდებარე წიგნს „სამების სამრეკლო“ ჰქვია. „სამი“ საკრალური რიცხვია. იგი ასოცირდება სამების სამწევრიან ოჯახთან (მამა, ძე, სულიწმინდა), სამხმიან ქართულ სიმღერასთან (მოძახილი, მეორე ხმა, ბანი), მზესთან (დისკო ანუ სიმრგვალე, სინათლე, სითბო). წიგნში ფიგურირებს სამი პოეტი – ბეჟანი, გულნაზი და გვანცა ხარაიშვილები. წიგნი აგებულია მათზე პროფესორ ლუარა სორდიას მიერ შექმნილი სანიმუშო მონაგრაფიებზე.

სამივე პოეტი მუხლჩაუხრელად დგას ქართული პოეზიის სამკალში – წმინდა სამებისკენ ვედრებით ხელაპყრობილი, ქართული სიმღერით დამტკბარი, ქართული მზით გაბარჩხალებული. მათგან ერთი – ფილოსოფიური აზროვნების სივრცეშია არწივივით გალაღებული, მეორე – იადონის ხმით მგალობელია, მესამე კი – ცისკრის ვარსკვლავს ადევნებული მაფშალიასავით იწაფავს ხმას.


სამივე პოეტი (ბეჟანი, გულნაზი, გვანცა) ქართული პოეზიის ცისქვეშეთში წელგამართული დაიარება, დაე, მუხრანისა არ იყოს, იარონ, იარონ, იარონ ამინ!



გულთან არ დამადო ხელი...
მტკივა...
მტკივა...
და
დანაღმული ვარ მკერდზე
ძარღვებით.
ეჭვის მახრებით
ფაჩუნობს ღამე...
მთვარის ეკრანზე მე გხედავ მუდამ.


ისევ გამისხლტა თვალთა მიმინო
და შენს ფანჯარას
გარშემო უვლის, –
ყველაზე დიდი სასაფლაოა გული.





მოვიწადინე რუსთაველის ფუნჯით დახატვა
ო, ღმერთო ჩემო, ნეტავ მგოსნის სულს მიეწვდებოდე...
და თუ დავხატავ, ამისრულდეს ასეთი ნატვრა,
ცაში სიცოცხლე, ხელმეორედ დაიწყებოდეს,
არ იქნებოდეს, შური, მტრობა ბილწსიტყვაობა,
გაუტანლობა, მრუშობა და კაცთსიძულვილი,
იქ ვისწავლიდი ხელმეორედ ვეფხისტყაოსანს,
აღარ მომკლავდა ერთგულების ფიქრის წყურვილი.

გულნაზ ხარაიშვილი



როცა ვერ გხედავ, ფიქრებში მხარზე გადებ თავს
და ჩვენი ბედნიერების ჩუმი ოკეანის ტალღებზე
მშვიდად ვირწევი.

გვანცა ხარაიშვილი

ბექან ხარაიშვილის პოეზია

ვისაც წაკითხული არა აქვს 2014 წელს თბილისში გამოქვეყნებული წიგნი – „ბექან ხარაიშვილი, ხვედრი პოეტთა“, ის მოკლებულია დიდ სიამვნებას სიკვდილუკარება პოეზიის მადლისა და ხიბლისა. რა მოხდენილად უთქვამს ოვანეს თუმანიანს: „საქართველოში ყველა პოეტია და ყველა პოეტი ორჯერ პოეტიაო“. როდესაც დავასრულებთ „ხვედრი პოეტთას“ კითხვას და გაცნობიერებას, თითოეულმა ჩვენთაგანმა თავი უნდა დახაროს თუ ქედი მოიხაროს ბექან ხარაიშვილის, როგორც „ორჯერ პოეტის“, ღირსეული სახელის წინაშე. ეს არის წყაროსთვალა მოვალეობა იმთავითვე მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის სათაყვანისმცემლოდ. „ხვედრი პოეტთა“ არის მზიური გამოვლინება იმისა, თუ რა ამოუწურავია ქართული პოეტური აზროვნების შინაგანი ძალისხმევა, რა უსაზღვროა მისი სივრცე და კიდე-განი.

რა პოეტი გვყოლია XX საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე და როგორ არ ვიცნობდით მას. ან საიდან გვეცოდინებოდა სიცოცხლეში მხოლოდ ერთი ლექსის დამბეჭდავი ავტორის პოეტური ასავალ-დასავალი. როგორც მისი სულიერი მეგობარი ლევან ბაბუხადია გვამცნობს, ბექან ხარაიშვილს არ ყვარებია თურმე რედაქციებში სიარული, არ ყოფილა დახარბებული საკუთარი ნაწერების გამოქვეყნებას. ეტყობა, პოეტის, ნაღდი პოეტის განწყობას მისივე შინაგანი დილის ნამივით წმინდა სინდისი აკეთილშობილებდა იმის გასაცნობიერებლად, რომ ლექსს სჭირდებოდა განუწყვეტელი დახვეწა, დაღვინება და ისე მიწოდება მკითხველისათვის. ამასობაში მოულოდნელად სიკვდილი დაადგა თავზე ჯალათივით და 30

წლის ასაკში გამოასალმა სიცოცხლეს. ასე რომ, თვალით არ უნახავს დაბეჭდილი საკუთარი ლექსები, მითუმეტეს – პატარა კრებულიც კი.

ბეჟან ხარაშვილის უღვთო გარდაცვალებიდან 9 წლის გასვლის შემდეგ ლევან ბაბუხადიამ თავი მოუყარა მეგობრის ლექსებს და საკუთარი ხარჯით გამოსცა 1992 წელს, საქართველოს ისტორიისათვის ამ უმძიმეს წელს – საქართველოს პირველი პრეზიდენტის (რომლის თანამოაზრე და თანამებრძოლი იყო ბეჟანი) ზვიად გამსახურდიას და ეროვნული ხელისუფლების დამხობის წელს, ბუღა თურქივით თბილისის (რუსთაველის გამზირის) გადაწვის წელს. „მხედრიონელი" ნარკობანდების მიერ სამეგრელოს ხუთჯერ აოხრების წელს, შევარდნაძე – იოსელიანი – კიტოვანი – სიგუას ჯალათების მიერ აფხაზეთში შეჭრის და საომარი მოქმედებების გაჩაღების წელს. ერთის მხრივ, ბედნიერია ბეჟან ხარაიშვილი, რომ ეს ტრაგიკული მოვლენები საკუთარი თვალით არ იხილა და არ განიცადა იგი.

როდესაც ბეჟან ხარაიშვილის ბიოგრაფიას გულმოდგინედ გაეცნობი, ღრმად ჩაწვდები მისი ფილოსოფიური ლირიკის არსს, სიბრალულით, მოურჩენელი სინანულით გულის ფესვები გეწვის, ამოოხვრით აღმოგხდება ბაგიდან: ნეტავი კიდევ კარგა ხანს ეცლია არსთაგამრიგეს ბეჟანისთვის სიცოცხლის, ფიზიკური სიცოცხლის გაგრძელება ჩვენი ერის და პოეტური კულტურის საკითლდღეოდ. ნეტავი! ნეტავი! ნეტავი! ეს ის განცდაა, რაც თითოეულ პოეზიის მოყვარულ ქართველ მკითხველს დაუფლებია და ეუფლება დღესაც ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის, ალექსანდრე საჯაიას, გიორგი ნაფეტვარიძის, სევერიან ისიანის, თამაზ ბაძაღუას, დათა გულუას... ბიოგრაფიის და პოეზიის გაცნობისას. შესაძლოა ამ მომენტში დამშვიდების ტვირთს ეწეოდეს იმისი

შეგნება და გათავისება, რომ ღმერთს და ანგელოზებს თავიანთი რჩეულნი ადრე მიჰყავთო სასუფეველში.

ზემოთ ვახსენეთ ბეჟან ხარაიშვილის ფიზიკური და სულიერი მეგობარი ლევან ბაბუხადია, ღვთისნიერი კაცი, რომელმაც პირველთაგანმა გამოაქვეყნა ამ უნიჭიერესი პოეტის ლექსების კრებული „სადღეგრძელო“ 1992 წელს საკუთარი ხარჯებით, ხოლო საავტორო მოგება მთლიანად გადასცა ბეჟანის თერთმეტი წლის მემკვიდრეს – ლაშა ხარაიშვილს. ამის შემდეგ, ცოტა არ იყოს, 22 წლით დააგვიანდა ამ შესანიშნავი შემოქმედის შედარებით სრულყოფილი წიგნის გამოცემას, რომელიც დაემთხვა მისი დაბადების 60 წლის იუბილეს 2014 წელს. ამას ის გამართლება ჰქონდა, რომ წიგნის შემდგენელნი ბეჟანის და გულნაზ ხარაიშვილი და მეგობარი ლევან ბაბუხადია არ ჩქარობდნენ. საჭირო იყო პოეტის ნაწერების მოძიება შეძლებისამებრ. ბევრი აღმოაჩინეს, ბევრი კი – ვერა, მაგალითად, რომანი „სად მარხია ძაღლის თავი“.

და რომ ძმაზე ზრუნავდეს, მეტადრე, ადრე გარდაცვლილ სახელოვან ძმაზე, ქართული სინამდვილისათვის და ტრადიციებისათვის უცხო თუ საკვირველი სულაც არ არის, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გულნაზ ხარაიშვილის ღვაწლი. იგი წლების მანძილზე დღე და ღამე იმის ცდაშია თუ როგორ ასიამოვნოს ადრე დაღუპული ძმის სულს, როგორ უკვდავყოს მისი სახელი.

გულნაზ ხარაიშვილი თვითონაც სანიმუშო პოეტია. ათზე მეტი პოეტური და პროზაული წიგნის ავტორი. იგი არის საქართველოს მწერალთა კავშირის და მისი გამგეობის წევრი. მინიჭებული აქვს გალაკტიონ ტაბიძის, მარიკა ბარათაშვილის, ბეჟან ხარაიშვილის სახელობის პრემიები; დაჯილდოებულია იაკობ გოგებაშვილის მედ-

ლით. მიღებული აქვს შემოქმედთა ღვაწლმოსილის პრემია, იმედის სახლის მადლობა, დაჯილდოებულია მშვიდობის ვარსკვლავითა და დროშით. სწორედ გულნაზ ხარაიშვილის თაოსნობით დაარსდა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია, რომლის პრეზიდენტი გახლავთ. არის ამ აკადემიის ჟურნალის „ათინათის“ დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი. ასევე, იგი შემდგენელია და გამომცემელი ამავე აკადემიის ყოველწლიური სოლიდური, სქელტანიანი „ანთოლოგიისა“.

გულნაზ ხარაიშვილის თავდადებული შრომით მომზადდა გამოსაცემად ბეჟან ხარაიშვილის წიგნი „ხვედრი პოეტთა“, რომელიც დაისტამბა 2014 წელს. რა თქმა უნდა, პროექტის ავტორი და წიგნის შემდგენელია გულნაზ ხარაიშვილი, ხოლო რედაქტორი ლევან ბაბუხადია. ამ სოლიდურ კრებულში თავმოყრილია ბეჟან ხარაიშვილის ლექსები, რამდენიმე მოთხრობა. წიგნს ერთვის პოეტისადმი მიძღვნილი თბილი სიტყვები: ლევან ბაბუხადია, წერილი მეგობარს; გულო კობიაშვილი, ბეჟან ხარაიშვილის გახსენება; ანა ხუნაშვილის (ბოდბელი) წერილი; თამარ ჯაჭვაძის სანიმუშო სტატია – „სიყვარული იწყებოდა ასე“; აქვეა ბეჟან ხარაიშვილსადმი მიძღვნილი ლექსები, რომლის ავტორები არიან: თამარ ჯაჭვაძე, ლამზირა შეყილაძე, ზაურ ნოზაძე, ლეილა შუბითიძე, მიმოზა ცანავა, პეტრე ჯაჯანიძე, ნაილი ხარაიშვილი, თინათინ ხაბურზანია, ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე, გულნაზ ხარაიშვილი, ვაჟა მიროტაძე, წიგნის ბოლოს ვეცნობით სერგი ლომაძის, ნათელა ხარაიშვილის, დავით ტიგინაშვილის, გვანცა ხარაიშვილის, გულნაზ ხარაიშვილის, ზაურ ნოზაძის წერილებს, მოგონებებს, გახსენებებს.

ერთი სიტყვით, დაინტერესებული მკითხველის განკარგულებაშია 2014 წლიდან „ხვედრი პოეტთა“, რომე-

ლიც სრულყოფილ წარმოდგენას გვიქმნის ბეჟან ხარაიშვილის ნარეკლიანი ცხოვრების გზაზე და მის ფილოსოფიურ პოეზიაზე.

და-ძმის – გულნაზ და ბეჟან ხარაიშვილების პოეზიით დაინტერესება აქტუალურია მიმდინარე საუკუნის ათიანი წლებიდან. იწერება მათზე არა მხოლოდ წერილები, რეცენზიებბი, არამედ ცალკეული მონოგრაფიებიც. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ლუარა სორდიას წიგნები: „მადლშემოსილი“ (გულნაზ ხარაიშვილის სულის გალობა (თბ., 2015), „ბეჟან ხარაიშვილი – ქართული პოეზიის მიმინო“ (თბ., 2016). ორივე წიგნი დაწერილია ჭეშმარიტად პროფესიონალი ფილოლოგის მიერ. ორივე შემოქმედის პოეზიის ღრმა სიყვარულის საფუძველზე, მათივე შემოქმედებითი იდუმალების იდეალურად წვდომის წყურვილით. ეს ის ლუარა სორდიაა, რომლის მონოგრაფიების გარეშე წარმოუდგენელია გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის, გრიგოლ რობაქიძის, ანა კალანდაძის, რევაზ მიშველაძის, მერაბ კორტავას, გოდერძი ჩოხელის... შემოქმედების პრობლემური საკითხების კვლევა მსოფლმხედველობითი, სახისმეტყველებითი, წყაროთმცოდნეობითი განხრით.

ჩვენ რამდენიმე ხნის წინ წერილობით გამოვეხმაურეთ გულნაზ ხარაიშვილზე დაწერილ ლუარა სორდიას წიგნს. წერილი „ნიშატნი საჩანგდაფენი“ გამოქვეყნდა ჟურნალ „ათინათში“. იგი შესულია 2017 წელს დაბეჭდილ ჩემივე წიგნში „ლიტერატურული და სხვა“. ამასწინათ გავეცანით ლუარა სორდიას საყურადღებო მონოგრაფიას – „ბეჟან ხარაიშვილი – ქართული პოეზიის მიმინო“. ვიდრე მას დავამუშავებდი, საფუძვლიანად ვიყავი გაცნობილი სამაგალითო წიგნს „ხვედრი პოეტთა“, რომ-

ლისკენაც კვლავ მიმაბრუნა ლუარა სორდიას ნაშრომმა. მეცნიერის ამ წიგნმა ფართოდ ამიხილა გონების თვალი, გულში ჩამწვდომად ჩამახედა პოეტის მხატვრულ და ფილოსოფიურ სამყაროში რაც მთავარია, არ მომცა საშველი მასზე ორიოდე სიტყვით ჩემი შეხედულებები არ გამომეთქვა. ეს ხომ ამ მონოგრაფიით მოხიბლვის შედეგია. ასეთი წიგნის შექმნას, ჩემი ღრმა რწმენით, ნამდვილად იმსახურებდა ბეჟან ხარაიშვილის პოეტური შემოქმედება.

წიგნი რვათავიანია. ვინც მას არ იცნობს, ალბათ, დააინტერესებს დასათაურებანი: ბეჟან ხარაიშვილის ცხოვრების გზა; ხვედრი პოეტთა; დღეგრძელი იყოს საქართველო უკუნისამდე; ფილოსოფიური პრობლემები; ვაჟა-ფშაველას რემინისცენციები ბეჟან ხარაიშვილის შემოქმედებაში; წინასწარმეტყველური ხილვები; რას იტყვიან, რას იტყვიან ნეტავ ჩემზე; შემოქმედებითი თავისებურების ზოგიერთი საკითხი. ამთავითვე ამის გახმოვანებას იმიტომ მივმართე, რომ თავიდანვე ნათელი ყოფილიყო თუ რა პრობლემების დამუშავების წინაშე მდგარა ავტორი. ხოლო თუ როგორ გაურთმევია მისთვის თავი, ამას მკითხველი იგრძნობს მონოგრაფიის დასასრულს.

როდესაც ბეჟან ხარაიშვილის ბიოგრაფიის გადმოცემისას ლუარა სორდია მის ოჯახზე მოგვითხრობს, ჩვენთვის ნათელი ხდება, თუ საიდან მოდის პოეტი და მისი პიროვნული კეთილშობილება, შრომისმოყვარეობა, მშობლიური მთა–ბარის სიყვარული, მოყვასის გაკერპება, ეროვნული ტრადიციებისადმი სინდისნამუსიანი დამოკიდებულება.

ბეჟანის ბიოგარფიული ესკიზებიდან აუცილებლად უნდა ამოვიწერო პოეტისადმი მისივე მამის მიმართვა: „უშიშარი ხარ, შენს ძარღვებში საქართველოს ტკივილი

დუღს, მეშინია, შვილო, შენი მეშინია. უკან დახევა არაფერზე გიყვარს. ეს კარგიცაა, მაგრამ ხომ გაგიგონია: „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს“. ბეჟანი მამას ერთმნიშვნელოვნად პასუხობს: „მე გავეცლები, შენ გაეცლები და მერე საქარველო ვის ხელში აღმოჩნდება. მტკივა მამა, ჩემი საქართველო მტკივა. ქუჩაში გაივლი და გოგონები ამერიკულ სიგარეტს აბოლებენ, თან ომახიანად გაჰკივიან, წახდა საქართველოო. ეს დაგვღუპავს ჩვენ, ყველა დანაშულს ჩადის, ზოგი ქალი ძველ ტრადიციებს ღალატობს და ჭკუას აქეთ არიგებს სხვებს, მაშინ როდესაც თვითონ არიან ჭკუის დასარიგებელი“.

ვრცელ ციტაციას იმოტომ მივმართე, რომ სწორედ ამ ბიოგრაფიული ეპიზოდიდან გამოკვეთილია თუ საიდან მოდის ბეჟან ხარაიშვილი და საიდან იწყებოდა მისი ეროვნული პოეზია. ახლა კი მონოგრაფიის ავტორს მოვუსმინოთ: „თვითონაც მაღალი იდეალებისთვის შენირულს, კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვის მსახურება, პოეზიის მაღალი მისიის შესრულება მხოლოდ სულით რაინდთა, თავგანწირულთა, მსხვერპლის გაღებისთვის მზადმყოფთა ხვედრია. ამიტომაც ეჯდა მხარზე მიმინო, ენატრებოდა არსაკიძის დამარწყულებელი ხეკორძულას წყალი, ღმერთთან მერძოლი იაკობივით ერკინებოდა ბედისწერას, მზად იყო საკუთარი მარჯვენის მოჭრის ფასად ეშენებინა სულიერი ტაძრები“.

ვინც ღრმად გაიცნობს (ან იცნობს) ბეჟან ხარაიშვილის ცხოვრების გზას და პოეზიას, ციტირებული სიტყვების სიმართლეში იოტისოდენა ეჭვიც არ შეეპარება. იქნებ ეს ლექსია პოეტის კრედოს გასაღები:

„წამოდი, იცი, სად?
კაფეში კი არა, –
წყალი ვსვათ ხეკორძულასი...

ჩავუდარაჯდეთ, იცი, ვის?
გოგონებს კი არა,
წითელ მიმინოებს ჩვენი რჯულის
და მერე, იქნებ, ვინმე მადლიანმა
მოგვთხოვოს სული იაკობივით...
და მოგვჭრას მარჯვენა
გალმა-გამოღმა ნაშენები კედლებისათვის".

სწორედ ამ გადასახედიდან განიხილა ლუარა სორდიამ ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას თანამებრძოლის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მსხვერპლის ბეჟან ხარაიშვილის პატრიოტული ლირიკა: ჩემი მამულია, არაგვს, ცა რომ მტრედისფერობს, მტკვარი გველივით შეცურდა ჭადრებში, შემოდგომით, რუსთავო, ოქროს საწმისი ადრე მოიპარეს, წახდა საქართველო, ხდის ხეობიდან, ფერეიდნელის ნათქვამი, მე მივდიოდი საქართველოს გამოხრულ გულში, გამოთხოვება, ლუხუმმა კი არა, გერგეტის ტაძართან, ხევსურეთი, ხატობაში, ჩემს სახლში რომ მასპინძლად დამიჯექი, გპატიჟობთ ყველას, მომიახლოვდი, გაზაფხული, ყაყაჩოს წითელ და თხელ ფურცლებზე, სიზმარი, შეციებიათ მთაში ღელეებს...

საქართველოში თვალუწვდენელია ეროვნულ–პატრიოტული პოეზიის ზღვა. ვისაც ხელში კალმის აღება შეეძლო – მხატვრულ ოსტატობაში გამოწრთობილთ, კორიფეებს, რიგით შემოქმედთ თუ დამწყებ პოეტებს – ყველა პატრიოტულ თემაზე წერდა და ეს მომხიბლველი ტრადიცია გრძელდება დღემდე. ღმერთმა ნუ ქნას, სხვანაირად იყოს საქმე: პოეზიის მახსოვრობაში საქართველოს გული და ხატება წარიხოცოს. ამ მომენტში ჩვენთვის მთავარია ამ საღვთო თემის და მოტივის ორიგინალურად წარმოსახვა, ისე დამოუკიდებლად გააზრება, როგორსაც ბეჟან ხარაიშვილმა მიაღწია. სწორედ ამ

სამზერიდან წარმოაჩინა წიგნის ავტორმა პოეტის მხატვრული აზროვნების ქვაკუთხედი – ეროვნული იდეალები.

ამ შემთხვევაში, მეცნიერის თქმით, „ძალზე ხშირად პოეტის ინდივიდუალობა ვლინდება სიმბოლურ-მეტაფორული სახეებით, ქვეტექსტებით“. პოეტისთვის სამშობლო ის საუფლოა, „სადაც ვაიღმერთს და უკუმომსვლელს წალმა ვერასოდეს გაუვლია“. ამით შემოქმედი მომავალ თაობას შთააგონებს თავისი ქვეყნის ტანჯული წარსულის სიდიადეზე, გმირი წინაპრების თავგანწირვაზე მამულისათვის. აქ ჩვენ მიერ აქცენტირებულია ამ აზრის გამოთქმის ინდივიდუალური სტილი და ფორმა.

ავიღოთ თუნდაც „ხვედრი პოეტთას“ პირველი ლექსი. რა თავისებურად, რა ორიგინალურად არის გააზრებული დაკარგული ტაო-კლარჯეთის სევდა, მესხეთ-ჯავახეთის დაცლა მოსახლეობისაგან, ნატვრა წაგლეჯილი ტერიტორიების დაბრუნებისა. ვარძიაში მიმავალ პოეტს ჯარისკაცები მოულოდნელად აწყურთან აჩერებენ საშვის მოთხოვნით:

„მე მივდიოდი საქართველოს გამოხრულ გულში –
ვარძიაში და შემაჩერეს უცბად აწყურთან,
და თითქოს ურო დამარტყეს თავში,
და თითქოს იქვე ადგილზე გავშრი, –
ჯარისკაცებმა მომთხოვეს საშვი..“

თავში უროს დარტყმის სისასტიკით აღიქვა ბეჟან ხარაიშვილმა საკუთარ სამშობლოში გადასასვლელად საშვის მოთხოვნა, სისხლგამშრალს მშობლიურმა ბუნებამაც თანაუგრძნო:

„ბებერი მტკვარი გაეკრა მიწას
და სირცხვილისგან იწითლა ცამან“.

პოეტის წინ აღიმართება ბუმბერაზი გრიგოლ ხანძთელის აჩრდილი, რომელიც თავის დროზე თავისუფ-

ლად გადაადგილდებოდა მშობლიური ქვეყნის ყველა კუთხეში, მათ შორის ტაო-კლარჯეთშიც:

„რად არ მოთხოვა ხანძთელს საგზური
უკაცრიელმან ადგილმან ამან“.

დაკარგული ტაო-კლარჯეთით გამწარებულ გულის ჭრილობას მომაკვდინებელ მარილად ეყრება მესხეთ–ჯავახეთში ქართველთა რიცხობრივი სიმცირე. ლექსის ფინალს კვებავს ტკბილი ოცნება მამულის ფიზიკური გაერთსხეულებისა:

„და ახლა, როცა მესხეთ-ჯავახეთს
ასდინდა სუნი ქართველთ სიმცირის,
მე უნდა აქეთ აწყურთან ვიდგე,
ჯიშიან ძვლებზე მკბენდეს სიცივე...
და კარს უღებდეს უცხო ტურისტებს
ხერთვისი, ხანძთა, ბებერი ტაო,
გადამავიწყე დიდი თურქობა,
გადმიშვი, მთაო!“

ამ ლექსზე დაწვრილებით იმიტომ შევჩერდით, რომ გვეჩვენებინა იგი, როგორც ტიპური ნიმუში იმისა, როგორ გადმოიცემა პოეტის მიერ წარსულის და აწმყოს ეროვნული სატკივარი არა პირდაპირი გალექსვის გზით, არამედ ფილოსოფიური ჩაღრმავებით, უჩვეულოდ ორიგინალურად და თავისებურად. სწორედ თემისადმი მიდგომის ამგვარი მეთოდით არის დაწერილი ბეჟან ხარაიშვილის თითქმის ყველა ლექსი.

აი რა თავისებურად გრძნობს სამშობლოს, მის ბუნებას ბეჟან ხარაიშვილი, რასაც ყურადღება მიაქცია ლუარა სორდიამ: „მწვანე შუქნიშნად ინთებიან გზაზე ხეები, ეს იმას ნიშნავს, გავიარო, – წინ მამულია!“

მონოგრაფიის ავტორი პოეტის არც ერთ ლექსს, ეროვნულ თემაზე შეთხზულს, არ ტოვებს ყურადღების მიღმა, მგრძნობიარედ განიხილავს მათ და შთამბეჭდა-

ვად წარმოაჩენს იმ თავისებურებებს, რასაც ბეჟან ხარაიშვილი იჩენს პატრიოტული ლირიკისადმი მიდგომით. აქვე აქცენტირებულია ეროვნული, ტრადიციული, მაღალზნეობრივი იდეალებისაგან, რწმენისაგან გადახვევის, სამეუფო გზის დავიწყების ჩვენებანი პოეტის მიერ, რომელიც სამომავლოდ ქვეყანას უფსკრულის პირას დაყენებდა. ლუარა სორდია ღრმად ჩაგვახედებს იმ ლექსის არსში, რომელსაც ჰქვია „შეციებიათ მთაში ღელეებს", სადაც მინიშნებულია სამშობლოს განსაცდელზე ხარის და მგლის პარადიგმებით. ამ ჭრილში განიხილება ლექსი „სიზმარი", სადაც სიზმრისთვის დაკისრებულია მთავარი სათქმელის წარმოჩენის ფუნქცია. ლუარა სორდია წერს: „სიზმარის" ავტორი გულისწყრომას ვერ ფარავს, შეძრწუნებული ამხელს ეროვნულ საფრთხეს, რეზიუმესავით ჟღერს მისი განაცხადი:

„ღმერთმა დასწყევლოს გადაგვარება,
არა და, ბაღო, როგორ მიყვარდი.
შევეხე ვარდს და...
ბოლოკი შემრჩა, –
ეს შენ იყავი".

მოგოგრაფიის მეოთხე თავში დამუშავებულია ფილოსოფიური პრობლემები ბეჟან ხარაიშვილის პოეზიაში. ხაზი გაესმის შემოქმედის რელიგიურ განწყობას, თვითშემეცნებით პოეტურ ნიმუშებს, ცოდვებისა და სიკეთის საზღაურის ჩვენებას, ბიბლიური წარღვნის გაკვეთილის გაცნობიერებას, პოეტის თანამედროვეობაში ქარიშხლის, ყორნისფერი ზეცის, წარღვნის ლეგენდის, ნოეს კიდობნის მოლანდებებს, მოსალოდნელი უბედურების თავიდან აცილებას ჯვრის საშუალებით:

„ნაპირს დაუშინა ქარიშხალმა
თოვლის გუნდები –
თოლიები და

ზეცა თვალებში ჩაყორნისფერდა.
ვაითუ დიდი მოვარდეს წყალი...
– ჯვარი აქაურობას!
– ჯვარი აქაურობას!
რამ გამახსენა ნოეს კიდობანი?!"

სწორად შენიშნავს ლუარა სორდია: „ბეჟან ხარაიშვილის შემოქმედება სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოს, მილმური სამყაროს საიდუმლოებების, ძიებით, უკვდავებაზე ფიქრით გამოირჩევა". იგი სწორედ ამ მიმართულებით წარმართავს კვლევას. აქვე თავს უყრის უზარმაზარ მასალას სიკვდილ-სოცოცხლის რაობაზე ქართული და უცხოური წყაროებიდან, რითაც ამ თემის მარადიულ აქტუალობაზე მიგვანიშნოს მსოფლიოს მასშტაბით. სწორედ ამის ფონზე აანალიზებს ბეჟან ხარაიშვილის პოეტურ ნიმუშებს. ნაშრომში გამოკვეთილია მთავარი რამ: პოეტის მიერ სიკვდილ-სოცოცხლის არსის ჩვენებას აზის თემის ინდივიდუალურად, ორიგინალურად გააზრების ბეჭედი: და ვაშენებდე გაღმა-გამოღმა ორივე მკლავის მოსაჭრელ კედლებს, რომ სამოთხეში, გინდ ჯოჯოხეთში თავთან დაკლული სიკვდილი მედოს, ანდა ვაჟაის მთებში ჩამმარხა ხმელი წიფელის სანედლო ფესვად: „ერთი მეც უნდა მოვკლა სიკვდილი";

პოეტის ნააზრევში პროგრესულია სიკვდილის შიშის დაძლევა, მისი დამარცხების სურვილი. სიკვდილ–სიცოცხლის თემა ორიგინალურად გაუაზრებია მას ლექსში „სანთლის ღერი", სადაც ნაჩვენებია სიკვდილ–სიცოცხლის ზედაპირული აღქმა და არა ფილოსოფიური ჭვრეტა, როგორც ამას შენიშნავს მკვლევარი ლექსის ანალიზისას: „პოეტს აღაშფოთებს ეს შეგუებული სიკვდილი, ადამიანის საბოლოო აღსასრულის დაკავშირება მავანთა დანაყრებასთან, არა მწუხარება, არამედ მოვლენის გამართლება იმით, რომ ყველანი სიკვდილის შვილები

ვართ: „სამოცს გადასცდაო, – თქვა ერთმა დანანებით, – რას იზამ, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, თქვა მეორემ და ხელები გაშალა, ღმერთმა აცხონოს, – ჩაურთო მესამემ, – აჰა, გვიჭამია ხაშლამა!“

სიკვდილზე ფიქრს ბეჟან ხარაიშვილი გადაჰყავს ჰადესში, რაზეც მონოგრაფიის ავტორი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას სპეციალურ თავში „ჰადესში მოგზაურობა“. სიცოცხლეში სიკვდილის განცდა, მის საიდუმლოებებზე ფიქრი რჩეულთა ხვედრია, ესაა პირობა წარმავლობის გამარადიულებისა. ამის დასასაბუთებლად ლუარა სორდიას საინტერესო ციტატები დაუმოწმებია მიშელ მონტენის „ცდებიდან“. ერთ ნაწყვეტს უსათუოდ ჩვენც გამოვიხმობთ:

„არ ვიცით, სად გვისაფრდება სიკვდილი. მაშ, მოდით, ყველგან ველოდოთ მას, სიკვდილზე ფიქრი თავისუფლებაზე ფიქრსაც ნიშნავს. ვინც მიეჩვია სიკვდილს, მონობას გადაეჩვია. ვინც გვასწავლის, როგორ მოვკვდეთ, იმავდროულად გვასწავლის, როგორ ვიცხოვროთ“.

ლუარა სორდიას დაკვირვებით, ბეჟან ხარაიშვილის ხანმოკლე სიცოცხლე, მისი სული რატომღაც სულ სიკვდილზე ფიქრებით იყო სავსე. როგორც შემოქმედს, დიდი სურვილი ჰქონდა, შეეცნო მილმური სამყაროს საიდუმლოებები, მაგრამ იქ დარჩენა კი არა, სიცოცხლე და ისევ ხილულ სამზეოში დაბრუნება ეწადა: „ამ ბოლო დროს საიქიოს ამბები ძალიან მაწუხებს, მეშინია, რამე ცუდი არ მომივიდეს, მე მინდა მოვკვდე, ვნახო საიქიო, მაგრამ იქ ვერ დავრჩები, უბრალოდ ვნახავ და დავბრუნდები, ვნახავ და დავბრუნდები“.

მკვლევარი ამ მხრივ ჩვენს ყურაღდებას მიაქცევს ბეჟან ხარაიშვილის მოთხრობას „უსახელო მკვდრები“, განსაკუთრებით აქვე მოცემულ შთამბეჭდავ ეპიზოდს,

მხედველობაში გვაქვს ხევსურეთში მყოფი მწერლის მიერ ნანახი სიზმრის შინაარსი, რომელსაც ლუარა სორდია დაწვრილებით გადმოსცემს თავის საკვლევ თემასთან დაკავშირებით. აქ საუბარია მოთხრობაში ორჯერ ნანახ სიზმარზე. განსაკუთრებით საგულისხმოა ჯუჯა კაცის და პოეტის დიალოგი:

„სიკვდილს საბოლოოდ ვერავინ მორევია, თუ მოინდომა, სიკვდილი ღმერთს მოკლავს, სიკვდილს უფლება აქვს, მთელი სამყარო არარაობად აქციოს... კაცობრიობა მოსპოს... ამით თქვენი ღმერთი მოკვდება, შემქმნელი და თაყვანისმცემელი არ ეყოლება, სამყარო დარჩება, მაგრამ შემმეცნებელი არავინ იარსებებს, შემეცნების გარეშე კი სამყარო და მის ირგვლივ არსებული მოვლენები არარაობაა, არარაობა და სიკვდილი ძმები არიან“.

ზემოთ ბეჟან ხარაიშვილის მოთხრობა „უსახელო მკვდრები“ ვახსენეთ, სადაც შთამბეჭდავად არის აღწერილი ორეულთან შეხვედრა, რომელსაც საგანგებო ყურადღებას მიაქცევს ლუარა სორდია თავის საანალიზო წიგნში. მკვლევრის დაინტერესება გამოუწვევია პატარა ეპიზოდს, სადაც დიდი ფილოსოფიური სათქმელია გაცხადებული: ყველა ადამიანი დაატარებს თანდაყოლილ ცოდვას, ანუ ღვთისმეტყველების ენაზე, მემკვიდრეობით ცოდვას, რაც მას მიწაში ძირავს და მიზანი ის უნდა იყოს, რომ შეიცნო საკუთარი თავი, ებრძოლო უკეთურების საწყისებს, განიწმინდო მისგან ანუ ამაღლებისთვის ხელის შემშლელისგან. მხოლოდ ასეა შესაძლებელი ღმერთის, ანგელოზების, წმინდა სულების სავანეში შეღწევა.

ლუარა სორდიას წიგნში აქცენტირებულია ბეჟან ხარაიშვილის წინასწარმეტყველური ხილვები, რომელიც ცალკე თავად არის გამოყოფილი. ავტორი წერს: „მხოლოდ ნათელხილვისა და ნათელსმენის ფენომენებით თუ

აიხსნება ის უტყუარი განჭვრეტა საზოგადო თუ პიროვნული მომავლისა, რაც ყურადღებას იპყრობს ბეჟან ხარაიშვილის პოეზიაში". დაკვირვების და განსჯის ობიექტშია მოქცეული: „ხვედრი პოეტთა", „ეჭვი", „შეციებიათ მთაში ღელეებს", „გაზაფხულია", „წინათგრძნობა" (ხელნაწერი)", „მრავალჟამიერ, ჩემო ბეჟანა" და სხვა.

საინტერესოდ იკითხება მეხუთე თავი – „ვაჟა-ფშაველას რემინისცენციები ბეჟან ხარაიშვილის შემოქმედებაში". ეს ნარკვევი უნდა დაწერილიყო და ისიც მხოლოდ ლუარა სორდიას მიერ. აქ წარმოჩენილია ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებითი მიმართება ვაჟა-ფშაველას პოეტურ სამყაროსთან, რაც იყო არა ეპიგო ნის, შეგირდის დამოკიდებულება დიდოსტატთან, არამედ დაღვინებული, თავისი ხმისა და ხელწერის გულწრფელი მოწიწება დიდი პოეტისადმი". ეს ეხება თხზულებათა არა მხოლოდ იდეურ გამოძახილს, არამედ სახისმეტყველებით მხარეს, სახეებით აზროვნების ძალმოსილებას. ამის დამასაბუთებელი პარალელები მოტანილია იმ მკვლევარის მიერ, რომელმაც თითქმის ზეპირად იცის ვაჟას პოეტური გონითი ნაღვაწი.

მოვუსმინოთ მეცნიერის რეზიუმედ ჩამოყალიბებულ აზრს: ბეჟან ხარაიშვილი ვაჟა-ფშაველასავით სულის, სულიერების, ზნეობის აპოლოგეტი იყო და არა პრაგმატული, მიწიერი ინტერესების. ვაჟასავით აიდეალებდა მთას, მთის ხალხთა რაინდულ ბუნებას, ტკიოდა დაცარიელების გზაზე მდგარი მთის რეგიონი. ვაჟასავით უმღეროდა არაგვს, ერის სიმბოლოდ ესახებოდა მუხა, ხმელი წიფელი, ხარი, ვაჟასავით ებრძოდა ნარეკლების მომრავლებას, ვაჟასავით მაღლდებოდა ცაში, ელტვოდა „სიყვარულის სამეფოს", ერთგულებდა „კაი ყმის" იდეალს.

მონოგრაფიაში დამუშავებულია პოეტიკის საკითხები, შემოქმედებითი თავისებურების ზოგიერთი ასპექტი. გამოყოფილია პოეტის მხატვრულ აზროვნებაში შემდეგი სახეები: მუხა, ხარი, ქარი, მიმინო, არწივი, თოვლი, მგელი, დევი, ნისლი, მზე, მთა, ნატვრის თვალი, საწმისი. ყურადღებულია ნეოლოგიზმები: ჩაყორნისფერდა, ატყემლისფერებენ, იხანჯლა, ჩანამგალება, მტრედისფერობს, დავიმაისებ, ინამცოხრებენ, გადათოვლება და ა.შ. საუბარია იითმებზე, მეტრიკულ სტრუქტურაზე, რიტმის ხშირ ცვლაზე.

როგორც მკითხველმა დაინახა, ჩვენ ძალზე ზოგადად, თითქმის ფრაგმენტულად ვიმსჯელეთ ლუარა სორდიას საინტერესო წიგნზე „ბეჟან ხარაიშვილი – ქართული პოეზიის მიმინო“. პოეტი ნამდვილად იმსახურებდა მის პოეზიაზე ამგვარი სახელწოდების ნაშრომის შექმნას. ეს წიგნი აუცილებლად უნდა დაწერილიყო და იგი უნდა შეექმნა, უპირველესად, მხოლოდ ლუარა სორდიას. ვინაიდან, ვეჭვობ, მასზე უკეთ ვინმე ჩაწვდომოდა ბეჟან ხარაიშვილის პოეზიის საიდუმლოებას. ვინც დღემდე არ იცნობს ბეჟან ხარაიშვილის თხზულებათა კრებულს „ხვედრი პოეტთა“ და ლუარა სორდიას დასახელებულ წიგნს, მოკრძალებით ვურჩევდი, ყურადღებით გაეცნონ მათ, როგორც გარანტს მაღალ პოეზიასთან და სანიმუშო სამეცნიერო ნაშრომთან ზიარებისა.

ნიშაბნი საჩანგჯაშენი
(გულნაზ ხარაიშვილის პოეზიაში)

2015 წელს თბილისში დაისტამბა ლუარა სორდიას მორიგი წიგნი – „მადლშემოსილი“ (გულნაზ ხარაიშვილის სულის გალობა). ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლუარა სორდია ქართულ ლიტერატურისმცოდნეობით სივცეში ცნობილია, როგორც ერთ-ერთი გამორჩეული მკვლევარი, პროდუქტიული მეცნიერი. უწინარესად, სახელმოხვეჭილი აღმოჩნდა მისი მონოგრაფიები გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაზე. ეს წიგნები გალაკტიონმცოდნეობაში განუმეორებელ ადგილს იკავებენ და ამ ბუმბერაზი პოეტის სახელის თანამდევად დარჩებიან მუდამ. ასევე, ლუარა სორდიამ ღრმამეცნიერული წიგნები და ნაშრომები, წერილები და სტატიები მიუძღვნა შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ტერენტი გრანელის, კონსტანტინე გამსახურიას, გრიგოლ რობაქიძის, ჭაბუა ამირეჯიბის, ოთარ ჭილაძის, ანა კალანდაძის, რევაზ მიშველაძის, გოდერძი ჩოხელის, ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას შემოქმედებათა სხვადასხვა რაკურსით შესწავლას.

ლუარა სორდია თავის გამოკვლევებში ავლენს მისაბაძ ეროდიციას და განსწავლულობას ბიბლიაში, ღვთისმეტყველებაში, შუა საუკუნეების ქართულ სასულიერო და საერო მწერლობაში, XIX-XX საუკუნეების ქართულ სიტყვიერ კულტურაში, აღმოსავლეთის ხალხების თუ

ევროპულ მწერლობაში, ფილოსოფიაში, ისტორიაში, რენესანსულ კულტურაში და ა.შ. პირველი მონოგრაფიის გამოქვეყნებიდანვე მხიბლავდა და მაოცებდა ლუარა სორდიას მეცნიერული კვლევის სიღრმე და მასშტაბურობა. იგი გახლავთ: ქალი – დედა, ქალი – ბებია, ქალი – მეუღლე, ქალი – დიასახლისი, ქალი – ლექტორი, ქალი – პროფესორი, ქალი – მეცნიერებათა დოქტორი, ქალი – რამდენიმე საერო-დარგობრივი აკადემიის აკადემიკოსი... ყოველივე ამის წარმატებული თავსებადობა ბადებს სწორედ იმ ხიბლსა და გაოცებას, რაზეც ზემოთ მოგახსენებდით.

„მადლშემოსილის“ ავტორზე ზოგადად საუბარს იმიტომ მივმართე, რომ მკითხველმა (ვინც ლ. სორდიას მეცნიერულ პროდუქციას არ იცნობს) ნათლად წარმოიდგინოს, თუ ვინ არის ქვემოთ საანალიზო წიგნის დამწერი, ვისი კალამი შეეხო გულნაზ ხარაიშვილის ნატიფი ლირიკისნაირ თემატიკას. ეს არ არის დასახელებული პოეტის შემოქმედებაზე შექმნილი პირველი წიგნი. განსაკუთრებით გამოვყოფდით სერგი ლომაძის მონოგრაფიას.

ერთი სიტყვით, ლუარა სორდიამ ქართველი კლასიკოსების ბუმბერაზი მთებიდან ჩამოივაკა და საგულისხმო სიტყვა თქვა, მართალია, არაკლასიკოს, მაგრამ მეტად საინტერესო შემოქმედზე. გულნაზ ხარაიშვილი ქართველი ინტელიგენციის ბაჯაღლო ბეჭედში ჩასმული ბადახშივით მოჩანს. მის თავზე, როგორც იტყვიან, წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ ამ უკუღმართ წუთისოფელში რა სიდუხჭირე არ გამოუცდია: შვილის ნაადრევი წასვლა ამქვეყნიდან, ძმების დაღუპვა, მეუღლის გარდაცვალება.. თუმცა არც ფიზიკურად გატეხილა

და არც სულიერად. „სოფლის უკუღმა ტრიალში“ დაუშრეტელი ენერგიით წალმა აბრუნებს ბედის ბორბალს. აქტიურად არის ჩართული საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულში, ფუტკარივით შრომობს და იღწვის. სანთელივით იწვის, იღვენთება და ანათებს.

გულნაზ ხარაიშვილი ჩინებული პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწეა. იგი გახლავთ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მრავალპროფილიანი აკადემიის დამფუძნებელი და პრეზიდენტი, ამავე აკადემიიის მხატვრული და სამეცნიერო ყოველკვარტალური ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და რედაქტორი, რამდენიმე ტომად გამოცემული „ანთოლოგიის“ შემდგენელი და რედაქტორი, რამდენიმე საერო აკადემიის ნამდვილი წევრი, მწერალთა კავშირის წევრი, დამსახურებულად აქვს მიღებული პრემიები, მათ შორის გალაქტიონის პრემია. ამასთანავე, რაც მთავარია, გულნაზ ხარაიშვილი არის სათნოებით გამორჩეული პიროვნება, კეთილშობილი, გულკეთილი, გულისხმიერი, ყურადღებიანი და ზნეკეთილი ქალბატონი. იგი განსაკუთრებით ზრუნავს ნორჩი შემოქმედთა თაობაზე, „ათინათის“ ყოველ ნომერში ბეჭდავს დამწყებ შემოქმედთა ლექსებს, მოთხრობებს, მინიატურებს, ჩანახატებს, სახელოვანი ადამიანებისთვის ჩამორთმეულ ინტერვიუებს. ერთი სიტყვით, „ათინათის“ მკითხველთა ფართო აუდიტორიის წინაშე ინტენსიურად და აქტიურად წარმოაჩენს დამწყებ შემოქმედთა უმანკო სულსა და სახეებს. ამასთანავე, იგი არის ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი. ვინ მოთვლის, გულნაზ ხარაიშვილის თაოსნობით რამდენი კულტურული ღონისძიება ჩატარებულა: ახლა წიგნების წარდგენა-პრეზენტაცია, საიუბი-

ლეო საღამოები, ლიტერატურული საღამოები, სამეცნეროო კონფერენციები და სხვა.

მრავალწახნაგოვანია საკითხთა წრე, რასაც ლუარა სორდიას განიხილავს და აანალიზებს თავის წიგნში. ამის დასადასტურებლად ნარკვევების დასათაურების ჩამონათვალი იკმარებდა; მადლით და რწმენით გადარჩენა; სული ვარ უკვე ცაში აჭრილი; მიაყურადეთ, გაიგონეთ სულის გალობა; სახისმეტყველების ზოგიერთი საკითხი; ზღვას შევებმები, უნდა გავცურო; აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერები; ლოყას ცრემლით ჯვარი დამეხატა; ერიდე ქარბუქს, რადგან ირგვლივ დარბის სატანა; შარაგზას ვეძებ ეკლიან ტყეში; კვლავ გავუყევი ეკლიან გზას და თანაც უკვლევს; მოყვრად გექციოს სამშობლოს მტერი; რაა სიცოცხლე? მილმიერსაც მივწვდი ფიქრით; პოეტის „სულის ძიძები"; შემოქმედებითი თავისებურების ზოგიერთი ასპექტი.

ლუარა სორდია გულნაზ ხარაიშვილის პოეზიაზე მსჯელობის დასაწყისშივე მიგვანიშნებს მეფისტოფელის საუკუნეში მადლით და რწმენით გადარჩენის აქტუალობაზე. აპოლაკისფური განკითხვისგან ხსნაზე. ქრისტეს მებაღეობაზე, „ქვეყნად მოსული უფლის ბაღის მოსაშენებლად". მართლაც გულნაზ ხარაიშვილის ლირიკაში შესავლელ კარს გარკვევით აწერია: „მამული, ენა სარწმუნოება". სწორად შენიშნავს მკვლევარი: „გულნაზ ხარაიშვილის წიგნებიდან გეცნაურებათ ქართული სული, ქართული მორალი, ეროვნული მაღალზნეობრივი ადათ-ტრადიციები, ხოლო სამყარო დანახულია საკუთარი კერიიდან, ანუ მაკროკოსმოსი განჭვრეტილია მიკროკოსმოსის საშუალებით."

ლუარა სორდიას დაკვირვებით, გულნაზ ხარაიშვილს სულიერი სიწმინდის, სიკეთის საზღაურად ევლინება დი-

დი წყალობა – სულიწმიდის ნიავის სახით („გულში დაჭრილებს ვამხნევებდი თბილი სიტყვებით, მათ შევუკერე იმედების, რწმენის ფუთები, ახლაც ლექსების, სულიწმიდის ნიავს მივყვები, რადგან სული მაქვს ფაქიზი და ნასათუთები"), რომლის მოლოდინით ივსება სული („სულიწმიდით უკვე ვიწამლე"). ამიტომაც არის პოეტის ცხოვრება და შემოქმედება ღვთის მადლით გაცისკროვნებული, „იმედის მადლი", „იმედის ფიფქები" ათოვს.

გულნაზ ხარაიშვილს გათავისებული აქვს პავლე მოციქულის შეგონება: გადარჩენის საწინდარია მადლი და რწმენა. მკვლევარი იმოწმებს ნესტორ ყუბანეიშვილის გამონათქვამს: „უმაღლესი ფასეულობა, უკანასკნელი მიზანი და ადამიანის ცხოვრების აზრი ქრისტიანისათვის ღმერთთან მიახლოებაა. რასაც რელიგიის ენაზე მადლი ეწოდება. მარადიული ფასეულობის თვალსაზრისით, სრულყოფილი მადლი – ეს არის მხოლოდ ღმერთი და ერთადერთი რეალური ბოროტება – ცოდვა, ღმერთიგან დაშორება.

ასე რომ მადლით და რწმენით გადარჩენის ქადაგება ჩვენს ავებედით დროში ღვთისმეტყველური ორიენტირია და მისი მადლის გადასვლა გულნაზ ხარაიშვილის პოეზიაში კიდევ უფრო ამაღლებს და განასპეტაკებს მის სულს, მის ლექსებს. სულს, რომელიც იმედის, ზეციური მადლის ძალით ფრენს ცაში: „სული ვარ უკვე ცაში აჭრილი"; „კიბეს მივადგამ ლექსით ცათამბჯენს"; „სულზე ვარდად მოგიფენდი ცის ულურჯეს კიდეს". პოეტი ამაღლებული სულით მოიხილავს „გონურ ცას", ღმერთების სამკვიდროს, ფიზიკურ მზესა და ვარსკვლავებს, მთვარეს.

ზემოთ ვსაუბრობდით მადლით და რწმენით გადარ-

ჩენაზე, გულნაზ ხარაიშვილის ლირიკაში აქცენტირებულია სიყვარულის გადარჩენაც, სიყვარულის გამოხსნაც. პოეტს ზეციური სიყვარული ხალხის, სიკეთის მსახურებისკენ ეძახის.

ლუარა სორდია გულნაზ ხარაიშვილის პოეტური წიგნებიდან ჩვენს ყურადღებას გადაიტანს გრაალის, საწმისის თემაზე, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული გონის სიდიადის, ჩვენი ისტორიის, კულტურის, მითოლოგიის, ეროვნული ფენომენის სრულყოფილად გაგებისათვის. აქვე საუბარია პოეტის გალობისა და ლოცვის ენაზე – ქართულ ენაზე, როგორც ჩვენი ერის გადამრჩენ ფენომენზე: „დედა ენავ“, გადამრჩენო ერის, ხმლით და სიტყვით გლოცავთ შემართული, ლექსებს ვამბობთ, თუ ქართულად ვმღერით, გალობაა ის შენს ლოცვად თქმული.“

ლუარა სორდია წერს: „ჭეშმარიტი სიტყვა უზენაესის გადასახედიდან იზომება, ის, უპირველესად, რელიგიურია, სიმართლის მსახური. ღმერთშემოსილ პოეტს „იმედის სანთელი“ უნთია, უშიშრად არქმევს მოვლენებს ადეკვატურ სახელებს... ლექსი პოეტისთვის „ხან ბაჯაღლოა, ხან მზე და ხან მთვარე. ის მტევნებივით სულში ასხია“; „ოქრო რად მინდა? ოქრო ლექსია“; ლექსია პოეტის პატრონი, შვილი, გულის ბატონი, სიყვარულის ქმნილება“.

„მადლშემოსილის“ ავტორი ფრაგმენტულად სახისმეტყველების ზოგიერთ საკითხსაც ეხება. კერძოდ, გულნაზ ხარაიშვილის მიერ ენიგმური სახეებით გამოხატულ კავშირს უზენაეს ძალებთან: „მზემ გამიშუქა სინორჩე გულის“. „მზემ ღრუბლებიდან გამოანათა, შემომეფეთა თასი სიკეთის“; „მზე პატრონობს თბილად სუ-

ლის არეს“. პოეტის სახისმეტყველებაში, მზესთან ერთად, მთვარის, ცისარტყელის, საღვთო ნათლის ძალმოსილებაა წარმოსახული. მობილიზებულია ამ მიმართულებით საილუსტრაციო მასალები: „ღამის ფიქრები მთვარესთან მიმყვას;“ ცისარტყელით მოსილი ღმერთშემოსილია; ცათა ჭერიდან ჩამოკრეფილი მზის სხივები, მზის სხივების ხელები, მზის მკლავები და ა.შ. ნიშანდობლივია წიგნების დასათაურებაც: „მზის ათინათი“, „მზის მკლავეში“, „სულის არეში.“

საინტერესოდ არის წარმოდგენილი გულნაზ ხარაიშვილის პოეზიაში ზღვის სიმბოლიკა, ბიბლიის, ღვთისმეტყველების, კლასიკური მხატვრული ლიტერატურის შთაგონებით, რასაც ლუარა სორდია სათანადო ყურადღებას მიაპყრობს: „ცურვა მასწავლა ლურჯი ზღვის ტალღამ, ზღვას შევებმები, უნდა გავცურო;“ „ზღვის ეკვატორის სილამაზემ თვალი წამართვა, ეკვატორი კი შენ იყავი, გულზე გიბნევდი“, ზღვიის ფსკერი, ლამი, წუპე, წურბლების, ცოდვილთა, ეშმაკთა, წყლის ჯოჯოთა საბუდარიც არის.

გულნაზ ხარაიშვილის ლირიკის სევდა-ნაღველით და დარდით გათანგვა, უპირველესად, მშობელი ქვეყნის უნუგეშო მდგომარეობით არის განპირობებული, რასაც ლუარა სორდიას წიგნში საგანგებო ყურადღება დათმობია. „გრძნობის ჯვარზე გადალანდულია“, „სევდის დედოფლის“ სული „სევდის ქვაბშია“ მოხარშული. მკლევარს ამოუწერია პოეტის წიგნებიდან დარდგარეული ნაწყვეტები: „დარდის თავქალია“, დარდის დევები ასდევნებია, დარდის ფუთებს მიათრევს, დარდის მარწუხები უჭერს, დარდის კოცონი უნთია, დარდის ყორანი დასჩხავის დარდის რაში, დარდის სივრცე, დარდის აჩრდი-

ლი. გული დარდით სავსე დარბაზია და ა..შ. დარდი ცრემლების მშობელია, რამაც შთამბეჭდავი სახეც დაბადა: „ცრემლით ლოყას ჯვარი დამეხატა," ცრემლი სულიერი კათარზისის საშუალებაცაა, ასე ესმის იგი გულნაზ ხარაიშვილსაც და ასეც უნდა დავიგულოთ იგი მის ლექსებში. ლუარა სორდიას სწორი შენიშვნით, პოეტი არ არის დარდსა და ცრმელებს გადაყოლილი, არც მათი მონაა. დარდის მწვერვალებს ადევნებული იბრძვის მისი დაძლევისთვის, ვინაიდან სულით ძლიერი შემოქმედია. „დარდის გუდას" ფერთხავს, რათა სიხარულის ნათელს ეზიაროს, დარდთა თბომავალს გააყოლებს ტკივილს და უიმედობას და იმედის გზით განაგრძობს სვლას („მოვიწიე იმედის ტოტი", „იმედების, რწმენის ფუთები" მისი ნუგეშია).

ლუარა სორდიას განგრძობს: „დარდის ვალიდან" ამოსული პიროვნება არა ბოროტი სულის თარეშს უსმენს, არამედ ზეციურ ხმებს აყურადებს, ზენიტის მზეს შეჰხარის, მფარველი ღმერთის იმედი ასულდგმულებს". ამას უკავშირდება ქარის სიმბოლიკის წარმოსახვა, ქარის პერსონიფიცირება: „ქარი გადადენის ღრუბლებს", „ქარმა გადამიფერთხა ღრუბლები".

გულნაზ ხარაიშვილი, – წერს ლუარა სორდია, – „სიკეთის ლამაზი ბილიკით" დადის, „სიკეთის ნერგებს" სამშობლოსთვის რგავს, „წვალებ-წვალებით წალდავს გზას", ვინაიდან ეკლიან ტყეში გზის ძებნა დაჰბედებია და შემწედ ჰყავს ღვთისმშობელი: „შარაგზას ვეძებ ეკლიან ტყეში, მივკაფავ ბარდებს და წინ მივიწევ. მათოვს და მაწვიმს დარდების თქეში, დედა ღვთისა კი კვლავ არ მივიწებს". შემოქმედი თავისი კეთილდღეობისათვის კი არ ზრუნავს მხოლოდ, არამედ სხვათა ბედნიერებისთვი-

საც: „გზას გაგიკვლავათ ეკლიან ტყეში.“

„მადლშემოსილის“ ავტორის დასკვნით: გულნაზ ხარაიშვილმა ეკალ-ძეძვებიც ზნეობრივი პრობლემების გასაშუქებლად გამოიყენა და ამ უკეთურობის სიმბოლოდ მიჩნეულ სახეებშიც მონანიების ნიშნები მოძებნა: „ძეძვეკლებშიაც შევამჩნიე მე სინანული“.

ლუარა სორდიას დაკვირვების საგნად ქცეულა გულნაზ ხარაიშვილის მხატვრულ სახეთა სისტემაში განსაკუთრებით მოფიგურირე თოვლი, ყინვა, სეტყვა, ავდრის ნისლი, ჭირხლი, ღრუბელი, წვიმა, რაც მინიშნებაა უსულგულობაზე, სიკეთის იგნორირებაზე, უღმერთოებაზე, კოსმიურ სიცივეზე.

შედარებით ვრცალად ჩერდება მეცნიერი გულნაზ ხარაიშვილის პოეზიაში მასშტაბურობით გამორჩეულ სამშობლოს თემატიკაზე. ბევრს წერს პოეტი დედა საქართველოზე, რომელიც დღემდე ფაქტიურად ჩრდილოელი ყინულოვანი მონსტრის მარწუხებშია მოქცეული, გადათელილია მისი ჩექმებით, ვისაც მიტაცებული აქვს აფხაზეთი და სამაჩაბლო.

ლუარა სორდიას მართებული შენიშვნით, პოეტს ყველგან უცხოელთა თარეში, უცხოს ცეცხლი ელანდება. უცხოს ხმა ჩაესმის... უცხოსთან დამოკიდეულებაში გამოჩენილი ჰუმანიზმი ხშირად ჩვენი უბედურების სათავე ხდება. ამიტომაც მოსავს ლექსების ავტორს „სევდის პერაგნი“. გმობს მშობლიური ვაზის გადაჯიშებას, მოგვიწოდებს ეროვნული ვენახის, ბაღის მოვლა-პატრონობისკენ. ის ქვეყნის გამთლიანებაში ხედავს მისივე მომავალს. გულნაზ ხარაიშვილი ევედრება ღვთისმშობელს მისივე წილხვედრი ქვეყნის მტრისგან სახსნელად და დასაცავად: „კალთა მომაფარე, ჩემო დედაღვთისავ, ეგებ

დავიბრუნო, სხვამ რაც მიითვისა". ღმერთმა გისმინოს, პატრიოტო პოეტო: „აფხაზეთი – საქართველოს თვალი, კვლავ ქართულად ამღერდება, ვიცი".

გულნაზ ხარაიშვილი დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს პოეზიას: „ლექსო, ისეთი სათქმელი გეთქვას, მოყვრად გექციოს სამშობლოს მტერიო"; „თუ გინდა სულშიც დაგტორონ, ბოროტი კეთილად აქციე." პოეტს ამხნევებს მესიანისტური იდეა საქართველოს მარიამ ღვთისმშობლის წილხვდომილობისა და იმედს იტოვებს, რომ შეუძლებელია ასეთი რჩეული ერი არ გადარჩეს, – წერს ლუარა სორდია. შემოქმედი იმედით გვაცოცხლებს: „ვიცი, რომ უფლით კვლავ ეწვევა სულს გადარჩენა და იმედებით გაბრწყინდება კვლავ საქართველო."

„მადლშემოსილის" ავტორი ვრცლად განიხილავს ყოფნა-არყოფნის, სიკვდილ-სიცოცხლის მოტივებს გულნაზ ხარაიშვილის შემოქმედებაში. მწარედ განიცდის პოეტი ცხოვრების წარმავლობას. ადამიანთა ნაფეხურების გაქრობას (მე ასე მჯერა, ყოფნა წამია და ქარი წაშლის ჩემს ნაფეხურებს"); ნარეკლიან გზაზე თუ ბეწვის ხიდზე ადამიანმა გონების სიფხიზლით უნდა გაიაროს, ღვთის რწმენის თანხლებით. ადამიანს რწმენა, სიყვარული, სიმართლე, სიკეთე, სინდისი უშეცდომოდ ჩააბარებინებს ცხოვრების გამოცდას. პოეტს „სინდისის კრედო" ცხოვრების საზომად ესახება, სინდისის მიხედვით განისჯებიან ადამიანები უზენაეს მსაჯულთან.

ლუარა სორდიას თქმით, ქრისტიანული მრწამსით ნასაზრდოები მორალი იკითხება პოეტი ქალის მთელ შემოქმედებასა და ცხოვრებაში (შემიძლია მე მოყვასის სიყვარული, თუნდ ვიარო ეკალ-ბარდის გზებით"; „სიკეთის თასი უნდა დავცალო"; „ვთესო კარგი, დავისახე

მიზნად").

გულნაზ ხარაიშვილი შთააგონებს მკითხველს: ბოროტი ზრახვებით, მრუდე სამართლით, სატანური ქმედებებით ადამიანი ვერ გადაურჩება უფლის განკითხვას, ჯოჯოხეთის ცეცხლს. საკუთარი თავის შეცნობის უნარს მოკლებულნი ძნელად თუ გაერკვევიან ცხოვრების არსში, სიცოცხლის ხიბლში. ხოლო „შეიცან თავი შენი"-ს პრობლემის მომგვარებელნი ადვილად ეზიარებიან საღვთო სიბრძნეს, საღვთო სიყვარულს. „შევიცნო ჩემი თავი, ჩემი მოყვასი, მე უფლის ჯილდო გამოვიცანი, გულმა გული ცნო. გენმა კი გენი, მიხარია, რომ რაც ხარ, გაგიცან...). მარტივად, მაგრამ შთამბეჭდავად გვმოძღვრავს პოეტი, რომ ცხოვრება არის სიკეთის, სიწმინდის. ერთგულების, გაძლების, რწმენის, სიყვარულის გამოცდა. მთავარია, გონების ძალას მოვუხმოთ, რომელიც აწონასწორებს „გულის ვულკანს", „გრძნობის ფიალას", „სიყვარულის ღადარს".

ლუარა სორდიას ენით რომ ვთქვათ, გულნაზ ხარაიშვილი თავის ვალად მიიჩნევს, ცხოვრების გამოცდა სხვებსაც უშეცდომოდ ჩააბარებინოს: „შეგეშველები მყარ, ძლიერ კიბედ, რადგან ცხოვრება არის გამოცდა". პოეტის იდეალია სარწმუნოების, სულიწმინდის მადლით განბრძნობილი ხელოვანი, რომელიც თავისი ნიჭით აპურებს ხალხს: „გინდა სითბოთი გამოალღო სულის ხმელეთი, გინდა სიკეთის მთად გადიქცე... გინდა განათდეს, ამზიანდეს სხივით ბნელეთი... სარწმუნოების, სულიწმიდის ვხედავ, მონა ხარ. ოქროს მონეტა გეჯავრება, არ გიყვარს ვერცხლი. დიდ გრძნობაში კი შენმა სულმა შვება მონახა."

მორიგ ნარკვევში – „მიღმიერსაც მივწვდი ფიქრით"

– ლუარა სორდიას ყურადღება მიუქცევია გულნაზ ხარაიშვილის მიერ სიკვდილის თემაზე დაწერილ ორ პოემას და ერთ მოთხრობას. მხედველობაში გვაქვს პოემები: „მდუღარე ცრემლი“, „მკვლელობა საკუთარ სახლში“, რასაც აანალიზებს ცნობილი მეცნიერი.

„მდუღარე ცრემლი“ ეძღვნება ჩვენი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პიროვნების ჯერმალ ხარებავას უდროოდ გარდაცვლილ შვილს მანუჩარ (ბათუ) ხარებავას. 1989 წლის 25 აპრილს მისმა წასვლამ ამ წუთისოფლიდან შეძრა მთელი აფხაზეთი. დღემდე ვერ მოგვიშუშებია გულის ეს ჭრილობა აფხაზეთიდან უსამართლოდ დევნილთ. მადლობა გულნაზ ხარაიშვილს, რომ მან პირველთაგანმა მიუძღვნა ვრცელი პოემა ამ ტრაგიკულ აქტს.

ლუარა სორდიას ამ პოემის ღირსად მიაჩნია, პიროვნული ტრაგედიის პარალელურად, ომის ცეცხლში გახვეული აფხაზეთის ჩვენება, სისხლის, ცრემლების ტბის დაფიქსირება. სულისშემძვრელია უცხოთა სიძულვილით სავსე ხმის მოსმენა, მტრის მიერ დანათებული გამანადგურებელი ცეცხლის აალება. სოხუმში პალმის ადგილზე ბაბუაწვერა ამოსულა, გაუჩინარებულან თოლიები, ჭოტების და ბუს კივილი ავის მომასწავებლად ეწვეთება სმენას, ყინავს სულში.

მკვლევარს მოვუსმინოთ: „აჩრდილისა და ტოროლას სახით ცხადდება ქართველი მიცვალებული და იმართება უცხო დიალოგი პოემის ავტორსა და ბათუ ხარებავას შორის... პოემის პერსონაჟის გამოცხადება მიღმური საუფლოდან პოეტის კალმის სასწაულთმოქმედებამ გამოიწვია. ავტორი მედიუმია ბათუსა და მის მშობლებს შორის“. ან კიდევ: „სიწმინდემ და სიკეთემ ბათუ ანგელოზ-

თა დასში დაამკვიდრა. მას ზეციური სულები ერის ტკივილსა და ისტორიას აწერინებენ. შემთხვევითი როდია ბათუს დანაბარები მშობლებთან, რომ ცრემლის, დარდის ნაცვლად, ილოცონ სამშობლოზე და მართალი ცხოვრებით თვითონაც სასუფეველს დაიმკვიდრებენ."

პოემაში „მკვლელობა საკუთარ სახლში" მოთხრობილია საკუთარ სახლში სადისტურად მოკლული მერაბის ტრაგედიაზე. ლუარა სორდია მისი ანალიზისას მიგვანიშნებს, რომ არც ეს პოემაა ერთთემიანი. მასში ჩვენი დროის სატკივარიც იჩენს თავს. ავტორს ნაადრევად გარდაცვლილი ძმის – პოეტ ბეჟან ხარაიშვილის ლანდი გამოეცხადება და ავალებს პოემის დაწერას, თანაც ამცნობს, რომ მერაბი სამოთხეშია, ბათუ ანგელოზთა დასს ხელმძღვნელობს. მერაბის სული შვილს ჩააგონებს სიკეთეს, სხვათა შებრალებას, შრომას, ეროვნული ტრადიციების დაცვას, სამშობლოს ერთგულებას, სიყვარულს. მერაბის სული ოჯახს ურჩევს – შურისძიებაზე არც იფიქრონ. ამ სიტყვებს სახარებისეული სიბრძნე ასაზრდოებდა, – დასძენს მკვლევარი.

ლუარა სორდია ყურადღებას ამახვილებს გულნაზ ხარაიშვილის კიდევ ერთ მხატვრულ ნაწარმოებზე, რომელშიც ვეცნობით მსახიობ ლარისა ხაჭაპურიძის შვილის ტრაგიკულ ამბავს, რომელიც სამაჩაბლოში დაიღუპა 2008 წლის აგვისტოში, გაჩაღებულ ომის ხანძრის კვლადაკვალ მომავალი. „არსებითი, ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ მრავლისმეტყველი დეტალებით ცდილობს ავტორი ამ უნიჭიერესი ქართველი ჭაბუკის მაღალი ზნეობის წარმოჩენით... გვაკვალიანებს მეცნიერი.

საინტერესო ნარკვევია „პოეტის „სულის ძიძები", რომლის დასაწყისში ვკითხულობთ „გულნაზ ხარაიშვი-

ლის „სულის ძიძები“ არიან ბიბლიური წინასწარმეტყველები, ქართული და უცხოური კლასიკური მწერლობის ვარკსვლავები. ცნობილი ღვთისმეტყველები, ხალხური შემოქმედების მოგვები. ხალხური ინტონაცია მკაფიოდ არის აღბეჭდილი პოეტის „სულის რელიეფზე“. მკვლევარი სათანადო საილუსტრაციო ნიმუშებით წარმოაჩენს, თუ რამდენად აქვს გულნაზ ხარაიშვილს გათავისებული და შემოქმედებითად აღქმული ქართული პოეზიის. აზრთა საჭეთმპყრობელების სიბრძნე, სახეობრივი აზროვნების თავისებურებები. აქ არა მიბაძვა, არამედ ჯანსაღი გავლენა, დიდი წინაპრების სულიერი იმპულსები იგულისხმება, რადგან ყოველი სიახლე წინამორბელთა ჯანსაღი ტრადიციებიდან არის თავისებურად ამოზრდილი“ (რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი, გალაკტიონი, გიორგი ლეონიძე, ოთარ ჭილაძე, ვაჟა ეგრისელი... ქართული ხალხური შემოქმედება და ა.შ.).

წიგნის დასასრულს ლუარა სორდია წარმოაჩენს გულნაზ ხარაიშვილის შემოქმედებითი თავისებურების ზოგიერთ ასპექტს (ისე კი, სჯობდა, ალბათ, ამ ნარკვევის და წინარე, რიგით მეოთხე წერილის „სახიმეტყველების ზოგიერთი საკითხი“ – გაერთიანება). „მადლშემოსილის“ ავტორის თანახმად, პოეტის შემოქმედება რელიგიურია, რაც მოითხოვს ენიგმური სახეების საჭიროებას, რაც გამომწვევია საღვთო სიმბოლოების არსებობისა მის პოეზიაში (მზე, მთვარე, ვაზი, კიპაროსი, სული, ნაძვი, წყარო...). ცხოვრების წინააღმდეგობრივი ხასიათის გაშუქებისას ხდება ქარის, წვიმის, თოვლის, ეკლის, ზღვის, აპოკალიფსური სახეების (მხეცი, მგელი, მელა, დათვი, ნიანგი, ვეშაპი, გიურზა) გაპიროვნება ანუ პრესონიფიკაცია, ალეგორიულ-სიმბოლური პარადიგმებით

წარმოსახვა.

ლუარა სორდიას დაკვირვებით, გულნაზ ხარაიშვილის სახეების უმეტესობა ხალხური ელფერით, ხალხური ინტონაციით და სასაუბრო ლექსიკითაა შეფერილი. სანიმუშოდ მეცნიერი ბარაქიანად აფიქსირებს სათანადო მაგალითებს, რომელთა გამეორება შორს წაგვიყვანს. მთავარი ისაა, რომ შორს დგას ეპიგონობისაგან, ბრმა მიმბაძველობისაგან ხალხური სახეებისა. პირიქით, ახლებურად იაზრებს მათ. მეცნიერი საუბრობს ქართული ენის ამოუწურავ შესაძლებლობებზე გულნაზ ხარაიშვილის შემოქმედებაში, ამასთანავე, ჩვენს ყურადღებას მიაპყრობს პოეტის ლექსებში მოცემულ შეგონებებს, ანდაზურ და აფორისტულ გამონათქვამებს, პოეტურ ბგერწერას, მეტრიკულ სტრუქტურას, რითმებს, აკროსტიხებს, სინესთეზიის ნიმუშებს, ნეოლოგიზმებს, ორიგინალური სიტყვათშეთანხმების მაგალითებს და ა.შ.

ლუარა სორდია თავის წიგნს ასე დაასრულებს: „გულნაზ ხარაიშვილის სულის ყვავილი ზრდის სტადიაშია, ზეცას, მიწას, მიღმიეთს თამამად უსწორებს თვალს, დროის ქარბორბალას, ეპოქის უამინდობას, აპოკალიფსური მხეცების ნაშიერებს მთელი ძალისხმევით ებრძვის, ღრუბლის კიბეს მიჰყვება მაღლა, უხილავ-ფარულის ხილვა-შეცნობას ესწრაფვის, საზღვრების იქით მოილტვის და საბოლოო გამარჯვების მოლოდინით ცხოვრობს, რადგან უზენაესის ძალით გაბრწყინებული, ნათელშემოსილი, მადლშემოსილი და სხივშემოსილია“.

დასკვნის მაგიერ ვიტყვით, რომ პროფესორმა ლუარა სორდიამ შესაფერისი და საჭირო წიგნი შექმნა გულნაზ ხარაიშვილის პოეზიაზე. მისეული კალმის მოსმით, თავისებური რაკურსით წარმოაჩინა ამ შესანიშნავი პოე-

ტის შემოქმედების სხვადასხვა ასპექტები. შეეხო მის იდეურ-თემატიკურ და სახისმეტყველებით სამყაროს. აქცენტი გააკეთა გულნაზ ხარაიშვილის პოეტური მეტყველების ორიგინალობაზე: საგნებისა და მოვლენების თავისებურ აღქმაზე. ბიბლიურ-ქრისტიანულ, ლიტერატურულ თუ ხალხურ წყაროებზე.

ჩვენი მხრიდან დავამატებდით, რომ გულნაზ ხარაიშვილის პოეტურ შემოქმედებაზე მაღალი შეხედულებისა გახლავართ. რაც მის პოეტურ წიგნებს ვიცნობ, მუდამ მიზიდავდა და მხიბლავდა ამ ძვირფასი ადამიანის სწრაფვა ორიგინალური სახეობრივი აზროვნებისკენ, რაფინირებული, დახვეწლი ლექსების შეთხზვისკენ, თემატური მრავალფეროვნებისკენ, პოეტური სათქმელის ინოვაციურობისკენ, „სიტყვა ფიქრის სხეულიას“ ღრმად გაცნობიერებისკენ. ამიტომაც ვისურვებდი: არასოდეს დამცხრალიყოს თუ განელებულიყოს მკითხველში გულნაზ ხარაიშვილის ლექსების ჩანგზე და დაფზე დაკვრით მონიჭებული მხიარულება, ანუ, რუსთაველისა არ იყოს, – ნიშატნი საჩანგდაფენი.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ტიტე მოსია**



ბეჟან ხარაიშვილი

ქართული პოეზიის ძიძინა

ნაშრომში გაშუქებულია ჭაბუკობაშივე გარდაცვლილი ქართველი პოეტის – ბეჟან ხარაიშვილის ეროვნულ–პოლიტიკური, რელიგიურ-ფილოსოფიური ლირიკის პრობლემები.

მოძიებულია პოეტის შედევრების წყაროები, რემინისცენციები ქართული კლასიკური პოეზიიდან, გამოვლენილია ორიგინალური სახისმეტყველების ნიმუშები.

ნაშრომი არის ჩვენი მწერლობის მაგისტრალურ გზაზე მავალი შემოქმედის ლიტერატურული პორტრეტის შექმნის მოკრძალებული მცდელობა.

წიგნი განკუთვნილია ბეჟან ხარაიშვილის პოეზიით, ასევე, ქართული მხატვრული სიტყვით დაინტერესებული მკითხველისთვის.

თავი I

ბეჟან ხარაიშვილის ცხოვრების გზა (1954–1983)

ბეჟან ხარაიშვილი დაიბადა 1954 წლის პირველ იანვარს. ის შვიდშვილიანი ოჯახის მეხუთე შვილი იყო. ჭიჭიკო ხარაიშვილმა და დონიკა შუბითიძემ ერთგულებითა და თავიანთი ალალი შრომით აღზარდეს შვილები. უფროსი ვაჟიშვილი – ლევან ხარაიშვილი სპორტს მისდევდა, ასაკში როცა შევიდა, სხვადასხვა პროფესიით იყო დაკავებული, დედმამიშვილებისგან გამოირჩეოდა მუსიკალური ხმით და მებრძოლი ხასიათით, თამაზ ხარაიშვილი იმდენად კეთილი და უშურველად მხარჯველი იყო, მეგობრებში, ვისაც ბავშვი დაებადებოდა, მას ანათვლინებდნენ.

ეთერი ძალიან ლამაზი იყო, მთვარიას ეძახდნენ, დედის დამჯერე და ყველა მნახველის ყურადღების ცენტრში ხვდებოდა, ამირანი, ფიზიკურად ლამაზი, ძლიერი და სპორტის მიმდევარი იყო. გულნაზისა და ბეჟანის შორის დაბადებული იუზა კი ერთი წლის გარდაიცვალა წითურა ბატონებით.

ბავშვები ყველანი ლამაზები და ნიჭიერები იყვნენ. ერთმანეთს პატივს სცემდნენ და მშობლების მიმფერებლობით და დამჯერობით გამოირჩეოდნენ.

ოჯახი სტუმართმოყვარეობით იყო ცნობილი. ბეჟანის მამას – ჭიჭიკო ხარაიშვილს, დედა დაბადებისთანავე გარდაცვლია. ობლობაში გაზრდილი ჭიჭიკო იმდენად ძლიერი და აზრიანი პიროვნება ყოფილა, თორმეტი წლის ბავშვი სოფლის ბრიგადირად აურჩევიათ.

არასოდეს ყოფილა ის მომენტი, რომ ცოლ-ქმარს ეკამათათ და ბავშვები ამით დათრგუნვილიყვნენ. როცა სტუმარი მოუდიოდათ, ზოგი გარმონს უკრავდა, ზოგიც დოლს, ფანდურს, სტუმარს დიდი პატივისცემით ხვდებოდნენ და სიყვარულით აცილებდნენ.

ახლო მეზობლის შემოსვლაც ზეიმი იყო მათთვის, სკამის მიწოდებას ერთმანეთს არ აცლიდნენ, სტუმარი მათთვის ღვთით გამოგზავნილი საჩუქარი იყო.

დედას – დონიკა შუბითიძეს არასოდეს დაუწყეველია შვილები, მისი სიტყვა კანონი იყო. ერთი გადახედვითაც უგებდნენ ოჯახში.

ბავშვები გაიზარდნენ ერთმანეთის სიყვარულით და პატივისცემით. გულნაზი და ბეჟანი ჰგავდნენ ერთმანეთს. ისინი, გარდა დაძმობისა, ერთმანეთის სულიერი მეგობრებიც იყვნენ.

ბეჟანი ყველაზე მშრომელი იყო დედმამიშვილებში, ის მამას ეხმარებოდა ფიზიკურ შრომაში, უფრო მეტ დროს კი მეცადინეობას უთმობდა.

სკოლა ძალიან შორს ჰქონდათ. თოთხმეტი კილომეტრის გავლა უწევდათ მთელი დღის განმავლობაში.

ჭიჭიკო ხარაიშვილი სამ ადგილზე მუშაობდა, რათა მისი ცოლ-შვილი სხვისი ხელების შემყურე არ ყოფილიყო.

იმ გაჭირვების პერიოდში, მოახერხა ქალაქში ბინა ეყიდა და ცოლ–შვილი გადაეყვანა საცხოვრებლად. სულით და ფიზიკურად ლამაზი დედმაშვილები უფრო მეტად სპორტისა და ხელოვნების მიმდევრები იყვნენ. მათ ნიჭიერებას წინ უძღოდა სულიერი სიმდიდრე და ზრდილობა.

ბეჟანმა სკოლის პერიოდში, ყოველგვარი მომზადების გარეშე, იცოდა ინგლისური და რუსული ენები. პირველი კლასიდანვე წერდა ლექსებს, დაბადებული იყო პოეტად. ფიზიკურად მაღალ ბეჟანს საჩხერეში მეორე აკაკის ეძახდნენ. ჰქონდა ძალიან სწრაფი აზროვნების უნარი და შეეძლო დიდი აუდიტორიის დაპყრობა. დარბაზში ჩამიჩუმის ხმაც არ ისმოდა, როდესაც ის სიტყვით გამოდიოდა. საოცრად ლამაზი ხმის ტემბრი ჰქონდა.

სტუდენტობის პერიოდში მისი მომზადებული აბიტურიენტი მაღალ ქულებს იღებდა და უმაღლეს სასწავლებელში ხვდებოდა.

მისი ეროვნული სული ვერ ეგუებოდა უსამართლობას, უშიშრად იცავდა ქართულ ტრადიციებს. მის პოეზიას

უკვდავების მანტია აქვს მხრებზე მოსხმული და ამაყად დგას ქართული სიტყვის სადარაჯოზე.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, ბეჟანის ჩათვლის წიგნაკს წითელი ხაზივით გასდევდა ფრიადები. საოცარი ერთგულება იცოდა, ამიტომაცაა, მის გარდაცვალებას ამდენი წლის შემდეგაც ვერ ეგუებიან ბეჟანის მეგობრები.

ლევან ბაბუხადიასა და ბეჟანის მეგობრობაზე აუცილებლად წიგნები დაიწერება. ისეთი ერთგული ადამიანი, როგორიც არის ლევან ბაბუხადია, ძალიან იშვიათია.

მიუხედავად იმისა, რომ ფუფუნებით ოჯახი არ გამოირჩეოდა, მაინც ახერხებდნენ, რომ ბეჟანი ექსპედიციებში გაეშვათ. ის უნივერსიტეტში ფოლკლორის სიყვარულითაც გამოირჩეოდა. გარდა პოეზიისა, მას ჰქონდა პროზაული ნაწარმოები, რამაც მკითხველთა ინტერესი გამოიწვია. მისი „უსახელო მკვდრები“ ჩასაფიქრებელია, განსახილველია. ძალიან ხშირად ახსენებდა რომანს „ძაღლის თავი“, ბევრს ეცადა ლევან ბაბუხადია და ვერ მიაგნო მის ადგილსამყოფელს. ოცდახუთი წლის ასაკში რაც მოასწრო ბეჟანმა, ეგ არის: „სადღეგრძელო“ და „ხვედრი პოეტთა“, დღის დასწრებულიდან საღამოზე გადაიტანა საბუთები, რათა ემუშავა. ამიტომ იყო, რომ თბილისის ხეხილის სანერგე მეურნეობაში მუშაობდა, საიდანაც 25 წლის სტუდენტმა ბინაც მიიღო. სილამაზე უყვარდა, სიყვარული უყვარდა რუსთველური, ტრადიციული. ერთხელ ერთი გოგო მოსწონებია და სცენა გაუთამაშებია. ლევან, შენ არ იცოდი, ხელზე მკითხაობა რომ მეხერხებაო? ლევანი მიმხვდარა, რაშიც იყო საქმე,როგორ არ ვიცოდი, ბეჟან. იმ დღეს შენ რომ ხელისგულზე მიმკითხავე, ზუსტად ისე ახდა, როგორც მითხარიო. იქვე, უნივერსიტეტის ეზოში ქვებზე ჩამომჯარა, ხელი გაუშლია და უთქვამს, ვმკითხაობ ზუსტი პროგნოზებით და შეუცდომლად. გოგონებმა თურმე რკალში მოაქციეს, ზოგს რა უთხრა და ზოგს რა. ხოლო, ვინც მოეწონა, ისიც მისულა, მეც მიმკითხავეო, უთქვამს. ბეჟანს ძალიან სერიოზული სახე მიუღია. შენ?– ჰო, ჰო,

მეც მინდა მკითხაობაო, უპასუხნია გოგონას. ბეჟანს მისი ხელი თავის დათვის ტორივით ხელში მოუქცევია და დინჯად, დაფიქრებულად უთქვამს, შენ სტუდენტი გახდი, მაგრამ ეს შენთვის ბევრ რამეს არ ნიშნავს, ამ წუთში, შენი შეყვარებული შორიდან გიყურებს, თუ მე მაკოცნინებ, ისე, სხვათაშორის, რა იყო, რა დაგიშავდება, ლამაზო გოგო, აუცილებლად სიყვარული გაგიმართლებსო, უთქვამს. ბეჟანის სქელი ტუჩები გოგონას ნაზ, სიფრიფანა სახეზე აღმოჩენილა, გოგონა გაწითლებულა, რა იყო, ბეჟანს უთქვამს, მე ასე წარმომესახაო.

საჩხერის რაიონის სოფელ ხვანში, ბეჟანის სოფელში, ხშირად მოდიოდნენ მისი მეგობრები.

ხვანი მთიანი სოფელია, ის მდინარე ძირულის გაღმა – გამოღმა ნაპირზეა გაშენებული. ბეჟანს ხან ტყეში აჰყავდა მეგობრები, ხან მდინარე ძირულაში თევზს იჭერდნენ. ეს წლები ჩემთვის დაუვიწყარია, იგონებს ლევან ბაბუხადია. ბეჟანი სწავლობდა საჩხერის რაიონის სოფ. ჭალვანის საშუალო სკოლაში. იგი გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭით, ამიტომ ყველა საგნის მასწავლებლის ყურადღებას იქცევდა. უფრო მეტად, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი იყო მისი ნიჭით დაინტერესებული. მაშურა ბარბაქაძემ გარკვეული როლი შეასრულა, რომ ბეჟანის ნიჭისთვის სწორი მიმართულება მიეცა. ამიტომ იყო, რომ მან თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი აირჩია.

სწავლის პარალელურად, ბეჟანი ფიზიკურ შრომაში ეხმარებოდა მამას. რადგან ბეჟანის მამა სამ ადგილზე მუშაობდა, რათა ექვსი შვილი დაეპურებინა. დღე დაკავებული იყო ბრიგადირობით, (სოფლის მეურნეობაში) ღამით ყარაულად მუშაობდა ორ ობიექტზე. ერთი ობიექტი პატარა ბეჟანს ეკუთვნოდა. საღამოთი ნავიდოდა სოფლიდან საკმაოდ მოშორებულ ტერიტორიაზე და ერთ–ერთ ობიექტს ყარაულობდა, სადაც ამზადებდა გაკვეთილებს და წერდა ლექსებს.

ბეჟანი მეოთხე–მეხუთე კლასში იყო, როცა ასე შრომობდა, მეშვიდე კლასში იყო, როცა დასავლეთში წავიდა მანდარინის საკრეფად, იმდენი ფული დააგროვა, ოჯახის ყველა წევრს ჩამოუტანა საჩუქრები და მის გათხოვილ დას კი გამორჩეული საჩუქარი გაუგზავნა. ასევე, დაასაჩუქრა დის ოჯახის წევრები, იმ სოფელში, სადაც მისი და – გულნაზი იყო გათხოვილი, დღეობა იცოდა, ბეჟანი ვერ წავიდა, რადგან გამოცდები დაემთხვა. დის მამამთილს ლექსის სტროფებით მისწერა ბოდიში:

„მე ბოდიში, დღეობაზე,
ვერ გეწვიე, არ მცალოდა...
იმ დღეს გამოცდა დამემთხვა,
ალბათ, ბედი არ მწყალობდა“.

ასე რომ, ბეჟანი ლექსით საუბრობდა, ანუ ბეჟანი თვითონ ლექსი იყო. მაგრამ ის პროზაშიც მუშაობდა.

განსაკუთრებულად უყვარდა გულნაზთან საუბარი, მსჯელობა ამა თუ ის საკითხზე, მათი აზრები ერთმანეთს ემთხვეოდა. ერთხელ, როდესაც პოეზიაზე საუბრობდნენ, გულნაზიმ შეუქო ერთ-ერთი ლექსი, რომელშიც დამ თავისი თავი დაინახა, ეს ლექსი იყო „რომელი ჯობნის“. გულნაზი პრანჭია იყო, სულ სარკის წინ ტრიალებდა. ალბათ, ეს სცენა ძმამ ლექსში ასახა. მისი აზროვნება ძალიან სწრაფი, შინაარსიანი, ფილოსოფიური და სწორ მომავალზე ორიენტირებული იყო. ის წუხდა მომავალი საქართველოს ბედზე. ერთხელ, ფიქრებში გადაეღლილს, მაგიდაზე ჩაეძინა, დედამ გააღვიძა, შვილო, ბეჟან, ხშირად აღარ მოდიხარ და ახლაც მაგიდასთან ჩაგძინებიაო. დედა, უპასუხა ბეჟანმა, ღამე რომანზე ვიმუშავე, უძილო ვარო. ქალბატონი დონიკა გატრიალდა, რათა ქალაქიდან ჩამოსული შვილისთვის ცხელი ხაჭაპური გამოეცხო. სანამ დედამისი საცერს აიღებდა, ბეჟანმა სიცილით მიმართა: დედი, მე ლექსის ხაჭაპური გამოგიცხვე, მოდი, წაიკითხეო.

„ბოდიში, შუბითაურო, შინ გვიან–გვიან მოვდივარ,
რვა წლის ფხიზელი რომ ვიყო, შემხედავ, მთვრალი გგონივარ“.

– გენაცვალოს დედა, გამიკვირდა შენი დაძინება დღისით, მაპატიეო. – არა, დედა, მე ისეთი რომანი დავიწყე, ამით დამნაშავის სახეზე ნიღაბს ჩამოვფხრეწ და ქვეყანას ავალაპარაკებო, უთხრა შვილმა.

ბეჟანი მდინარე ძირულაზე ჩავიდა, ეს მდინარე ბეჟანის სახლს ოცდაათი მეტრით შორდებოდა. ბაყაყების ყიყინში და თევზის ჭერაში შუადღეც მოვიდა. ისადილა და ისევ ფიქრების მორევთან დაიწყო კალმით ჭიდილი.

საღამოთი ყველამ ერთად მოიყარა თავი, ჭიჭიკო სამსახურიდან დაბრუნდა, ბეჟანის დანახვაზე სიხარულის ჟრუანტელმა დაუარა სხეულში და შვილს გადაეხვია. ბეჟან, ხომ არ დამღუპავ, შვილო?.. რას ამბობ მამა, რატომ უნდა დაგღუპო? – იმიტომ, შვილო, რომ უშიშარი ხარ, შენს ძარღვებში საქართველოს ტკივილი დუღს, მეშინია, შვილო, შენი მეშინია, უკან დახევა არაფერზე გიყვარს. ეს კარგიცაა, მაგრამ ხომ გაგიგონია, „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო“. მამა, მე გავეცლები, შენ გაეცლები და მერე საქართველო ვის ხელში აღმოჩნდება. მტკივა მამა, ჩემი საქართველო მტკივა, ქუჩაში გაივლი და გოგონები ამერიკულ სიგარეტს აბოლებენ, თან ომახიანად გაჰკივიან, წახდა საქარველოო. ეს დაგვღუპავს ჩვენ, ყველა დანაშაულს ჩადის, ზოგი ქალი ძველ ტრადიციებს ღალატობს და ჭკუას აქეთ არიგებს სხვებს, მაშინ, როდესაც თვითონ არიან ჭკუის დასარიგებელი.

საუბარს შემოუსწრო უფროსმა ძმამ ლევანმა, რომელიც სახლში ავტორიტეტი იყო, მშობლების შემდეგ მის სიტყვას გარკვეული ფასი ჰქონდა ოჯახში. ბეჟან, მეამაყები, ძმაო, უთხრა ლევანმა, შენი ნიჭი განსხვავებულია, აბა „შენ იცი, დანარჩენი, გასალახი თუ ვინმეა, მითხარი, კისერს ისე მოვუგრეხ, სამუდამოდ გვერდზე დარჩესო. ბეჟანმა შეპასუხება სცადა, იცი, ძმაო, როცა ექსპედიციაში მივდივარ, აი, თუნდაც ხევსურეთში, იქ ვისვენებ, მთის ხალხს შემორჩენილი აქვს ძველი ტრადიციები. ისე, ლევან, შენ რომ იცოდე, სად მარხია ძაღლის თავი, გული გაგისკდებოდა. ამ სიტყვას ბეჟანი ხაზგასმით ამბობდა და

ამიტომ იყო, რომ მისი რომანის სათაურიც ეგ იყო: „სად მარხია ძაღლის თავი“.

ბეჟანის გარდაცვალების შემდეგ 30 წელი იყო გასული. პოეტის დამ გულნაზმა და მისმა სულიერმა ძმამ – ლევან ბაბუხადიამ გადაწყვიტეს, რომ დაებეჭდათ ბეჟანის ახალი წიგნი „ხვედრი პოეტთა“. ლევან ბაბუხადია დაჯერებულად წავიდა ერთ-ერთ თანაკურსელ ქალბატონთან. დარწმუნებული იყო, რომ იქიდან ბეჟანის დაუმთავრებელ რომანს წამოიღებდა, ამას გულნაზიც გულისფანცქალით ელოდებოდა, ბეჟანის ნათქვამს თუ გავიხსენებთ, მისი ნამუშევრებიდან ყველაზე საუკეთესო, დაუმთავრებელ რომანს, მაგრამ წიგნი, სამწუხაროდ, ჯერჯერობით, უკვალოდ არის დაკარგული.

გულნაზი ეძებს, აკვირდება, რომ ბეჟანს ვინმე ჰგავდეს, მაგრამ ჯერჯერობით ეს სურვილი არ შესრულებია, მაინც რა საოცარი ხმის ტემბრი ჰქონდა, წმინდა ქართულით საუბრობდა, იყო ძალიან სერიოზული და, საჭიროების შემთხვევაში, იუმორისტული.

ბეჟანი ქვის სახლში ცხოვრობდა. გუაშით შელამაზებულ კედლებზე წლების განმავლობაში იყო მისი დახატული შოთა რუსთაველის და თამარ დედოფლის პორტრეტები. სპორტსაც მისდევდა, ძალიან უყვარდა ფრენბურთი, ფეხბურთი და წყალში თევზაობა.

ბეჟანის სანათესაო, ანუ ძმისშვილები, დისშვილები ყველანი უმაღლესი განათლების არიან. დიშვილებიდან (ეთერის შვილები) ვალერი მოსიაშვილი სრული პროფესორია ეკონომიკის დარგში, მისი შედგენილი სახელმძღვანელოებით ისწავლება ეკონომიკის საგანი, ის, ამავე დროს, სეუს დეკანია ეთერის გოგონები, მარეხი მოსიაშვილი პედაგოგია (ლოგობედი) ნატო მოსიაშვილიც პედაგოგია (გეოგრაფიის სპეციალისტი). გულნაზი თვითონ პოეტია და ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორია, შვილი დათო სხირტლაძე მარკშეიდერია, მეუღლე – ცირა მიქელაძე ფსიქოლოგი ჰყავს. გელა სხირტლაძემ, რომელიც 39 წლის ასაკში გარდაიცვალა, სამხედრო განათლე-

ბის შემდეგ დაამთავრა მეტალურგიული და რუსთავის საგლინავი საამქროს მთავარი ოპერატორი იყო. მისმა შვილმა, თამუნა სხირტლაძემ დაამთავრა სუხიშვილების სახელობის უნივერსიტეტი, მეორე ქალიშვილი თეონა სხირტლაძე ილიას უნივერსიტეტის ფსიქოლოგიური განყოფილების მეოთხე კურსის სტუდენტია.

დავით სხირტლაძის შვილმა – ლევან სხირტლაძემ ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი ქიმიური ექსპერტიზის სპეციალობით. ამჟამად ეროვნული გამოცდები და შიდა გამოცდები წარმატებით ჩააბარა მაგისტრატურაში, ნანა სხირტლაძე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ძმიშვილებიდან ხათუნა ხარაიშვილი პედაგოგია, დათო ხარაიშვილი იურისტია. ნათია ხარაიშვილი სტუდენტია ფსიქოლოგიურ განყოფილებაზე. მუხრან ხარაიშვილი ცნობილი ფეხბურთელი იყო, ჭიათურის „მაღაროელში“ თამაშობდა, შემდეგ კი ლაგოდეხის „ჰერეთში“ გადაიყვანეს. მირზა ხარაიშვილმა ახალგაზრდა წლები ეროვნულ მოძრაობას შეალია და ახლაც ქართული ოცნების ლიდერია.

ამათგან ყველაზე გამორჩეული ნიჭი გვანცა ხარაიშვილს აქვს, რომელიც სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში, ის უკვე ორი პოეტური კრებულის ავტორია.

ბეჟანის ვაჟი ლაშა ხუთი წლის იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა. ის ხის ნაკეთობებს ქმნის ისეთს, რომ მართლაც საოცრებაა. ლაშა ამჟამად დაოჯახებულია, ჰყავს განათლებული მეუღლე (ხატია ხატიაშვილი) და სამი შვილი (გვანცა, ბარბარე და გიორგი). ლაშას აღზრდაში დიდი წვლილი მიუძღვის დედის დედას (ქალბატონ მარგალიტას) და დეიდას (ქალბატონ ნუნუს).

თუ ბეჟანის დას გაესაუბრებით, ქალბატონ გულნაზს და დაუსვამთ კითხვას, ბეჟანი რამ მოკლა ოცდაათი წლის ასაკშიო, გიპასუხებთ: დრომ, დრომ მოკლა ბეჟანი, მაგრამ აქვე დასძენს, ბეჟანი ამ დროში ოცდაათ წელსაც ვერ

მიატანდა, დაკარგული აფხაზეთი და სამაჩაბლო, ძმათა ჩხუბი, სიბილწე, გაუტანლობა, ბეჟანი ამას ვერ შეეგუებოდა.

და მაინც: სად მარხია ძაღლის თავი, სად არის ბეჟანის დაუმთავრებელი რომანი?

ბეჟანის ლექსები დიდი რუდუნებით შეაგროვა და 1992 წელს საკუთარი ხარჯებით გამოსცა მისმა მეგობარმა ლევან ბაბუხადიამ. საავტორო მოგება მთლიანად გადასცა ბეჟანის თერთმეტი წლის შვილს – ლაშა ხარაიშვილს.

ბეჟანი მოუნელებელი სატკივარია მთელი სანათესაოსთვის, განსაკუთრებით მისი დის – გულნაზ ხარაიშვილისთვის, რომელმაც სათაყვანებელი ძმის შემოქმედებას (პოეზიას და მოთხრობებს) 2014 წელს ახილვინა დღის სინათლე სახელწოდებით „ხვედრი პოეტთა“.

ხარაიშვილების ჯანსაღი გენეტიკური კოდები ოჯახის ყველა წევრში ასხივებს.


გულნაზ ხარაიშვილი თვითონაც ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწეა, ცხრა პოეტური და ერთი პროზაული კრებულის ავტორი, რომელსაც კარგად იცნობს ლიტერატურული საზოგადოება.

გულნაზს მიღებული აქვს იაკობ გოგებაშვილის მედალი აღმზრდელობით დარგში, არის საქართველოს მწერალთა კავშირისა და მისი გამგეობის წევრი. დაჯილდოებულია მარიკა ბარათაშვილის სახელობის, ბეჟან ხარაიშვილის სახელობის, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიებით. ასევე მიღებული აქვს შემოქმედთა ღვაწლმოსილის პრემია, მიღებული აქვს იმედის სახლის მადლობა. დაჯილდოებულია მშვიდობის ვარსკვლავითა და დროშით. არის ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი.

ხარაიშვილთა დიდი ოჯახის მესამე, ახალგაზრდა წევრი გვანცა ხარაიშვილი პოეტია, ორი კრებულის ავტორი, რომელმაც უკვე მიიქცია ყურადღება ჩვენი ცხოვრების აქ-

ტუალური პრობლემებისადმი ინტერესით, ორიგინალური ხელწერით და, იმედია, მისი სახელიც ისევე შემორჩება ლიტერატურის ისტორიას, როგორც ბეჟან და გულნაზ ხარაიშვილების.

2016 წლის 17 ოქტომბერს თბილისის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიმდინარეობდა გულნაზ ხარაიშვილის ჟურნალ „ათინათის“ 5 წლის იუბილის ღონისძიება. დარბაზიდან ერთი ქალბატონი გამოეყო და გულნაზის ორად გაკეცილი სიძველისაგან გაყვითლებული ფურცელი მიაწოდა, თან დასძინა: დახედეთ, აბა, თუ იცნობთ. ეს ხომ ჩემი ძმის ხელწერაა, ბეჟანის. ცრემლნარევი ხმით წამოიძახა გაკვირვებულმა დამ. ლექსი ერთი თვალის გადავლებით გადაიკითხა, მერე უცნობ ქალბატონს მიუბრუნდა: თქვენ ვინა ხართ? მე ბეჟანის თანაკურსელი ვარ, პოეტი მანანა ბრაჭული. ორმოცი წელიწადია ეს ლექსი შენახული მაქვს



კომენტარი თავად მკითხველმა გააკეთოს.

ბეჟან ხარაიშვილის ბიოგრაფიული მასალები მოგვაწოდა მისმა დამ – პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ გულნაზ ხარაიშვილმა, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

თავი II
ხვედრი პოეტთა

ბეჟან ხარაიშვილის კრებულის სახელწოდებაა „ხვედრი პოეტთა“, რომელიც იხსნება ლექსით „ხვედრი პოეტთა“ და ეძღვნება მეორე მსოფლიო ომში გმირულად დაღუპული ახალგაზრდა პოეტის – მირზა გელოვანის ხსოვნას.

თითქოს თავის თავზე ეთქვას ბეჟან ხარაიშვილს: „...წაქცეულს მკლავებში ჩაუკლავს სიკვდილი, მის თვალებს ჩაჰყოლიათ ცეცხლობა, პოეტები ყველაზე ადრე კვდებიან და პოეტები ყველაზე დიდხანს ცოცხლობენ“.

თვითონაც მაღალი იდეალებისთვის შეწირულს, კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვის მსახურება, პოეზიის მაღალი მისიის შესრულება მხოლოდ სულით რაინდთა, თავგანწირულთა, მსხვერპლის გაღებისათვის მზადმყოფთა ხვედრია. ამიტომაც ეჯდა მხარზე მიმინო, ენატრებოდა არსაკიძის დამარწყულებელი ხეკორძულას წყალი, ღმერთთან მებრძოლი იაკობივით ერკინებოდა ბედისწერას, მზად იყო საკუთარი მარჯვენის მოჭრის ფასად ეშენებინა სულიერი ტაძრები: „წამოდი, იცი, სად? კაფეში კი არა,–წყალი ვსვათ ხეკორძულის... ჩავუდარაჯდეთ გოგონებს კი არა –წითელ მიმინოებს ჩვენი რჯულის და მერე იქნებ ვინმე მადლიანმა მოგვთხოვოს სული იაკობივით... და მოგვჭრას მარჯვენა გაღმა–გამოღმა ნაშენები კედლებისათვის“ (მეგობრისადმი).

ხელოვნება, პოეზია ჩვეულებრივ მოკვდავთთვის დაწესებული საზღვრების გაწევაა, ზეკაცობა, ღმერთკაცობა, სულის, სიცოცხლის გაღება მაღალი იდეალებისათვის, უდიდესი მსხვერპლი: „... ჯერ უნდა მომჭრან მარჯვენა და სული მომთხოვონ“ (გაზაფხული).

პოეტის კუმირი იყო მკლავის მოჭრის ფასად სვეტიცხოვლის ამგები კონსტანტინე არსაკიძე, მთავარი მიზანი –

ფშაველი გენიოსის ვაჟას მიერ ერის სიმბოლოდ მოაზრებული ხმელი წიფლის ფესვების გახარება: „... და ვაშენებდე გაღმა-გამოღმა ორივე მკლავის მოსაჭრელ კედლებს, რომ სამოთხეში, გინდ ჯოჯოხეთში თავთან დაკლული სიკვდილი მედოს. ანდა ვაჟაის მთებში ჩამმარხა, ხმელი წიფელის სანედლო ფესვად, ო, როგორ მინდა, შორენა გერქვას, ცერზე წითელი მიმინო მესვას“ (ნატვრა).

მისი მთავარი ორიენტირი იყო ერის სიცოცხლისუნარიანობაზე, მის მარადიულობაზე ზრუნვა თავშეწირვის ფასად.

ცხოვრებაში გამუდმებული წინააღმდეგობაა რწმენა-ურწმუნოებას, სიკეთე-ბოროტებას, სიმაღლე-სიმდაბლეს, სიწმინდე-უზნეობას შორის. მაღალი იდეალების მსახურს მარად დამიზნებული აქვს უკეთურთა ისრები, დაუნდობელთა მახვილი: „... და იმ ტაძარში, შენ რომ აღმართე, გაგინებენ და დანას ლესავენ“ (მრავალჟამიერ, ჩემო ბეჟანა).

ამიტომ ხელოვნების, სიტყვის დიდოსტატები გამუდმებით გვიცნობიერებენ არა მხოლოდ შემოქმედების ტანჯვა–სიძნელეს, გენიალობის სევდას, არამედ მსხვერპლის, სისხლის, ცრემლის აუცილებლობას.

„ჩემი ჩანგო, ობოლ-მწირო, ჩემის უბედობის ძირო, მტრებისაგან ქვებნასროლო, მოყვრისაგან განაწირო“ – აღმოხდა აკაკი წერეთელს.

„ვწერდი სისხლით, ვწერდი ცრემლით“ – გვამცნობდა გალაკტიონი.

„ხელოვნება გულის სისხლს მოითხოვს“– აფიქსირებდა კონსტანტინე გამსახურდია.

„მე პოეზიის უმანკო მსხვერპლი“, ჰგოდებდა ტერენტი გრანელი. მე პოეზიის ჯვარზე ვარ გაკრული ამბობს კახა ბაციკაძე.

ცრემლს, სისხლს ანთხევდნენ, ჭეშმარიტი შემოქმედნი, მუდმივად ციხე, ფსიქიატრიული რეპრესიები, სასაფლაო იყო გამზადებული დინების წინააღმდეგ მავალთათვის. ამიტომ პოეტი მოიაზრებოდა უნაზესი გედის სახეში, რომელსაც ემუქრება უამინდობა, სულიერი სიცივე, სიკვდილი.

ფრანგი სიმბოლისტი პოეტის, მალარმეს გედი შემოქმედის ალტერ ეგოა, მსხვერპლი ცხოვრების ერთფეროვნების, ზამთრის სიცივის , უდაბნოს ყინვის (გედი).

აკაკი წერეთლის გედი „საშვილიშვილო გალობას“ აღავლენს (ქებათა ქება).

გალაკტიონი ტბის სევდიანი გედია, სიმღერით სამყაროს დამტევებელი, საუკუნო საგალობლის ავტორი (მთაწმინდის მთვარე).

ტერენტი გრანელის გედი სნეულია, სიკვდილის მომლოდინე (ზამთრის მოახლოება).

შოთა ნიშნიანიძის გედი 1989 წლის საქართველოს ტრაგედიის წინასწარმგრძნობია. (სიზმრად ვნახე თეთრი გედი).

ბეჟან ხარაიშვილი ფრთამოტეხილი, დაჭრილი, სიკვდილთან მებრძოლი გედია: „და სადღაც ტბაში ჩაეშვა გედი, ფრთამოტეხილი უტევდა წამებს“ (დაჭრილი გედი).

რაოდენ წინასწარმეტყველური, შემზარავ ტრაგედიაზე მიმანიშნებელი სტრიქონებია, ბეჟან ხარაიშვილი ხომ მაღალ იდეალებს, ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას ემსხვერპლა, უკეთურის დანით დაჭრილი, მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას ერთგული თანამებრძოლი. თანაც ბეჟან ხარაიშვილი დიდ ილიასავით მტერთა მიმტევებელი, შურისძიების გრძნობასმოკლებული ადამიანი იყო და არ იკადრა მოწინააღმდეგის საქვეყნოდ მხილება.

ცხოვრებაში მარადიულია სულის ქვეყნისა და „ხორცის ქვეყნის“ დაპირისპირება, სიმაღლისა და სიმდაბლის ჭიდილი: „ნოემბრის ქარში, თბილ ხელისგულზე, ჯერ ისევ მწვანე ფოთლები გეყარა... და ქუჩა–ქუჩა, მტვერში, ტალახში, ყივილით გხვდებოდა ხორცის ქვეყანა. დაცლილ ბოთლების დაგეხვა გროვა და შეგინიღბა სახე ბახუსმა...“

პოეტის ნუგეში, სულის თავშესაფარია რწმენა, ქრისტეს ჰუმანური შეგონება: „და არა კაცთა კვლა, ღაღად–ჰყო ქრისტემ“.

ამ მცნების ასეთ პერიფრაზირებას ახდენს პოეტი: „არა ხორც ჭამა, შენ თქვი პასუხად!!!" (დაჭრილი გედი).

ცხოვრებაში ვარდის სახეში შმორის სუნი სცემდა, ეკლებით ჰქონდა გული დაჩხვლეტილი, ზღარბები ჩხვლეტდნენ უსახურნი, მაგრამ მაინც სჯეროდა საკუთარი სანთლის ანთების, გამაისების: „გულზე მიიკარ ეკალ–უკალი, ბაგე ზღარბების ზურგით აივსე, მე იმ ეკლებზე სანთლებს ავანთებ, იმ ეკლებზევე დავიმაისებ" (თავგანწირვა) .

ცნობილია, ნიჭი სულიწმინდის მადლია, როგორც რწმენა, კეთილი სიბრძნე, მკურნალობის, სასწაულმოქმედების, წინასწარმეტყველების უნარი, ენების ცოდნა თუ ენების განმარტება (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 12,7,8,9,10).

სულიწმინდის-შთაგონების მოვლინება ქარის, ნიავის დაბერვასთან ასოცირდება.

ვაჟა-ფშაველას პოეზია სულიწმინდის – „ციური ნიავის" მადლით იყო ხელდასხმული, აკაკი წერეთელს „მახარობელი ნიავი" უფაქიზებდა სმენა-ხედვას, „ეფემერული და ფერადი ქარებით" ქროდნენ გალაკტიონის ლურჯა ცხენები, ტერენტი გრანელს ცაში მიაფრენდა შთაგონების „უჩინარი ქარები, სიჩუმის გრიგალი". ვალერიან გაფრინდაშვილს. „უზენაესი ნიავი", „სპეტაკი ნიავი" ევლინებოდა შთაგონებისას, ესმოდა „საოცარი ხმები ქარიდან" (საღამოს მასკები), „და როგორც ლექსის დასაწყისი, ამოდის ქარი", გვამცნობდა პაოლო იაშვილი.

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში სულიწმინდის მოვლინებას უკეთებს აქცენტს „ცისფერი ნიავი", გულნაზ ხარაიშვილის სულის მკურნავია „ზეცის ნიავი", ის „სულიწმინდით წამლობს" ტკივილებს.

ბეჟან ხარაიშვილის სმენას ესალბუნებოდა „თიბათვის ქარი", „ციური ცვარით" აპურებდა ლექსებს, „ლექსის ყანწით" თვრებოდა, ჩამუხლულ მუხას, აყვავებულ შინდის შტოებს უმღეროდა, გულის მზის, პოეზიის უკვდავების სჯეროდა: „ცა რომ მტრედისფერობს, ტყე რომ ფერი–ფერობს,

მზე რომ ნისლის ყანწებს ეტანება, ბუჩქთან წამოვწვები სადმე ცვარიანში, ლექსებს დავაპურებ ნეტარებით, უბეს გამიქექავს ქარი თიბათვისა, გულში ჩამეტკბობა პირველყოვლის, რითმებს გამოაკრთობს წვეთთა სინაზეში და მზით გადაფერავს მწვანე მოლი" (ცა რომ მტრედისფერობს).

„უცხოს", განსხვავებულ სათქმელს ჩააგონებდა ქარი–ზეცის ასული, სულიწმინდის ქარი, მზე, სხივი: „და უცხო მოტივს გიმღერდა ქარი. ქართა თარეშში და მზის არეში გამოკრთებოდა სხივი უჩინო"...

მზე საღვთო სახელია: „მზე და ფარია უფალი ღმერთი" (ფს.84,12).

ნათელი, შუქი, სხივი უზენაესის სიმბოლოებია: „ხალხები მოვლენ შენს ნათელზე და შენი სხივის ელვარებაზე" (ესაია წინასწარმეტყველი, 60,3).

პოეტის ცადაწვდილი სტრიქონების მასაზრდოებელი იყო ეროვნული გარემო, საქართველოს დიდი დედის – თამარ მეფის ხატება იყო დიდი შემოქმედებითი იმპულსი: „...და სტრიქონებიც მერცხლებივით ცაში შეხლილან... თითქოს ქოჩორზე გადამისვა ხელი თამარმა. დღეს შემიძლია დავიჭექო მტკვართან მეხივით, ბებერ მდინარეს დავადევნო სიტყვა თამამად. ფიქრო გამიძეხ! – სადაც მიცდის მწვერვალი შორი" (რუსთავო).

პოეტი, როგორც ცის შვილი, ისწრაფოდა ცისკენ, „ცათა ცისკენ", ამისთვის მზად იყო მიწაზე, ბოლო სუნთქვაზე ეთქვა უარი: „რომ გამოვცადო ცის სიახლოვე, მიწაზე ბოლო სუნთქვას ვიმეტებ".

რუსთველის ავთანდილის სიმღერა ათვინიერებდა მხეცებს, ორგანულ და არაორგანულ ბუნებას.

აკაკი წერეთელს ატკბობდა „სალამური, ხმატკბილი და საამური" ქართული ჰანგები, სალამურისგან გაჟღერებული „ცის და ქვეყნის ამბავი, ერთად შეთხზული... შეზავებული!" (სალამური).

„ქვებს, ბალახებს დაატკბობს ჰანგი თავისებური, მკაცრი, მაგრამ ლამაზი, ნაზი, მაგრამ ველური“ (მიყვარდა ჰანგი), ასე ესმოდა უმაღლესი პოეტის ძალა გალაკტიონს.

ბეჟან ხარაიშვილის ლექსში „სალამური“ მთა, ტყე, წყარო მოჯადოებულია სალამურით: „მთებს კოცნიდა ეშხით ქარი,... იქვე ტყისპირს, თითქოს ხმალით, დარდებს ჰკვეთდა სალამური. ტყე განაბა ჰანგმა მოთქმით, ირმის რქაზე დაიბუდა, წყარო დათვრა ხმათა კოცნით, სიცილისგან გაიგუდა. ხევს ჩანჩქერი აჰყვა ჩქერით, მთის არწივი მოჰყოლოდა... ტკბილ–ნარნარი აღმაფრენით მთასაც ცრემლი მოსდიოდა“.

პოეტის „ხსოვნის ეკრანს“ ანათებდა წინამორთან ტყვიით განგმირული და მთაწმინდაზე ამაღლებული დიდი ილიას ფიქრები (ხსოვნის ეკრანი).

ვაჟასავით შეგრძნობდა „ხეთა სულს“, „სულის ნაფლეთს“.

გალაკტიონთან „ზღაპრების თეთრი კვამლია“, ბეჟან ხარაიშვილთან – „დაუწერელი ლექსების ბოლი“.

გალაკტიონი გრძნობდა „სულის სურნელს“, დროის სურნელს“.

ბეჟან ხარაიშვილთან „ლექსის სუნია“, „ვარდის სუნი“, ამასთან აღაშფოთებდა ვარდის სახემიღებული არსების შმორის სუნი, ანუ სულის სუნი და არა „ქრისტეს შემეცნების კეთილსურნელება“, როგორც ბრძანებს წმინდა პავლე მოციქული.

დიდი პოეზიის მისია თვითშეცნობაა, ერის ფენომენის შეცნობა, სამყაროს, კოსმოსის საიდუმლოებების ხილვა და გათავისებაა.

სულით და ხორცით ნაწამები პოეტი წინასწარ ჭვრეტდა თავის ნაადრევ აღსასრულს, მტრების ავბედით ზრახვებს. სულიერების ტაძრის ამგებს, არათუ გინებით ხვდებოდნენ, დანებს უღერებდნენ, აღსასრულს უმზადებდნენ, მაგრამ არა სამაგიეროს მიზღვევის სურვილი, არამედ თავისი კეთილი საქმეების, პოეზიის უკვდავების რწმენა ასულდგმულებდა.

ავსულთა შეცნობა, საკუთარი ტრაგიკული ხვედრის უტყუარი წინასწარჭვრეტაა ლექსი „მრავალჟამიერ, ჩემო ბეჟანა“: „არ დაგკლებია გაჩენის დღიდან სულის სიმძიმე, ხორცის ჟეჟვა და მაინც იცანი, ვინ რა ფერია, – მრავალჟამიერ, ჩემო ბეჟანა,! და იმ საყდარში, შენ რომ აღმართე, გაგინებენ და დანებს ლესავენ... ხომ გაიცანი, ვინ რა ფერია?! – მრავალჟამიერ, ჩემო ბეჟანა!“

თვითრექვიემს რომ წერდა, ენუგეშებოდა სიკვდილის შემდეგ თავისი წმინდა სულის უკვდავების, სიმღერების ღირსეულად გახმიანების რწმენა: „გული სამარეშიც იმზიანებს, გული სამარეშიც ამღერდება“ (ცა რომ მტრედისფერობს).

„მიმინო აღმაფრენის ფარეშია“ (კ. გამსახურდია).

ბეჟან ხარაიშვილის იდეალი იყო „წითელი მიმინო“, მისი „თვალთა მიმინო“ სხვათაგან უხილავს ჭვრეტდა, მზად იყო მარჯვენა და სული გაეღო მსხვერპლად სულიერების ტაძრის „გაღმა–გამოღმა ნაშენები კედლებისთვის“. მის პოეზიაში, ასევე, აღმაფრენის სიმბოლოა მთის მწვერვალის დამლაშქრავი არწივი: „დავრჩით ხელგაწვდილი მთის მწვერვალზე, დავრჩით ასაფრენი არწივები“ (გახსენება).

ასეთია ჭეშმარიტ ხელოვანთა ბედი და ეს ხვედრი არ აცდა ბეჟან ხარაიშვილს, მაგრამ, საბედნიეროდ, უკვდავება გახდა ყოველივეს საზღაური, რადგან ის იყო ქართული პოეზიის „წითელი მიმინო“, ნაადრევად განშორებული საწუთროს, მაგრამ მარადისობაში დაბინადრებული თავისი წმინდა, მართალი, ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვის ძალით.



თავი III
დღეგრძელი იყოს საქართველო უკუნისამდე

მტკვარი გველივით შეცურდა ჭადრებში, ჩემი მამულია, არაგვს, ცა რომ მტრედისფერობს, შემოდგომით, რუსთავო, ოქროს საწმისი ადრე მოიპარეს, წახდა საქართველო, სანა-პიროზე, ყურძენს მიჩვეულმა ბავშვმა, ფერეიდნელის ნათ-ქვამი, ხდის ხეობიდან, მე მივდიოდი საქართველოს გამოხ-რულ გულში, გამოთხოვება, ლუხუმმა კი არა, გერგეტის ტა-ძართან, ხევსურეთი, ხატობაში, ჩემს სახლში რომ მასპინ-ძლად დამიჯექი, გპატიჟობთ ყველას, ფულისთვის კი არა, მომიახლოვდი, გაზაფხული, ყაყაჩოს წითელ და თხელ ფურ-ცლებზე, სიზმარი, შეციებიათ მთაში ღელეებს.

ბეჟან ხარაიშვილის პოეზიაში მრავალი საქრესტომატი-ით შედევრი იქცევს ყურადღებას. მისი პატრიოტული ლირი-კის ნიმუშები ეროვნული კულტურის ორგანული ნაწილია. აქ შევხვდებით ქებათა-ქების ინტონაციებს, ჭეშმარიტი მამუ-ლიშვილის პირველ სიყვარულს – სამშობლოს, სატრფოს სა-ხით მოაზრებულს, სამშობლოსთვის თავშეწირვის იდეას, ეროვნული ფენომენის სრულყოფილ წვდომას, ქვეყნის ტრა-გიკული ისტორიის, მისი აქტუალური პრობლემების გონივ-რულ განჭვრეტას, მომავლის ორიენტირების ძიებას, სის-ხლისა და მიწის ყივილს, ნეგატიური მოვლენების გაბედულ მხილებას, ეროვნულ ნოსტალგიას.

ძალზე ხშირად, პოეტის შემოქმედებითი ინდივიდუალო-ბა ვლინდება სიმბოლურ-მეტაფორული სახეებით, ქვეტექ-სტებით.

ბეჟან ხარაიშვილის, „გულის ძარღვები მამულის სუნ-თქვას იწერენ“ (სხვაობა) მუხის, ხმელი წიფლის, ჭადრების სახეში ნაგულისხმევი სამშობლოს ფესვების ფეთქვას შეიგ-

რძნობს, ერის სულს და გულისძგერას აფიქსირებს მისი უტყუარი ხედვა.

მშობლიური შემოგარენის ჭადრები, მტკვრის მკერდზე გაელვებული თბილისი იყო პოეტისთვის ოცნების ნატვრისთვალი, უდიდესი განძი და მისი შემყურე ნატრობდა არა მატერიალურ სარგებელ–ღირებულებას, არამედ თავისი ქვეყნის მარადიულობას შესთხოვდა უფალს: „მტკვარი გველივით შეცურდა ჭადრებში და შეათამაშა მკერდზე ნატვრისთვალი–თბილისი. და მე ვინატრე, მე, პატრონმა ამხელა განძის, ფული კი არა, ოქრო კი არა, სახლი კი არა, დახლი კი არა, დღეგრძელი იყოს საქართველო უკუნისამდე“ (მტკვარი გველივით შეცურდა ჭადრებში).

ასე ლაკონურად, მიგნებული სახეებით განგვაცდევინა ლექსის ავტორმა თავისი უპირველესი სიყვარულის სიდიადე.

აკაკი წერეთელს ნატვრის თვალი ქართული კერის ძირში ეგულებოდა, წინაპართა მიერ შემონახული (ნატვრის თვალი).

ქართულ პოეზიაში მრავალი პატრიოტული შედევრია (გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო“, აკაკის „განთიადი“, ვაჟას, „ჩემის კაცობის გვირგვინო ... გალაკტიონის „მშობლიურო ჩემო მიწავ“, ტერენტი გრანელის „სამშობლო“, ლადო ასათიანის „სალაღობო“, ანა კალანდაძის „ქარი გიმღერის ნანასა“, მუხრან მაჭავარიანის „იარონ“, შოთა ნიშნიანიძის „მე ვარ მისანი ხარი წიქარა“, მურმან ლებანიძის „ყველას, ყველას“, მირზა გელოვანის „შავნაბადა“...

უთუოდ ამ მაგალითებს უსწორებს მხარს ბეჟან ხარაიშვილს ლექსი „ჩემი მამულია“. ლექსში მამულის სიყვარულის ცეცხლს აღვივებს განუმეორებელი, სულის მკურნავი ბუნება – „შხვართალა ღელეები“, ფოთლის ცრემლი, ტყეთა იდუმალი ლოცვები, „ოცფერი“ ცისარტყელა, მზის მადლმოცხებული ყანები, ქართველ გოგონებზე მორცხვი გზისპირეთის შროშანები, მთის ფერდობზე ცის ნამივით მოფენილი

ცხვრის ფარა, მდინარეთა კალმახი და ორაგული, და, რაც ყველაზე საგულისხმოა, ქართველთა პოეტური გულების ზღვაური, „მოქართულე აული“ და გულშიჩამწვდომი დასკვნა: „სადაც ვაიღმერთს და უკუმომსვლელს წაღმა ვერასოდეს გაუვლია – ჩემი მამულია!“

პოეტს აბრუებდა, აბარბაცებდა არა ლუდ–არყის სუნი, არამედ მამულის სიყვარული, საქართველოს ეშხი: „...მარქვი, ტალღაა მკერდს რომ გიტოკებს, თუ ბუნების წიგნს იფურცლავ ხელში, მაგ თმებს ჩამოაქვთ ლუდ–არყის სუნი, თუ საქართველოს ვბარბაცებ ეშხით, გიჟო ქალწულო, მარქვი!“ (არაგვს).

სამშობლოს სისხლხორცეული განცდა ასე გამოიხატა სხვა ლექსშიც: „... ჭაჭის არაყმა გამაბრუა ერთი დანახვით, თუ საქართველოს სურნელებამ შემაბარბაცა“ (ჯარისკაცები დედისეულ ამანათს ხსნიან).

მაღალგანვითარებული გრძნობის ადამიანები ამტკიცებენ, რომ სულს, მოძღვრებას, აზრს სუნი აქვს.

პავლე მოციქული საუბრობს სიცოცხლის და სიკვდილის სურნელზე, ქრისტეს მოძღვრების კეთილსურნელებაზე.

სუნის, ფერის, გემოს შეგრძნებებს ასოებს უკავშირებდნენ სიმბოლისტები.

ბეჟან ხარაიშვილი სიყვარულს ეფიცება მთებს, ტყეს: „ამ მთებს ვენაცვალე, ამ ტყეს ვენაცვალე, მეტი რაღა დამრჩა დასაფიცი“.

სხვაგან ასე იფიცება „... ვფიცავ იმერულ ტყემლის ჭაღარას“.

ლექსში სამშობლოს სახედ მოაზრებულია „ჩამუხლული მუხა“, რომელსაც „ზეცის ასულები“ უმღერიან: „ერთი გაიხედე, ქარი რა დღეშია, როგორ გადალოკა არემარე, ეს შენ გიმღერიან ზეცის ასულები, მუხავ, ჩამუხლულო, გაიხარე!“.

არც შინდების რტოს ყვავილობა იხსენება შემთხვევით, არც მზე და გათენება, რაც გულს სამარეშიც აამღერებს: „რტომან შინდებისმან იყვავილა და მზე ჩანჩქერების თარზე

დნება, გული სამარეშიც იმზიანებს, გული სამარეშიც ამღერდება, ჩვენში ასე იცის მზის ამოსვლა, ჩვენში ასე იცის გათენება!" (ცა რომ მტრედისფერობს).

ბეჟან ხარაიშვილი ახლებურად, განსხვავებული სახეებით ხედავდა მთვარიან სოფლის ჭალას, კლდის ქვებიდან გადმომდინარ ჩანჩქერს, ვარსკვლავიან ზეცას: „მიყვარს ხოლმე ჩემი სოფლის ჭალაზე სიმინდებში მთვარის ჩანამგალება, კლდის ქვებიდან გადმომქუხარ ჩანჩქერის თვალით შესმა და წყურვილის წვალება... მიყვარს ხოლმე ხევსურული ჩოხისებრ გაშლილ ცაზე გადაწინწკვლა ვარსკვლავთა" (შემოდგომით).

პოეტი სამშობლოს ძნელბედობის, ათას მომხვდურთან, ათას ურჯულოსთან ბრძოლების, გრიგალებთან შებმის მონაწილეა, კოცნის ქარ-წვიმიდან „გამობღუჯულ ყვავილებს, „შუბლნათურიან გორაკებს", „ახალ პირიმზეს", ფერფლიდან ამოსულ ჭადრის ხეს: „ფერფლზე ამოსულ იმ ჭადრის ხეს ვექართულები, ფესვი ხელახლა რომ გაუდგამს მტკვრის ნაპირებზე და სტრიქონებიც მერცხლებივით ცაში შეხლილან".

თითქოს თამარის ხელი ესათუთება შუბლზე, რათა მეხივით ჭექდეს მისი სიტყვა, რათა შეწყდეს წარსულზე ოხვრა. ფერფლზე ამოსულ მუხასავით ეთაყვანება ხარის სახეში მოაზრებულ, სამშობლოს, მწვერვალებისკენ მიმსწრაფ ფიქრებს: „ხარო, იბღავლე, პაპის გუთნით სხვა ბელტებს მოვხნავთ, ფიქრო, გამიძეხ – სადაც მიცდის მწვერვალი შორი" (რუსთავო).

ბეჟან ხარაიშვილის თვალთახედვის არეში ექცევა არგონავტების მიერ ადრე მოპარული ოქროს საწმისი, იგივე გრაალი, რომელიც გაიგივებულია კოსმიურ სიბრძნესთან, სულიწმინდასთან, მარიამ ღვთისმშობელთან (ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მამა).

ღობეზე ჭიშკარი ჩამოხსნილია.

კარი, როგორც საზღვრის შეუვალობის, ამასთან, ღმერთის სიმბოლოა („მე ვარ კარი ცხოვართა" – იოანე, 10,7).

საწმისის დაკარგვა საქართველოს მომავალზე ფიქრებსაც ასევდიანებს, რადგან მზის შვილის – აიეტის სამეფოში მომრავლებულან ღვთის გლახები, გაქართველებულან, გადიდებულებულან ჭრელსისხლიანები: „...ოქროს საწმისი ადრე მოიპარეს (კაი ბატონო, გეტყვი იმერულად), ამდენი ღვთის გლახა და ჭრელსისხლიანი ვინ გააქართველა, ვინ გაადიდებულა?"

პოეტს სულს უშფოთებს ნასახლარებზე ცეცხლმოკიდებული ჩვენებური ატმის ხეები, უიმედობას ამძაფრებს გზაჯვარედინის ისრები, ამკრძალავი ნიშნები, რჩება მხოლოდ სასწაულის მოლოდინი (ოქროს საწმისი ადრე მოიპარეს).

ქვეყნის მრავალ ნეგატიურ პრობლემას უღრმავდება პოეტი, რომელთა შორის უმთავრესია სულიერების დაკარგვა, ხორცის, ნივთის გაფეტიშება, გადაგვარება, „სისხლის გათეთრება", რწმენის, ტრადიციების უარყოფა: „ხორცის ქვეყანაში ხომ არ დავიბადე? ამ კითხვას ათასი კითხვა უერთდება, მთას ძარღვი გაუსკდა ცივ მდინარეებად თუ საქართველოს სისხლი უთეთრდება. თბილისი თვალს ხუჭავს, მტკვარს გულში იხანჯლავს, დიაცი ძაღლებთან სეირნობს... და ბოლოს: წახდა საქართველო,–ამბობს ქალიშვილი და ამერიკულ სიგარეტს აბოლებს" (წახდა საქართველო).

ზნეობრივი დაცემა, ხორცით ვაჭრობა, სანაპიროზე ამორალურ ადამიანთა ფუჭი ფაციფუცი, უქმად გატარებული დრო აღაშფოთებს მაღალმორალურ ტრადიციათა ერთგულ ქალაქს, ამიტომაც „თვალებს ხუჭავს თბილისი ღამით და ხანჯალივით მტკვარს იცემს მკერდში" (სანაპიროზე).

ქართულ ყურძენს მომწამვლელი ძახველი შენაცვლებია, რასაც სიკვდილი მოაქვს და პოეტი კითხულობს: „გათათრებული ქართველის სისხლზე ხომ არ ამოდიხარ, ძახველო. (ყურძენს მიჩვეულმა ბავშვმა).

უცხო მიწა, უცხო სული, უცხო სისხლი იყო მუდამ ქართველი კაცის უპირველესი სატკივარი, რასაც ვერ ანელებდა მატერიალური კეთილდღეობა.

„უცხოობაში რაა სიამე?“ კითხულობდა ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ პერსონაჟი. უბედურებად ითვლებოდა უცხო მიწაზე სიკვდილი (ნიკო ლორთქიფანიძის „გული“), „უცხო ფარდები, უცხო მდგმურები“, გაუცხოება სტანჯავდა გალაკტიონს, მშობელი მიწის ყივილი არ ასვენებდა ანდრია კაიშაურს (მიხეილ ჯავახიშვილის „მიწის ყივილი“). უცხოეთის ნისლით იტანჯებოდა კონსტანტინე გამსახურდიას კონსტანტინე სავარსამიძე („დიონისის ღიმილი“).

სხვისი მიწა ფეხისგულს უთუთქავს ფერეიდანში გადასახლებულ ქართველს. ვერ შეგუებია უცხო სისხლს, ეროვნული ნოსტალგია კი არ ამღერებს, დარდი ღმუის მისი გულიდან და ჭიამაიას ევედრება, აპოვნინოს სამშობლო, რომელიც ერთადერთია და „არ გაიცვლების სხვაზედა“: „ჭია–ჭია მაპოვნინე საქართველო, თორემ სისხლი უცხო სისხლთან აღარ ფერობს, სხვისმა მიწამ ამომთუთქა ფეხისგული, დარდი ღმუის ჩემნაირთა განა ვმღერი! – ჭია–ჭია მაპოვნინე საქართველო! მზე შინა და მზე გარეთა სად ვიხილო, დავიშლები დარდებად და ერთგულებად, თბილისმა რომ ერთხელ გულში ჩამიხუტოს“ (ფერეიდნელის ნათქვამი).

მამულის ნასახლარების, დაცლილი სოფლების სევდა ჟონავს პოეტის ლექსებიდან და ეს პროცესი განსაკუთრებით საგრძნობია მთაში, რადგან მედროვე ხელისუფლება მთაში ნორმალური ცხოვრების პირობებს კი არ უქმნიდა იქაურ მოსახლეობას, არამედ ბარში ჩამოსახლებისკენ მოუწოდებდა და ასე ცარიელდებოდა ზღაპრული საკურორტო ზონები: „ხდის ხეობიდან ცისფერ ზურგჩანთით ჩამომაქვს ჩემი პატარა სევდა, რომ ამოვახრჩო თერგში უჩუმრად დაცლილ სოფლების სიცარიელე“ (ხდის ხეობიდან).

„თოვლით აევსო გული ნასახლარს, ბუხარი ცხვირში დუმილს იხრჩოლებს“ – ასე ხატოვნად აღწერდა პოეტი და-

ცარიელებული მთის მდგომარეობას (შეციებით მთაში ღელეებს), როგორც ადრე ანა კალანდაძე, რომელმაც გულისტკივილით ათქმევინა გაუკაცურებული მთის სოფლის შვილს, უადამიანო სივრცეში „...რა გვიჭირს? არც ისე მარტო ვართ: დათვი... ქე გვაკითხავს ხანდახან“...

ბეჟან ხარაიშვილის გაუნელებელი დარდი იყო მესხეთ–ჯავახეთში ქართველთა მცირერიცხოვნება, დაკარგული ტაო–კლარჯეთი, დიდი თურქობა, მთად ამართული საზღვარი ქართულ ტერიტორიებთან: „... და ახლა, როცა მესხეთ–ჯავახეთს ასდინდა სუნი ქართველთ სიმცირის, მე უნდა აქეთ, აწყურთან ვიდგე, ჯიშიან ძვლებზე მკბენდეს სიცივე... და კარს უღებდეს უცხო ტურისტებს ხერთვისი, ხანძთა, ბებერი ტაო, გადამავიწყე დიდი თურქობა, გადმიშვი მთაო!“ (მე მივდიოდი საქართველოს გამოხრულ გულში).

პოეტის მიერ „საქართველოს“ გულზე“ საუბარი გვახსენებს უდიდესი პატრიოტის – გიორგი ლეონიძის სიტყვებს: „ახლოს მოიწი, სამშობლოს გულო“.

ბეჟან ხარაიშვილის შთაგონება ახალ–ახალ იმპულსებს იღებდა მთაში. პოეტს უვლია დიდი ვაჟას, ანა კალანდაძის ნავალ გზებზე, ფოლკლორულ ექსპედიციებზე სვანეთში, ხევსურეთში, ფშავში, მთიულეთში.

ლექსში „არაგვს“ – არაგვი მოხსენებელია, როგორც „ფშავ-ხევსურთა გიჟი ქალწული“: „შენ, ფშავ–ხევსურთა გიჟო ქალწულო, ო, როგორ გშვენის მტკვართან ნაწლობა, ვაჟას ჩანგეთში ჩაიტკბე ეგ ხმა, თუ გუდანისჯვრის მოგაქვს წყალობა, სვეტიცხოველთან, ჯვართან“.

ლაშარგორის კაი ყმათა უსიტყვო საუბარი ესმის, იახსარზე საქართველოსთვის ჯვარცმული ჭაღარა ვეფხვის – დიდი ვაჟას ნაკვალევს ხედავს: „მითხარ, ლაშარქორს რაი ითქმების, კაი ყმათაგან, განა ენებით... იახსარს ფერდობს თუ კვლავ მიყვება ჭაღარა ვეფხვი სვენებ–სვენებით საქართველოზე ჯვარცმით!“

არაგვის ტალღა თითქოს ბუნების წიგნს ფურცლავს ხელით, პოეტი არა ლუდ–არყის სუნით, არამედ საქართველოს ეშხით ბარბაცებს: „მარქვი, ტალღაა მკერდს რომ გიტოკებს, თუ ბუნების წიგნს იფურცლავ ხელში, მაგ თმებს ჩამოაქვთ ლუდ–არყის სუნი, თუ საქართველოს ვბარბაცებ ეშხით, გიჟო ქალწულო, მარქვი!“ (არაგვს).

ჟინვალის წყალსაცავში დატყვევებული არაგვი, წყალქვეშ აღმოჩენილი საფლავები, თათრებისგან კი არა, მამულისგან ტყვედქცეული არაგვი და ლაშარის დუმილია პოეტის უკმაყოფილების მიზეზი ლექსში „ლუხუმმა კი არა“.



პოეტისათვის ხახმატი „მიწის მზექალია“ და სიყვარულით ეთხოვება ხევის მჟავე წყლის შხეფებს, ბეწინას წისქვილს, „არაგვის ტალღის ქვებთან ხუმრობას“, მთას და ხევსურ ქალს: „მიყვარს ეგ მთა და ეგ ქალიც მიყვარს, მაგრამ შევძლებ კი მაგ ხევსურობას?“(გამოთხოვება).

გერგეტის ტაძართან ცივი წყაროს ხმა ესმის, როგორც „ყაზბეგის ასულის“– მყინვარის გულის კენტი სიმღერა, რაც სითამამეს ჰმატებს და სიმაღლეებს მიჰყვება „დაუდუღარი ლექსების მაჭრით“ (გერგეტის ტაძართან).

ლექსში „ხევსურეთი“ ხევსური მოიაზრება, როგორც ეროვნული სულის, მამა–პაპის სისხლის მატარებელი ქართველი, ხმელი წიფლის, ორწყალის ფონზე, სიკვდილის დასამარცხებლად შემართული: „ორწყალთან შედგა შემთვრალი

ხევსური, ორივე წყალში ორჯერ ჩახედა,–შენ მამა–პაპის სისხლი მოგაქვის,–შემოდუდუნეს წყლებმა მკვახედა, ორწყალზე შედგა შემთვრალი ხევსური... ქარი ხმელ წიფლის ტოტებს არხევდა – ერთი მეც უნდა მაგკლა, სიკვდილო... თქვა და ჩანისლულ ხევებს გახედა".

ხატობაში დაკლული უმანკო კრავის სისხლს რომ უყურებს, „საქართველოს სისხლიანი ავი წარსული წვეთ–წვეთ, თანდათან ჟონავს" პოეტის თვალებიდან (ხატობაში).

მთავარია არა საკლავების დახოცვა და სისხლის დაღვრა უფლის სახელზე, არამედ ჭეშმარიტი რწმენა.

გვახსენდება ბიბლია: „შენი მიწის პირველმოწეული ნაყოფები მიიტანე უფლის, შენი ღვთის სახლში, ნუ მოხარშავ ციკანს დედამისის რძეში" (დაბადება, 34,26) (93).

ესაიას წინასწარმეტყველებაში ნათქვამია: „რას ვაქნევ თქვენს უზომო საკლავებს, ამბობს უფალი, გამძღარი ვარ თქვენი აღსავლენი კერძებით და კურატების ქონით. აღარ მსურს მოზვრების, კრავებისა და ვაცების სისხლი!

„... ხელები სისხლითა გაქვთ სავსე!

„განიბანეთ, განიწმინდეთ, ავი საქმეები თვალთაგან განმარიდეთ, შეწყვიტეთ ბოროტის ქმნა" (ესაია, I, 11,15,16).

ეროვნული სულისკვეთებით გამორჩეულ პოეტს არ ავიწყდება გაკიცხოს ქართული ბედოვლათობა, რაც მასპინძლის ფუნქციის დავიწყებაში, სტუმრის უზომო გალაღებაში, მისთვის ყველაფრის უფლების მიცემაში გამოიხატება, ამას კი, საბოლოოდ, ძირძველ მოსახლეთა უფლებების შელახვა, უცხოთა მეტისმეტი მოძალება მოსდევს: „ჩემს სახლში რომ მასპინძლად დამიჯექი, ჩემს მაგიერ ჭურს რომ მიხდი მარანში, შეხვედრისას გზას რომ მითმობ პირველად, მე ვტყუივარ, შენ კი არა ამაში" (ჩემს სახლში რომ მასპინძლად დამიჯექი).

ეს იყო ქართული მწერლობის რჩეულთა ერთ–ერთი მთავარი პრობლემა, რაზედაც გულწრფელად წუხდა შოთა ნიშნიანიძე: „სტუმარს არათუ პატივი ვეცით,აქ ყველა მას-

პინძელივით ცხოვრობს, მაგრამ დედის რძე, ბუნების წესით, შვილებს ეკუთვნით მხოლოდ და მხოლოდ“ (სტუმარს არათუ პატივი ვეცით).

ეს გაუმართლებელი გულარხეინობა, მასპინძლის როლზე უარისთქმა, უცხოთა მოძალება და მათი მოვლინება ქვეყნის ნამდვილი მეპატრონეებრივით შეუნიშნავი არ რჩებოდა გრიგოლ რობაქიძეს, ის თბილისს ბაბილონს უწოდებდა, („გველის პერანგი“) შოთა ნიშნიანიძეც ბაბილონის გოდლად ნათლავდა სამშობლოს. უფრო მეტი, ვულკანზე დგომას ადარებდა და ღმერთს შესთხოვდა: „ღმერთო, დაიფარე გოდოლი ბაბილონის, ვულკანზე შემდგარი საქართველო!“

ბეჟან ხარაიშვილს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ქართული ეროვნული ფენომენის თავისებურება, რაც მტრის შემორიგების, მიტევების, პატიების გრძნობაში, ტოლერანტობაში გამოიხატება, ამიტომ ერის ამ თვისებათა განმასახურებელი, შეუნდობს უცხოელ დამპყრობლებს ჩვენს მიმართ გამოვლენილ ცოდვა-დანაშაულს, ეპატიჟება რუსს, სპარსს, თურქს, ივიწყებს წარსულის მუხანათობებს და ასე მიმართავს ჩვენდამი არაკეთილმოსურნეობით გამორჩეულთ: „თასი ავავსოთ და ვთქვათ დიდება ქართული კერის... მე შენ გთხოვ, სპარსო, შემოხვალ როცა, მწარე სახელი შაჰ–აბასის არ გამახსენო და საქართველოს მიწა-წყალი არ დამილოცო ურუსთაველოდ, უგიორგოდ და უარსენოდ... როგორიც ვიყავ მასპინძელი, ისეთად ვრჩები“ (გპატიჟობთ ყველას).

პოეტს ძილს უფრთხობდა თურქეთისაგან მიტაცებული ტაო-კლარჯეთი, ხერთვისი, ხანძთა, ბებერი ტაო, ვარძიასთან საშვის მოთხოვნა, მესხეთ-ჯავახეთში ქართველთა სიმცირე და ღმერთს ევედრებოდა სისხლიანი წარსულის დავიწყებას, ჩვენი კანონიერი საზღვრების აღდგენას: „... გადამავიწყე დიდი თურქობა, გადმიშვი, მთაო“ (მე მივდიოდი საქართველოს გამოხრულ გულში).

ჩვენი სავალალო წარსულის, ფეოდალური შუღლის, ქვეყნის უნიათო მესვეურთა წყალობით ჯერ სპარსეთში, მერე თურქეთში გადახვეწილი გიორგი სააკაძის აჩრდილი არ ასვენებდა პოეტს.

სამშობლოს ინტერესებისთვის შვილის–პაატას შემწირველი დიდი მხედართმთავრის საქმეები აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, მარადიული განსჯის, განქიქების თუ ბედის უკუღმართობის მსხვერპლად აღქმულია დღემდე.

ვაჟა–ფშაველა წერდა: „თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ, კარგი შვილები სად გვებადება?"

გრიგოლ რობაქიძე პოზიტიურ ჭრილში ახსენებდა გიორგი სააკაძეს და მრავალგზის ამახვილებდა ყურადღებას სიმბოლურ აქტზე – ამ ტრაგიკული პიროვნების მიერ ქართულ მიწაში გადატეხილ ხმალზე და ამ ხმლის გამთელებას უკავშირებდა ერის უკეთეს მომავალს.

კონსტანტინე გამსახურდია „კონდოტიერს" უწოდებდა დიდ მოურავს. ასეთ ჭრილში გაიაზრებდა ამ პიროვნებას როსტომ ჩხეიძე.

ვასილ ბარნოვი, ანა ანტონოვსკაია, იოსებ სააკაძე, ჯანსულ ღვინჯილია, ნიკო ხერკელაძე მოწიწებით საუბრობენ გიორგის დიდ მხედართმთავრულ გენიაზე, პატრიოტიზმზე და ეპოქის უკუღმართობით, ბაგრატიონთა უმადურობა–უსუსურობით ხსნიან როგორც ქვეყნის, ისე დიდი მოურავის ტრაგედიას.

გიორგი სააკაძის მიერ ალაჰის მსახურებას ფულის, განძის, ხარკის, ხათრის მოტივებით როდი ხსნის ბეჟან ხარაიშვილი, პირიქით, მრავალტანჯულ მამულიშვილად მიიჩნევს სამშობლოდან გადახვეწილს და დიდი დიპლომატიის, ზღაპრული მამაცობის წყალობით სამშობლოსთვის შვილის – პაატას შეწირვის ხარჯზე სპარსეთის დამმარცხებელს მოწიწებით ახსენებს: „... ენატრებოდა მცხეთა და მარტყოფი, გულმა ვერ გაუძლო მარტოყოფნას, თმათა სითეთრე თმის წვერით ივარცხნა და მამულს შესწირა საკლავი კი არა, სხვა

მკლავი კი არა, პაატას მხრებზე დაკლული სიცოცხლე" (ფულისთვის კი არა).

სულისშემძვრელი, ქვეყნის მარადაქტუალურ პრობლემებზე მღაღადებელი ლექსია ბეჟან ხარაიშვილის „მომიახლოვდი".

სამწუხაროდ, საქართველოს არასოდეს ჰკლებია ქართველებით, ქართული მიწებით, ქართული საგანძურით, რწმენით მომაჭრე უკეთურნი, ყველაფერს რომ იმეტებდნენ პირადი კეთილდღეობის საფასურში.

მე-19საუკუნის პოეტის – გრიგოლ ორბელიანის წერილებში გულისტკივილით არის გაცხადებული ქართველ თავადაზნაურთა ბედოვლათობა, რომლებიც ძირძველ ქართულ მიწებს დაუნანებლად ჰყიდნენ ყოველ გამვლელ–გამოვლელზე პირადი ანგარებით.

ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურა „იყიდება საქართველო" უკვე ახალ დროში ამხელდა ქვეყნის ღალატის ტოლფას ქმედებას...

ეს პრობლემა, სამწუხაროდ, აქტუალური იყო საბჭოთა პერიოდში, ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე, როცა მოხდა ქართული სახელმწიფოს საზღვრების მოშლა, ტერიტორიების ხელახალი გადანაწილება და სოჭი-რუსეთის, საინგილო-აზერბაიჯანის, ტაშირის ოლქი სომხეთის, ტერიტორიაზე აღმოჩნდა ტაო-კლარჯეთს კი ადრიდანვე, მე-16 მე-17 საუკუნეებიდან თვალი დაადგა თურქეთმა. მამულიშვილური გრძნობის პოეტი ბეჟან ხარაიშვილი ვერ ურიგდებოდა ამ საბედისწერო პროცესებს და თავისი სახელი დაარქვა მოვლენებს: „მომიახლოვდი, როგორც არასდროს, მომიახლოვდი–ვყიდი ვარძიას, – ვყიდი ხერთვისს, – ვყიდი არხოტს და ვყიდი ხოშარას!"

გაყიდვა ნაგულისხმევია არა მარტო პირდაპირი გაგებით, არამედ იგულისხმება ეროვნული ფენომენისადმი ორგულება, ფერისცვალება.

ლექსის ლირიკული გმირი უპირისპირდება ამ თვითმკვლელობის ტოლფას მოვლენას: „მე აღარ მინდა თქვენი ლიბანი, ისრაელი და მთელი კამბოჯა, მე საკუთარი დარდი გამბოჭავს, მე საკუთარი ბოღმა მომშხამავს, შენ კი ჯიბეზე ხელებს იფარებ, მე ამიტირდა მუხრანი, ანა".

შემთხვევითი როდია ეროვნული იდეალების მედროშეების – მუხრან მაჭავარიანისა და ანა კალანდაძის ხსენება ლექსში.

და ბოლოს: „მე რომ გავყიდო, იყიდი განა? მე რომ გავგიუდე, მომკლავდი განა? მე თვალებდათხრილ დიდ ფრესკებს გიცვლი, მხრებჩამოკვეთილ ამ ხერთვისს გიცვლი იმ პირველადქმნილ საოცრებაზე" მომიახლოვდი).

როგორი იყო სამშობლოს მომავალზე პოეტის აზრი?

გრიგოლ რობაქიძე ქვეყნის ბედს არწივისა და ხოხბის, მდევარისა – დევნილის ჭრილში გაიაზრებდა (მცველნი გრაალისა).

გალაკტიონ ტაბიძე აჯამებდა ქვეყნისთვის თავსდამტყდარ უბედურებებს და ალვის ხის, მუხების, ბაღის გადარჩენით მიგვანიშნებდა ერის მარადიულობაზე, მაგრამ იმასაც აღნიშნავდა, რომ გამუდმებულმა თავდაცვითმა ომებმა ქართველის სული შიშით, განსაცდელის მოლოდინით დადაღა და მას მშვიდობის დროსაც ფათერაკები ელანდებოდა (ასპინძა).

გალაკტიონი აფრთხილებდა ერს: „შემოიკრიბე გონთ სიძლიერე, თორემ გვიანღა იქნება მერე... უფრო მეტად გამჭრიახობა იყოს იმედად" (მშვიდობის წიგნი).

გონიერი ადამიანები მიღწეულის გამო თვითკმაყოფილებას როდი ეძლეოდნენ, ძილ-ღვიძლში თუ სიკვდილის წინ გამუდმებით ფხიზლობდნენ, მაღალი, საქვეყნო იდეალებით სუნთქავდნენ.

შემთხვევითი როდია, რომ კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დავით აღმაშენებელი" ძლევამოსილი, კასპიის

ზღვიდან შავ ზღვამდე გადაჭიმული საქართველოს შემქმნელ დავით მეფეს სიკვდილის წინაც არ ასვენებდა საქვეყნო საფიქრალ-საზრუნავი და ძლევამოსილი სამშობლოს მესვეურს ტაოს კარს მომდგარ თურქთა ლაშქარი ელანდებოდა. ეს იყო მომავალში გენიოსური გადახედვა, გაფრთხილება, რომ მიღწეულით ტკბობა, მოდუნება–მიძინება კი არა, გამუდმებული საფხიზლე-შემართებაა წარმატების გარანტი.

საფლავის მიწაზე, მარჯვენის მოჭრაზე რომ ფიქრობდა, ბეჟან ხარაიშვილს გზაზე ჩამორიგებული ხეები „მწვანე შუქნიშნად" ესახებოდა, წინ მამულს, მის გასავლელ გზებს ჭვრეტდა: „.. რა დროს სიკვდილია, კიდევ ერთგან გაჭრიან მიწას... ჯერ უნდა მომჭრან მარჯვენა და სული მომთხოვონ... მწვანე შუქნიშნად ინთებიან, გზაზე ხეები, ეს იმას ნიშნავს, გავიარო, წინ მამულია! (გაზაფხული).

საოცარი ლექსია ყყაყაჩოს წითელ ფურცლებზე დასმული შავი წერტილების სახეში ამოკითხული ქართველი კაცის სიცოცხლის განსაცდელები და მარადიულობა, აქაც არსებობის გარანტიაა ტყვია, ანუ გამუდმებული ბრძოლა, სიფრთხილე, როგორც ყოფილი, ისე მოსალოდნელი ფათერაკებიდან გამომდინარე:„ყყაყაჩოს წითელ და თხელ ფურცლებზე შავად ნაფერი შავი წერტილი, არა არის რა, თუ არა ტყვიით ქართველი კაცის სისხლში დასმული მისი სიცოცხლის მრავალწერტილი!"

ბრძოლებმა გადაარჩინა საქართველო და მისი არსებობის საფუძველი მომავალშიც ბრძოლები უნდა იყოს, არა ტყვიით, არამედ გონით, განჭვრეტით, სიბრძნით, ასეთია პოეტის დასკვნა ჩვენი ყოფნა–არყოფნის მარადიულ კითხვაზე.

ბეჟან ხარაიშვილი მორწმუნე პოეტი იყო, ზედმიწევნით იცნობდა ბიბლიას, იყო კარგი ანალიტიკოსი, ხედავდა, რომ მისი ხალხი აცდა ღვთიურ გზას, რის გამოც დაიმსახურა სასჯელი: „საქართველო უმძიმეს გასაჭირშია, მაგრამ უფრო დიდი უბედურება მოგველის, თუ დროზე არ გამოვფხიზლდებით და არ დავადგებით ჭეშმარიტ ღვთიურ გზას, რად-


გან ჩვენ ვართ უძველესი მართლმადიდებელი, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი და თავის წიაღში ქრისტეს კვართის შემნახველი ერი, რაც ბევრ რამეს გვავალებს ღვთის წინაშე. ხოლო დღეს რაც ჩვენ თავზე ხდება, ეს არის სასჯელი იმ ცოდვის გამო, რაც ჩვენ ხალხში დაგროვილა!"

პოეტი მოუწოდებს მკითხველებს, მოუსმინონ ეზრა წინასწარმეტყველის სიტყვებს და ჩაუფიქრდნენ მის აზრს: „აჰა, შემოვიტან, ამბობს უფალი, დედამიწაზე უბედურებებს, მახვილს, სიკვდილს, შიმშილს და განადგურებას, რადგან წაბილწა უკეთურებამ მთელი დედამიწა და ზღვარს გადასცდა მისი მავნე საქმეები. ამიტომ, ამბობს უფალი, არ გავუჩუმდები მათ უღვთო საქმეებს, რასაც მკრეხელურად სჩადიან, აღარც მათ უკეთურობებს მოვითმენ. აჰა! უდანაშაულო და მართალი ხალხი მეძახის მე და მართალთა სულები მეძახიან გამუდმებით. შურს ვიძიებ მათზე და უდანაშაულოთა მთელ სისხლს მოვკითხავ. ვაი წუთისოფელს და მისთა მკვიდრთა, რადგან მოახლოვდა მათი შემმუსვრელი მახვილი, სამტროდ აღდგება ტომი ტომის წინააღმდეგ და ხმალი იქნება მათ ხელში... აღარ შეიბრალებს კაცი თავის ახლობელს, მახვილი საიერიშოდ შეიქნება".

ძვირფასო თანამემამულევ!, ასე მიმართავდა ბეჟან ხარაიშვილი თანამემამულეებს 1974 წელს, რითაც აშკარა ხდება, რომ იგი ჯერ კიდევ 30 წლის წინ გრძნობდა სამშობლოს მომავალ კატაკლიზმებს.

სამწუხაროდ, ბეჟან ხარაიშვილის პოეზიის ბევრი ნიმუში დაკარგულია, გაუჩინარებულია მისი ეროვნულ-რელიგიური, ფილოსოფიური პრობლემებისადმი მიძღვნილი რომანი „სად მარხია ძაღლის თავი", რომელიც, მის მცნობთა აზრით, ახალი სიტყვა იქნებოდა ქართულ პროზაში, მაგრამ შემორჩენილი ლირიკა გვარწმუნებს მათი ავტორის განსაკუთრებულ ნიჭიერებაში, რითაც ის ჩვენი ლიტერატურის დიდ კლასიკოსთა რჩეულში იმკვიდრებს ადგილს მოკრძალებულად.

წიწამურის ტრაგედიის მსხვერპლის – დიდი ილია ჭავჭავაძის მაღალმორალურ, მამულიშვილურ ფიქრებს ჰქონდა სამუდამო ადგილი ბაჟან ხარაიშვილის გულში, რადგან ის იყო ერის მამის ტრიადის – „ენა, მამული, სარწმუნეობა“ – ერთგული მსახური: „ხსოვნის ეკრანი გაფატრა ელვამ და ბინდს გამოუკრთა მთაწმინდის სანთელი, ანძა, რომელიც ეკრანზე აჩვენებდა სასწაულს კი არა, ყველაფერ იმას, რასაც ფიქრობდა კაცი წიწამურთან, ცხრაასხუთი რომ ესროლეს გულში“ (ხსოვნის ეკრანი გაფატრა ელვამ).



კომარული სიხაძელის სიზმრით გაცხადება ლექსში „სიზმარი“

„ერთ გაზაფხულსაც ვერ მოესწარი, ისე დათოვა შენი მწვერვალი“, ამბობს წინასწარმეტყველური ინტუიციით მომადლებული, სამზეოს ნაადრევად განშორებული ბეჟან ხარაიშვილი.

მამულის ამ ერთ–ერთი გამორჩეული მეციხოვნის ყოვლისმხილველი თვალებიდან „წვეთ–წვეთად ჟონავდა ჩვენი სისხლიანი, ავი წარსული“, ხოლო პოეტის „გულის ძარღვები მამულის სუნთქვას“, მის მაჯისცემას აყურადებდნენ.

ბეჟან ხარაიშვილის მზერა გენიოსი წინაპრის–ვაჟა ფშაველას დარად ჭვრეტდა ერის სულის – „ჩამუხლული მუხის“, ხმელი წიფლის სატკივარს და მისი ფესვების დარწყულება, „შინდის შტოს“ აყვავება, მშობელი ხალხის გენეტიკური კოდების სიწმინდისთვის ზრუნვა იყო პოეტის უპირველესი საფიქრალი.

მტკვრის მკერდზე ნატვრისთვალს – თბილისს ეთაყვანებოდა სხვათაგან უხილავის მხილველი და „არა ოქროს, ფულს, სახლს თუ დახლს“, არამედ საქართველოს დღეგრძელობა – მარადიულობას შესთხოვდა უფალს (მტკვარი გველივით შეცურდა ჭადრებში).

სიზმარ–ცხადში ამგზავრებოდა ლოკალური თუ გლობალური სატკივრები, ხორცის ქვეყანაში“ სულის ტაძრებს აშენებდა, ვერ შერიგებოდა ახლომხედთა უგუნურებას, გადაგვარება – გადაშენებამდე რომ მიჰყავდა ერი და გაფრთხილების ზარებს რეკავდა ქვეყნის ავ–კარგის შემცნობი, სამეუფო გზას უჩვენებდა უფსკრულში მობორიალეთ.

ბეჟან ხარაიშვილისთვის, ბიბლიის კვალობაზე, სამშობლოს პარადიგმა იყო ბაღი, ვენახი.

წმინდა წერილში ორგვარი ბაღი და ვენახი გვხვდება: მიწიური და ზეციური.

მიწიური ვენახი და ბაღი ებრაელი ხალხის მეტაფორაა: „ცაბაოთ უფლის ვენახი ისრაელის სახლი და იუდას სახლია, მისი სანატრელი ნერგი“ (ესაია წინასწარმეტყველი, 4,7).

სახარებაში „მევენახე“ მამაღმერთია, „ვაზი ჭეშმარიტი“ – ქრისტე (იოანე, 15,1).

ბიბლიის წინასწარმეტყველთან ებრაელი ხალხია მორწყული ბაღის ადრესატი: „იქნები მორწყული ბაღივით და წყაროსავით, რომლის წყლები არასოდეს დაშრება“ (ესაია წინასწარმეტყველი, 58,11).

ზეციური ბაღი უზენაესის, წმინდა სულების, ანგელოზების სავანეა.

ედემის ბაღი, რომელიც შექმნა ღმერთმა, უცოდველი ადამის და ევას თავდაპირველი საცხოვრისი იყო, სადაც ყვაოდა სიცოცხლისა და ცნობადის ხეები. პირველმა ადამიანებმა ბოროტი სულის წაქეზებით იგემეს უფლისგან აკრძალული ცნობადის ხის ნაყოფი და დაკარგეს სამოთხე, უკვდავება (დაბადება, 2,16,17).

ქართველ კლასიკოსთა სახისმეტყველებაში ერთ-ერთი უპირველესი ადგილი ბაღს უკავია.

გალაკტიონის „პირიმზეში“ „ძმებისგან“ გაყოფილი „მოხუცი ბაღი“ უძველესი ისტორიის მქონე ქართველი ხალხის პარადიგმაა, „ძმებში“ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი, ავანტურისტი, სხვისი მიწებით გაუმაძღარი იმპერია იგულისხმება.

ტერენტი გრანელის ერთ ლექსში ნათქვამია: „ძველ ბაღებს დაეცნენ ქარები ყაჩაღივით და აიკლეს ფოთლები“ (შენს გაქცევას).

ამ კონტექსტის „ძველი ბაღიც“ მრავალსაუკუნოვანი წარსულის მქონე ქართველ ხალხზე, ხოლო ყაჩაღთან ასოცირებული ქარები ჩვენს მოსაზღვრე ჩრდილოელ დამპყრობელ მონსტრზე მიგვანიშნებს.

ანალოგიური შინაარსისაა დარიაჩანგის ბაღი ოთარ ჭილაძის რომანში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“.

ბეჟან ხარაიშვილი იცნობდა სიმბოლური ბაღის პირველწყაროს და საგულისხმო სათქმელს უკავშირებდა ამ სახეს.

ამ მხრივ მრავლისმთქმელია მისი ლექსი „სიზმარი", რომელიც ძალზე აქტუალურ, ეროვნულ და მსოფლიო სატკივრებში გვახედებს სიზმრისეული ხილვის მოშველიებით, რადგან „სიზმარშიც, ოცნებაშიც ჩვენ არარაობაში ან ცაში როდი ვიმყოფებით, არამედ დედამიწაზე, სინამდვილის სფეროში, ოღონდ ნამდვილ ნივთებს სინამდვილის და აუცილებლობის შუქში კი არ ვუყურებთ, არამედ წარმოსახვისა და თვითნებობის წარმტაც მოჩვენებებში".

განარჩევენ „განცდილის, მომასწავლებელ, წინასწარმეტყველურ" სიზმრებს (რ. ნათაძე, რა არის სიზმარი", თბ. 19,48,გვ.,56).

სიზმარს კავშირი აქვს განწყობასთან: „სიზმარი პიროვნების შინაგანი მდგომარეობის გამოვლენაა, ხშირად ალეგორიულ, არაპირდაპირი, მაგრამ მაინც შინაგანი ძალებით ამოძრავებული და პიროვნებისეული" (ლევი, ნადირობა ფიქრზე", თბ. 1982,გვ. 112).

სიზმარს ინტუიციას, წინაგრძნობას, არაცნობიერს უკავშირებენ ზ. ფროიდი, კ.გ. იუნგი.

„წინასწარმეტყველური სიზმრები, ტელეპატიური ფენომენები და სხვა მისთანანი ინტუიციის სფეროს განეკუთვნება", გვანმცნობს იუნგი. ის განასხვავებს სიზმრის „პროსპექტულ და კომპენსატორულ ფუნქციებს".

„სიზმრის პროსპექტული ფუნქცია მომავალი ცნობიერი წარმატებების არაცნობიერი ანტიციპაციაა, წინასწარი ვარჯიშის, მონახაზის ან ზოგადი გეგმის მსგავსად.

„სიზმარი შეიძლება მოიცავდეს გარდუვალ ჭეშმარიტებას, ფილოსოფიურ დებულებებს, ილუზიებს, ველურ ფანტაზიებს, მოგონებას, გეგმას, ანტიციპაციას, ირაციონალურ განცდებს, ტელეპატიურ ხილვებს... სიზმარი ზოგჯერ სიკვდილ–სიცოცხლის საკითხია" (კარლ გუსტავ იუნგი, ანალი-

ზური ფსიქოლოგიის საფუძვლები, სიზმრები, თბ. 1995,გვ. 305,209).

სტეფან ცვაიგი დოსტოევსკის სამყაროს „ღრმა და წინასწარმეტყველურ სიზმარს“ უწოდებდა, რომელიც „სინამდვილესაც კი ჯაბნის, მაგრამ ეს მაინც რეალიზმია, საკუთარი საზღვრებიდან ფანტასტიკურში რომ გადასულა“ (სტეფან ცვაიგი, „ფანტასტიკური ღამე“, თბ. 1966, გვ; 211).

გრიგოლ რობაქიძე შემოქმედებით პროცესს „თვალღია სიზმარს“ უწოდებდა, გალაკტიონი – „ოცნება–სიზმარს“, ტერენტი გრანელი–„დედამიწის სიზმარს“.

ბეჟან ხარაიშვილმა მრავალნაირი რაკურსით განჭვრიტა საქვეყნო, აქტუალური პრობლემები, ამ შემთხვევაში კი სიზმარს დააკისრა მთავარი სათქმელის გამოხატვის ფუნქცია.



სტუდენტობის პერიოდი.

ლექსში „სიზმარი“ საუბარი იწყება ბაღზე, ანუ მამულზე, ყვავილებიან უცხო მოლზე, სადაც ვარდს სურნელება

დაუკარგავს და ბოლოკს ისხამს, ბოლოკს კი ვარდის სურნელება შეუძენია: „ბაღი ვნახე და სიზმარი ერთად, ყვავილთა უცხოდ ნაფერი მოლით, ბოლოკს ვარდების სურნელი ჰქონდა, ვარდი შიგდაშიგ ისხამდა ბოლოკს“.

ვარდი, ყვავილი ბიბლიაში უზენაესის პარადიგმაა: „ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე, ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში“ (სოლომონის ქებათა ქება“, 2,12).

ასევე, ვარდი, უხრწნელი ყვავილი“ არის ღვთისმშობლის მეტაფორა (დაუჯდომელი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა).

ლექსის ბოლოკად გარდასახული ვარდი დიადის, მშვენიერის, ამაღლებულის დამდაბლების მაუწყებელია.

ღმერთისუარმყოფელი ეპოქის მახასიათებელია გალაკტიონის პოეზიის დამჭკნარი, გათელილი, გაყინული, გაუჩინარებული, გარდაცვლილი, სილაში მოქცეული ვარდის სახეები.

ტერენტი გრანელის ლირიკაში „შორეული ყვავილების“ ჭკნობა მიგვანიშნებს რწმენისგან გაუცხოებას, რადგან ამ შემთხვევაშიც ყვავილი უზენაესის სიმბოლოა („სიცოცხლის გრადაცია“).

ბეჟან ხარაიშვილის ლექსში ისევ საპირისპირო მოვლენები ფიქსირდება: „მზე ანათებდა, მაგრამ გზის პირას მუხა ტოტებში ცრემლად დნებოდა“.

სულიერი მზე მხოლოდ წმინდათ, ნათლისკენ, სხივისკენ მიდრეკილთ უნათებთ.

მზე საღვთო სახელია: „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფსალმუნი, 84,12).

ლექსის მრავლისმეტყველი სახეა ცრემლიანი მუხა. რაზე მიგვანიშნებს იგი?

მუხა ერის, მისი სულის სიმბოლოა კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“, „ვაზის ყვავილობაში“,

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში („საუბარი კარდუსთან"), გალაკტიონის პოეზიაში („მუხები").

ბეჟან: ხარაიშვილის აცრემლებული მუხის სახეში გვენცნაურება ერის სულის განსაცდელი.

ვარდს სურნელება გასცლია, მაგრამ „მინდვრის ოხშივარს" ეტანება ნარცისი: „პლანი, პლანიო", სტვენდა ნარცისი, მინდვრის ოხშივარს ეტანებოდა".

ლექსის ლირიკული გმირი ცდილობს გონს მოიყვანოს გონდაბინდულნი: „გონს მოდით–მეთქი! – ვიყვირე ერთხელ, ვიდრე არ არის ბიჭებო, გვიან"...

მაგრამ წაღმა შემობრუნებას არ აპირებენ ცდუნების მორევში ჩათრეულები: „ჩვენ ქეშები ვართ, შეტყდი მანდედან! – ჩაიხავილა ხახაში ხვიამ".

არაყს დახარბებულნი „ცის ნამს" ემიჯნებიან, „გოიმებად" და „შტერებად" ნათლავენ ზნეობის ერთგულთ: „არაყს მოველით, ცის ნამს ვილა სვამს, გოიმებად და შტერებად გთვლიან".

ნამი, ცვარი საღმრთო სახელია: „ვიქნები ცვარი ესრაელისთვის, აყვავდება, როგორც შროშანი და ლიბანივით გაიდგამს ფესვებს" (ესაია წინასწარმეტყველი, 14,3).

ცის ნამის ირონიული ხსენება ამაღლებული იდეალებისგან განდგომის მომასწავებელია.

შარლ ბოდლერი თვრებოდა „ღვინით, სათნოებით, პოეზიით" (ითრობოდეთ).

გალაკტიონთან გვხვდება თრობა „ცისფერი ღვინოებით", „დღის სიელვარით", პოეზიით, ფიქრით... პოეტების მეფეს ეპყრა „ბედთან არდარიდების თასი, ალის თასი, ცეცხლიანი აზარფეშა, სიხარულის ჭიქა".

ცეცხლი, ალი, სიხარული საღვთო სახელებია.

თასი, აზარფეშა, ჭიქა–ღვთისმშობლის პარადიგმებია.

ბეჟან ხარაიშვილის ლექსის პერსონაჟები თვრებიან არა „ცის ნამით" (რწმენით), არამედ არყით, გონისდამბინდავი

ნარკოტიკებით.

ნარცისს, ხვიას აყოლია იაც, მასაც თავი მოაქვს მოდის მიმდევრობით: „მეც მოდას მივდევ! მოდი, მაკოცე! – გამომწრიპინა ბუჩქიდან იამ!"

აშკარაა ეროვნული, ტრადიციული, მაღალზნეობრივი იდალებისგან, რწმენისგან გადახვევა, სამეუფო გზის დავიწყება, თავდაღმარში დაშვება, რაც ბაღის–ხალხის ჯანსაღ ნაწილს განადგურებით ემუქრება.

ლექსის ავტორი კეთილმოსურნე გულისწყრომას ვერ ფარავს, შეძრწუნებული ამხელს ეროვნულ საფრთხეს. რეზიუმესავით ჟღერს მისი განაცხადი: „ღმერთმა დასწყევლოს გადაგვარება, არა და ბაღო, როგორ მიყვარდი. შეეხე ვარდს და ბოლოკი შემრჩა – ეს შენ იყავი!" („სიზმარი").

დიდ, ღრმააზროვან საფიქრალს გვიტოვებს ლექსის შთამბეჭდავი სახეები: ბოლოკად გარდასახული ვარდი, მინდვრის ოხშივარს დაწაფებული ნარცისი, ხვია, ია.

თრობა არა „ცის ნამით", არამედ არყით, პლანით.

აცრემლებული მუხა.

ჩვენს ირგვლივ ტრიალებენ მარადიული მზის ნათელს განრიდებულნი, მინდვრის ოხშივრით მოწამლულნი, ბნელთან წილნაყარნი, გზასაცდენილები...

თავისი ეპოქის (და არა მხოლოდ თავისი), თავისი ქვეყნის (უფრო სწორად, საკაცობრიო) აქტუალური პრობლემის მხილების მისია პოეტმა სიზმარს დააკისრა, როგორც ეს კლასიკურ მწერლობაშია (აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი).

ლექსი „სიზმარი" ახალგაზრდა ავტორს წარმოაჩენს, როგორც დიდ წინაპართა კვალზე მავალ, ეროვნული იდეალების მსახურ, ბიბლიის, კლასიკური მწერლობის ტრადიციებს ნაზიარებ, თვითმყოფად, ინდივიდუალური ხელწერის შემოქმედს.

მგლის და ხარის ბარადიგმებით საშობლოს განსაცდელზე მინიშნება ლექსში „შეციებიათ მთაში ღელეებს“

ბეჟან ხარაიშვილმა სოციალიზმის ეპოქაში იცხოვრა, როცა დამოუკიდებლობაწართმეული ჩვენი სამშობლო დიდი საბჭოთა იმპერიის კედლებში იყო ჩაშენებული.

XX საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო საქართველოს ეროვნული თვითშეგნების ამაღლების ახალი ეტაპი, თავისუფლებისკენ სწრაფვა, დისიდენტური მოძრაობა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მესვეურობით. ბეჟან ხარაიშვილი მათი თანამოაზრე იყო. სამწუხაროდ, სამივეს ტრაგიკული ბედი ხვდათ წილად.

ბეჟან ხარაიშვილს, როგორც ჭეშმარიტ მამულიშვილს, ძილს უფრთხობდა სხვისი ტერიტორიებით გაუმაძღარი იმპერიული მონსტრის პოლიტიკა, მის მიერ ჩვენი ეროვნული სახის წაშლის მცდელობა.

ლექსში „შეციებიათ მთაში ღელეებს“ სწორედ მგლის მადით ცნობილი, დაუნდობელი ყინულოვანი მეზობელი ჩასაფრებია პატარა, მრავალსაუკუნოვანი წარსულის მქონე ქვეყანას, რომელიც მოაზრებულია ღვინიას სახით: „კორტოხის მგლები ფატრავენ ღამეს და მოლანდებით ზმუის ღვინია, შეციებიათ მთაში ღელეებს,–ბარად მირბიან“.

მგლის სახისადმი ინტერესი ვლინდება როგორც ხალხურ შემოქმედებაში, ისე ბიბლიაში, კლასიკურ მწერლობაში.

მგელი ორმაგი სიმბოლოა.

ბიბლიაში ამა ქვეყნის ძლიერნი ავლენენ მგლურ ინსტინქტებს, მგლურ სისასტიკეს: „შეთქმულნი... წინასწარმეტყველნი ლომებივით ბრდღვინავენ. მთავრები მგლებივით გლეჯენ ნედავლს, სისხლს ღვრიან, სიცოცხლის უმწარებენ ანგარებისთვის“ (ეზეკიელ წინასწარმეტყველი, 25,27).

„გაჯიუტებული, წაბილწული, მოძალადე ქალაქის... მთავრები მბრდღვინავი ლომებია მის შუაგულში, მისი მსაჯულები საღამოს მგლებია,დილისთვის ძვალსაც რომ არ ტოვებენ“ (სოფონია წინასწარმეტყველი, 3, 1-3).

იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში წითელი გველეშაპისგან მოვლინებული, წინასწარმეტყველებთან მებრძოლი სამი მხეცია: უფსკრულის მხეცი, (11,7,13,14), ღვთისმგმობელი ზღვის მხეცი (13,1,5), მიწის მხეცი (13,11), რომლებიც თაყვანს სცემენ გველეშაპს და ქმნიან უღმერთო იმპერიას, რომელიც, კომენტატორთა მიხედვით, საბჭოთა კავშირია, ხოლო ზღვისა და მიწის მხეცებში მოიაზრებიან ხალხთა მასებიდან მოვლენილი ლენინი და იატაკქვეშელი სტალინი (აპოკალიფსი და დღევანდელობა) (იოანე–იოანა, რა უნდა ვაკეთოთ, თბ. 1994).

მითოლოგიაში მგელი ძალის, დაუმორჩილებლობის სიმბოლოა: „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი, ისე არ ამოწყდებიან ჯავრი არ ჭამონ მტრისანი“.

ასევე, პოზიტიურ ჭრილში მოიხსენება მგლის მუხლი.

კ. გამსახურდიას თავის ტოტემად მგელი მიაჩნდა, რადგან თვითონაც მგელივით მოუთვინიერებელი იყო, მისი გადაბირება–გაწვრთნა ვერაფრით მოახერხეს კომუნისტებმა.

დიდი გერმანელი მწერლის–ჰერმან ჰესეს პერსონაჟი ჰარი ჰალერი ტრამალის მგელია, შინაგანი გაორებისგან, კაც–მხეცის საწყისთა ურთიერთბრძოლისგან გატანჯული მარტოსული, ვიდრე არ მოათვინიერებს თავის არსებაში მხეცს და ჰარმონიას არ ეზიარება (ტრამალის მგელი).

მგლები ურთიერთდაუნდობლობითაც გამოირჩევიან.

ვაჟა ვშაველას მოთხრობაში „ამოდის, ნათდება“ მგლები მგელ ტოტიას ცოცხლად შეჭამენ.

გოდერძი ჩოხელის რომან „მგელში“ მხეცური ინსტინქტების მომძლავრების ხელშემწყობია ტოტალიტარული საბჭოთა იმპერია, რომელსაც მამალი მგლის სადარი კომუნისტები მართავენ, ისინი მგლებად ნათლავენ თავიანთ თანამოაზრეებს,

სიკეთისგან ცლიან მათ, გაცემა–დაუნდობლობაში წვრთნიან და ცხოვრება გაუსაძლისი ხდება. საბოლოოდ, ნამგლარი ადამიანი ოჯახის, ჯანსაღი გენეტიკური კოდების, რწმენის წყალობით ისევ ადამიანად გარდაისახება.

მსოფლიოს ისტორიის გააზრების შედეგად მიღებულ დასკვნებს გვაზიარებს შოთა ნიშნიანიძე: „ბაბილონიდან, რომიდან, სულაც არ ვამბობ ტყუილს და კიდევ უფრო შორიდან მგლური კანონი ყმუის. შენც დაგკბენს მგლური კანონი, ვერც შენ იდგები ცალკე, რომში ხარ დაბადებული თუ გაზრდილი ხარ ალგეთს“ (მგლური კანონის ბალადა).

ბეჟან ხარაიშვილის ლექსში ღვინიას ჩასაფრებული მგლები ნეგატიურ კონტექსშია ჩასმული.

ღვინია, ხარი მრავალგზის ჩაუფიქრებიათ ძალის, გამძლეობის, შრომისმოყვარეობის, შეუვალობა–ერთგულების, ქვეყნის მსახურების სიმბოლოდ.

„ხარს ვგავარ ნაიალაღარს, რქებით მიწას ვჩხვერ, ვბუბუნებ, ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, მძინარიც ამას ვდუდუნებ“–ასე იყო დიდი ვაჟა–ფშაველა ასოცირებული ხართან.

„მე ვარ მისანი ხარი წიქარა, შენი დვრიტა ვარ, მამულ–დედულო, ზღაპრიდან მისთვის გამოვიპარე, რომ გემსახურო და გიერთგულო“ – აცხადებდა შოთა ნიშნიანიძე და აქაც მამულ–დედულის მსახურება იყო „მისანი ხარის“ მისია (მე ვარ მისანი ხარი წიქარა).

ხარს ყოველთვის ჰყავდა ჩასაფრებული კბილებალესილი მგელი, ამიტომ ელანდება მამულის სიმბოლოდ ჩაფიქრებულ ღვინიას მგელი ბეჟან ხარაიშვილის ლექსში.

ალბათ, მთის ღელეების ბარისკენ სწრაფვაც არაა შემთხვევითი.

ნასახლარი, დათოვლილი, უსახურავო სახლის ჩამქრალი ბუხარი ყველაზე სასურველი, ავი ზრახვების ხელშემწყობი ადგილია სხვის მიწაზე დადარაჯებული ვერაგი, მგლის მადის მქონე მტაცებლისთვის: „თოვლით აევსო გული ნასახლარს, ბუხარი ცხვირში დუმილს იხრჩოლებს, მთვარე ზვინების თეთრი ბოხოხით–წყალში იხრჩობა“.

თოვლი, ყინვა, ქარი ეროვნულ–პოლიტიკურ ჭრილში, ყინულოვანი ქვეყნის ავი ზრახვების დასახასიათებლად აქვს გამოყენებული გალაკტიონ ტაბიძეს. იისფერი თოვლის, სპეტაკი თოვლის პარალელურად, მის პოეზიაში ფიგურირებს უამინდობა, შავი თოვლი, არაწმინდა თოვლი, საუკუნეთა თოვლი, მწუხარე თოვლი, მსახვრალი თოვლი, ფიფქით მტრობა, ყინვათა მფენი თვალები, ყინულოვანი გარემოცვა, „აუხდენელთა დღესასწაულით ლურჯი ყინული“, თეთრი ქარი, წითელი ქარი, თოვლიანი ალვა, თოვლიანი ნაძვი, გაზაფხულის თოვლი, გაზაფხულზე გაყინული ნაკადული.



ყველა ეს სახე პოეტების მეფესთან მიმანიშნებელია მუხანათი მეზობლის, თოვლიან – ყინულიანი იმპერიის სატანურ, მზაკვრულ პოლიტიკაზე, მის ავ ზრახვებზე. ლექსში „ოფორტი“ გალაკტიონი ენიგმებით მიგვახვედრებს, რომ ჩვენი სამშობლო ჩრდილოეთის ავდრიანი, ცივი იმპერიის მიერ დამონებულია და ეს მონსტრი გვაიძულებს, თავისი თოვლიან– ყინულიანი სახელმწიფო საკუთარ სამშობლოდ ვაღიაროთ: „... რა სიჩუმეა. როგორ აჩნია გზებს ნაკვალევი არსაამსოფლო, რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია... რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო“.

მართლაც, საკუთარის დავიწყებას და თავისი თოვლიან–ყინულიანი ტერიტორიის სამშობლოდ აღიარებას ითხოვდა ჩვენგან „გაიძვერა მოყვარე“.

რუსეთის ქარ–ყინვის, თოვლის, ყინულის, ყინულეთის ასოციაცია უჩნდება კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილის“ პერსონაჟს – კონსტანტინე სავარსამიძეს რუსეთის ოფიცერ სლანსკისთან შეხვედრისას.

გოდერძი ჩოხელის რომანში „მგელი “ შავი წვიმა, წითელი თოვლი, წითელი გველეშაპის მოვლინება მიგვანიშნებს ვერაგი მეზობლის ავ ზრახვებზე.

„ჩრდილოეთის წითელი ქარი“ ქრის გალაკტიონის პოემაში „მოგონებები“, „შავი გულისნაღებით სავსე“ ქარია მის ლექსში „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“

„თოვლის თალხი“ ანუ იგივე შავი თოვლი მოასწავებს მოსალოდნელ უბედურებას კოლაუ ნადირაძის ლექსში „25 თებერვალი, 1921 წელი“.

ბეჟან ხარაიშვილის ლექსის „ქარიც“ და „თოვლის ბარათებიც“ სიმბოლური ხერხით აქცენტირებაა მტრის მზაკვრულ სულზე, ავბედით მიზნებზე.

ქარი „შეშლილი ფოსტალიონია“, „თოვლის ბარათებს“ მისამართს ურევს, სხვაგან (ჩვენსკენ) აგზავნის, ხოლო ხვანი (იმერეთის სოფელია) მდინარე ძირულას ხანჯალივით ეცემა გულში: „ქარი–შეშლილი ფოსტალიონი თოვლის ბარათებს მისამართს უშლის, ორმხრივ ჩამოსწვდა ხვანი ძირულას, იხანჯლა გულში“.

ე.ი. „თოვლის ბარათები“ სხვაგან, ანუ ჩვენთან ჩამოაქვს ქარს, როგორც ავის მაუწყებელი (შდრ. გალაკტიონის „ფიფქით მტრობა“). თოვლიც და ქარიც შეთანხმებულად რევენ სიტუაციას.

ლექსის ბოლო სტრიქონები უფრო ხსნის ქარაგმას: „შენ შეგყმუიან მგლები, სოფელო, შენი ხარების ცხელ სისხლს ნატრობენ, ეჭვი გძალავს და უყივი შვილებს: დაგეპატრონონ“ (შეცდომით მთაში ღელეებს).

მგლის ყმუილი ავის მაცნეა, მგელი სისხლისღვრას, ხარების ხორცს დახარბებული მტაცებელია და ადამიანის მიერ მიგდებულ, უყურადღებოდ დარჩენილ სოფლებში საკბილოს მოხელთების მეტი შანსი აქვს.

ლექსის პირველ სტროფში გამოვლენილი შიში, ეჭვი ბოლოში უფრო კონკრეტდება: მგლები, მტარვალნი არა ერთ ნასახლარს, არა ერთ სოფელს, არამედ მთელ ქვეყანას შემოსჯარვიან და თუ პატრონობა არ გაუწიეს შვილებმა, თუ არ გამოფხიზლდნენ, ამ გარემოს სხვა ჩაიგდებს ხელში, მის ნაშიერთა სისხლისღვრაც გარდუვალია.

ლექსი დაწერილია საბჭოთა იმპერიის ზეობისას და, აშკარაა, რა დიდი თვალთახედვა გამოავლინა მისმა ავტორმა, როგორ უცდომლად განჭვრიტა მოსალოდნელი საფრთხეები, მტრის შავი გული, ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, ვიდრე სამაჩაბლოს და აფხაზეთს აგვაცლიდა სისხლით გაუმაძღარი გაიძვერა მოყვარე.



ვარძიაში. ბეჟანი მეუღლესთან და მეგობრებთან ერთად (მარჯვნიდან პირველი ბეჟანის მამა – ჭიჭიკო ხარაიშვილი).

თავი IV
ფილოსოფიური ბრიბლექები

სიკვდილის გამოცანა

კაცობრიობის ხსოვნას არ შორდება ერთხელ უკვე განცდილი წარღვნა, სიცოცხლის წარხოცვა დედამიწაზე ადამიანთა ცოდვების გამო. ბიბლიის მიხედვით, მხოლოდ წმინდა, უფლის გზით მავალი ნოე იხსნა ღმერთმა, გაამზადებინა კიდობანი, რათა ყოველი სულიერის თითო წყვილი გადაერჩინა. ადამიანთა მოდგმამ ამ მოვლენიდან როდი მიიღო გაკვეთილი, იგი ისევ ვერ უძლებს გამოცდებს, ისევ უკუღმართ გზებზე დგას და ყურად არ იღებს ღმერთის თუ ბუნების გაფრთხილებას.

ბეჟან ხარაიშვილი მორწმუნე პოეტი იყო, თვითშეცნობის, ერის მისიის შეცნობის, მისი დანიშნულების გაგების სურვილით მოვლენილი ჭეშმარიტი მოაზროვნე და შემოქმედი.

პოეტს გაცნობიერებული ჰქონდა ცოდვების თუ სიკეთის საზღაური, ბიბლიური წარღვნის გაკვეთილის მნიშვნელობა და თავის თანამედროვეობაშიც ელანდებოდა ქარიშხალი, ყორნისფერი ზეცა, ნოეს კიდობანი და ცდილობდა მოსალოდნელი უბედურების ჯვრით მოგერიებას: „ნაპირს დაუშინა ქარიშხალმა თოვლის გუნდები – თოლიები და ზეცა თვალებში ჩაყორნისფერდა... ვაითუ დიდი მოვარდეს წყალი–ჯვარი აქაურობას, ჯვარი აქაურობას–რამ გამახსენა ნოეს კიდობანი? “(ეჭვი).

ამ სტრიქონების გაცნობისას არ შეიძლება არ გაგვახსენდეს 2015 წლის 13 ივნისის წყალდიდობა თბილისში, იავარქმნილი ქუჩები, სახლები, ადამიანთა მსხვერპლი. ეს უნდა აღგვექვა, როგორც დიდი და საჭირო გაფრთხილება, მაგ-

რამ სულიერმა სიბეცემ არ მოგვცა საშუალება, გვეხილა უბედურების ნიშნები.

იოანე ღვთისმეტყველის აპოკალიფსის ხილვებიც არ შორდებოდა პოეტის თვალთახედვას, როგორც წმინდა წერილის უებრო მცოდნეს, მის მოგონებათა სკივრში, ალბათ, ჩაძირული ატლანტიდის სახეც გაკრთებოდა.

უზენაესი მუდმივად გამოცდას უწყობს, განსაცდელს უმზადებს ადამიანებს, ხან ანებივრებს, ხან აჩოქებს, ღორმუცელობას არ აპატიებს, ზომიერების გრძნობას უნერგავს, რათა მოვლენებიდან სათანადო დასკვნა გააკეთოს და ამ წვრთნა–ფათერაკებში გონიერებით, ზომიერებით, იმედით იმარჯვებს: „თუ რამ სადმე მეტი შევსვი, გადმომდინდა ცხვირში ძმარად, ეს ცხოვრება ბაგირია, ხან დავძლიე, ხან დამძალა. ოქროს ჩიტი მოფრენილი ბევრჯერ თვალწინ ამაცალა, ფეხი წავკარ, წავიჩოქე, სულის მოთქმა არ მაცალა, ხან ალერსით მანებივრა, ხან დამაგდო ბაღში ცალად“...

დაკვირვებული პოეტი შეიცნობს ამ წყალობა–განსაცდელთა მნიშვნელობას: „ეს ცხოვრება ბაგირია, ხან დავძლიე, ხან დამძალა, ხან ცხელ-ცხელი პური მომცა, ხან მაჭმევდა ცივ მჭადს მცირედს, ეჰ, ცხოვრებავ, ვერ დამძალავ... შენ ორს ებრძვი – მე და იმედს“ (ეს ცხოვრება).

არსებობა სიკეთე-ბოროტების ჭიდილია, წარმატება – ხელმოცარულობის მონაცვლეობა. ღმერთმა ადამიანი ბედნიერებისთვის შექმნა, სიცოცხლის ხის ნაყოფი აგემა, უკვდავება მიანიჭა, ოქროს ჩიტი მოუვლინა სიხარულის მაცნედ, მაგრამ დიდი გამოცდაც მოუწყო, ბაგირს დაამსგავსა ცხოვრება, რომელიც ხან დაიძლევა, ხან არა. რადგან ადამიანს დაავიწყდა ზომიერება, ღმერთისგან აკრძალული ცნობადის ხის ნაყოფიც მიაყოლა სიცოცხლის ხის ნაყოფს, სატანისგან ცდუნებულმა და არც მოინანია, რის გამოც, ღმერთმა სამოთხიდან გამოაძევა პირველი ადამიანები – ადამი და ევა. ადამიანმა არ უნდა დაივიწყოს თავისი შესაძლებლობის საზღვრები, აკრძალული და ნებადართული, ზომიერება და

იმედი უნდა იფაროს ფარად, მაშინ არ გადაიჩეხება და წარმატების გარანტიას მოიპოვებს.

ბეჟან ხარაიშვილის შემოქმედება სიკვდილ–სიცოცხლის საიდუმლოს, მიღმური სამყაროს. საიდუმლოებების ძიებით, უკვდავებაზე ფიქრით გამოირჩევა.

პოეტს ხელეწიფებოდა „ხორცის ქვეყნის", ნივთის, საგნის, ფულის გამფეტიშებელი ქვეყნისა და სულის ქვეყნის, „სულის საყდრის" გარჩევა, გულწრფელად მსახურებდა მაღალ იდეალებს, მისთვის უცხო იყო პრაგმატული სურვილები, მაგრამ ირგვლივ „სულის სიმძიმეს", „ხორცის ჟეჟვას, ერთგულების ნაცვლად, გაცემა–გაყიდვას ხედავდა, მისივე სულიერების ტაძარში დანას ლესავდნენ უკეთურნი, მის მიერ დალაშქრულ მწვერვალებზე გაზაფხულის მზე კი არა, თოვლი და ყინვა იყო, დაკვირვებული თვალი და ყნოსვა ვარდის სახით მოვლენილ არსებაში შმორის სუნს შეიგრძნობდა, ნუგეშად კი რჩებოდა სინამდვილის სწორი შეცნობის, საკუთარი სიმართლის რწმენა, რაც მისი მარადიულობის გარანტი უნდა ყოფილიყო.

ლექსი „მრავალჟამიერ, ჩემო ბეჟანა" ცხოვრებისეული სიავის, ღალატის, გაუტანლობის პირისპირ დარჩენილი მარტოსულის ღაღადისია: „არ დაგკლებია გაჩენის დღიდან სულის სიმძიმე, ხორცის ჟეჟვა და მაინც იცანი, ვინ რა ფერია, მრავალჟამიერ, ჩემო ბეჟანა! მთელი ქვეყანა რომ ანაცვალე, იმათ გაგცვალეს, შენი კვნესამე და იმ საყდარში, შენ რომ აღმართე, გაგინებენ და დანებს ლესავენ... თაფლიც, ო, თაფლიც, ხედავ? გემწარის. ერთ გაზაფხულსაც ვერ მოესწარი, ისე დათოვა შენი მწვერვალი".

სატრფოს სიახლოვეშიც არა ვარდის, არამედ შმორის სუნის შეგრძნობი ასკვნის: „და მაინც გასწი, ნუ დაიდარდებ, გზად თუ არასდროს გამოგიდარა, ხომ გაიცანი, ვინ რა ფერია?! მრავალჟამიერ, ჩემო ბეჟანა!"

რატომ აკვიატებოდა ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე პოეტს სიკვდილის ლანდი, ნაადრევი აღსრულების მოლოდი-

ნი, რატომ ემზადებოდა ის ასე ნაადრევად მიღმურ სამყაროში გასამგზავრებლად?

რაკი ადამიანი მოკვდავია, სიკვდილზე ფიქრსაც ვერ გაექცევა.

არსებობს აზრი, რომ „... უნდა ვწეროთ სიკვდილზე, უნდა ვიფიქროთ მასზე, არანაკლებ იმისა, ადამიანები სიყვარულზე რომ ფიქრობენ“ (მ. ზოშჩენკო, მზის ამოსვლის წინ, გონებისათვის, თბ. 1986,გვ.213).

ეს პრობლემა აწვალებდათ სოფოკლეს, ბაირონს, მოპასანს, ჩეხოვს, ტოლსტოის, დოსტოევსკის, გოეთეს, გალაკტიონს, ტ. გრანელს, გ. ჩოხელს.

„ალერსიან დღეშიც“ „სიკვდილის ზღაპარი“ ეწვეთება სულს: „ალერსიანი შემოდგომის დღე მევლება გარს, ნიავი მითხრობს უცვლელ ზღაპარს, სიკვდილის ზღაპარს“ (გალაკტიონი, „უკანასკნელი დღე“).

სიკვდილის სიმღერას ისმენს პოეტი ედემის ბაღის ხის–ურთხმელის ტოტისგან: „ტოტმა, რომელიც სიბნელეს ერთვის, დიდი ხანია იმ ხით, ურთხმელით, მხოლოდ სიკვდილი იმღერა შენთვის, ბნელ განაჩენით გამოუთქმელით“ (გალაკტიონი, „იარე გზაზე“).

უკვდავება არაა მიწიერთა ხვედრი. მიღმურში გადახედვის სურვილი კი ცნობიერების გამდიდრებას, მორალური ღირებულებების მიგნებას ემსახურება, როგორც დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“.

„მრავალი სიკვდილის განცდაზე“ საუბრობდა ნიცშე.

შარლ ბოდერის „ღრმა ოცნების თანაზიარი“ იყო სიკვდილი – „ძველი კაპიტანი“, რომელიც „ქვესკნელის ბჭეებისკენ“ მიუძღვის ადამიანს „უცნობში რამე ახლის“ მოძიებისთვის (მოგზაურობა, „ბოროტების ყვავილები, თბ. 1992, გვ. 222).

ბოდლერი მოგზაურობდა ჰადესში, იცნობიერებდა მიჯნურთა, უპოვართა, ხელოვანთა სიკვდილს, იზიარებდა გარდასხეულების, სულის უკვდავების თეორიას, რითაც ამარცხებდა ტრაგიზმს.

გოეთე სიკვდილს „ძმას“ უწოდებდა „ფაუსტში“: „...და ჩვენი ძმა სიკვდილი ჩვენსკენ მოიპარება“:

სიკვდილს „მოკეთედ“ თვლიდა ფრენსის ბეკონი, გალაკტიონი „ძმად“: „სიკვდილს მე როდი შევუშინდები, იგი – ძმა მუდამ ჩვენს მხარეზეა, მე მეშინია იმგვარ სიცოცხლის, სიკვდილს რომ ჰგავს და უარესია“ (ნეაპოლში).

სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ გამოცანას ასე ეპასუხებოდა ვაჟა-ფშაველა: „ღმერთმა გიშველოს სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა“.

„სიკვდილი ჩვენი ცხოვრების იდუმალ ეტრატზე აღბეჭდილი მეშვიდე ბეჭედია, ჩვენი სულის უკანასკნელი წრთობა, უკანასკნელი ომი, მოუცილებელი მეაბჯრე“, აცხადებდა კ. გამსახურდია.

გალაკტიონმა შეიგრძნო „სიო, საიმქვეყნიო და საიმსოფლო“, დაინტერესდა „ყოფნისა და არყოფნის წიგნებით“, შექმნა თავისებური სიკვდილის სახელმძღვანელო, თავისი „შავი წიგნი“ და ვარდისფრად გარდასახულ სიკვდილის გზაზე „შუქთა კამარას“, „დიდ საიდუმლოს“ მიესალმა.

ტერენტი გრანელმა მოიახლოვა და გაიშინაურა სიკვდილი, იწამა სულის მარადისობა, „მესამე გზას“ მიაპყრო მზერა და თავის სამშობლოდ დასახა „ლაჟვარდები ცისფერი“, სიკვდილის შიში დაძლია იმის იმედით, რომ „სიკვდილია სიცოცხლეზე მეტი“.

გალაკტიონს და ტერენტი გრანელს სწამდათ „სულის გაღვიძება“, სულის მარადიულობა, გარდასხეულების თეორია, სულის მარადიული მოგზაურობა ხილულ თუ მიღმურ სამყაროში.

„უკვდავება მხოლოდ ისეთ ადამიანს დაუმკვიდრებია ამქვეყნად, ვინც მაღალი გრძნობის სახელით ცოცხალი ზიარებია სიკვდილს. გზა, უკვდავებისთვის მიმავალი, მუდამ სიკვდილის არკის ქვეშ გაივლის“, მიიჩნევდა კონსტანტინე გამსახურდია.

„სიკვდილზე ფიქრებს“ „სიბრძნის დედას“ უწოდებდა მერაბ კოსტავა, სიკვდილს არ მიიჩნევდა ბოროტებად, თავის

სამშობლოდ ზეცას, შემდეგ მიწას და საქართველოს მიიჩნევდა.

„მთელი ჩვენი ამქვეყნიური სიბრძნის, მთელი ჩვენი ბჭობისა და მსჯელობის საბოლოო დანიშნულება ის გახლავთ, რომ გვასწავლონ, როგორ დავაღწიოთ თავი სიკვდილის შიშს“, წერდა ფრენსის ბეკონი.

სიკვდილის შიშის დაძლევის საშუალებაა იმის შეგნება, რომ იგი „ახალი სიცოცხლის დასაბამია“ (მიშელ მონტენი, „ცდები“).



სტუდენტობის პერიოდი. საჩხერე. მოდი ნახე.

სიკვდილის შეხსენების, სიკვდილთან შეგუების მიზნით ეგვიპტელებს დღესასწაულის დროს, საუცხოო საჭმელ-სასმელთან ერთად, დარბაზში შემოჰქონდათ მუმია.

ძველი რომაელები გამარჯვებებს ქეიფით ხვდებოდნენ, ამავე დროს, ადამიანის საბოლოო ხვედრის შეხსენების მიზ-

ნით, არ ივიწყებდნენ სიკვდილის არსებობას, მონადიმეებთან მონას შემოჰქონდა ჩონჩხი და თავის ქალა შეძახილით: „მემენტო მორი! " (გახსოვდეთ სიკვდილი!), რათა ამ აქტით საზღვარი დადებოდა ადამიანის ყოვლისშემძლეობის მითს.

ტერენტი გრანელმა, რომელიც სიკვდილის პრობლემას გამუდმებით უღრმავდებოდა, 1924 წ. თავის პოეტურ კრებულს „მემენტო მორი" უწოდა, რაც ძალზე ღრმააზროვანი ჩანაფიქრის შემცველია. ამით იგი აფრთხილებდა ტირან ხელისუფლებას, რომელმაც 1924წ. აჯანყების მონაწილეთა ტოტალური განადგურება დაიწყო და 6 ათასი ქართველი მიწაში ჩააწვინა. ტერენტი გრანელი ხშირად მიდიოდა აწყურის ქუჩაზე, სადაც აჯანყების მონაწილეები დამარხეს და დაცვა იდგა. გადმოცემით, დაჭრილებს კი არ მკურნალობდნენ, არამედ ცოცხლად მარხავდნენ და მიწა იძროდა, რადგან ჯერ კიდევ სუნთქავდნენ, სამარეშიც ბორგავდნენ ომის კანონების დამვიწყებელთა მსხვერპლნი.

სიკვდილის მოახლოებას მშვიდად ვერ ხვდება ის, ვინც ანდერძდაუტოვებელი მიდის ამ ქვეყნიდან (ფრენსის ბეკონი, „სიკვდილის თაობაზე").

ვისაც მრავალი ამაღლებული ჩანაფიქრი აქვს და სიკვდილის აჩრდილს ხედავს, ბუნებრივია, თავის აუსრულებელ ოცნებებს სინანულით ეთხოვება, როგორც ბეჟან ხარაიშვილი.

პოეტს ამქვეყნად რჩებოდა „აუსრულებელი ოცნებები", „ლექსების რვეული", „ცხოვრების ანი და ჰოე", „ჯერ დაუწერელი სტრიქონები"...

გარდაცვალება მისთვის იყო ცაში დამკვიდრება და სიკვდილს უცქეროდა, როგორც ბედის გამოცდას, გარდასახვას და დარწმუნებული იყო, რომ „ზეციური საგზლით" – სიყვარულის თანხლებით, მარადიულობის სავანეს მიახლებული, ვარსკვლავად აენთებოდა (... და ვტოვებ, ვტოვებ).

გვახსენდება გალაკტიონის ანალოგიური აზრი, სხვა ფორმით, სხვა სტილით გაცხადებული: „... შენ მხოლოდ მა-

რადი სიმაღლე გიშველის, როს შუქად მშობლიურ ცას შეეშენები“ (დრო).

ბეჟან ხარაიშვილს სწამდა, რომ „გული სამარეშიც იმზიანებს, გული სამარეშიც ამღერდება“ (ცა რომ მტრედისფერობს).

სიცოცხლე დღეგრძელობით კი არა, ადამიანის გმირული, სულით, მისი მიერ დატოვებული საქმეებით, ხელოვნებით იზომება. ამის მაგალითად ესახებოდა მირზა გელოვანის ხანმოკლე სიცოცხლე და ბეჟან ხარაიშვილმა მისდამი მიძღვნილ ლექსში ასეთი ქრესტომათიული სიბრძნე გააჟღერა: „პოეტები ყველაზე ადრე კვდებიან და პოეტები ყველაზე დიდხანს ცოცხლობენ“ (ხვედრი პოეტთა).

ბეჟან ხარაიშვილის პოეზიაში მრავალი რამ არის წინასწარმეტყველური, ნაადრევად განჭვრეტილი, როგორც პირად ცხოვრებაში, ისე საერთო–საზოგადო პრობლემებიდან.

ახალგაზრდა პოეტის მთელი შემოქმედება არის შიშის დაძლევა, სიკვდილის დამარცხების სურვილი.

პოეტისთვის მისაბაძი მაგალითია არსაკიძის პიროვნება, სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებელი მკლავმოკვეთილი ხელოვანი. თვითონაც მზად არის, ორივე მკლავის მოსაჭრელი კედლები ააშენოს, სიკვდილი დაამარცხოს, ან ვაჟას მთებში დაიმარხოს, რათა მისმა სულმა ხმელი წიფლის ფესვები გააენედლოს: „... და ვაშენებდე გაღმა – გამოღმა ორივე მკლავის მოსაჭრელ კედლებს, რომ სამოთხეში, გინდ ჯოჯოხეთში თავთან დაკლული სიკვდილი მედოს, ანდა ვაჟაის მთებში ჩამმარხა, ხმელი წიფელის სანედლო ფესვად“ (ნატვრა).

სიკვდილის დამარცხების სურვილით ანთებული, მამა–პაპის რაინდული სულის და სისხლის მატარებელი ხევსურია ლექსში ორწყალთან შედგა შემთვრალი ხევსური“: „ორწყალთან შედგა შემთვრალი ხევსური, „...ქარი ხმელ წიფლის ტოტებს არხევდა... – ერთი მეც უნდა მაგკლა სიკვდილო... თქვა და ჩანისლულ ხევებს გახედა“.

თითქოს ორ მთას შუა რუხი კამეჩებივით გაწოლილი

ნისლები დევის ხახასავით ემუქრებიან პოეტის სიჭაბუკეს: „დინჯად ალოკეს ძირულას ტალღები რუხმა კამეჩებმა,–– ნისლებმა და ორ მთას შუა, როგორც ნაცნობ დევის ხახაში ინამცოხრებენ ჩემს სიჭაბუკეს“ (დინჯად ალოკეს).

ლექსში „წინაგრძნობა“ მღვრიე ღელე, აუგის მთქმელები მიაცილებენ პოეტს „უსამართლო და „უცხო მხარეში“, ირგვლივ ქარი თარეშობს, სხივი გაუჩინარებულია, საყდარი მიტოვებული, სული გვემული, სიცივე, უგზოობაა მტანჯველი, ხოლო უცხო ნაპირიდან უხმობს მებორნე: „რა სიცივეა, გზაი არა ჩანს, კივის მებორნე უცხო ნაპირთან, იმას მისრულებს მუხთალი ბედი, იმას მისრულებს, რასაც დამპირდა“.

ბეჟან ხარაიშვილის იდეალია ომში გმირულად დაღუპული ახალგაზრდა პოეტი მირზა გელოვანი, რომელმაც არ იცოდა, რა იყო შიში, ხოლო ტკივილით და სინანულით მოსაგონარია ფეოდალური შუღლის, შურის გამო საქართველოდან განდევნილი რაინდი –გიორგი სააკაძე, რომელიც მოსაჩვენებლად სპარსეთის ჯარს შემოუძღვა, ვითომ საქართველოს დასამარცხებლად და გაუგონარი გამარჯვება მოიპოვა მომხდურზე სპარსეთში მძევლად დატოვებული პაატას მსხვერპლად შეწირვის ფასად (ფულისთვის კი არა).

პოეტი წუხს, „სიხარულს მუდამ სევდა რომ ერთვის“ (არ გიკვირს).

სიკვდილ – სიცოცხლის პრობლემის ორიგინალური გააზრებაა ლექსი „სანთლის ღერით“. ვიღაც კვდება, ცოცხლები კი ასანთის ღერით კბილებს იჩიჩქნიან, ანუ ხორცის საჭმელად ემზადებიან, ხორცის მოსახარშად ქვაბებს ამზადებენ, სამფეხა ძაღლს ცემით ისტუმრებენ, ყასბები დანების პრიალით ცხადდებიან, საზვარაკოდ გამზადებული მოზვრები ამას ერთმანეთს ზმუილით ამცნობენ და ყელში უტოკავთ „ერთადერთი სიცოცხლის ნერვი“. აი, ასე, ერთი შეხედვით, ნატურალისტური, ყოფითი სურათების ჩვენებით, ქვეტექსტებით გვამცნობს ლექსის პერსონაჟი მეზობლის სიკვდილთან, როგორც ჩვეულებრივ ამბავთან შეხვედრას. კაცების

ალესილი კბილები, ყასბების დანების პრიალი გვარწმუნებს, რომ აქ ზედაპირული აღქმაა სიკვდილ–სიცოცხლის და არა ფილოსოფიური ჭვრეტა, ამ იდუმალი მოვლენის სერიოზული გააზრება: „ასანთის ღერით კბილები დაიჩიჩქნეს კაცებმა, სამფეხა ძაღლმა სანაგვეს მიაშურა ნაცემმა, სახლის კუთხეში ქვაბები შემოდგეს მურიანი, დანების პრიალით. შემოდგნენ კაცები შურიანნი ...მეზობლის ქალებმა საქმე გაიჩინეს ძაძების კერვით, – ვიღაც მომკვდარაო, გადაზმუვლა მოზვერმა მოზვერს და ყელში შეტოკდა ერთადერთი სიცოცხლის ნერვი“ (ასანთის ღერით).

პოეტს აღაშფოთებს ეს შეგუებული სიკვდილი, ადამიანის საბოლოო აღსასრულის დაკავშირება მავანთა დანაყრებასთან, არა მწუხარება, არამედ მოვლენის გამართლება იმით, რომ ყველანი სიკვდილის შვილები ვართ: „სამოცს გადასდაო, – თქვა ერთმა დანანებით, – რას იზამ, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, თქვა მეორემ და ხელები გაშალა, ღმერთმა აცხონოს, – ჩაურთო მესამემ, – აჰა, გვიჭამია ხაშლამა!“

ლექსის ავტორი ამ სიკვდილის თანამდევ მოვლენას წარმოიდგენს, რომ მიცვალებულს სისხლისფერი მოზვერი უნდა დააკლან დაუნდობლად, არ ემეტება ღვინია, ერის, ვაჟკაცობის, შრომის სიმბოლოდ ქცეული გონიერი ცხოველი და მოუწოდებს: „წადი, გაასწარი ტყისკენ, გაასწარი, ჩემო სისხლისფერო მოზვერო, ყელში ჩაგიკლავენ სიცოცხლეს ხანჯლებით, არც შენ დაგინდობენ, ოხერო!“ (სამოცს გადასცდაო).

ყოველი ადამიანი განუმეორებელი არსებაა და მის ამქვეყნიდან წასვლას, ბეჟან ხარაიშვილის აზრით, თან უნდა ახლდეს სიცოცხლის თუ სიკვდილის გონივრული გააზრება, ხანმოკლე არსებობაში თავის დანიშნულებაზე, რაობაზე სერიოზული ფიქრი, მიუხედავად იმისა, ბრძენი ტოვებს ამ სამზეოს თუ უგნური.

ილია ჭავჭავაძემ ფუქსავატ ლუარსაბ თათქარიძის სიკვდლს მთელი ფილოსოფიური განსჯა შეაგება ადამიანის დანიშნულებაზე.

ბეჟან ხარაიშვილი ვერ ეგუება მოვლენათა ზერელე აღქმას, მას სწადია ყოველი მოვლენის ძირისძირის განჭვრეტა, არა მხოლოდ სადღეისო, სამომავლო ჭეშმარიტების ძიება და პოვნა. ამ შემთხვევაში იგი დიდ წინაპართა ტრადიციების შემოქმედებითი გამგრძელებელია.

ლექსი „ძაღლის ბედი" ამ პრობლემის ჭრილში გაიაზრებს ერთგულების, სიკეთე–უმადურობის, უსულგულობის პრობლემას. ძაღლი, როგორც ერთგულების სიმბოლო, ლექსში პატრონის გულგრილობის მსხვერპლი ხდება.

სამფეხა ძაღლის ჩამჭკნარ ფერდებში შიმშილი თვლემს, რაც პატრონის არაადამიანურ ხასიათზე მეტყველებს, ძაღლი მაინც ერთგულად უტევს ღამეს.

შებრალების ნაცვლად, პატრონი ქვებს იმარაგებს, სამფეხა ძაღლი კი არსად გამქცევია. უგულო პატრონი ცდილობს, მალე მოიშოროს კოჭლი ძაღლი, ის კეტავს ფანჯარას და თვალებით თხრის ძაღლის დასაფლავ მიწას.

ლექსი ასე მთავრდება: „ჯაჭვის მახლობლად ძაღლის სიცოცხლეს ერთგულებაზე დაეხრჩო თავი".

ასე გაიცხა პოეტმა სიკეთესმოკლებული, უგულო, უმადური პატრონი, რომელმაც არ დააფასა ერთგული ძაღლი და ქვეტექსტებში იგულისხმება, რომ ასეთ ადამიანს არც თვისტომთა სიბრალული ექნება, არც ადამიანის ფასი ეცოდინება.

„გოგოლაურთას შევესწარ ხატობას, ყელში ჩაუკლეს სიცოცხლე ჭედილებს... დღეს, რა თქმა უნდა, მომიწევს დათრობა და საქართველოს სისხლიანი, ავი წარსული წვეთ–წვეთ, თანდათან გამოჟონავს ჩემს თვალებიდან" (ხატობაში), წერს პოეტი და უმანკო ცხოველის სისხლთან ერთად, სამშობლოს უბედო წარსულში დაღვრილი სისხლი უშხამავს გუნებას.

ჰადესში მოგზაურობა

სიკვდილზე ფიქრი, ჰადესში მოგზაურობის სურვილი მოკვდავი ადამიანის მუდმივი თანამდევია. სრულყოფა და უკვდავება მიწიერთა ხვედრი როდია. მოკვდავის მცდელობა, მიღმურში გადახედვის სურვილი მხოლოდ ცნობიერების გამდიდრებას და ახალი მორალური ღირებულების მიგნების სტიმულია.

ასტრალური მოგზაურობის უნარით მომადლებული დანტეს ხედვა, სული მდიდრდებოდა მიღმური შთაბეჭდილებებით: „გამახვილდა აქ თვალი ჩემი და შემეცნებაც მკვიდრ ნიადაგს დამყარებია" (ღვთაებრივი კომედია, თბ. 1941, გვ. 293).

„ხილვის გაახლება", ახალ, სამერმისო ცნობიერებამდე, ამაღლებაა ჰადესის საუფლოში ჭვრეტის შედეგი დანტეს მიხედვით.

სიცოცხლეში სიკვდილის განცდა, მის საიდუმლოებებზე ფიქრი რჩეულთა ხვედრია. ესაა პირობა წარმავლობის გამარადიულებისა.

„რათა იარაღი ავყაროთ სიკვდილს, ჩამოვაშოროთ მას იდუმალების საბურველი, დავუკვირდეთ და თანდათან გავუშინაურდეთ მას... უფრო ხშირად ვიფიქროთ მასზე, ვიდრე სხვა რამეზე ვფიქრობთ", გვირჩევს მიშელ მონტენი.

„არ ვიცით, სად გვისაფრდება სიკვდილი, მაშ, მოდით, ყველგან ველოდოთ მას. სიკვდილზე ფიქრი თავისუფლებაზე ფიქრს ნიშნავს. ვინც მიეჩვია სიკვდილს, მონობას გადაეჩვია. ვინც გვასწავლის, როგორ მოვკვდეთ, იმავდროულად გვასწავლის, როგორ ვიცხოვროთ".

„სიკვდილზე ფიქრი ძალზე სასარგებლო რამ გახლავთ".

„...სიკვდილი სამყაროული წესრიგის ერთი ნაწილია. ის არის სამყაროს სიცოცხლის ნაწილი".

„... სიცოცხლის ხანგრძლივობა დღეგრძელობით კი არ იზომება, არამედ იმით, თუ როგორ მოიხმარეთ იგი", წერს მიშელ მონტენი, „ცდებში".

ფრენსის ბეკონი გვამცნობს: „სული, ასხლეტილი სხეულის არტახებს, თვითვე მაღლდება ყოველდღიურობის არადჩამგდები, მიჰყვება თავის წარმმართველ ხელს.

„...სიკვდილი არსებობისგან კი არ ათავისუფლებს ადამიანს, მარტოოდენ გარდასახავს მას" (სიკვდილის თაობაზე).

ჭეშმარიტი პოეზია სიცოცხლესთან ერთად, სიკვდილის რაობასაც აცნობიერებდა: „არ ვარ მეხოტბე მარტოოდენ სიცოცხლის გრძნობის, სიკვდილის ტრფობაც შემიქია, მიდიდებია", აცხადებდა უოტ უიტმენი ლექსში „ჰიმნები სიხარულისადმი" (ბალახის ფოთლები, თბ. 1966).

შარლ ბოდლერისთვის „ღრმა ოცნების თანაზიარია" საფლავი. სიკვდილი „ძველი კაპიტანია" და სასურველია მასთან ერთად უფსკრულში დანთქმა, რათა „უცნობში მოვიძიოთ რამე ახალი" (მოგზაურობა) („ბოროტების ყვავილები", თბ. 1992, გვ.222).

ბოდლერი მოგზაურობდა ჰადესში, იცნობიერებდა მიჯნურთა, უპოვართა, ხელოვანთა სიკვდილს, იზიარებდა გარდასხეულების თეორიას. სულის უკვდავების რწმენით სძლევდა ტრაგიზმს.

ნიცშესთვის „სად საფლავნი ჰგიებენ, ჰგიებენ აღდგომანი" (ესე იტყოდა ზარატუსტრა, თბ. 1993, გვ. 88).

„და ჩვენი ძმა სიკვდილი, ჩვენსკენ მოიპარება, აცხადებდა გოეთე „ფაუსტში".

სიკვდილ–სიცოცხლის მარადიულ გამოცანას ასე ეპასუხებოდა ვაჟა–ფშაველა: „ღმერთმა გიშველოს სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა".

კონსტანტინე გამსახურდიასთვის სიკვდილი „ჩვენი ცხოვრების იდუმალ ეტრატზე აღბეჭდილი მეშვიდე ბეჭედია, ჩვენი სულის უკანასკნელი წრთობაა, უკანასკნელი ომია, მოუცილებელი მეაბჯრეა".

„სიკვდილს მე როდი შევუშინდები, იგი ძმა, მუდამ ჩვენს მხარეზეა, მე მეშინია იმგვარ სიცოცხლის, სიკვდილს, რომ ჰგავს და უარესია“, ამბობდა ქართველი პოეტების მეფე გალაკტიონი. „არტისტული ყვავილების“ ავტორმა შეიგრძნო „სიო, საიმქვეყნიოს და საამსოფლო“, დაინტერესდა „ყოფნის და არყოფნის წიგნებით“, შექმნა თავისებური სიკვდილის სახელმძღვანელო, თავისი „შავი წიგნი“ და „ვარდისფერი სიკვდილის გზაზე“ „შუქთა კამარას“, „დიდ საიდუმლოს“ მიესალმა.

ტერენტი გრანელმა მოიახლოვა და გაიშინაურა სიკვდილი, იწამა სულის მარადიულობა და „მესამე გზას“ მიაპყრო მზერა ...პოეტს სამშობლოდ ესახებოდა „ლაჟვარდები ცისფერი“, „სიკვდილია სიცოცხლეზე მეტი“, გვარწმუნებდა „მემენტო მორის“ ავტორი.

გალაკტიონმა და ტერენტი გრანელმა „სულის გაღვიძების“, ასტრალური მოგზაურობის არაჩვეულებრივი მაგალითებით გაგვაოგნეს.

„სიკვდილზე ფიქრებს სიბრძნის დედას“ უწოდებდა მერაბ კოსტავა და აცხადებდა: „ჩემი სამშობლო ზეცაა თავად, შემდეგ ეს მიწა და საქართველო“.

ცნობილია, რომ სააქაო და საიქიო ერთმანეთთან კავშირშია, მიცვალებულები ცოცხლებს ევლინებიან და, პირიქით, ამქვეყნიურთ ჰადესში ჭვრეტის უნარი მიემადლებათ.

„მთელი ამქვეყნიური სიბრძნის, მთელი ჩვენი ბჭობისა და მსჯელობის საბოლოო დანიშნულება ის გახლავთ, რომ გვასწავლონ, როგორ დავაღწიოთ თავი სიკვდილის შიშს“, წერდა ფრენსის ბეკონი.

სიკვდილთან გაბედული დამოკიდებულებით, უკანასკნელ საზღვართან დგომით და მის საიდუმლოებათა ამოცნობის სურვილით, სიკვდილის შიშის დამარცხებით ცნობილია ერნესტ ჰემინგუეის ცხოვრება (სიკვდილის და შიშის შესახებ).

კანტისთვის უცნობი იყო სიკვდილის შიში, გოგოლი, ეკატერინეს ფავორიტი პოტიომკინი, დედოფალი ელიზავე-

ტა პეტროვნა, ხელმწიფე მიხაილ ფედოროვიჩი, პოეტი ალ. ბლოკი დამბლადაცემულნი იყვნენ სიკვდილის შიშით.

შიში აჩლუნგებს ბრძოლისუნარიანობას, ფარ-ხმალს აყრევინებს ადამიანს და ხშირად სიკვდილის მიზეზი ხდება.

„ასეთ დროს ნორმის ფარგლებში" ადამიანს გონება უნდა მოევლინოს მხსნელად, შიში მან უნდა დათრგუნოს.

„გონება, იდეები და ამაღლებული გრძნობები თრგუნავენ შიშის გრძნობას, ამარცხებენ სიკვდილს", წერს ზოშჩენკო (მზის ამოსვლის წინ, გონებისთვის, თბ. 1986).

სიკვდილისათვის თვალის გასწორება, სიცოცხლეშივე მასთან შეგუება-გაშინაურება ესახება კ. გამსახურდიას შიშის დასაძლევ ძალად: „ვისაც სიცოცხლეში რამდენჯერმე განუცდია სიკვდილი, მისთვის სიკვდილის იდუმალება და შიში აღარ არსებობს, თუმცა სიცოცხლე ადამიანებს თოვლივით ადნებათ ხელში".

არსებობს სიკვდილის რელიგიური, მითოლოგიური, ფილოსოფიური (მატერიალისური თუ იდეალისტური) ახსნა.

მსოფლიოს ყოველ დიდ შემოქმედს უცდია მიღმურის ფარდის გადაწევა და ლანდეთის სამყაროს იდუმალებათა შეცნობა. ამ ძიების მიზანია შემეცნების გაფართოება, რადგან „ჩვენ უცნობისა და დაფარულის ძიებისას უფრო უკეთესნი, უფრო მხნენი და ქმედითნი ვხდებით" (პლატონი, „მენონი", გვ. 146).

„ფილოსოფია, პლატონისეული სიტყვებით რომ ვთქვათ, სიკვდილისთვის მზადებაა, ე.ი. მას ევალება იმდენად სრულყოს სული, რომ იგი სამუდამოდ დარჩეს იდეათა სამყაროში და გადაურჩეს მოკვდავთა ნაკლულ ქვეყანაში კიდევ ერთხელ დაბრუნებას" (უილიამ გათრი, „პლატონი", ბერძენი ფილოსოფოსები, თბ. 1983, გვ. 110).

ყველა რელიგიასა და იდეალისტურ ფილოსოფიებში სული უკვდავ ფენომენად არის აღიარებული.

ეგვიპტური და ტიბეტური მკვდრების წიგნი წარმოადგენდა გარდაცვალების სახელმძღვანელოს. მათში მოთხრობილია, თუ როგორ უნდა შეხვდეს ადამიანი სიკვდილს.

ასეთი კრებულები არსებობს ამერიკაში (Жизнь после смерти, 1990)

გარდაცვალების შემდეგ ადამიანის ფიზიკური გარსი ისპობა, სული კი მოგზაურობს და ღვთაებრივ სასამართლოზე წარდგება.

ეგვიპტური მიცვალებულთა წიგნის მიხედვით, სიკვდილის შემდეგ ადამიანის სულს უნდა გაევლო ოზირისის – მიცვალებულთა მეუფის სამსჯავრო და ფიცით უნდა ემტკიცებინა თავისი უცოდველობა. მისი სიმართლის შემმოწმებელი იყო სიმართლისა და წესრიგის ქალღმერთი მაატი. მიცვალებულის გული სასწორზე იწონებოდა და თუ იგი ფრინველის გულს გადასწონიდა, ეს ცოდვილობის საბუთი იყო და მას დემონები შთანთქავდნენ. უცოდველი კი ღვთაება ანუბისს იალუს მინდვრებში გადაჰყავდა, რათა მზის ღმერთის თანმხლები გამხდარიყო მზიან ნავზე მუდმივი მოგზაურობისთვის.

მიცვალებულთა ცოდვების უარყოფის ტექსტი ერთ ასეთ მუხლს შეიცავს: „მე სუფთა ვარ, მე სუფთა ვარ“ (ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბ, 1990,გვ. 130).

ტიბეტური წიგნის მიხედვით, სიკვდილი არის ცნობიერების გადასვლა უფრო მაღალ საფეხურზე. აქაც მთავარია ღვთაებრივი სასამართლო, სადაც მიცვალებულთა მოსამართლე, დხარმა–რადჟა აფასებს მიცვალებულთა საქმეებს კარმის სარკის საშუალებით. სარკეში ირეკლება გარდაცვლილთა კარგი და ცუდი საქმეები.

მანუს კანონებში (ძვ. წ. II და ჩვ. წ–ის IIს.) სიკვდილის ღმერთს ეწოდება იამა.

მიცვალებულთა სამეფოზე არსებული წარმოდგენები შექმნილია იმ ადამიანთა ნაამბობის მიხედვით, რომელთაც

გადაიტანეს კლინიკური სიკვდილი. სიკვდილის სიკეთე მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანს შთააგონებს ამქვეყნიური ცხოვრების მცირე დროის გონივრულ გამოყენებას, ამა სოფლის წარმავალი არსებობის მაღალი იდეალებით, წმინდა ზნეობით გაჯერების აუცილებლობას.

შტაინერის მიხედვით, „შავ და თეთრ გზებს" შორის არჩევანს განაპირობებს ადამიანის სიწმინდე, მისი განვითარებული სულის სიმაღლე (შტაინერი, „როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება", თბ,1993, გვ. 104-113).

ბეჟან ხარაიშვილის ხანმოკლე სიცოცხლე, მისი სული რატომღაც სულ სიკვდილზე ფიქრებით იყო სავსე. როგორც შემოქმედს, დიდი სურვილი ჰქონდა, შეეცნო მიღმური სამყაროს საიდუმლოებები, მაგრამ იქ დარჩენა კი არა, სიცოცხლე და ისევ ხილულ სამზეოში დაბრუნება ეწადა: „...ამ ბოლო დროს საიქიოს ამბები ძალიან მაწუხებს. მეშინია, რამე ცუდი არ მომივიდეს. მე მინდა მოვკვდე, ვნახო საიქიო, მაგრამ იქ ვერ დავრჩები. უბრალოდ, ვნახავ და დავბრუნდები. ვნახავ და დავბრუნდები".

ხევსურეთის ცადაწვდილი მთებით და კოშკებით აღტაცებული, ვეძას წყაროთი დარწყულებული, ცდილობდა ამ მხარის სილამაზე ქაღალდზე გადაეტანა, ცდილობდა მოეთვინიერებინა, ლექსის არტახებში მოექცია სიტყვათა ზღვაური, მერე კი ჩაეძინა და სიზმარში ზღვის ნაპირზე აღმოჩნდა უბის წიგნაკით და ავტოკალმით. ზღვა გაყინული იყო. ზღვის დასალიერზე კი უამრავი მზე ენთო, ზოგი ამომავალი, ზოგი–ჩამავალი. გაყინულ ტალღებს მიმწუხრის ფერი იდო, რაც შიშს იწვევდა. მერე ზღვა მზერაში გადნა და დასალიერზე ნახევრად ჩასული გამოჩნდა.

შემდეგ მოხდა საოცარი რამ. ზღვის ნაპირზე, უამრავ ხალხთან ერთად, ის და მისი თანატოლები იდგნენ უბის წიგნაკებით და ავტოკალმებით.

ზღვის ტალღებზე ზღვათა და საუკუნეთა მიღმიდან ღმერთკაცი გამოჩნდა და რომ გაიგო, ნაპირზე ქართველები არიანო, შეწუხდა მათი სიმცირით, რამ დაგაბეჩავათ, რამ

დაგაკნინათო. ღმერთკაცმა მიწას აკოცა. ოთხი უხუცესი მიეგება, დაუჩოქა თავდახრით. რუსთველმა ყველა წამოაყენა. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი გაიცნეს აკაკიმ, ილიამ, ვაჟამ, გალაკტიონმა.

როცა გალაკტიონი ლექსს კითხულობდა, ზღვა ბობოქრობდა, ტიროდა რუსთველი, ტიროდა ხალხი. როცა კითხვა დაამთავრა, ზღვა დაცხრა.

რუსთველმა იკითხა, თუ ვინ იყვნენ ნაპირზე თავმოყრილი ბავშვები. აკაკიმ უპასუხა: ესენი პატარა პოეტები არიან, ლექსებზე ჩალიჩობენ, კალმები დააქვთ, მხატვრულ სახეებს ინიშნავენ, ეძებენ და ისევ ინიშნავენ, მერე დაჯდებიან და ღამეებს სიტყვების შერჩევაში ატყეპლისფერებენო. ლექსზე იმდენს წვალობენ, იმდენს აშალაშინებენ, რომ გათენებისას თეთრი ლექსი რჩებათო.

რუსთველს ლექსები წაუკითხეს ახალგაზრდებმა. ყველა ლექსი ზეცით იწყებოდა და ზეცით მთავრდებოდა. მშრალი სიტყვების რახარუხით სანაპიროზე მტვერი დადგა, ზეცა შეინჯღრა. რუსთაველმა შეაჩერა ისინი და ოხვრით უთხრა: „დიდთა ვერ მოჰკლავთ ნადირთა“... უბის წიგნაკები და საწერკალმები ყველას წაართვა და მიწით დაუთხუპნა, უბის წიგნაკები კი ზღვაში გადაუყარა.

“ – ვისაც კალამს დავუბრუნებ, წერა იმან გააგრძელოს, ვინც ისე დარჩება, თავისუფალია ამ ხელობისგან. ლექსი ვერც ყანას მომკის, ვერც გაგაძღებს და ლექსმა შეიძლება ყანაც მომკას და კიდეც გააუკვდავოს პოეტი. ლექსმა შეიძლება სამყარო ააფეთქოს, ან დაამშვიდოს“.

რუსთაველმა ოთხ ახალგაზრდას კალმები წაართვა და უთხრა: „წადით, მოთოხნეთ, მომკეთ. ისიც ლექსია, სიმღერაა, სიხარულია“.

შემდეგ ოთხეულსაც იგივე გაუმეორა.

როცა მოთხრობის ავტორის ჯერი დადგა, რუსთველმა იკითხა, ეს კალამი ვისიაო, ჩემია! – წამოიძახა ახალგაზრდამ და ხელი გაუწოდა, იგრძნო, რომ ავტოკალამს აძლევდნენ.

ეს იყო ყველაზე დიდი პოეტური მაესტროს ნებართვა, წყალობა, რომ წერა გაეგრძელებინა, რაც უზომო სტიმული იყო ახალბედა ავტორისთვის.

ხევსურეთში ცხოვრებამ, მთის რაინდული ბუნების ხალხთან ურთიერთობამ, მათთან შრომამ უაღრესად ძლიერი გახადა მისი სული და სხეული.

სწორედ აქ დაესიზმრება საკუთარი სიკვდილი, დამარხვა, საიქიოში მოხვედრა, თუმცა „იქაურები" საიქიოს აქაურობას ეძახიან.

სიკვდილამდე ძმასთან ერთად ვაშლი და ვენახი გააშენა.

თვითვე დაესწრო საკუთარ გასვენებას. ცრემლს აღვრიდნენ დედა, შეყვარებული.

ჯუჯამ უბრძანა, სიკვდილზე ელოცა, მაგრამ ის არ დათანხმდა, რაზედაც ჯუჯამ უთხრა: „შენ რომ სიკვდილზე გელოცა, აქაურობას საერთოდ ვერ ნახავდი... სიკვდილს ჯიუტი ხალხი უყვარს, – სიამოვნებს, როცა მას ეჯიბრებიან, ედავებიან, სახელს უტეხენ. იცის, ბოლოს თვითონ რომ გაიმარჯვებს და დამმარცხებელს დაამარცხებს. სიკვდილს საბოლოოდ ვერავინ მორევია, თუ მოინდომა, სიკვდილი ღმერთს მოკლავს. სიკვდილს უფლება აქვს, მთელი სამყარო არარაობად აქციოს,... კაცობრიობა მოსპოს... ამით თქვენი ღმერთი მოკვდება, შემქმნელი და თაყვანისმცემელი არ ეყოლება.სამყარო დარჩება, მაგრამ შემმეცნებელი აღარავინ იარსებებს, შემეცნების გარეშე კი სამყარო და მის ირგვლივ არსებული მოვლენები არარაობაა. არარაობა და სიკვდილი ძმები არიან."

პალმების ქვეშ, ტბასთან ისვენებდნენ რუსთაველი, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი. სიკვდილმა მათი ვინაობა არ იცოდა, მათ ღვაწლი და ამაგი მოკვდავთათვის დაეტოვებინათ, თავიანთი სახელებიც იქ დარჩენოდათ. ისინი უსახელო მკვდრები იყვნენ. უსახელო მკვდრებს სიკვდილი სახელებს არ არქმევს, ტბის პირას, პალმების ძირში აჯენს და ანებივრებსო. ეს ტბა უსახელო მკვდრებისაა და მასთან ახლოს სახელიანი მკვდარი ვერ მივაო, უთხრა ჯუჯამ.

ჯუჯა მკვდარს უკულმა ათოხნინებდა, რაზედაც აუჯანყდა ხალგაზრდა, ყელში წვდა და დახრჩობა მოუნდომა, სამაგიერო სილაც მიიღო. ეს ჯუჯა კი არა, მისი ხევსური მასპინძელი ანიელი იყო.

მერე დილით ტყიდან ცვრიან ბალახზე გამოკუნტრუშებული შვლის ნუკრი იხილა, მთიელს თოფი მოჰპარა, ვაზნები ამოიღო და გარეთ გაყარა.



ბეჟან ხარაიშვილის შვილი – ლაშა და რძალი – ხატია ხატიაშვილი.

ორეულთან შეხვედრა

ბეჟან ხარაიშვილის შემოქმედებაში გვხვდება ორეულიც, რაც გვარწმუნებს, რომ მას წარმოდგენა ჰქონდა ადამიანის საწყისებზე, ამასთან, გამახვილებული ინტუიციაც უწყობდა ხელს, შეეგრძნო საკუთარი არსების იდუმალი მეორე, ადამიანის ბუნების თანდაყოლილი თუ მერე შეძენილი ნეგატიურ–პოზიტიური საწყისები. შეხვედრა ორეულთან, თვითმხილება ემსახურებოდა მთავარ მიზანს – ზნეობრივი განწმენდის აუცილებლობის შეგნების გაღვიძებას და ეს არ იყო მხოლოდ პირადული ამოცანა, არამედ ზოგადად ადამიანის ბუნების უცდომელი ჭვრეტა და საკუთარი სულის, ერის, ზოგადად კაცობრიობის თვითშეცნობის იმპულსი.

იოგების ფილოსოფიის მიხედვით, ადამიანი შედგება შვიდი საწყისისგან. პირველია ფიზიკური სხეული. მეორე– ასტრალური სხეული, მესამე– პრანი ანუ სასიცოცხლო ძალა, მეოთხე ინსტინქტური ჭკუა, მეხუთე–ინტელექტი, გონება, განსჯა, მეექვსე – სულიერი ჭკუა, განჭვრეტის უნარი, ინტუიციური ჭკუა, მეშვიდე – სული.

ამ შვიდი საწყისიდან ყველაზე დაბლა დგას ფიზიკური სხეული, ის ადვილად აღსაქმელია და წარმოადგენს ადამიანის აგებულების უხეშ ნაწილს.

მეორე საწყისი არის ასტრალური სხეული, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ფიზიკურთან, როგორც მისი ასლი. ასტრალური სხეული ადრიდანვე იყო ცნობილი, მას უწოდებდნენ „ეფირულ სხეულს, ფლუიდურ ორეულს“, ორეულს“. ის ფიზიკურისგან განსხვავებულ წვრილ, თხელ მატერიას წარმოადგენს.

ასტრალური სხეული არის ორიგინალი, რომელზედაც არის აშენებული ფიზიკური სხეული. ცალკეულ შემთხვევებში ისინი შეიძლება იყონ ცალცალკე. შეგნებულად მათი გაყოფა ძნელია, მაგრამ მაღალი ფსიქიკური განვითარების

ადამიანებს შეუძლიათ შექმნან შთაბეჭდილება ფიზიკური ორგანოების გარეშე ყოფნისა.

ოკულტიზმის მიმდევრებს შეუძლიათ შეგნებულად გამოყონ თავიანთი ასტრალური სხეული და ხილული გახადონ ის. ნათელმხილველები ხედავენ ასტრალური სხეულის ფიზიკურისგან გამოყოფას სიკვდილის მომენტში.

ძილის დროს ადამიანის „მე" ფიზიკური სხეულიდან გადადის ასტრალურ სხეულში.

უმაღლეს სამყაროს ეწოდება ასტრალური, რომელშიც შედის სხვადასხვა სიბრტყე.

ხუთი ფიზიკური გრძნობის პარალელურად, ადამიანს აქვს ხუთი ასტრალური გრძნობა, რომლებიც არიან ფიზიკურის ორიგინალები. ადამიანს შეიძლება ჰქონდეს მეექვსე გრძნობაც, რომელიც იძლევა ტელეპატიურ უნარს. ფიზიკური ორგანოების შესატყვისია ასტრალური ორეულები.

ადამიანს აქვს უნარი, ასტრალური სხეულით გადაადგილებისა ნებისმიერ სიმაღლეზე. ეს ხელეწიფებათ ოკულტისტებს. ზოგიერთებს შეუძლიათ არაცნობიერად მოიმოქმედონ ეს და მოიგონონ, როგორც სინამდვილეში მომხდარი სიზმარი. ოკულტისტები მოგზაურობენ სადაც სურთ, როცა სხეული ძილშია. მაღალი სულიერი განვითარების ადამიანებს შეუძლიათ გამოვიდნენ თავიანთი ფიზიკური სხეულიდან ასტრალურ სხეულში და დაეხმარონ „დაღუპულთა სულებს".

ასტრალური სხეული არის ორიგინალი, რომელზედაც აშენებულია ფიზიკური სხეული, მას უწოდებენ „სულს".

ადამიანის სიკვდილის შემდეგ „მე" სტოვებს ასტრალურ სხეულსაც. ის არის თხელი მატერიის გვამი, ოკულტისტების ენაზე მას ჰქვია ასტრალური ჩრდილი, რომელსაც არა აქვს სიცოცხლე, არც გონება და ტივტივებს (შდრ. გალაკტიონის „სული მოტივტივე", „დავიწყებული ჩრდილი", „მოჩვენება ცრუ მუნჯად და ყრუდ მოარე").

ე. და ნ. რერიხები მიუთითებენ, რომ აჩრდილები ისევე რეალურია, როგორც ჩრდილები ქვიშაზე, ადამიანს შეუძლია

დაინახოს თავისი თავი ფხიზლად და თვლემის დროს. ასტრალური სხეული მატერიალურია, მაგრამ თხელი, მის შემჩნევას სჭირდება ნათელმხილველის უნარი, ირწმუნებიან რერიხები („აუმ“).

ნათელმხილველები თავიანთ ასტრალურ სხეულს გზავნიან იქ, სადაც სურთ და მოგზაურობენ მთელ პლანეტაზე.

პლატონის მიხედვით, ნებისმიერ მატერიას გააჩნია შესატყვისი იდეების ქვეყანაში.

მისტიკოსების აზრით, ეფირული ორეული, ელექტრული სული აგრძელებს არსებობას კლინიკური სიკვდილის შემდეგ.

ადამიანს შეუძლია ერთდროულად ყოფნა ორ სხვადასხვა ადგილას (შდრ. ტ. გრანელის „აქაც და იქაც“).

ცოცხალ სხეულებს ორგვარი ბუნება აქვთ.

უხეში სხეული გვაძლევს სიამოვნებას უხეში საგნებისგან.

სულიერი ცხოვრება, ინტელექტუალური, ესთეტიკური, მორალური მხარეებით გაპირობებულია თხელი სხეულით. ის ამყარებს კავშირს წარსულსა და მომავალ მოვლენებს შორის.

ადამიანი სხეულებრივიც არის და სულიერიც.

„მე“, შემდგარი სამი გარსისაგან, უკვდავია, „არა-მე“–მოკვდავია. სული უკვდავია, სხეული – ხრწნადი.

მედიუმების აზრით, სული და ასტრალური სხეული ერთი და იგივეა. სულიერ სხეულს აღწერენ, როგორც კვამლს, გამჭვირვალე, ყვავილოვან ღრუბელს. მას გააჩნია შორს ხედვის, სულიერი ხედვის უსაზღვრო უნარი (შედ. გალაკტიონის „სამი ფერადი ღრუბელი“).

მისტიკოსების აზრით, ეფირული ორეული, ელექტრული სული აგრძელებს არსებობას კლინიკური სიკვდილის შემდეგ.

ინდივიდს აქვს ბიოლოგიური შესაძლებლობა, ზოგიერთი ფორმით,, გაუხანგრძლივებელი დროით იარსებობს სიკვდილის შემდეგაც.

არიან ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მიცვალებულებს ხედავენ.

აუტოსკოპიის დროს პიროვნებას შეუძლია გაიგონოს, როგორ ესაუბრება თავისი ორეული, არიგებს ჭკუას, ეუბნება საწყენს...

ამერიკელი მეცნიერი პრაისი აღწერს შემთხვევას, როცა კლინიკური სიკვდილის გადამტანმა ადამიანმა იხილა თავისი ფიზიკური სხეული საავადმყოფოში.

კლინიკური სიკვდილის დროს ჯეფ ბერკერმა მოახდინა ასტრალური მოგზაურობა საავადმყოფოდან სამსახურში, სადაც ის ნახა თანამშრომელმა საავადმყოფოს ხალათით და სისხლის წვეთებით. ამ ფაქტის სისწორე დასტურდა (Жизнь после смерти, м.1990 ст.217).

ამ დროს, „სულიერი სხეული ხედავს მის მიერ დატოვებულ სხეულს".

ორეულებით დაინტერესებული იყვნენ რომანტიკოსები, მათ შეეძლოთ მოგზაურობა ორ სამყაროს შორის.

ორეულთან შეხვედრაზე ლაპარაკობს გოეთე „პოეზიასა და სიმართლეში" (I წიგნის II ნაწილი).

ხშირად სიკვდილის მაუწყებელია ორეულის ნახვა.

რ. შუმანი აცხადებდა, რომ გარდაცვალებამდე ევლინებოდნენ შუბერტისა და მენდელსონის სულები.

ასტრალური გამოსახულება იყო ჰამლეტის მამის აჩრდილი.

გოეთეს „ფაუსტში" სული აჩრდილის სახით ცხადდება.

„ღვთაებრივ კომედიაში" გვხვდება „მისტიური აჩრდილები", სულთა ლანდები, ადამის, ვირგილიურის აჩრდილები.

დანტე ხედავდა საკუთარ აჩრდილს: „ჩემი აჩრდილი გამომეყო და კლდეს მიადგა", „ჩვენ ვჭვრეტთ" სახეთა ჩვენთა ნაჩრდილს".

ბოდლერი ლაპარაკობდა საკუთარი თავის ჭვრეტაზე (მიპატიჟება სამოგზაუროდ),„განუყრელი აჩრდილის" ხილვაზე (ნავსადგური).

ჟერარ დე ნერვალი, გიომ აპოლინერი საუბრობდნენ საკუთარ მოჩვენებაზე, ორეულებზე (ფრანგული პოეზია, თბ. 1984).

ალ. ბლოკის, ათინას ფეტის, ვლ. სოლოვიოვის , ა. ბელის პოეზია სავსეა ორეულებით (მარადი დღე, თ. 1984).

ილია ჭავჭავაძეს აჩრდილის სახით გამოეცხადა „საქართველოს თანამდევი, უკვდავი სული“.

კ. გამსახურდია აღწერს თავისი მეორე „მეს“ მოვლინებას ნოველაში„ტაბუ“.

ვ. გაფრინდაშვილის პოეზიაში ყურადღებას იქცევს „ორეულთა შყინვარები, ორეულთა რჩევა, ორეულთა დღესასწაული, დუელი ორეულთან“.

ტ. გრანელის პოეზიაში „ლანდების ასეული“ ბინადრობდა. პოეტი „შორიდან“ ხედავდა საკუთარ აჩრდილს, მისთვის ორგანული იყო „სიცოცხლე სხეულის გარეშე“, ანუ ასტრალური არსებობა.

გალაკტიონი ხედავდა გარდაცვლილთა სულებს, ცოცხალთა ორეულებს, თავის მეორე მეს, ციურ არსებებს, „იდუმალ მეორე სახეს“, „მხილების სახეს“.

აღნიშნავენ, რომ ადამიანი დიდ გამოცდილებას იძენს სულის, ორეულის დროსა და სივრცეში მოგზაურობის შედეგად. ამიტომ გვხვდება ასე ხშირად ასტრალური თუ მენტალური ორეული სიტყვის ოსტატთა, ხელოვანთა შემოქმედებაში.

ბეჟან ხარაიშვილის „უსახელო მკვდრებში“ საინტერესოდ არის აღწერილი ორეულთან შეხვედრა.

ზღვის დასალიერზე, ნახევრად ჩასული მზე მოჩანს, მოთხრობის პერსონაჟი (მთხრობელ) მზესთან ერთად დაბლა იწევს მიწაში, მიწაზე უფრო ქვემოთ.

ქვიშაზე წამოწოლილი ორეული დასცინოს, ის კი შველას ითხოვს.

ორეული ამხელს: „გიშველი, ოღონდ შენი სხეულიდან გამოუშვი: გველი, ბოროტება, შური, შუღლი, დაცინვა, მიჩქმალვის ნიჭი, ყველაფერი, რასაც დაბლა ჩაყავხარ. მოიხსენი ნიღაბი“.

„ბრალდებული“ უარყოფს, ასეთი თვისებები არ გამაჩნია და რომც გამაჩნდეს, მაინც ვერ გამოვუშვებ, მე ადამიანი ვარო.

ორეული არწმუნებს: „შენ ჩემგან ჩამოთვლილი ყველა თვისება გაგაჩნია, იგი დაბადებიდანვე დაჰყვება მოკვდავს, შენ პატარა ხარ, პატარა და მსუბუქი, დაბლა საკუთარი თავის ჯოჯოხეთი გეზიდებაო“.

ბიბლიიდან დაწყებული, გველისა და გველეშაპის პარადიგმებით მოიაზრებოდა არსი ბოროტების, რომელიც მარადიულია.

დაბადების წიგნში გველის სახით მოვლენილმა სატანამ დააკარგვინა პირველ ადამიანებს – ადამს და ევას სამოთხე და უკვდავება(დაბადება, II, 15-17, III-1-24).

ბიბლიაში მრავალგზის გვხვდება გველის, გველეშაპის სახეში პერსონიფიცირებული ბოროტება.

ესაია წინასწარმეტყველი გვამცნობს: „გველის ფესვიდან გამოვა უნარს და მისი ნაშიერი მფრინავი გველეშაპი იქნება“ (ესაია წინასწარმეტყველი, 14, 29).

ღმერთი უნასით აშინებდა უკეთურთ: „აჰა, მოგისევთ მოუნუსხავ უნასებს და დაგგესლავენ“ (იერემია წინასწარმეტყველი, 8,10).

გველი, ვეშაპი იგივე ანტიქრისტეა, ურწმუნონი მხეცის ნიშნით აღიბეჭდებიან, ნაცვლად ცხოველმყოფელი ჯვრისა.

წმ. ეპისკოპოსი ეგნატე გვირჩევს: „რწმენის მახვილით მოჰკვეთე თავი ამ გველებს, როგორც კი თავისი ხვრელიდან გამოსრიალდებიან“ (სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, ნაწ. III, თბ. 1993, გვ. 236).

მოთხრობის პერსონაჟს ორეულის სიტყვებზე ცრემლის ნიაღვარი წასკდება, პეშვს შეუშვერს ცრემლებს, დალევს და გამოცოცხლდება.

ასე ჩაატია მწერალმა დიდი ფილოსოფიური სათქმელი ამ ერთ პატარა ეპიზოდში, რომლის მიხედვითაც, ყველა ადამიანი დაატარებს თანდაყოლილ ცოდვას, რაც მას მიწა-

ში ძირავს და მიზანი ის უნდა იყოს, რომ შეიცნო საკუთარი თავი, ებრძოლო ნეგატიურ საწყისებს, განიწმინდო უკეთურებისგან, რაც ხელს უშლის ამაღლებას. მხოლოდ ასე შეიძლება მიაღწიო ღმერთების, ანგელოზების, წმინდა სულების სავანეს.

გვახსენდება დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, რომელშიც ამქვეყნად მიწიერი, მდაბალი ინტერესებით მცხოვრებთ, საიქიოში მისჯილი აქვთ მიწისთავის ცქერა: „რადგანაც თვალნი არასოდეს მიგვიქცევია სიმაღლეთადმი, რადგან ვჭვრეტდით მხოლოდ მიწიერს, მართლმსაჯულებამ მოგვისაჯა მიწისთვის ცქერა“.

მიწისა და ცის მიმართება, წარმავლისა და მარადიულის დაპირისპირება ყოველთვის არსებითია. „ჩვენ პირდაპირ მიწაში ვართ... ჩათხრილი. სრულიად მოვწყდით ზემიწიერ ძალებს“... წუხდა რუდოლფ შტაინერი და შეგვაგონებდა: „ადამიანი არ უნდა შეეზარდოს მიწას, არ უნდა დაიძიროს მასში“(ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება, თბ. 1994, გვ. 269-270,273).

მიწიერი–ზეციური იყო აკაკი წერეთელი, ილია ხედავდა საქართველოს თანამდევ უკვდავ სულს, „მიწას მიწურად და ცას ციურად მივეთავაზი“, წერდა ვაჟა–ფშაველა.

გალაკტიონისთვის მთავარი იყო „ცის და მიწის შეზავება“, „ზეცა მწყურია და მიწა ამბობდა ტერენტი გრანელი“.

„რაა ციური, თუ მიწისაც არ ექნა ძალი?“ – კითხულობდა ანა კალანდაძე და კიცხავდა ცის და ციურის დამვიწყებელთ.

მეოცე საუკუნეში, ათეიზმის ზეიმისას უარი ეთქვა ცას, რწმენას, ამაღლებულ იდეალებს, მაგრამ რჩეულ ერთეულთ არასოდეს გაუწყვეტიათ კავშირი უზენაეს საწყისებთან.

ამ რჩეულ ერთეულთა შორის უნდა მოვიაზროთ ბეჟან ხარაიშვილი, რომელმაც ტოტალიტარულ საბჭოთა იმპერიაში იცხოვრა, მაგრამ მისთვის ყოველთვის არსებითი იყო სუ-

ლიერება, სიწმინდე, „ენა, მამული, „სარწმუნოება“, მიწა და ცა.

პოეტი ხელგაწვდილი იდგა „მთის მწვერვალზე“, როგორც „ასაფრენი არწივი“ (გახსენება), აზრის მწვერვალი იყო მისი მთავარი ორიენტირი: „...ფიქრო გამიძეხ, – სადაც მიცდის მწვერვალი შორი“ (რუსთაველ).

ჭეშმარიტი პოეზიის მთავარ პოსტულატებს – ცას და მიწას ერთდროულად ვიპოვით ბეჟან ხარაიშვილის პოეზიაში: რომ გამოვცადო ცის სიახლოვე, მიწაზე ბოლო სუნთქვას ვიმეტებ“ (...და ვტოვებ, ვტოვებ).



ბეჟანის შვილიშვილები – გვანცა და ბარბარე.

თავი V
ვაჟა ფშაველას რემინისცენციები ბეჟან ხარაიშვილის შემოქმედებაში

"...ანდა ვაჟაის მთაში ჩამმარხა,
ხმელი წიფელის სანედლო ფესვად"
ბეჟან ხარაიშვილი

ბეჟან ხარაიშვილი ქართული კლასიკური პოეზიის ტრადიციებს აგრძელებდა შემოქმედებითად. მისი უპირველესი იდეალი იყო ფშაველი გენიოსი ვაჟა–ფშაველა. დიდი ფშაველის მიმართება ბუნებასთან, მისი მამულიშვილური იდეალები, თუ გამორჩეული პერსონაჟები, სულიერების პრიმატი მთავარი გზამკვლევი იყო ახალგაზრდა პოეტისთვის. დიდი წინაპრის განუმეორებელ ხილვებს ითავისებდა, დიდ სტიმულს იღებდა ორიგინალური გზების გაკვლევისას.

სულისა და ხორცის მიმართება ვაჟა-ფშაველასთვის მარადიულისა და წარმავალის, ამქვეყნიურისა და საუკუნოებრივის დაპირისპირება იყო და უპირატესობა ყოველთვის მარადიულს ენიჭებოდა, სული უნდა ყოფილიყო ხორცის მმართველი, მსახური და არა პირიქით. წმინდა სულის ამაღლებას, აყვავებას, ვარდით დაფარვას მიელტვოდა პოეტი: „ხორცო დაჰნელდი, დამჭლევდი, სულო იხარე, ჰლაღობდე... სულო, აჰყვავდი, ამაღლდი! დაე, ლეშითა ვწვალობდე. სულო, აჰყვავდი, ამაღლდი, ვარდებით დაიფარია!" (ხორცო, დაჰნელდი).

ეს მარადიული სატკივარი აფორიაქებდა ბეჟან ხარაიშვილს. მას აღაშფოთებდა, რომ ხორცის პრიმატი იყო ირგვლივ, ადარდებდა ერის უდიდესი ტრაგედიის – ქვეყნისთვის „სისხლის გათეთრების" მოლოდინი, რაც სულის, სულიერების დაკარგვით იწყება: „ხორცის ქვეყანაში ხომ არ დავიბადე?! ამ კითხვას ათასი კითხვა უერთდება... მთას ძარ-

ღვი გაუსკდა ცივ მდინარეებად თუ საქართველოს სისხლი უთეთრდება...“

და ისევ მრავლისმთქმელი ფინალი: „თბილისი თვალს ხუჭავს, მტკვარს გულში იხანჯლავს, დიაცი ძაღლებთან სეირნობს... და ბოლოს: წახდა საქართველო, – ამბობს ქალიშვილი და ამერიკულ სიგარეტს აბოლებს!“ (წახდა საქართველო).

ვაჟას სჯეროდა კარგი გულის, სულის უკვდავება: „კარგ გულს არა ჰკლავს ბუნება, თან დააქვს ძველისძველადა“.

ბეჟან ხარაიშვილი ასე ეხმიანება დიდ წინამორბედს: „გული სამარეშიც იმზიანებს, გული სამარეშიც აყვავდება“.

ბეჟან ხარაიშვილს ადარდებდა „უქმად ნატეხი“ ღამეები, „ხორცით ვაჭრობა“ (სანაპიროზე).

„ხორცის ქვეყანაში“ ბახუსის, მტვრის, ტალახის ზეიმია, აქ უცხოა მშვენიერების განცდა: „ნოემბრის ქარში, თბილ ხელისგულზე, ჯერ ისევ მწვანე ფოთლები გეყარა... და ქუჩა ქუჩა, მტვერში, ტალახში, ყივილით გხვდებოდა ხორცის ქვეყანა“.

ნუგეში ქრისტეს მცნებაა: „და არა კაცთა კვლა“, რომელსაც ასე ეპასუხება პოეტი: „არა ხორც ჭამა“...

ვაჟას ვაჟკაცურ სულს ეხმიანებოდა მოუსვენარი არაგვი: „დაწუხებულმა არაგვო, რო გნახე, გავიხარეო, სრულიად გამოვიცვალე, წელშიაც ავიხარეო. რა ლამაზია, წყეულო, შენ ზვირთთა ლაღნი ჩქერანი, გააფთრებულსა ტალაღასა კლდეს რომ წაუვლენ თქერანი! შენ თვალს გარიდებ მაშინა, მთებისკენ მწადის ცქერანი, უეცრად მომინდებიან ბედკრულს ბედკრული მღერანი“... (არაგვს).

ბეჟან ხარაიშვილს ახალ სულს შთაბერავს ფშავ–ხევსურეთი, ლაშარის გორა, ვაჟას ჩანგი, საქართველოსთვის ჯვარცმული „ჭაღარა ვეფხვის“ მოლანდება იახსარის ფერდობზე, მისი კაი ყმის იდეალი, ბუნების წიგნად მოლანდებული არაგვის ტალღა, „გიჟი ქალწული“ და ლექსის ავტორი ბარბაცებს არა „ლუდ-არყის სუნით“, არამედ საქართველოს

ეშხით: „შენ, ფშავ-ხევსურთა გიჟო ქალწულო, ო, როგორ გშვენის მტკვართან წანლობა, ვაჟას ჩანგეთში ჩაიტკბე ეგ ხმა, თუ გუდანისჯვრის მოგაქვს წყალობა სვეტიცხოველთან, ჯვართან... მითხარ, ლაშარგორს რაი ითქმების, კაი ყმათაგან, განა ენებით?! იახსარის ფერდობს თუ კვლავ მიჰყვება ჭაღარა ვეფხვი სვენებ-სვენებით საქართველოზე ჯვარცმით!"

ვაჟა „ნაკადის თმებზე" („თმებს უკუიყრის ნაკადი") აკეთებდა აქცენტს, ბეჟან ხარაიშვილის ხილვაშიც თმების ასოციაციას იწვევს არაგვის ტალღა თან მომყოლი ლუდ-არყის სუნით, ხოლო პოეტი ბარბაცებს არა სასმელით, არამედ საქართველოს ეშხით: „მარქვი, ტალღაა მკერდს რომ გიტოკებს, თუ ბუნების წიგნს იფურცლავ ხელში, მაგ თმებს ჩამოაქვთ ლუდ-არყის სუნი, თუ საქართველოს ვბარბაცებ ეშხით, გიჟო ქალწულო, მარქვი! (არაგვს).

ბეჟან ხარაიშვილის ლექსში „ნება–ნება" გვხვდება „მთათა თმების" სახე. „... ხან მთათა თმებს გადაჭორფავს თოფის ბათქი".

ან: „მთები ჩანჩქერის სუფთა სარკეში თმებს ისწორებდნენ, როგორც ქალწულნი" (მთაში).

სხვაგან "... ყელშენათეთრი სუნთქავენ მთები" (არ სჩანს ვარსკვლავი).

„ცვრიანი მთა" იქცევს ყურადღებას ლექსში „შემოდგომით": „ფოთლის ცრემლში ტყის ლოცვათა ციმციმი, ცვრიან მთაზე ცხვარის გადათოვლება".

ვაჟასებური ჰარმონიაა ბეჟან ხარაიშვილის ბუნების მახასიათებელი: „წყარო სისხლს გადუსხამს ღელის ცისფერ ვენებს და ძმას ჩაეხვევა ძმადნაფიცი. ამ მთებს ვენაცვალე, ამ ტყეს ვენაცვალე, მეტი რაღა დამრჩა დასაფიცი! ეს შენ გიმღერიან ზეცის ასულები, მუხავ, ჩამუხლულო, გაიხარე!" („ცა რომ მტრედისფერობს").

ბეჟან ხარაიშვილის ლექსში ოხრავენ ნისლები, ქარის ჭორებით გულსუსტი გვირილა ღობეს მიესვენება (ლუხუმმა კი არა).

ვაჟასთვის არაგვი „გიჟმაჟია", ბეჟან ხარაიშვილთან – „გიჟი ქალწული".

კაი ყმა იყო ვაჟას იდეალი, სიმართლის, სიკეთის, სამშობლოს მსახური (კაი ყმა).

„კაი ყმის" განსახიერება იყო ბეჟან ხარაიშვილი, „განა ენებით", საქმით".

ბუნებაში კანონზომიერებას, მის მოვლენათა სისხლხორცეულ კავშირს ჭვრეტდა ვაჟა-ფშაველა: „... ხევი მთას ჰგონებს, მთა-ხევსა, წყალნი ტყეთ, ტყენი-მდინარეთ, ყვავილნი მიწას და მიწა-თავის აღზრდილთა მცენარეთ და მხე ხომ ყველას მონა ვარ, პირზედ ოფლგამდინარეთ", (ღამე მთაში). „მონა ვარ, მონა ბუნების" (გაზაფხული) აცხადებდა გენიოსი მგოსანი.

სიტყვის დიდ მეუფეს თავისებურად ეხმიანება ბეჟან ხარაიშვილი: „...ო, მდელო იყო მაშინ რა დღეში, ყვავილნი ჰქონდათ თმებში ჩაწნული, მთები ჩანჩქერის სუფთა სარკეში თმებს ისწორებდნენ, როგორც ქალწულნი. მთანი სტიროდნენ, წყალნი სდიოდნენ, ვეწაფებოდით ანკარა შხეფებს, მაღლით მწვერვალნი ჩვენ დაგვცქეროდნენ, ჩვენ კი ვუცქერდით, ვით მონა მეფეს"(მთაში).

აქაც, როგორც ვაჟასთან, ბუნება მეფეა, ადამიანი–მონა, უფრო სწორედ, მისი მოთაყვანე.

ვაჟას პოემა „ბახტრიონის" გამორჩეული პატრიოტი პერსონაჟების – ლუხუმის და კვირიას სახეები ელანდება ბეჟან ხარაიშვილს არაგვისა და ხოშარის მთის ფონზე: „ლუხუმმა კი არა – ზეცამ იშიშვლა ხმალი ცისარტყელის, კრავისფერ ღრუბლებს გაფატრა ყელი და არაგვს აღმოხდა ოხვრა ნისლების. კვირია კი არა – ქარი ამოიჭრა ხოშარის მთას, მიჭორ–მოჭორა ამბავი ბარის და გულსუსტი გვირილა ღობეს მიესვენა"(ლუხუმმა კი არა).

გახალხურებული, მთელი ერის მიერ გათავისებული სახეა ვაჟა-ფშაველას ხმელი წიფელი, მისი ფესვებიდან ამოსული ყლორტების ისევ აყვავების მოლოდინი ერის სამომავლო ოცნებასთან დაკავშირებული ხილვებია.

ბეჟან ხარაიშვილის ოცნებისგან განუყრელია ქართულ ცნობიერებაში წიფლის სახედ დამკიდრებული სამშობლოს ხატება, ხოლო სურვილია – მის ფესვად ქცევა. მომავლის რწმენას ასე გამოხატავს პოეტი: „ისევ იყვავილებს შინდის რტო“ (ცა რომ მტრედისფერობს).

„ხე ტოტს მისვამდა ჩამოშლილ თმებზე, შენც გახდებიო მალე პოეტი.. აზრთა შტოების სხვა იყო ჟეჟვა“, „ხე დაიკვნესებს“, ნათქვამია ბეჟან ხარაიშვილის ლექსში „რუსთავო“.

ვაჟას შემოქმედებაში ლოცულობს ტყე, ბუნება, ირემი... ბუნებას თვალები აქვს, ხეს, ბალახს – ცრემლი, ხე კვნესის.

ბეჟან ხარაიშვილი თითქოს ვაჟას თვალებით ხედავს ბუნებას, მისთვის „ხოხბისფერი თვლემს თავთუხთა თვალებში“, ფოთოლი ცრემლიანია, ირგვლივ დაჰქრის ტყის ლოცვა. თუ ვაჟა ხმელი წიფლის ფესვებიდან ამოსულ კვირტებს შეჰხაროდა, ბეჟან ხარაიშვილი ჩამუხლული მუხის გახარებაზე ოცნებობს: „ერთი გაიხედე, ქარი რა დღეშია, როგორ გადალოკა არემარე, ეს შენ გიმღერიან ზეცის ასულები, მუხავ, ჩამუხლულო, გაიხარე!“

აქვე, ცის ნამით გამომთვრალი ბებერი მუხების დაკოჟრილი ფესვების იმედი აქვს პოეტს: „... და ცის ნაჟურით გამომთვრალი ბებერი მუხები მთელ ღამეს ბარბაცებდნენ დაკოჟრილ ფესვებზე“.

ეს ტრადიცია უსასრულოდ არის გამრავალფეროვნებული ბეჟან ხარაიშვილს პოეზიაში. აყვავებული შინდის რტო, ქართული მზე, ჩვენი ქვეყნის გათენება გულს სამარეშიც აამღერებს, ასე სწამს პოეტს: „რტომან შინდებისამ იყვავილა და მზე ჩანჩქარების თარზე დნება, გული სამარეშიც იმზიანებს, გული სამარეშიც ამღერდება. ჩვენში ასე იცის მზის ამოსვლა, ჩვენში ასე იცის გათენება“ (ცა რომ მტრედისფერობს).

ფიჭვებთან გულით ნათქვამი ლოცვა–აღსარების ძალა მღვდელთან ნათქვამ აღსარებაზე ნაკლებ ფასეული როდია: „რად მინდა მღვდელი, ლოცვა რად მინდა, მე აღსარებას ვიტყვი ფიჭვებთან და ძველებურად შენი ნათელი სულში ღიმილით შემოიჭრება“ (ნ.გ–ს).

ბეჟან ხარაიშვილს ეოცნებება დიდი სიყვარული, ცერზე წითელი მიმინო, ორივე მკლავის მოჭრის ფასად აშენებული ტაძარი, ხელოვნებით სიკვდილის დამარცხება, ანდა ვაჟას მთებში დამარხვა, ხმელი წიფლის ფესვად ქცევა: „ისე ვინატრებ, შორენა გერქვას, ცერზე წითელი მიმინო გეჯდეს. და ვაშენებდე გაღმა–გამოღმა, ორივე მკლავის მოსაჭრელ კედლებს. რომ სამოთხეში, გინდა ჯოჯოხეთში თავთან დაკლული სიკვდილი მედოს... ანდა ვაჟაის მთაში ჩამმარხა, ხმელი წიფლისთვის სანედლო ფესვად... ო, როგორ მინდა შორენა გერქვას, ცერზე წითელი მიმინო მესვას“ (ნატვრა).

სამშობლოს სიმბოლოდ „ბებერი მუხებიც“ მოუაზრებია პოეტს (ფეხმძიმე ზეცას), „ჩამუხლული მუხაც“ (ცა რომ მტრედისფერობს).

ბეჟან ხარაიშვილს ესმოდა „მიწის ყივილი“ (მეჩაიე და მუსიკოსი, ხელნაწერი), ტყეების ლურჯი სიმფონია: „შენი თითებით ნაზად დახრილი ტირიფის ტოტი უკრავს ტყემლების ლურჯ სიმფონიას შეშლილ მორევის ლურჯ ფირფიტაზე“(სადღაც).

შეიგრძნობდა ვერხვების „მთრთოლვარე ხელებს“: „არა ვარ მარტო, მთრთოლვარე ხელებს თავზე მისვამენ ჩუმად ვერხვები“ (ბაღში).

„ხეების მკლავები“ და „ტოტების ხელია“ ლექსში „ნელის“: „სითეთრემ ჩასთვლიმა ხეების მკლავებში, ქარი მცემს ტოტების ხელით“.

თითქოს ოცნების ასრულებას ამცნობს ხეთა ტოტების ალერსი: „ხე ტოტს მისვამდა ჩამოშლილ თმებზე, შენც გახდებიო მალე პოეტი“ (ერთი ხე ვიცი რუსთავის ბაღში, ხელნაწერი).

„იმედის ხე“, გზის ხეები „მწვანე შუქნიშანია“, მამულის მარადიულობის სიმბოლო: „...მწვანე შუქნიშნად ინთებიან გზაზე ხეები, ეს იმას ნიშნავს, გავიარო, წინ მამულია!“

ვაჟასავით ცოცხალივით აღიქვამს მთელ ბუნებას, გრძნობს ხეების სულს: „შებინდებისას მოცახცახე ხეების სული შემოაპარა ქარმა სარკმელში და მძინარ თვალებს დააცრიცა თეთრი სიზმარი“(ზამთრის სურათი).

სხვაგან ყურადღებას იქცევს „იმედის ხე“: „ქარი წივის და იმედის ხეს მაინც არ ვტოვებ“ (ენას ვერ ვძრავ და). ერთგან „ყელშენათეთრი სუნთქავენ მთები“ (არ ჩანს ვარსკვლავი).

დიდ პოეზიას უსწორებს მხარს ბეჟან ხარაიშვილის უჩვეულო ხილვები: „თოვს და მდინარის გაყინულ ენას შავი კბილებით იჭერენ ქვები“ (სადღაც).

ან: „თოვს და მდინარის გაყინულ ენას ცემს თეთრი ქარი ტოტების ხელით“, „ზამთარი – ჩემი თეთრი თოლია“.

ადამიანური განცდები, ურთიერთობები მთის სახეს უკავშირდება ვაჟას პოეზიაში („იალბუზი, “, „მყინვარი“).

ალმაფრენის ცრემლით სავსე მთა იქცევს ყურადღებას ბეჟან ხარაიშვილის „სალამურში“: „ტკბილ-ნარნარი ალმაფრენით მთასაც ცრემლი მოსდიოდა“.

ერთგან მთები ქალწულებთან არის შედარებული: „მთები ჩანჩქერის სუფთა სარკეში თმებს ისწორებდნენ, როგორც ქალწულნი“ (მთაში).

მშობლიური მთები და ტყე წმინდა საფიცარია ლექსში „ფეხმძიმე ზეცას“: „ამ მთებს ვენაცვალე, ამ ტყეს ვენაცვალე, მეტი რაღა დამრჩა დასაფიცი“.

ბეჟან ხარაიშვილის უპირველესი საზრუნავია „... სამშობლოს მიწა მთებდაგრეხილი“ (ამ თბილ მიწაზე).

ვაჟას ესმოდა „მთების გულის ძგერა“ (არაგვს).

ბეჟან ხარაიშვილთან „ყელშენათეთრი სუნთქავენ მთე-

ბი" (არ ჩანს ვარსკვლავი), „მთას ცრემლი მოსდის" (სალამური), „მთანი სტიროდნენ" (მთაში) „მყინვარის გულის კენტი სიმღერა" ცივ წყაროს ჩამოაქვს (გერგეტის ტაძართან).

ვაჟა ნაიალაღარი ხარის სახით გვევლინებოდა, ბეჟან ხარაიშვილისთვის ღვინია ხარის სახეშია მოაზრებული ჩვენი სამშობლო, რომელსაც მგლები შეჰყმუიან (შეციებიათ მთაში ღელეებს).

მთის ტრუბადურს–ვაჟას სიმაღლიდან, მწვერვალიდან ევლინებოდა შთაგონების ღმერთი–სულიწმინდა, გათავისებული ჰქონდა მთელი სამყარო, მზის და მთვარის იდუმალება, მუზების მამამთავარს ემუსაიფებოდა გადიადებული სულის მგოსანი: „მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდექ, თვალწინ მეფინა ქვეყანა, გულზე მესვენა მზე-მთვარე, ვლაპარაკობდი ღმერთთანა".

ვაჟასთან „მთებმა დახუჭეს თვალები", ბეჟან ხარაიშვილთან „ყელშენათეთრი სუნთქავენ მთები".

კლდე, ნისლიანი მთები, მთის ნაპრალები ემშობლურებოდა პოეზიის არწივობისთვის გამზადებულ ბეჟან ხარაიშვილს: „... დავრჩით ხელგაწვდილი მთის მწვერვალზე, დავრჩით ასაფრენი არწივები" (გახსენება).

„გახლეჩილი მთის გულებია" ლექსში „ჩემი მამულია".

თუ ვაჟასთან „ნისლი ფიქრია მთებისა", ბეჟან ხარაიშვილთან „მზე ... ნისლის ყანწებს ეტანება", „ცვარიანი ბუჩქი" კი „წვეთთა სინაზეში", „თიბათვის ქარში" „რითმებს გამოაკრთობს".

ეს არის ურთულესი, ღრმა ჩანაფიქრის მატარებელი სახე, რომელიც შთაგონების მოვლინებას გვამცნობს.

„ცვარი" საღვთო სახელია: „ვიქნები ცვარი ისრაელისთვის, აყვავდება, როგორც შროშანი და ლიბანივით გაიდგამს ფესვებს" (ოსია წინასწარმეტყველი, 14,6).

ქარი, თიბათვის ქარი შთაგონების მომნიჭებელი სულიწმინდის სიმბოლოა, რადგან მუზის მოვლინება საღვთო ნიავის, საღვთო ქარის მოქმედებას უკავშირდება.

დიდი სიყვარულით, ვაჟასა და ანა კალანდაძისებური ინტერესით და შემართებით უმღერის და აუკვდავებს ბეჟან ხარაიშვილი ხევსურეთს.

უსათუოდ ჭეშმარიტი პოეტური სახეა და ქართულ კლასიკურ პოეზიაში დაიმკვიდრებს კუთვნილ ადგილს ახალგაზრდა პოეტის თვალით დანახული ხევსურეთის არაგვი, მთების უბე და რუხი ნისლები: „ხევსურეთს ხმლისებრ იელვა არაგვმა და მთების უბეს შეასხიპა რუხი ნისლები“ (ხატობაში).

ლექსში „გამოთხოვება“ ხახმატი „მიწის მზექალია“.

მრავალნაირად იხილა პოეტმა არაგვი, ერთ შემთხვევაში, ის „ფშავ-ხევსურთა გიჟი ქალწულია“, მტკვრის „წაწალი: „შენ, ფშავ-ხევსურთა გიჟო ქალწულო, ო, როგორ გშვენის მტკვართან წაწლობა“ (არაგვს).

„შუაფხოს ნისლია“ ლექსში „ნება-ნება“.

იმერეთის სოფლის ჭალაზე მავალს, ხიბლავს „სიმინდებში მთვარის ჩანამგალება“, კლდის ჩანჩქერების თვალით შესმა (სინესთეზია), ხოლო ცაზე დაწინწკლული ვარსკვლავები ხევსურულ ჩოხას მოაზმანებს: „...ფოთლის ცრემლში ტყის ლოცვათა ციმციმი, ცვრიან მთაზე ცხვარის გადათოვლება... მიყვარს ხოლმე ჩემი სოფლის ჭალაზე სიმინდებში მთვარის ჩანამგალება, კლდის ქვებიდან გადმომდუღარ ჩანჩქერის თვალით შესმა და წყურვილის წვალება... მიყვარს ხოლმე ხევსურული ჩოხისებრ გაშლილ ცაზე გადაწინწკვლა ვარსკვლავთა“ (შემოდგომით).

როგორც წინაპარი კლასიკოსებისთვის, როგორც ვაჟასთვის, ანა კალანდაძისთვის, ბეჟან ხარაიშვილისთვის ძვირფასია ხევსურეთი, მამა–პაპის სისხლის მატარებელი ხევსური, რომელიც ქარში ხმელი წიფლის რხევას არის მიყურადებული, ის უშიშარია, სიკვდილის დამარცხების სურვილით ატანილი: „ორწყალთან შედგა შემთვრალი ხევსური, ორივე წყალში ორჯერ ჩახედა, – შენ მამა-პაპის სისხლი მიგაქვის, – შემოდუდუნეს წყლებმა მკვახედა“.

ქარის, ხმელი წიფლის ფონზე ძლიერია სიკვდილის ძლევის სურვილი: „ორწყალთან შედგა შემთვრალი ხევსური... ქარი ხმელ წიფლის ტოტებს არხევდა... – ერთი მეც უნდა მაგკლა, სიკვდილო... თქვა და ჩანისლულ ხევებს გახედა“.

შემთხვევითი როდია ქართან მორკინალი ხმელი წიფლის სახე, წიფელი ერის სულის სიმბოლოა, ქარი – მასთან დაპირისპირებული ბოროტი ძალა.

მთის, ხევსურეთის გარემოცვაში, ბუნებრივია, პოეტს აგონდებოდეს დიდი ვაჟა, ხმელი წიფლის სახეში მოაზრებული სამშობლო, მამა-პაპის სისხლი, ბოროტეულის, სიკვდილის ძლევის სურვილი (ხევსურეთი).

ხატობის გარეშე ვერ წარმოიდგინება ვაჟას პოეზია. გოგოლაურთა ხატობაზე დაღვრილი უმანკო ცხოველის სისხლის მაყურებელი პოეტის – ბეჟან ხარაიშვილის თვალებიდან „წვეთ-წვეთად ჟონავს საქართველოს სისხლიანი, ავი წარსული“ (ხატობაში).

გვახსენდება ცხოველის სისხლის დაღვრის მოწინააღმდეგე ვაჟას მინდია, თანამედროვეთაგან გაუცხოებული კ. გამსახურდიას მინდია, რომელმაც დასაკლავი ციკანი გაარიდა ალესილი დანის პატრონებს და გულში ჩაიკრა უმანკო ცხოველი, გოდერძი ჩოხელი, მკერდში ჩახუტებული წმინდა კრავით.

ბეჟან ხარაიშვილის ხილვას არ შორდებოდა შუაფხოს ნისლი, ლაშარის გორა, ფხოვის წყალი, საჯიხვე მთა, მთათა თმები, ხატობა, ბერი ბიჭურის სახე, ფიც –ვერცხლით სავსე ყანწები (ნება-ნება).

ხევის სილამაზით, გერგეტის სამებით, ჩაძინებული ნისლებით იყო გაოგნებული: „...ვნახე გერგეტის სამება... დაბლით რომ ჩამოვდიოდით, ნისლებს ეძინა რწევითა, ზოგ ზურგით ჩამავიტანე, ზოგ ჩამამყავდა თრევითა“(წერილი მამას).

დიდ პოეზიას უსწორებს მხარს საოცარი პოეტური ხილვა: „ხევსურეთს ხმლისებრ იელვა არაგვმა და მთების უბეს შეასხიპა რუხი ნისლები“ (ხატობაში).

ვაჟასთან „ფიქრის ყორეა“, ბეჟან ხარაიშვილთან – „ფიქრის კარავი“.

ვაჟას დაჰბედებია „ეკლებზე წოლა“, „ეკლის ლოგინი“, „ნარ-ეკალი“ (სიცოცხლემ შხამი მასმია). პოეტი თანამოკალმეებს ურჩევს: „შიშველის ხელით დაგლიჯეთ ნარი-ეკალი მრავალი“ (ჩვენს მხცოვან მოღვაწეებს).

ეკლები, ზღარბები არ სცილდება ბეჟან ხარაიშვილს, მაგრამ ეკლებზე სანთლების ანთების, ეკლებზე „დამაისების“ იმედი აქვს მაინც: „გულზე მიიკარ ეკალ–უკალი, ბაგე ზღარბების ზურგით აივსე, მე იმ ეკლებზე სანთლებს ავანთებ, იმ ეკლებზევე დავიმაისებ“ (თავგანწირვა, ხელნაწერი).

ვაჟა კიცხავდა საკუთარი მამა–პაპის კერისადმი გულგრილთ: „რა ვუთხრა იმათ, ვინც უთმობს სხვას მამა–პაპის კერასა? ვერ არგებს კაცობრიობას იგი თვის დღეში ვერასა“ (ქებათა ქება).

საკუთარ სახლში სხვისი გალაღების, სტუმარ–მასპინძლის როლის აღრევის მიზეზად დამხვდურს სახავდა ბეჟან ხარაიშვილი: „ჩემს სახლში რომ მასპინძლად დამიჯექი, ჩემს მაგიერ ჭურს რომ მიხდი მარანში, შეხვედრისას გზას რომ მითმობ პირველად, შენ კი არა, მე ვტყუივარ ამაში“ (ჩემს სახლში რომ მასპინძლად დამიჯექი).

ვაჟას სწამდა კარგი გულის მარადიულობა: „კარგ გულს არა ჰკლავს ბუნება, თან დააქვს ძველის–ძველადა“ (მწამს, მარად მიწამებია).

ბეჟან ხარაიშვილს სჯეროდა წმინდა გულით შექმნილი სიმღერის უკვდავება, პოეზიით სიკვდილის დამარცხების შესაძლებლობა: „გული სამარეშიც იმზიანებს, გული სამარეშიც ამღერდება“ (ცა რომ მტრედისფერობს).

ვაჟას დარდი ერის ძნელბედობით იყო ნაკარნახევი, ბეჟან ხარაიშვილი იტანჯებოდა სამშობლოს ბედის ვარსკვლავის გაუჩინარებით: – „როცა არა ჩანს ბედის ვარსკვლავი,

ფიქრის კარავზე დარდი დაათოვს, სევდა დაბარდნის“ (არ ჩანს ვარსკვლავი).

„ვიცანი, ღმერთო სამყარო,–ეს შენი დანაბადები, – იმისი ავლა–დიდება და შიგ საგზალი ნადები: მბოჭავს, არ მათა-ვისუფლებს გარს შემორტყმული ბარდები““ (ვიცანი, ღმერთო, სამყარო) ბრძანებდა გენიოსი ვაჟა–ფშაველა.

დიდი წინამორბედის მარადიული გზის კვალზე მავალი ახალბედა ბეჟან ხარაიშვილი ცხოვრების ავ–კარგის გაცნობიერებას ცდილობდა და სიკეთე–ბოროტების, სამყაროს ფარული დინებების შეცნობას აღწევდა: „არ დაგკლებია გაჩენის დღიდან სულის სიმძიმე, ხორცის ჟეჟვა და მაინც იცანი, ვინ რა ფერია–მრავალჟამიერ, ჩემო ბაჟანა! (მრავალჟამიერ, ჩემო ბეჟანა!).



ორი თვის გიორგი ხარაიშვილი. ბეჟანის შვილიშვილი.

თავი VI
წინასწარმეტყველური ხილვები

სრულიად ახალგაზრდამ, 29 წლისამ დატოვა ბეჟან ხარაიშვილმა ეს წუთისოფელი და ამ ხანმოკლე სიცოცხლეში უცდომლად განჭვრიტა წარსული, აწმყო, მომავალი. უტყუარი ინტუიციით გამოთვალა ის საბედისწერო თუ სასიცოცხლო პროცესები, რომლებიც ერის ცხოვრების თანამდევი გახდა.

ახალგაზრდა პოეტს დიდი ანალიტიკური უნარი, გულისა და გონების ძალა გამოარჩევდა, რაც საშუალებას აძლევდა ზუსტად ეხილა მომავლის მოვლენები, ერის ცხოვრებაში მოსალოდნელი კატაკლიზმები, თუ საკუთარი ცხოვრების ნააადრევი ფინალი.

ბეჟან ხარაიშვილი არ იყო ეფემერული დიდების მაძიებელი. მორწმუნე პოეტი კარგად არჩევდა წარმავალს და მარადიულს, „ხორციელ სიბრძნეს“ და „ღვთის მადლს“(პავლე მოციქული, II კორინთელთა მიმართ, 1,12).

ბიბლიაში „მიწიერ, მშვინვიერ, ეშმაკეულ სიბრძნეს“ უპირისპირდება „მაღლიდან გარდმოვლენილი სიბრძნე“, რომელიც „წმინდაა, მშვიდობიანი, ლმობიერი, წესიერი, წყალობითა და კეთილი ნაყოფით სავსე, მიუკერძოებელი და უთვალთმაქცო“ (იაკობი, 4,15,17).

„არა წუთისოფლის სიბრძნე, არამედ ღვთის სიბრძნე, საიდუმლოებაში დაფარული“, აცხადებდა პავლე მოციქული (I კორინთელთა, 2,6,13).

„სიბრძნის სიტყვა“ სულის მადლია (პავლე მოციქული, I კორინტელთა, 12,18).

ბიბლიის მიხედვით, ყოველგვარი ნიჭის, მათ შორის, წინასწარმეტყველების უნარის მბოძებელი არის სულიწმინდა (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 12).

მხოლოდ „უბიწო სულებს“ ხელეწიფებათ, განჭვრიტონ მომავალი, გავიდნენ დედამიწის საინფორმაციო ველზე, რომელშიც კოდივით ჩადებულია სრული ინფორმაცია სამყაროს და ცოცხალ არსებათა შესახებ.

ღვთის სახედ და ხატად შექმნილი ადამიანი უმაღლესი კოსმიური გონების მატარებელია, ჩვეულებრივი თვალისა და სმენისათვის უხილავ–მოუსმენელის გაგების უნარით გამორჩეული.

როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური სამყაროს მხატვრულ, რელიგიურ და ფილოსოფიურ თხზულებებში იმთავითვე არსებობდა საინფორმაციო ველის ცნება და ზეგანვითარებულ, ზნეობრივი სიწმინდით გამორჩეულ ადამიანებს ეხსნებოდათ კოსმიური კავშირის არხი, ენერგეტიკული ველი, ერთდროულად ამყარებდნენ კავშირს მიწიერ და ზენარულ სივრცეებთან, დედამიწის იონოსფეროსთან. ამის მაგალითებია ლაო–ძის „დაო დე ძინი“, „ბჰაგავად–გიტა“, რაჯნეშის „ტანტრა“, დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, გოეთეს „ფაუსტი“, ლირიკა, რილკეს, ათანას ფეტის, ვლადიმერ სოლოვიოვის, ალ. ბლოკის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა–ფშაველას, კონსტანტინე გამსახურდიას, გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის, მიხეილ ჯავახიშვილის, გრიგოლ რობაქიძის, ნიკო ლორთქიფანიძის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, გურამ რჩეულიშვილის, რევაზ ინანიშვილის, ოთარ ჩხეიძის, ოთარ ჭილაძის, ჭაბუა ამირეჯიბის, რევაზ მიშველაძის, გოდერძი ჩოხელის შემოქმედება. მათ იხილეს და მოისმინეს სხვათაგან უხილავ–მოუსმენელი და გადაიხედეს მომავალში.

ბერგსონი განარჩევდა ცოდნის ორ სახეს: რაციონალურს და ინტუიციურს და აღნიშნავდა, რომ ინტუიცია წარმატებით წყვეტს იმ ამოცანებს, რომელთა გადაჭრაც არ შეუძლია გონებას.

ამასთან, არ არსებობს უფსკრული ინტუიციასა და გონებას შორის, რადგან თვით გონება ინტუიციურია (ანრი

ბერგსონი, ცნობიერების უშუალო მონაცემები., თბ. 1995, გვ. 24,85).

კარლ გუსტავ იუნგის ნააზრევში დიდი ადგილი ეთმობა ინტუიციით მიღებული წინაგრძნობის უნარს და მის მნიშვნელობას ადამიანთა ცხოვრებაში: „ინტუიცია არის ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც მხედველობის ველში რეალურად მოცემულის ფარგლებს მიღმა ხედვა შეგვიძლია. არსებობს წინაგრძნობა, რომელმაც შეიძლება კაცი სიკვდილს გადაარჩინოს“ (კარლ გუსტავ იუნგი, ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები, სიზმრები, თბ. 1995, გვ. 24).

სტეფან ცვაიგი დოსტოევსკის სამყაროს „ღრმა და წინასწარმეტყველურ სიზმარს“ უწოდებდა (ცვაიგი, დოსტოევსკი, ფანტასტიკური ღამე, თბ. 1966, გვ. 211,243).

დიდი ღვთისმეტყველი იოანე დამასკელი გამოარჩევდა „ღმრთივსულიერ წინასწარმეტყველებს, ღმერთშემოსილ მწყემსებს“ (მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი, გადმოცემა, თბ. 2002, გვ. 33).

ჩეზარ ლომბროზის აზრით, გენიოსი ფლობს იმის მიხვედრის უნარს, რაც მისთვის სავსებით არ არის ცნობილი. მაგალითად გოეთე დაწვრილებით აღწერდა იტალიას ისე, რომ არც ენახა იგი (Ч. Лоброзо,Гениальность и помещательство, Москва, 1995,с.123).

შტაინერი საუბრობდა „სულიერი თვალის“, უმაღლესი გრძნობის გახსნაზე: „მეცნიერული გამოკვლევების შედეგად დადგენილია, რომ ადამიანის ტვინის მარცხენა ნახევარსფერო ახორციელებს ლოგიკურ აზროვნებას, მარჯვენა კი ინტუიციურს.

„გრაალის ბარძიმს შეესაბამება ადამიანის ტვინის არეში არსებული ერთი მეტად მნიშვნელოვანი ორგანო, ეპიფიზი, რომელიც ნათელხილვის ორგანოა და ადამიანის სპირიტუალურ უნარებთან არის დაკავშირებული“ (მესამე კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ. 1991,გვ.51).

მხოლოდ ნათელხილვისა და ნათელსმენის ფენომენებით თუ აიხსნება ის უტყუარი განჭვრეტა საზოგადო თუ პიროვნული მომავლისა, რაც ყურადღებას იპყრობს ბეჟან ხარაიშვილის პოეზიაში.

ჯერ კიდევ 80-იან წლებში უხილავს პოეტს ქარიშხლის მიერ ზღვიდან თოვლის გუნდებივით გამორიყული თოლიები, „ჩაყორნისფერებული“ ზეცა და დიდი წყალნიაღვრის მოვარდნის შიშს ბიბლიური დიდი წარღვნის, ბიბლიური ნოეს კიდობნის ასოციაციით აუვსია პოეტის სული: „ნაპირს დაუშინა ქარიშხალმა თოვლის გუნდები, – თოლიები და ზეცა თვალებში ჩაყორნისფერდა.–ვაითუ დიდი მოვარდეს წყალი... – ჯვარი აქაურობას, ჯვარი აქაურობას, რამ გამახსენა ნოეს კიდობანი?!“(ეჭვი).

თუ გავიხსენებთ 2015 წლის 13 ივნისის წყალდიდობას თბილისში, იავარქმნილ სახლებს და ადამიანთა მსხვერპლს, საოცარ წინასწარმეტყველებად მოგვეჩვენება ლექსის აზრი.

მით უფრო, როცა მთელი მსოფლიო ძრწის გლობალური დათმობისგან მოსალოდნელი მოვლენებით, ქვეყნების, კონტინენტების იავარქმნის, გამანადგურებელი ახალი წარღვნის, ცოცხალ არსებათა სიცოცხლისთვის დასმული დიდი კითხვის ნიშნის შიშით... როცა კაცობრიული გონება ახალი კატასტროფისგან ხსნის გზებს ეძებს, შეუძლებელია არ გაგაოცოს მომავალში გადახედვის პოეტისეულმა უნარმა, რომელიც უნდა აღვიქვათ, როგორც გაფრთხილება.

ლექსის საოცრად მიგნებული სახეა: „ზეცა თვალებში ჩაყორნისფერდა“.

„ჩაყორნისფერდა“ ნეოლოგიზმია.

ასევე, ათეული წლების წინ იწინასწარმეტყველა პოეტმა, რა ბედი ეწეოდა ჩვენს ნასახლარებს, რას მოაწავებდა თოვლის სამყაროდან მოვლენილი, ქარის მოტანილი ავის მაცნე „თოვლის ბარათები“, ჩვენი „ხარების“ ცხელ სისხლზე, ღვინიაზე დახარბებული მგლების ყმუილი მშობლიურ შემოგარენში... გრძნობს რა მოსალოდნელ ეროვნულ უბე-

დურებას, თანამემამულეებს მოუწოდებს, პატრონობა გაუწიონ, გულთან მიიტანონ სამშობლოს სატკივარი: „...შენ შეგყმუიან მგლები, სოფელო, შენი ხარების ცხელ სისხლს ნატრობენ... ეჭვი გძალავს და უყავი შვილებს: დაგეპატრონონ!" (შეციებიათ მთაში ღელეებს).

გაფრთხილების ეს გონივრული სიტყვა არავის მიუტანია გულთან, სადაც ჯერ არს, დუმილი იყო და შედეგი: დაკარგული სამაჩაბლო, დაკარგული აფხაზეთი, ისევ 2008 წლის ავბედითი აგვისტო და დაკარგულ სამაჩაბლოს მიმატებული ახალგორის რაიონის 160 სოფელი, დამოუკიდებლობამიღებული სამაჩაბლო და აფხაზეთის ძირძველი ქართული ტერიტორიები... აშკარა ხდება, რა დარდი უღრღნიდა პოეტს სულს და როგორ ახდა მისი წინაგრძნობა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩრდილოეთის მეზობელთან ორმოცდაათი საზღვარი გვაქვს, ხოლო ამათგან თითქმის ნახევარი დაუცველია, ნათელი ხდება ახალი საფრთხე, მით უმეტეს, გაიძვერა მონსტრი მავთულხლართების ახალ–ახალი გადმოწევებით ყოველდღიურად უახლოვნება ქვეყნის შუაგულს.

„შენ შეგყმუიან, მგლები, სოფელო", რა უცდომელი ხილვაა კატაკლიზმების, ასე ხატოვნად, ასე მიგნებულად თქმული და რა ამაო ღაღადებაა სმენადახშულთათვის...

როცა პოეტი ფეოდალური შუღლის გამო სამშობლოდან გადახვეწილ უებრო რაინდს–გიორგი სააკაძეს, მის გმირულ, მამულიშვილურ შემართებას და ეროვნული ინტერესებისთვის შეწირულ პაატას ახსენებს, ესეც დიდი გაფრთხილებაა იმათი მისამართით, რომელთაც ერის საჭე უპყრიათ ხელთ...

მეორე სამამულო ომში გმირულად დაღუპული ჭაბუკის – მირზა გელოვანისადმი მიძღვნილი ლექსიც – „ხვედრი პოეტთა" საკუთარი ტრაგიკული აღსასრულის წინაგრძნობა იყო.

პოეზიისთვის დაბადებული დიდი მამულიშვილური სულის ბეჟან ხარაიშვილი მზად იყო მარადიული ფასეულობებისთვის მარჯვენა მიეტანა მსხვერპლად: „...რა დროს სიკ-

ვდილია, ... ჯერ უნდა მომჭრან მარჯვენა და სული მომთხოვონ" (გაზაფხულია).

ასაკით და სულით ჭაბუკს დევის ხახა და დაკარგული კენტი ბილიკი ელანდებოდა, რაც, ასევე, უიღბლო მომავლის მაცნე იყო: „დინჯად ალოკეს ძირულას ტალღები რუხმა კამეჩებმა, – ნისლებმა და ორ მთას შუა, როგორც ნაცნობ დევის ხახაში ინამცოხრებენ ჩემს სიჭაბუკეს, დაკარგულს კენტი ბილიკივით ცვრიან ბალახში" (დინჯად ალოკეს).

ხელნაწერი ლექსი „წინაგრძნობა", ასევე, უბედო მომავლის ხილვებით არის სავსე. არაწმინდა სული, „მღვრიე ღელე" ცდილობს პოეტის კვალის წაშლას. სიზმრისეული თეთრი რაშის მხედარი „აუგს" ამზადებს და მოტეხილი ალუბლის ტოტი, ბინდს ადევნებული აჩრდილი, გრიგალში ზღვის ტალღაში ჩაკარგული კვარი, უგზოობა, უცხო მხარის, უცხო ნაპირის მებორნის მოლანდება, მიტოვებული საყდარი აშკარას ხდის ბედის მუხთლობას, უსამართლო აღსასრულს: „...მოგიტყდებოდა ალუბლის ტოტი და უცხო მოტივს გიმღერდა ქარი, ბინდს გაჰყვებოდა ჩემი აჩრდილი, როგორც ზღვის ტალღას გრიგალით მკვარი უსამართლო და უცხო მხარეში. ქართა თარეშში და მზის არეში გამოკრთებოდა სხივი უჩინო, შენ მოალხენდი შენეულ ჭიას, მე კი გვემულმა ვისღა ვუჩივლო მიტოვებული საყდრის იქიდან! რა სიცივეა, გზაი არა სჩანს, კივის მებორნე უცხო ნაპირთან, იმას მისრულებს ბედი მუხთალი, იმას მისრულებს, რასაც დამპირდა".

შუაფხოში, ლაშარის გორაზე, ხატობაზე, ბერი ბიჭურის მოგონებების მსმენელს, ფიც-ვერცხლით სავსე ყანწების მპყრობელს, საკუთარი აღსასრულის ხილვები აემგზავრებოდა, რაც სულ მალე აუხდა კიდეც: „იღრუბლება, რა ახლოა დასასრული. ოცდამეცხრე იანვარი ბოლავს მხრებზე–რა გზა მიდის თურმე აქეთ... რას იტყვიან, რას იტყვიან ნეტავ ჩემზე!" (ნება ნება).

ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ეროვნული იდეალების თანამოზიარეს შემთხვევით არ ეზმანებოდა „სისხლის-

ფერი ნიჩაბი, ბაძაძგნარი“: „სისხლისფერ ნიჩაბს გულზე მისვამ და ბაძაძგნარს მაყრი“ (მდინარეზე, ხელნაწერი).

ჰადესის აჩრდილები კარნახობდნენ თითქოს ამ ქვეყნის დატოვების განაჩენს: „მე გაზაფხულზე დავბადებულვარ და გაზაფხულზე მოვკვდები, ლელავ!“ (ისევ გინატრე).

აწამებდა არა იმდენად საკუთარ აღსასრულზე ფიქრი, არამედ საყვარელი არსების მომავალი ხვედრი: „... შენი წერილი... ჩემი დარჩება, შენ ვის დარჩები, ნელი!!!“ (შენ ვის დარჩები).

ცაში გასამგზავრებლად გამზადებული, მიწაზე აუსრულებელ ოცნებებს, დაუწერელ სტრიქონებს ტოვებდა, ხოლო ზეციურ საგზლად სიყვარულს იახლებდა:„... და ვტოვებ, ვტოვებ, ყველაფერს ვტოვებ: სასოწარკვეთას, ნუკვას, იმედებს,... რომ გამოვცადო ცის სიახლოვე, მიწაზე ბოლო სუნთქვას ვიმეტებ! აუსრულებელ ოცნებებს ვტოვებ, გაციაგებულ ლექსების რვეულს... ჯერ დაუწერელ სტრიქონებს ვტოვებ, რომელსაც მერე ვერავინ დაწერს!... მხოლოდ სიყვარულს არ ვტოვებ, არა! ... იგი თან მიმაქვს ზეციურ საგზლად... რადგან სიყვარულს არა აქვს სხვა გზა, ამიერიდან ვარსკვლავად ენთოს!“ (დავტოვებ, ვტოვებ).

საქვეყნო ინტერესებისთვსი მებრძოლი პოეტი გრძნობდა ღალატს, მის მიერ აგებული სულიერი ტაძრის დამცირებას, ესმოდა უკეთურთა გინება, ხედავდა დანის ლესვას: „არ დაგკლებია გაჩენის დღიდან სულის სიმძიმე, ხორცის ჟეჟვა და მაინც იცანი, ვინ რა ფერია–მრავალჟამიერ, ჩემო ბაჟანა! მთელი ქვეყანა რომ ანაცვალე, იმათ გაგცვალეს... შენი კვნესამე და იმ საყდარში, შენ რომ აღმართე, გაგინებენ და დანებს ლესავენ“.

უსამართლო აღსასრულის მომლოდინე არა გაზაფხულს, არამედ დათოვლილ მწვერვალებს ხედავდა, სატრფოს ვარდის სახით აღიქვამდა, ვარდის სუნით გაბრუებული ვარდის შიგნით შმორის სუნს შეიგრძნობდა მასთან მიახ-

ლოებისას და ამ ავდრებში ის ანუგეშებდა, რომ სწორად შეიცნო და გაიცნო ორგული სამყარო... ეიმედებოდა თავისი პოეზიის მარადიულობა, მრავალჟამიერი, ჯვარცმის ფასად მოსალოდნელი უკვდავება: „ერთ გაზაფხულსაც ვერ მოესწარი, ისე დათოვა შენი მწვერვალი. როგორც მწევარი, ირმის ნაკვალევს, ისე მისდევდი სატრფოს ხმას შორით, დაეწიე და ნეტავ არ გეგრძნო ვარდის სუნი და ... ვარდს შიგნით – შმორის და მაინც გასწი, ნუ დაიდარდებ, გზად თუ არასდროს გამოგიდარა, ხომ გაიცანი, ვინ რა ფერია?! – მრავალჟამიერ, ჩემო ბეჟანა!“ (მრავალჟამიერ, ჩემო ბეჟანა!“).

პოეზიისთვის, მამულის იდეალებისთვის ჯვარცმულს, ხილვებში რუსთაველი, თამარი ევლინებოდა, რაც სითამამეს მატებდა შორი მწვერვალებისკენ მიმსწრაფს: „...თითქოს ქოჩორზე გადამისვა ხელი თამარმა. დღეს შემიძლია დავიჭექო მტკვართან მეხივით. ბებერ მდინარეს დავადევნო სიტყვა თამამად... ფიქრო, გამიძეხ, სადაც მიცდის მწვერვალი შორი!“ (რუსთავო).

სიკვდილთან შებრძოლება, სიკვდილის დამარცხება იყო პოეტის მიზანი: „...რომ სამოთხეში, გინდ ჯოჯოხეთში თავთან დაკლული სიკვდილი მედოს“ (ნატვრა).

„ერთი მეც უნდა მაგკლა, სიკვდილო,“ (ორწყალთან შედგა შემთვრალი ხევსური), ათქმევინებს ვაჟკაცური სულის ხევსურს.

თითქოს თავისთავზე ეთქვას მირზა გელოვანისადმი მიძღვნილ ლექსში: „წაქცეულს მკლავებში ჩაუკლავს სიკვდილი, მის თვალებს ჩაჰყოლიათ ცეცხლობა, პოეტები ყველაზე ადრე კვდებიან და პოეტები ყველაზე დიდხანს ცოცხლობენ“ (ხვედრი პოეტთა).

ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ვერაგული ზრახვების უცდომელი განჭვრეტაა ლექსი „შეციებიათ მთაში ღელეებს“.

თავი VII
რას იტყვიან, რას იტყვიან ნეტავ ჩემზე

ბეჟან ხარაიშვილს გამუდმებით თან სდევდა ხილულ სამზეოსთან ნაადრევი განშორების წინაგრძნობა, ამასთან, არ ასვენებდა თავის თანამედროვეთა თუ მომავლის მსჯავრზე ფიქრი: „...იღრუბლება, რა ახლოა დასასრული. ოცდამეცხრე იანვარი ბოლავს მხრებზე – რა გზა მოდის თურმე აქეთ... რას იტყვიან, რას იტყვიან ნეტავ ჩემზე" (ნება–ნება).

უპირველესად, ბეჟან ხარაიშვილის პიროვნების და პოეზიის ფასი ზედმიწევნით კარგად იცოდა მისმა მეგობარმა ლევან ბაბუხადიამ, რომელიც მიმართავს მიღმურ სამყაროში ნაადრევად გადასახლებულ ჭაბუკ პოეტს: „...შენ... მართლა არ იყავი ჩვეულებრივი, შენ მეტი იყავი".

თავზარდამცემი ამბის გამგებს, სწორედ ლევანს ხვდა წილად მორგიდან სათაყვანებელი მეგობრის გამოსვენება, მის ორმოცზე ტირილიანი თამადობა, საფლავის ეპიტაფიის დაწერა. სულისშემძვრელია ლევანის „წერილი მეგობარს", რომელიც არა მხოლოდ მათი თაობის, მთელი ერის ისტორიულ კატაკლიზმებზე ამახვილებს ყურადღებას (წერილი მეგობარს, კრებული „ხვედრი პოეტთა", თბ. 2014წ.გვ. 181-186).

და, რაც ყველაზე დასაფასებელია: ლევან ბაბუხადიამ შემოინახა ბეჟანის ლექსები და საკუთარი ხარჯით გამოსცა კრებული „სადღეგრძელო" 1992წელს, ხოლო წიგნის ჰონორარი მთლიანად გადასცა ავტორის შვილს – 11 წლის ლაშას.

ლევან ბაბუხადიას დიდი ძალისხმევა დასჭირდა აქეთ–იქით მიმობნეული ბეჟანის ლექსების მოძიებისთვის. აქ თუ ნაწილობრივ მაინც მიაღწია მიზანს, ვერაფრით მიაკვლია მის ძალზე საინტერესო რომანს „სად მარხია ძაღლის თავი". ნიჭიერი ავტორის ამ წიგნის გაუჩინარება უსათუოდ დიდი დანაკლისია ჩვენი კლასიკური მწერლობისთვის.

საერთოდ, ლევანისა და ბეჟანის უანგარო მეგობრობა ავთანდილისა და ტარიელის ურთიერთობას გვაგონებს და ის მომავალი კვლევების, თვით რომანის თემაც არის, რითაც, ალბათ, დღეს თუ ხვალ, უსათუოდ დაინტერესდება ვინმე სიმართლის მოყვარული, შურზე მაღლა მდგომი ქართველი.

ბეჟანის თაობის ერთ–ერთი ცნობილი წარმომადგენელი გულო კობიაშვილი იგონებს: „ბეჟან ხარაიშვილი ერთ–ერთ პოეტურ წრეში გავიცანი. სულით პოეტს გარეგნობაც პოეტური ჰქონდა,–ლამაზი ახალგაზრდა იყო, ნათელი ღიმილით“.

გულო კობიაშვილის მიერ ადრე გარდაცვლილი ნიჭიერი პიროვნების დაფასების ნიმუშია პოეტის განსაკუთრებული სიკეთე-ხელგაშლილობის ხაზგასმა, 2009წ. „ქართული პოეზიის ანთოლოგიის“ „დამშვენება“ ბეჟანის „ბრწყინვალე პოეტური შემოქმედებით“ (ბეჟან ხარაიშვილის გახსენება, კრებული „ხვედრი პოეტთა“, თბ. 2014წ.).

ბეჟანის უპირველეს მეგობრად უნდა მოვიხსენიოთ ანა ხუნაშვილი (ბოდბელი), რომელიც მხარს უჭერდა დავით შუბითიძის იდეას – სოფელ ჭალვანის საშუალო სკოლას, სადაც ბეჟანი სწავლობდა, მინიჭებოდა პოეტის სახელი, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი.

ასევე, ანა ბოდბელის სურვილია, ჭალვანში, ბეჟანის სახლში, მოუწყოს ეთნოგრაფიულ–მემორიალური დარბაზი – სალონი, სადაც გაიმართება ძველებური, ტრადიციული ხელოვნების ნიმუშების გამოფენა, მოეწყობა ფოლკლორული საღამოები, შეხვედრები სტუდენტებთან, მოსწავლე ახალგაზრდობასთან, ტურისტებთან, მით უფრო, ბეჟანი იყო განსაცვიფრებელი განსწავლულობის, ფოლკლორული ექსპედიციების მონაწილე სვანეთში, ხევსურეთში, თუშეთში, ფშავში.

ანა ბოდბელი ხაზგასმით საუბრობს ბეჟანის გამორჩეულ სიკეთეზე, ეროვნულ ტკივილებზე, მისი პოეზიის აქტუა-

ლობაზე და ასკვნის: „ბეჟან ხარაიშვილს სამშობლოს გარეშე, ვით ფრინველს ფრთების გარეშე, არსებობა არ შეეძლო. მას თავისი კრედო ჰქონდა ერის ერთგულებისა და გადარჩენის გზისა, მისი წარსულისა და მომავლისა, წინაპართა ანდერძისა და ხსოვნისა, მტერ-მოყვრის გარჩევისა“ (კრებული „ხვედრი პოეტთა, გვ. 189-192).

ბეჟანს ვრცელი, ძალზე კომპეტენტური წერილი უძღვნა პოეტმა და კრიტიკოსმა, ფაზისის საერო აკადემიისა და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის წევრმა თამარ ჯაჭვაძემ.

წერილის ავტორს ძალზე გაუთავისებია ბეჟანის ეროვნული სატკივრები, დაკარგული ტაო–კლარჯეთის სევდა, თანადროულობის და მარადიულობის პრობლემები, მისი „რეალურობაზე უფრო რეალური ხილვები“, „დაცლილ სოფლების სიცარიელე“, „დიდეროვნული ფიქრები“, „ეროვნული ტკივილის დონეზე დანახული“ „ყაყაჩოს წითელ და თხელ ფარფლებზე შავად ნაფერი შავი წერტილი“.

თამარ ჯაჭვაძის თვალთახედვით, ბეჟან ხარაიშვილი „ბრძენი მისანია“, რომელიც „დარიგებას არ იშურებს ერის განახევრებისა და ქვეყნის დაცარიელების, სხვის ტყვეობაში მოქცეული მიწების წინასწარმჭვრეტი“, „საოცარია პოეტის „სულიერი სიცარიელის მოშიში გული“.

აქვე ხაზგასმულია ფერეიდნელის სატკივარი, სიკვდილთან ბრძოლის სურვილით შეპყრობილი ხევსურის ნატვრა, ყოფითი, მიწიერი სიყვარული და ასტრალური სიყვარული, „ქართული სურნელით“ გაჯერებული სიყვარულის „კოსმიური ძალა“, მისი ლექსების „ქართული ძარღვი და სისხლი“, საოცრად მიგნებული სახეები.

ასევე, საყურადღებოა თამარ ჯაჭვაძის ბეჟან ხარაიშვილისადმი მიძღვნილი ლექსი „თავთან დაკლული სიკვდილი ედო“ („ხვედრი პოეტთა“, გვ. 192-206).

პოეტი ვაჟა მიროტაძე იგონებს ბეჟანის პირველ პუბლიკაციებს საჩხერის რაიონულ გაზეთში, მის გაცნობას, იმ აპლოდისმენტებს, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-

ტის 95-ე აუდიტორიაში ბეჟანის ლექსის – „მე მივდიოდი საქართველოს გამოხრულ გულში“ –მოჰყვა.

„მდიდარი ბუნების შემოქმედი, ხალასი პოეტური ნიჭით დაჯილდოებული კაცი“, „თვალშეუდგამი პოეტური მწვერვალებისკენ“ მიმსწრაფი, ასე ახასიათებს ვაჟა მიროტაძე ბეჟან ხარაიშვილს (პოეტის მეორედ დაბადება, „ხვედრი პოეტთა“, გვ. 217-219).

საინფორმაციო წერილში „ბეჟან ხარაიშვილის პირველი დიდი გახსენება“ პოეტი და მწერალი სერგი ლომაძე საუბრობს 2013 წლის 25 დეკემბერს ბეჟან ხარაიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ დიდ საღამოზე, რომელიც ჩატარდა ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

ბეჟანი იმ დღეს სამოცი წლის უნდა გამხდარიყო, მაგრამ პატრიოტი პოეტი დიდი ხნის წინ სასიკვდილოდ დაჭრეს მერაბისა და ზვიადის ერთგულების გამო“, ხაზს უსვამს სერგი ლომაძე ბეჟანის ეროვნულ იდეალებს.

ღონისძიებაზე დაწესდა ბეჟან ხარაიშვილის სახელობის სიგელი და ამ ჯილდოს პირველი მფლობელები გახდნენ ბეჟანის წიგნის გამომცემელი ლევან ბაბუხადია და პოეტის მეგობარი, თანამოაზრე პოეტი ზაურ ნოზაძე.

ღონისძიებაზე ნახსენები იყო სერგი ლომაძის გულნაზ ხარაიშვილის შესახებ დაწერილი წიგნი „გზა მწვერვალისკენ“, რომელშიც არის ბეჟანისადმი მიძღვნილი პასაჟიც. სერგი ლომაძის ამ წიგნს პოეტმა მიმოზა ცანავამ „გენიალური ნაშრომი“ უწოდა და, ვფიქრობთ, სამართლიანადაც.

სერგო ლომაძე, კახა ბაციკაძესთან ერთად, გვანცა ხარაიშვილს უნიჭიერეს პოეტად მიიჩნევს, მესამე ნიშანსვეტად ხარაიშვილთა ცნობილი გვარისა. მისი ახალი წიგნი „პოეზიის ასი წელიწადი“, სერგი ლომაძის თქმით, „შეიძლება რევოლუციურ მოვლენადაც კი იქცეს ქართულ პოეზიაში“.

საღამოზე სერგი ლომაძემ განსაკუთრებით გამოარჩია პოეტი და მუსიკალური ნიჭით მომადლებული კახა ბაციკაძე, რომელსაც ოცი წლის განმავლობაში შვიდასზე მეტ პოე-

ტურ პაექრობაში გაუმარჯვნია ზედიზედ (უცხოელ პოეტებთანაც), რის გამოც, „საქართველოს და მსოფლიოს ჩემპიონი“, „ხელოვნების მეფე“ უწოდეს.

საღამოზე ჯულიეტა ალავიძის მიერ მოტანილი გასაოცარი სილამაზის ვარდები – მოლურჯო–შავი ფერის საოცრებანი აღქმულ იქნა, როგორც სიმბოლო ადრე წარსული პოეტის ტრაგიკული ბედისა.

როგორც სერგი ლომაძე აღნიშნავს, „ეს ღონისძიება იყო ღიმილისა და ცრემლების თავისებური ზეიმი, რომელიც უთუოდ გაახარებდა იქ, ცათა სასუფეველში დავანებულ მარად ახალგაზრდა პოეტის თეთრ სულს“.

„ლეგენდად ქცეული ბეჟან ხარაიშვილის ხსოვნის საღამო განსაკუთრებული სინათლე, სახელოვნებო ნათებათაგანი იყო“, ასკვნის სერგი ლომაძე (ხვედრი პოეტთა, გვ. 219-223).

ნაილი ხარაიშვილის მართებული აზრით, „ბეჟან ხარაიშვილის ნიჭით და სიყვარულით გაჟღენთილი პოეზია დიდხანს ეყოფა საგზლად ქართველ ერს“.

„გასაოცარი, ამაღლებული ნათელით დაუკავშირა პოეტმა თავის შემოქმედებაში ორთავ სოფელი–დროებითი და მუდმივი.

„ამ ახალგაზრდა პოეტის სიყვარული ქრისტესმიერია... პოეტისათვის ფასეული მხოლოდ სულიერი სიყვარული არსებობს, სპეტაკი, ჭეშმარიტი, საღმრთო მადლით მოსილი.

„...ადამიანისადმი უსაზღვრო სიყვარულმა ორი სოფლის ურთიერთობის გზა გაუიოლა თითქოს. სულთა კავშირის შესახებ თეორიულ ახსნაში მეტი სიცხადე შემოიტანა თავისი ცხოვრებით და შემოქმედებით.

„ბეჟან ხარაიშვილის პოეზიაში სინანული ბედნიერების აუცილებელი კომპონენტია, რადგან ყოველი ადამიანი ცოდვილია.

„...დედამიწა მისთვის დარბაზია და ამ დარბაზში, ამაღლებულ ამბიონზე აღწევს ქართული პოეზიის კდემამოსილი სულის აღზევებას. სულიერების ამ დარბაზში შეჰყავს ადა-

მიანები, ვის მიმართაც მისი სული მოკრძალებას გამოხატავს.

„პოეტის ძვირფასი მეგობრები – პატიოსნება და ერთგულება ეხმარება მარგალიტებად აკინძოს სიტყვები.

"მისი ნაადრევი გარდაცვალება უფლის მიერ ბოძებულ საიდუმლოს მკვეთრად აცხადებს: კეთილი სულები არ კვდებიან, ისინი მარადიულ სოფელში აგრძელებენ ცხოვრებას", ასკვნის ნაილი ხარაიშვილი (ხვედრი პოეტთა, გვ. 225-230).

დავით ტიგინაშვილს არ სჯერა ბეჟან ხარაიშვილის გარდაცვალება. ის ბეჟანის ლამაზ სულს იქ... იმ უსასრულო პოეზიის და სიყვარულის გალაკტიკაში ხედავს, რომელიც არწივივით ფრენს. ის თვითონ არის მონაწილე უსასრულო გალაკტიკური პროცესების, ესწრება უფლის გამობრძანებას ანგელოზებთან ერთად. ის ზეცაში ხედავს პოეტის სახეს.

წერილის ავტორს აინტერესებს ხევსურეთის, საერთოდ, მთის ბედი, ვაჟას ფშავი, ბეჟანის სურვილი ხომ ვაჟას მთებში ჩამარხვა იყო, ხმელი წიფლის სანედლო ფესვად ქცევა...

ბედნიერებად ესახება ყოფნა მარადიულ მზიანეთში.

დავითი ბეჟანს ამცნობს თავისი ვაჟკაცის – ლაშას ნაღდი ქართველობის ამბავს. ეკითხება გულნაზ ხარაიშვილის ვაჟკაცის – გელა სხირტლაძის შესახებ. ლოცავს ცნობილ ქართველ პოეტ ქალს გულნაზ ხარაიშვილს, აკროსტიხების დიდროსტატს, სიკეთითა და სიყვარულით სავსე „პოეზიის დედოფალს". მოხიბლულია მისი საოცარი სიკეთით, ადამიანური ურთიერთობის მაღალი კულტურით, ეამაყება ხარაიშვილები: „შენი ლექსი ვაჟას სისხლით გადაუვლის მრავალ მზე-ჟამს... ათინათის სიყვარული ხარაიშვილს – მგოსან ბეჟანს!", ასე მთავრდება წერილი (ხვედრი პოეტთა, გვ. 230-233).

ბეჟანის ძმისშვილს, გვანცა ხარაიშვილს ახარებს, როცა მისი ლექსების სტილს ბეჟანისას ადარებენ. „წარმოსახვა, რომელიც შეიძლება სწორედ შენგან მერგო მემკვიდრეო-

ბით, მეხმარება, ახლოს მყავდე ყოველთვის და ყველგან, სადაც ზეცაა, წარმოვიდგენ ხოლმე, როგორ დგახარ ღრუბლის კიდესთან და მაკვირდები. მეც გხედავ, ყოველთვის საოცრად იღიმები, მხოლოდ თვალებში გიდგას სამყაროს წიაღში არსებული უდიდესი სევდა, რომელსაც ყველა სულიერი ამტანობის მიხედვით ვატარებთ... სიკვდილის არ მეშინია, რადგან მიწიერი ცხოვრება მხოლოდ დასაწყისია, რაღაც უფრო დიდის და დიადის. სიკვდილი ვერც მათ შეაშინებთ, ვისთვისაც აწმყო წარსულის გარეშე სრული აბსურდია. მე მოუთმენლად დაველოდები იმ ძალას, რომელიც შენამდე მომიყვანს და გეტყვი, რომ ისე მენატრებოდი, როგორც მხოლოდ პოეზიით შეკავშირებულ, თუნდაც სხვადასხვა დროსა და სივრცეში განფენილ სულებს შეუძლიათ ერთმანეთი ენატრებოდეთ", წერს ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტი (ხვედრი პოეტთა, გვ. 234-235).

გულნაზ ხარაიშვილის წერილი „ძმის ნაკვალევზე" მრავალი რამითაა საინტერესო. აკადემიის წევრების, ჯგუფ „ზღვარის" წარმომადგენლების – კახა ბაციკაძისა და სერგი ლომაძის ქცევაში, ურთიერთსიყვარულში, სიკეთეში, სხვისი ტკივილისა და სიხარულის გაზიარებაში იგი ბეჟანთან მსგავსებას ხედავს, მათი მეგობრობა ბეჟანისა და ლევანის ურთიერთობას აგონებს.

გულნაზი იხსენებს ძმის სტუდენტობას, მეგობრებთან ურთიერთობას, ეროვნული ტკივილებით გაჯერებულ საუბრებს, ზვიად გამსახურდიას დაპატიმრებას და ამაზე წუხს.

პოეტის თვალთახედვით აღწერს გულნაზი ანა ბოდბელთან სტუმრობას დავით შუბითიძესთან და მირზა ხარაიშვილთან ერთად. გზადაგზა კლდიდან ნაშალ ქვებს ეფერებოდა ფიქრით, რადგან ისინი შეწყვეტილ სიცოცხლეს ახსენებდნენ, ჩამონადენი წყალი კი – დედის ტბად დამდგარ ცრემლებს.

დავით შუბითიძემ გაიმარჯვა საჩხერის არჩევნებში და მისი თაოსნობით საჩხერის რაიონის ხვანის საშუალო სკოლას ბეჟანის სახელი ეწოდა.

გულნაზი იხსენებს ბეჟანისა და ლევან ბაბუხადიას მეგობრობის ეპიზოდებს, მათ გამორჩეულად კაცურ, რაინდულ ქცევებს, ზვიად გამსახურდიას იდეების ერთგულებას.

ლევან ბაბუხადიას თაოსნობით გამოიცა ბეჟანის ლექსების კრებული „სადღეგრძელო" საკუთარი ხარჯებით. „სამზეო იხილა სულის ნადუღმა, ადამიანთა გულებისკენ წარაკრაკდა და თითქოს მეორედ დაიბადა ბეჟან ხარაიშვილი".

როცა პოეტი ქალი ბეჟანის შესახებ მოგონებას წერდა, ოთახში მერცხალი შემოფრენილა, რომელიც ფანჯრის რაფაზე ნახევარი საათი მჯდარა, უყურებდა ოჯახის წევრებს, როგორც ბეჟანის სული და შვილმკვდარმა დედამ მოკითხვა დააბარა ბეჟანთან, თავის ნაადრევად გარდაცვლილ გელასთან, გაახსენდა, როგორი ცხარე ცრემლებით ტიროდა ბეჟანის შვილი ლაშა მამის გაუჩინარებას და მამიდა ამშვიდებდა, მამა აუცილებლად მოვაო... დიდი ხნის მერე, მართლაც მივიდა ბეჟანი თავის ოჯახთან, სახელიანი, უკვდავი, დავით შუბითიძის იდეითა და წმინდა ნინოს მადლით...

ბეჟან ხარაიშვილი ყველა ნამდვილი მამულიშვილის, ყველა ნიჭიერების დამფასებელი ადამიანის დიდი ტკივილია, როგორც სამშობლოს ჭეშმარიტი ჭირისუფალი, მისი გადარჩენის, ხსნის გზების მაძიებელი, საქვეყნო უბედურების მოზიარე და წინასწარმჭვრეტი. ამიტომ ბუნებრივია, მის შესახებ ლექსების მთელი ციკლი რომ არის შექმნილი.

შესანიშნავი პოეტი და მოაზროვნე თამარ ჯაჭვაძე თავისი ლექსითაც უკვდავყოფს ბეჟან ხარაიშვილს, მასავით სტკივა ქვეყნის გადაჯიშება, ეროვნული იდეების გაუცხოება, მაგრამ სჯერა მირზას, ბეჟანის ლექსების მარადიულობა და ასკვნის: „...პოეტები არასდროს კვდებიან, პოეტები ცოცხლობენ ლექსად". შემთხვევითი როდია ნაწარმოების სათაურად ბეჟანის სტრიქონების – „თავთან დაკლული სიკვდილი ედო" – გამზეურება (კრებული „ხვედრი, პოეტთა", გვ. 206).

პოეტ ლამზირა შეყილაძისთვის ბეჟან ხარაიშვილი არის „არაგვის მსგავსი, მზისებრ „დაუდგრომელი მდინარე", სამშობლოს „კარიბჭის მეციხოვნე", მამულის ხსნის გზების მა-

ძიებელი, „ხატ-სალოცავი წმინდა სანთელი“ (კრებული „ხვედრი პოეტთა“, გვ. 206-207).

პოეტ ზაურ ნოზაძის აზრით, „ბეჟანის გზა სამარქაფო, ისტორიული გზაა“. მას მეგობარი პოეტის ხატება ეცხადება „მხარზე ხურჯინით“, წელგამართული, ესმის მისი ხმა და ხარობს „კაი პოეტის სიცოცხლით“, რადგან მას მარადიულ სიცოცხლეს ანიჭებს თავისი მხატვრული მემკვიდრეობა.

ზაურ ნოზაძის მეორე ლექსშიც ბეჟანის სახე ელავს, ეამაყება „ქართული პოეზიის ანთოლოგიაში“ ადგილდამკვიდრებული მეგობარი, ცდილობს, ყველგან გაახმიანოს მისი სტრიქონები (ბეჟან ხარაიშვილს, ხვედრი პოეტთა, გვ. 207-208).

პოეტი ლეილა შუბითიძე ლექსით გვესაუბრება მუზასთან განუყრელი პოეტის – ბეჟანის შესახებ, რომელსაც „კაფიობაში ნაღდად ეკუთვნოდა ხუთიანი“ (იქვე, გვ. 209).

ლექსის დიდოსტატი მიმოზა ცანავა, რომელიც ერთდროულად ფლობს გულისა და გონების ძალას, ძალისხმევას არ იშურებს ბეჟანის ნათელი პიროვნებისა და მარადიული პოეზიის ღირსებათა წარმოჩენისთვის: „... ეს რა სიკეთის მარცვალი თესე, ცეცხლად ანთია, ხსოვნის კოცონი... გერჩია ვაჟას მთაში ჩამარხვა ოქრო-ვერცხლსა და აბრეშუმ ატლასს“... ვით მთის მწვერვალი გადათოვლილი შენი ლექსები ბრწყინავს და ელავს. შენ ხომ სიცოცხლე გხიბლავდა მხოლოდ და ბარბაცებდი სამშობლოს ეშხით, ეს ლექსთა ჯარმა მოკლა სიკვდილი, შენ ცოცხალი ხარ, მტრედივით ფრთებს შლი“.

ერის მარადიულ საგანძურში ეგულება თვითონაც ჭეშმარიტ პოეტ ქალს ბეჟანის მხატვრული სიტყვა: „არდავიწყების და სიყვარულის შემოასხივებს ნათელი მზე ჟამს, ის ლოცვასავით ნათქვამი სიტყვა ერს საგანძურად დარჩება, ბეჟან!... დე, შენნაირი ლექსის კაცები სახატე მიწამ და ზეცამ შობოს, კაცი, რომელიც სინათლედ დარჩი, სანთლად აენთე დედა-სამშობლოს!“

მიმოზა ცანავას ლექსში არც ბეჟანის ღვიძლი და, ნამდვილი პოეტი გულნაზ ხარაიშვილია დავიწყებული. „სულში სევდის მთა-გორებით,... დარდთან მებრძოლი ქალი“ (ლექსის კაცი, კრებული „ხვედრი პოეტთა“, გვ. 210-211).

ბეჟან ხარაიშვილის პიროვნებით და პოეზიით მოხიბლული პოეტი პეტრე ჯაჯანიძე ასე მიგნებულად წარმოაჩენს ლექსის ადრესატს: „შხარაზე ცალი ხელით ეკიდე, სამშობლო იყო შენი ედემი... თავისუფალი ქვეყნის მემკვიდრე, თავისუფლებას თვითონ ეძებდი... ლექსებში გქონდა თავშესაფარი, უკვდავებისკენ ფეხით მიმავალს“. (ზემოხსენებული კრებული, გვ. 211).

ბეჟანის ბიძაშვილი ნაილი ხარაიშვილი პოეტისადმი მიძღვნილი მოგონებით როდი კმაყოფილდება, მას ლექსშიც აემგზავრება ალალი პოეტის ხატება, მისი „ქართული სიტყვის მარგალიტები“, „დაჭრილი ხარის“ გმინვა სამშობლოს ბედზე, მისი წინაგრძნობებით სავსე ლირიკა: „მამული იყო შენი ფუნჯი, გული, პალიტრა, ჩაფიქრებული, მიყრდნობილი იყავი მთებზე. არსებით გრძნობდი შავი ღრუბლის მოახლოებას, დაჭრილ ხარივით რომ გმინავდი სამშოლოს ბედზე“.

ნაილი ხარაიშვილის ლექსში ბეჟანი წარმოისახება, როგორც ქართული პოეზიის ფრესკა, ძლიერი ფრთებით ზეცაში აფრენილი: „და, შენი გულით, – სასაფლაოდ გადაქცეულით, ფრესკად აეკარ პოეზიას მოსვლისთანავე, ძლიერი ფრთები შენს სულს ზეცად ეზიდებიან, ვინ თქვა ლექსების, ან პოეტის სიპატარავე“ („ფრესკად აეკარ“, ზემოხსენებული კრებული, გვ. 212).

პოეტ თინათინ ხაბურზანიას „ფიქრის კაცში“ ბეჟანი წარმოისახება, როგორც „ფიქრის კაცი“. რომელსაც „მტკივნეულ დარდად“ ტანზე ეცა „საქართველო, ქედზე დადგმულ უღლით“. ალბათ, პოეტის თანამედროვეთა მოგონებებზე დაყრდნობით, ბეჟანი ლექსში მოჩანს „ჭადრების ქვეშ დაუტეველ მხრებით, ვაჟკაცური, არწივული ფრთებით“.

ლექსის მიხედვით. ბიბლიური აბელივით წმინდა სულის პოეტი კაენისგან გაიწირა ეროვნული იდეალების ერთგულების გამო, მაგრამ დიდსულოვანმა მიუტევა მომხდურს.

ბეჟანის სული, ალბათ, მიღმურ სამყაროშიც წუხდა „თავჩაქინდრულ საქართველოს დროშაზე, მოძმეთა სისხლის დაღვრაზე".

ლექსის ადრესატი ბუნებრივად არის შედარებული ამქვეყნიდან ადრე წასულ და მასავით ჭაბუკად დარჩენილ ლადო ასათიანთან, მირზა გელოვანთან: „ფიქრის კაცი დაღლილი ქვეყნად, ზღვა სიყვარულს ვერ იტევდი სულში. როგორც ლადო, როგორც მირზა, ბეჟან, შენ ჭაბუკად დარჩი მარად გულში!" (იქვე გვ. 213-214).

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძეს, როგორც პოეტის, უპირველესი მახასიათებელია სხვათა ღირსების ძირფესვიანი წარმოჩენა, ლექსის ადრესატთა სულის უცდომელი ხილვა. მისთვის ბეჟანი „მისანია", მისდამი „მტრული ჟინის" წინასწარ ამომცნობი, უკეთურთა სამიზნედ ქცეული, „ვარდის სუნში რომ იყნოსა შმორის".

ლექსი ასეთი შთამბეჭდავი სტრიქონებით მთავრდება: „ისევ შეგხარით „წითელ მიმინოს", ლეგენდა სტროფნიც ხომ ჩემს წინა ძევს... სტრიქონებს, ბედს რომ წინასწარ მიხვდი, მისხალ-მისხალ ვხსნი, ვით ნაანდერძევს" (ზემოხსენებული კრებული, გვ. 215).

ბეჟანის და, პოეტი, 10 კრებულის ავტორი, რამდენიმე პრემიის ლაურეატი გულნაზ ხარაიშვილი ღირსეულად აგრძელებს ბეჟანის მიერ დაწყებულ პოეზიის საშვილიშვილო გზას. მის პიროვნებასა და შემოქმედებაზე. გამოჩენილმა პოეტმა და კრიტიკოსმა სერგი ლომაძემ დაწერა წიგნი „გზა მწვერვალისკენ", რომელსაც ერთხმად ეწოდა „გენიალური", რასაც უყოყმანოდ იზიარებს ამ სტრიქონების ავტორიც.

ქალბატონ გულნაზს მთელი ციკლი აქვს შექმნილი ბეჟანზე, მის პიროვნულ ტრაგედიებზე, ეროვნულ იდეალებზე, უკვდავებაზე. დავიმოწმებთ მხოლოდ რამდენიმე სტრიქონს:

„...ლექსით უმღერდი სამშობლოს ზეცას, შენი სიტყვები მტერს მოთოკავენ, იმ გზას, შენს განვლილს, დრო ვერ დაკეცავს, რადგან ლექსს მაინც ხომ ვერ მოკლავენ". ნუგეშია ის, რომ „შენ დიდ სიცოცხლეს აგრძელებს ლაშა, შენი სულის და ხორცის ნაწილი" (გახსენება).

ლექსი „დრომ ვერ მიშველა" ძმის ნაკვალევზე მოარული პოეტი ქალის გულისნადებია, რომელსაც გენეტიკური კოდები უბიძგებს უერთგულოს მხატვრულ სიტყვას: „... ლექსები წერე! ჩამესმის და თითქოს მაქეზებს. ეს ხმის ჩურჩული, ჩემო ბეჟან, ვიცი, შენია". წინსვლისკენ მომწოდებელი ეს ხმა მუდმივად ჩაესმის პოეტ ქალს, როგორც „სიონის გუმბათების სამრეკლოს ზარი".

ძმის ნათელ აჩრდილს, მის კეთილისმყოფელ გავლენას ვერ გაქცევია პოეტი ქალი, რაც ჩვენს პოეზიაში კიდევ ერთი ნიჭიერი, დიდბუნებოვანი შემოქმედის მოვლინების მომასწავებელი გამხდარა: „ასე მგონია, ჩემთან ტრიალებ, ვგრძნობ, გვერდს მიმშვენებ ბეჟანი, ძმაო... ზეციდან წერა მასწავლე, რითმა მაჩუქე დიდი ფიქრებით და ვწერ იმ ლექსებს, რაც დამავალე, წამწამზე კვნესის თოვლის ფიფქები. ო, ჩემო ბეჟან, გიხმობ, მჭირდები" („ასე მგონია", იხ. ზემოხსენებული კრებული, გვ. 217).

ბეჟანისადმი მიძღვნილ კიდევ ერთ ლექსში გულნაზი ამბობს: „ბილიკს, მის გავლილს, წლები რას წაშლის, ენაწყლიანი პოეტის სიტყვებს"... და გულნაზის მიზნის გამომხატველი შემდეგი სტრიქონები: „ლოცვით საგზალი ცაში ავიდეს, იმ ბრძოლის ველის კენწეროს მივწვდე, თუ გინდა წლები ბევრი გავიდეს. მერე ავანთო გულს ლამპიონი, გავაცისკროვნებ ბნელს ვარსკვლავებით. მწამს, მიწყალობებს მადლი სიონის და ისევ ვივლი ძმის ნაკვალევით".

ლექსში – „ჩემი ტკივილი მოურჩენელია" – „დარდის თავშლით", „დარდის დევების" თანხლებით მოარული პოეტი ქალის „სულის საგზალია" წმინდა მშობლიური კერიდან, ხარაიშვილების ჯანსაღი გენიდან გამოყოლილი სიწმინდე, მა-

ღალი სულიერება, უფლისგან სამოთხეში გამწესებული ძმების აჩრდილთა სიახლოვე, მუდმივი თანამდევია ბეჟანის „ლექსის ყანწი“ (ჩემი ტკივილი მოურჩენელია“, კრებული „ხვედრი პოეტთა“, გვ. 254).

თუმცა გვიან, მაგრამ მაინც იპოვა სანთელ–საკმელმა თავისი ადგილი, ჭეშმარიტი პოეტის მარადიულმა სტრიქონებმა შეძრა მკითხველის გული და ასე დაიწერა ბეჟან ხარაიშვილისადმი მიძღვნილი გულწრფელი მოწონების გამომხატველი სტრიქონები.

ეს უტყუარი მაგალითია იმისა, რომ ჭეშმარიტი პოეზიის დამარცხება შეუძლებელია, ის, ზოგჯერ გვიან, მაგრამ მაინც ყოველთვის ახდენს ფურორს.



ლაშას მამიდა – გულნაზი ხარაიშვილი.

თავი VIII
შეხვედრებითი თავისებურების ზოგიერთი ასპექტი

ბეჟან ხარაიშვილი განსხვავებული თვალით ხედავდა ბუნებას,სამყაროს, ადამიანებს.

პოეტი ბუნების, გარემოს ძალზე რელიეფურ სახეებს ქმნიდა და, რაც მთავარია, ამ სურათებში ყოველთვის დიდი ეროვნული გრძნობა, სამშობლოს აწმყო თუ მერმისი წარმოჩნდება.

აი რა განსხვავებულია პოეტის მიერ ხილული ყაყაჩო, მისი შავი წერტილები, ერთი მხრივ, მრავალტანჯულ სამშობლოს წარსულთან, ტყვიასთან ასოცირებული და, ამასთან, ბრძოლებით მარადიულობას ზიარებული ერის პარადიგმა: „ყაყაჩოს წითელ და თხელ ფურცლებზე". „შავად ნაფერი შავი წერტილი, არა არის რა, თუ არა ტყვიით ქართველი კაცის სისხლში დასმული მისი სიცოცხლის მრავალწერტილი" (ყაყაჩოს წითელ და თხელ ფურცლებზე).

ასევე, მამულისთვის მწვანე პაროლია გზაზე შუქნიშნად ანთებული ხეები, მომავლის გზებად მოაზრებული: „მწვანე შუქნიშნად ინთებიან გზაზე ხეები, ეს იმას ნიშნავს, გავიარო, წინ მამულია!" (გაზაფხული).

ცის ნაჟურით დარწყულებული ბებერი მუხების დაკოჟრილი ფესვების ბარბაცითაც გვაგრძნობინებს პოეტი ერის სულის ძლიერებას: „... და ცის ნაჟურით გამომთვრალი ბებერი მუხები მთელ ღამეს ბარბაცებდნენ დაკოჟრილ ფესვებზე (ფეხმძიმე ზეცას).

ასევე, იმედის აღმძვრელია აყვავებული შინდების რტო და ჩანჩქერების თარზე შეყვარებული მზე: „რტომან შინდე-

ბისმან იყვავილა და მზე ჩანჩქერების თარზე დნება“ (ცა რომ მტრედისფერობს).

სულში სინათლის შემომტანი თოვლიანი ფიჭვის ტოტი გვამახსოვრებს თავს შემდეგ სტრიქონებში: „ისევ ჩაიზნიქა ფიჭვის ტოტი და თოვლმა ჩამოთვლიმა ნეტარებით“.

სხვაგან ყურადღებას იქცევს თოვლის დახატული რძისფერი რუკა: „შეხედე, მწვანე გლოლის სერებზე თოვლს დაუხატავს რძისფერი რუკა“.

და ისევ თოვლის ფონზე მოაზრებული სიყვარული: „დაჰქრის ბორანი მაგ თვალთა ზღვაში, შენი ღიმილის ბროლის ბილიკებს რომელი თოვლი დათოვს და წაშლის? (ნ.გ–ს). თოვლის „თეთრი ქარი“, „თეთრ თოლიად“ მოაზრებული ზამთარია ლექსში „ზამთრის სურათი“. დაუვიწყარი სახეა: „თოვს და მდინარის გაყინულ ენას შავი კბილებით იჭერენ ქვები“.

პოეტის „ფიქრის კარავზე“ „დარდი დაათოვს, „სევდა დაბარდნის“ (არ ჩანს ვარსკვლავი“). „ფიფქები კორტნიან თვალებს“(ნელის).

ნასახლარებზე აყვავებული ატმის ხეები არა სიხარულს, არამედ სევდას აღძრავს: „შეხედე ნასახლარზე ჩვენებურ ატმის ხეებს, ღველფი დაუტოტავთ, ცეცხლი უკიდიათ!“ (ოქროს საწმისი ადრე მოიპარეს).

ტყემლის აყვავებაც განსხვავებულად განიცდება: „ოცდამეცხრედ გამოჭაღდა ეზოს ტყემალი“ (მამას).

„ტყემლების ლურჯი სიმფონია“ ესმის სიყვარულის მორევში მცურავ სულს ლექსში „შენი თითებით“: „შენი თითებით ნაზად დახრილი ტირიფის ტოტი უკრავს ტყემლების ლურჯ სიმფონიას შეშლილ მორევის ლურჯ ფირფიტაზე“ (შენი თითებით).

დიდი მამულიშვილური გრძნობა უკავშირდება ეროვნულ პეიზაჟს ლექსში „მტკვარი გველივით შეცურდა ჭადრებში“: „მტკვარი გველივით შეცურდა ჭადრებში და შეათა-

მაშა მკერდზე ნატვრისთვალი – თბილისი და მე ვინატრე, მე პატრონმა ამხელა განძის, ფული კი არა, ოქრო კი არა, სახლი კი არა, დახლი კი არა, – დღეგრძელი იყოს, საქართველო უკუნისამდე!"

ხოლო უკეთურობის ხილვისას – „თვალებს ხუჯავს თბილისი ღამით და ხანჯალივით მტკვარს იცემს მკერდში" (სანაპიროზე).

ლექსში – „ეჭვი" – ახალი წარღვნის შიშით „ზეცა თვალებში ჩაყორნისფერდა".

ეროვნული კატაკლიზმების მოლოდინს აძლიერებს ნასახლარში დახვავებული თოვლი, ბუხრის დუმილი, თეთრი მხრიდან „ფოსტალიონი ქარის" მოტანილი „თოვლის ბარათები": „თოვლით აევსო გული ნასახლარს, ბუხარი ცხვირში დუმილს იხრჩოლებს, მთვარე ზვინების თეთრი ბოხოხით–წყალში იხრჩობა. ქარი – შეშლილი ფოსტალიონი თოვლის ბარათებს მისამართს უშლის"... (შეციებიათ მთაში ღელეებს).

ერის საბედისწერო პროცესები, სულიერების, რწმენის ღალატი ასე მიგნებული ხერხით გადმოიცემა ლექსში „ნახდა საქართველო". „ხორცის ქვეყანაში ხომ არ დავიბადე?! ამ კითხვის ათასი კითხვა უერთდება... მას ძარღვი გაუსკდა ცივ მდინარებად და საქართველოს სისხლი უთეთრდება"...

ლაკონურად, ბუნებასთან შეხმიანებით გვაგრძნობინებს პოეტი დაცარიელებული მთის სატკივარს: „ხდის ხეობიდან ცისფერ ზურგჩანთით ჩამომაქვს ჩემი პატარა სევდა, რომ ამოვახრჩო თერგში უჩუმრად დაცლილ სოფლების სიცარიელე" (ხდის ხეობიდან).

„ჟანგისფერი სევდა" იპყრობს ბალახების ჭკნობის შემყურეს: „...ბალახები ჟანგისფერი სევდით ხუნდებიან".

ლექსში „შემოდგომით" დაუვიწყარია მლოცველი ტყის, ცვრიანი მთის, ხევსურული ჩოხისებრ დაწინწკლული ვარსკვლავების სახეები...

არაგვი მტკვრის „წაწალია", „ფშავ-ხევსურთა გიჟი ქალწული" (არაგვს).

ზეცაში „ცისარტყელის ხმალს“ ხედავს პოეტი.

ყურადღებას იქცევს „თვალთა მიმინო“ (დინჯად ალოკეს), „თვალთა საჭრეთელი“ (ისევ გინატრე). „თავთუხთა თვალები“, თვალებში ჩაყორნისფერებული ზეცა (ეჭვი), თვალებში მთვლემარე „ხოხბისფერი“. თვალების გამომეტყველებაშიც ჩვენი სისხლიანი წარსულის დარდი იხატება: „...და საქართველოს სისხლიანი, ავი წარსული წვეთ–წვეთ, თანდათან გამოჟონავს ჩემს თვალებიდან“ (ხატობაში).

თვალთა საჭრეთელით გულზე ამოჭრილი ცოცხალი ასოები იქცევს ყურადღებას შემდეგ სტრიქონებში: „თვალთა საჭრეთლით ამომჭრა გულზე შენი სახელის ცოცხალი ასოები“.

თვალებზე კეთდება აქცენტი ლექსში „ახლა გაბუტვა გამიგონია?“: „თეთრი ტყეებით მსურს შემოვფრინდე შენი თვალების სველ სიამეში!“

ლექსში „ხვედრი პოეტთა“ აქცენტირებულია მირზა გელოვანის თვალების ცეცხლი: „წაქცეულს მკლავებში ჩაუკლავს სიკვდილი, მის თვალებს ჩაჰყოლიათ ცეცხლობა“ (ხვედრი პოეტთა).

ლექსის ავტორი თითქოს მირზა გელოვანის დაუწერელი ლექსების ბოლს ხედავდა: „პირიდან მძიმე ბოლი ამოსვლია, დაუწერელი ლექსების ბოლი“ (ხვედრი პოეტთა).

ასევე დასამახსოვრებელი რეალისტური შედარებაა: „კბილებს უფრქვევიათ ბროლი“.

„ბაღში“ ნაგრძნობია „ვერხვის მთრთოლვარე ხელები“: „არა ვარ მარტო, მთრთოლვარე ხელებს თავზე მისვამენ ჩუმად ვერხვები“ (ბაღში).

განცდილია „ხეების მკლავები“, ქარის ტოტების ხელი: „სითეთრემ ჩასთვლიმა ხეების მკლავებში, ქარი მცემს ტოტების ხელით“ (ნელი).

უფაქიზესი ხელწერის პოეტი სულის ხორცისგან გათიშვას, თუ სულის ხორცთან შეზიარებას ასე მძაფრად განიც-

დის: „შეტორტმანდება უცბად მხარმარცხნივ ჰაერი მძიმე, ოდნავ ნოტიო და ლოკოკინას ინსტინქტის გეშით საკუთარ გვამში ზლაზვნით შევდივარ“ (აღარ დალიო).

მიწაზე როდი ჩერდება, ცისკენ მიილტვის სული: „რომ გამოვცადო ცის სიახლოვე, მიწაზე ბოლო სუნთქვას ვიმეტებ“ (და ვტოვებ, ვტოვებ), „და სტრიქონებიც მერცხლებივით ცასთან შეხლილან“ (რუსთავო).

ქალის შველთან შედარების ცნობილი ხერხიც ახლებურად განიცდება:„ყორესთან არხოტის შველივით შედგები, ვერხვივით გითრთოლავს ხმა“ (ხატიას).

მთები მიგნებულად არის შედარებული ქალწულებთან: „მთები ჩანჩქერის სუფთა სარკეში თმებს ისწორებდნენ, როგორც ქალწულნი“ (მთაში).

წითელი მიმინოა პოეტის იდეალი: „...ჩავუდარაჯდეთ წითელ მიმინოებს ჩვენი რჯულის“ (მეგობრისადმი).

ასევე, არწივია პოეტის საყვარელი სახე: „დავრჩით ხელგაწვდილი მთის მწვერვალზე, დავრჩით ასაფრენი არწივები“ (გახსენება).

ხილული საგნის გამოვლენისა და მისი ნამდვილი არსის კონტრასტია სტრიქონებში: „ნეტავ არ მეგრძნო ვარდის სუნი და ვარდს შიგნით შმორის“ (მრავალჟამიერ, ჩემო ბეჟანა!).

ბეჟან ხარაიშვილისთვის მაინც ყველაზე მთავარია სამშობლოს ძარღვები, სამშობლოს გული, მყინვარის გული, ადამიანის გული, მისი განცდები: „...ეჭვის მახრებით ფაჩუნობს ღამე... ყველაზე დიდი სასაფლაოა გული“ (გულთან არ დამადო ხელი).

არსებითია ხსოვნა ერის წარსულის, ხსოვნა მისი მარადიული იდეალების, ხსოვნა კაცობრიული კულტურის მთავარი ეტაპების, რადგან, როგორც პლატონი ბრძანებდა, მოგონება ღვთიური ნიჭია, „ძიება შემეცნება და ცოდნა სხვა არა

არის რა, თუ არა მოგონება“ (პლატონი, „იონი, დიდი ჰიპია, მენონი“, თბ. 1974, გვ. 100).

ბეჟან ხარაიშვილის „ხსოვნის ეკრანს“ ასხივოსნებს „ელვა“ და მის შუქზე ჩანს „მთაწმინდის სანთელი“ და მთაწმინდაზე დავანებული ერის მამის ფიქრები (ხსოვნის ეკრანი).

პოეტს მოვლილი ჰქონდა საქართველოს მთიანეთი და ხელეწიფებოდა იქაურ მკვიდრთა დარად ეხილა და ესაუბრა: „...ნისლებს ეძინა რწევითა, ზოგ ზურგით ჩამავიტანე, ზოგ ჩამამყავდა თრევითა“(წერილი მამას).

ვეფხვის ფერებს ხედავდა შემოდგომის მთაში: „დათვის ჯვარს ვეფხვის ფერი დაჯაბნის“ (გამოთხოვება).

ერთ ირონიულ პოეტურ შეკითხვაში მრავალმნიშვნელოვანი ქვეტექსტი იკითხება: „ამდენი ღვთის გლახა და ჭრელსისხლიანი ვინ გააქართველა, რამ გაადიდებულა?“ (ოქროს საწმისი ადრე მოიპარეს).

პოეტური შეკითხვა არღვევს ლექსის მონოტონურ მდინარებას და საინტერესო სახეს აძლევს ლექსს: „რა ხელმა უნდა აიღოს ნეტავ, რომ ვერ დასძალავს ისეთი გუნდა?“ (გულზე არ დამადო ხელი).

პოეტის ორიგინალურ სახისმეტყველებაში მთავარი აქცენტის მატარებელი სახეებია: მუხა, ხარი, ქარი, მიმინო, არწივი, თოვლი, მგელი, დევი, ნისლი, ნატვრის თვალი, საწმისი, მზე, მთა.

ბეჟან ხარაიშვილის კრებულში ყურადღებას იქცევს ნეოლოგიზმები: ჩაყორნისფერდა, ატყემლისფერებენ, იხანჯლა, მონამგლური, ჩანამგალება, გამოჭაღდა, გადმოაფეთა, მტრედისფერობს, ფერიფერობს, ვიფურცლავ, გარდაქნევა, დავიმაისებ, იმაისებს, გაადიდებულა, ინამცოხრებენ, გადაწინწკვლა, ვექართულები, გადათოვლება, გამოჭაღდა, ცეცხლობა, ჩაიხავალა, გამომწრიპინა.

ასონანსური რითმებია: ნატრობენ – დაგეპატრონონ, უშლის – გულში, თოლია – გამოჰყოლია, გაშალა – ხაშლამა,

მოზვერო – ოხერო, დაგწყევლოს – ძახველო, მოგიტანა – ჭორიკანა, ხატობას – დათრობა, ნატრობენ – დაგეპატრონონ.

ერთ პოეტურ კრებულში „ხვედრი პოეტთა“ გამოყენებულია 5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15 მარცვლიანი რითმები. ასევე ყურადღებას იქცევს რიტმის ხშირი ცვლა, რაც არათანაბარმარცვლიანი რითმების სიუხვით აიხსნება, თვალში საცემია ისეთი განსხვავებული საზომების გვერდიგვერდ გამოყენება, როგორიცაა 5-7, 5-9, 5-10,-6-10, 6-11, 6-7, 7-6.

რვამარცვლიანს მოსდევს რვამარცვლიანი, ათმარცვლიანი, თერთმეტმარცვლიანები, 11 მარცვლიანს-9, 12, 15, 14, 10 მარცვლიანს 8,10,12,7 მარცვლიანები. 9 მარცვლიანი შეწყვილებულია 12 მარცვლიანთან, ათმარცვლიანები – 15 მარცვლიანებთან, თორმეტმარცვლიანს უწყვილდება 10, 12, 8,15 მარცვლიანები, 13 მარცვლიანს – 6,11 მარცვლიანები, 14 მარცვლიანს – 10,15 მარცვლიანები. ეს განსხვავებულ საზომთა მონაცვლეობა, საზომთა ხშირი ცვლა ძალზე საინტერესოს, მრავალფეროვანს ხდის ლექსების რიტმს და ერთფეროვნების სტანდარტს ამსხვრევს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ბეჟან ხარაიშვილი ქართული მხატვრული სიტყვის ნამდვილი ოსტატია, მის საქვეყნო იდეებს ყოველთვის მორგებული აქვს მიგნებული, შესაფერისი სამოსელი.

ასონანსური რითმების პარალელურად, გვხვდება კონსონანსები (როგორც ხალხურში, როგორც გალაკტიონთან): ქართველი–სათოფედ, მარტყოფი – მარტოყოფნას, ივარცხნა–სიცოცხლე, იხრჩოლებს – იხრჩობა, ჩამოლექავს – გაგიქექავს.

ბეჟან ხარაიშვილი – ქართული პოეზიის მიმინო

რეზიუმე

ძალზე ტრაგიკული იყო ბეჟან ხარაიშვილის ბედი. სულ 29 წელი დაჰყო ამ წუთისოფელში, მაგრამ გამორჩეული ნიჭის წყალობით, მარადისობაში გადაინაცვლა.

დიდი შოთა რუსთველის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, გალაკტიონის, ტერენტი გრანელის გადასახედიდან ზომავდა პოეტის, მხატვრული სიტყვის მისიას.

ნაზიარები იყო ბიბლიის, მითოლოგიის, ქართული თუ უცხოური კლასიკური პოეზიის ტრადიციებს, გათავისებული ჰქონდა მარადიული, საღვთო სიბრძნე, უფლის რანგში აყვანილი მამულის სიყვარული.

შემოქმედებას განიცდიდა, როგორც უზენაეს მისტერიას, სისხლის, მსხვერპლის, მკლავის მოჭრის ფასად ეძებდა და პოულობდა მარადიულ ჭეშმარიტებებს. შეცნობილი ჰქონდა, რომ ადამიანის ფასი მისი დღეგრძელობით კი არ იზომება, არამედ რაინდული ბუნებით, მის მიერ მიგნებული სულიერი ფენომენით.

ბეჟან ხარაიშვილმა ათეისტურ საბჭოთა ეპოქაში იცხოვრა, როცა ჩვენი სახელმწიფოებრიობაწართმეული სამშობლო რუსეთის იმპერიის პროვინციად იყო ქცეული და ეროვნული ჩაგვრის უღელი ედგა.

პოეტი თავისი შეხედულებებით დისიდენტი იყო, მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას თანამოაზრე, არა დინების მხარეს, არამედ ქარის საპირისპიროდ მავალი შემოქმედი. ის ობიექტურად აფასებდა მოვლენებს და ნათლად ჭვრეტდა, რომ ქვეყნის მესვეურებს არასწორი მიმართულებით, მონობის, გადაგვარების, მამა-პაპური ტრადიციების

უგულებელყოფის, ეროვნული ტრიადის – „ენა, მამული, სარწმუნოება“ – იგნორირების გზით მიჰყავდათ პროცესები და განგაშის ზარებს რეკავდა, რათა ერი მიბრუნებოდა მარადიულ ფასეულობებს, მოეძია სამომავლო ორიენტირები. მამულის გადარჩენა, მისი უანგარო მსახურება იყო პოეტის მთავარი მიზანი.

ბეჟან ხარაიშვილი გრძნობდა ერის მაჯისცემას, მისი „ძარღვის ფეთქვას“, ხედავდა ქვეყნის „გამოხრულ გულს“, ესმოდა მყინვარის „გულის კენტი სიმღერა“, რამაც შესაძლებლობა მისცა კლასიკური, პატრიოტული შედევრებისთვის გვედრით წაეყენებინა ისეთი მაღალიდეური და ორიგინალური ნიმუშები, როგორებიცაა: „ჩემი მამულია“, „ცა რომ მტრედისფერობს“, „მტკვარი გველივით შეცურდა ჭადრებში“, „ოქროს საწმისი ადრე მოიპარეს“, „გაზაფხული“, „ხევსურეთი“, „რუსთავი“.

ეროვნული სატკივრის ქართული ფსიქოლოგიის გამომხატველი ლექსებია: „წახდა საქართველო“, „მომიახლობდი“, „გპატიჟობთ ყველას“, „შეციებიათ მთაში ღელეებს“, „სიზმარი“, „ფერეიდნელის ნათქვამი“. მთის დაცარიელების მიზეზების ძიება და მხილებაა ლექსები: „ხდის ხეობიდან“, „ხატობაში“.

მამულის გადარჩენის იმედის ორიგინალურად გამომხატველი ლექსია „გაზაფხული“, რომელშიაც პოეტის ეს უმთავრესი იდეა უკავშირდება მშობლიურ გზაზე ჩამომწკრივებულ ხეებს: „მწვანე შუქნიშნად ინთებიან გზაზე ხეები, ეს იმას ნიშნავს, გავიარო, წინ მამულია!“

ჩვენი ქვეყნის არსებობის გარანტია მუდამ ბრძოლა, შემართება იყო გამუდმებით. ეს აზრი ბეჟან ხარაიშვილმა ყაყაჩოს შავად დაწინწკლული წერტილების სახეში გაიაზრა და ლექსის ბოლოში დასმული „სიცოცხლის მრავალწერტილის აქცენტირებით გასცა საიმედო პასუხი საქართველოს ყოფნა-არყოფნის მარადიულ პრობლემას: „ყაყაჩოს წითელ და თხელ ფარფლებზე შავად ნაფერი შავი წერტილი, არა არის რა, თუ არა ტყვიით ქართველი კაცის სისხლში დასმუ-

ლი მისი სიცოცხლის მრავალწერტილი". („ყაყაჩოს წითელ და თხელ ფურცლებზე").

სამშობლოს მომავალი კატაკლიზმების წინასწარი, უცდომელი ჭვრეტაა ლექსი „შეციებიათ მთაში ღელეებს". დიდი ეროვნული საშიშროების მაუწყებლად ესახებოდა პოეტს ჩრდილოეთის თოვლიან-ყინულიანი იმპერიის „თეთრი ქარისგან" მოტანილი „თოვლის ბარათები", რომელსაც ზუსტად კითხულობდა გამორჩეული ინტუიციის პოეტი და მოყვრის სახით გამოხცადებული „გადამთიელი გადიის" ხრიკებს ააშკარავებდა, როცა ჩვენს „ხარებს" დადარაჯებული სისხლისმსმელი „მგლების" შესახებ გვამცნობდა. მაგრამ პოეტის მოწოდება სიფრთხილისკენ, გონივრული პოლიტიკისკენ ამა ქვეყნის ბედის მჭედელთათვის რჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა...

წარმოაჩენდა ეროვნულ ფენომენს, მის სტუმართმოყვარეობას, ტოლერანტობას, ჰუმანიზმს („გპატიჟობთ ყველას", „მომიახლოვდი"), მაგრამ ამ სამოთხისდარი ქვეყნის პატრონად მოვლენილ უღირსთ ვერ პატიობდა გულგრილობას, საკუთარის დავიწყებას, მასპინძლის როლზე უარისთქმას და უცხოთა გაპარპაშებას ჩვენს მიწაზე.. („ჩემს სახლში რომ მასპინძლად დამიჯექი"), მაგრამ შემთხვევით აღზევებულ, მონური სულის მედროვეთ არ ესმოდათ პრობლემის სიმწვავე, ან ძალად იბრმავებდნენ თვალებს.

ეროვნული გადაგვარების, ნარკოტიკებით ახალგაზრდობის მოწამვლის საფრთხესაც კარგად ხედავდა და მართებულ გზას უჩვენებდა გზააბნეულთ.

პოეტი მისტიროდა ჩვენს სიმცირეს, დაკარგულ ტერიტორიებს, თურქეთისგან მიტაცებულ ტაო-კლარჯეთს, გმობდა შურს, შუღლს, იმ ვაიქართველთ, რომელთაც ვერ გაიგეს ეროვნული გმირის – სამშობლოსთვის შვილის შემწირველი უმამაცესი რაინდის – გიორგი სააკაძის ფასი და მუხანათურად ჩასაფრებულმა ცილისმწამებლებმა ჯერ სპარსეთში, შემდეგ კი თურქეთში გააქციეს მამულის უანგა-

რო მსახური, რაც ერის ძალისხმევის, მისი ეროვნული ენერგიის განახევრების ტოლფასი იყო („ფულისათვის კი არა“).

ბეჟან ხარაიშვილის ლექსები საქრესტომათიოა, ისინი თამამად დაუდგება გვერდში ნიმუშებს ქართველ კლასიკოსთა, რომლებიც ჭეშმარიტი მამულიშვილის გულმოდგინებით უსინჯავდნენ ქვეყანას მაჯას, ჩხრეკდნენ მის ავ-კარგს და მერმისის გადასახედს ეძებდნენ, ეროვნული იდეოლოგიით გამოირჩეოდნენ (ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, ლადო ასათიანი, მუხრან მაჭავარიანი, შოთა ნიშნიანიძე, მურმან ლებანიძე, ანა კალანდაძე).

ბეჟან ხარაიშვილს ზედმიწევნით ჰქონდა შეცნობილი საკუთარი მისია, ერის მისია, ქართული გონის ადგილი საერთაშორისო არენაზე.

ფილოსოფიურად მოაზროვნე პოეტის შემოქმედებაში დიდაქტიკურად შუქდება შურის, ეჭვის, ერთგულების, სინანულის პრობლემები. ეს ცხოვრება გააზრებული აქვს, როგორც სიკეთე- ბოროტების ბრძოლა.

როგორც რელიგიური, მართლმორწმუნე ქრისტიანი პოეტი ადამიანის მოვალეობას საკლავების დაკვლაში, უმანკო კრავების სისხლის დაღვრაში კი არ ხედავდა, არამედ ათი მცნების მსახურებაში, მოყვასის სიყვარულში, მტრის მიტევებაში.

ბეჟან ხარაიშვილს სწამდა სულის უკვდავება, აიდეალებდა წმინდა სულს, სულიერებას, სულიერ სამყაროს და არა „ხორციხ ქვეყანას“.

ცხოვრების ავ-კარგის, ადამიანის დანიშნულების შემცნობი, ცის საიდუმლოებათა წვდომასაც ესწრაფვოდა.

ხედავდა ორეულებს, მიღმიურ სამყაროს, სხვათაგან უხილავს. რუსთაველის სიმაღლიდან ზომავდა პოეზიის მისიას, ითვალისწინებდა და ითავისებდა წინაპარ სიტყვის ოსტატთა გამოცდილებას, მაგრამ თვითონ ყოველთვის საკუთარი გზით მავალი შემოქმედი იყო.

ბეჟან ხარაიშვილი განსაკუთრებული ყურადღებით და სიყვარულით ეკიდებოდა მთას – თუშეთს, ხევსურეთს, ფშავს, სვანეთს.

გამოარჩევდა ვაჟა ფშაველას, მთის გენიოსივით თვითონაც სულის, სულიერების, ზნეობის აპოლოგეტი იყო და არა პრაგმატული, მიწიური იტერესების.

ვაჟასავით აიდეალებდა მთას, მთის ხალხთა რაინდულ ბუნებას, ტკიოდა დაცარიელების გზაზე მდგარი სამოთხე, ვაჟასავით უმღეროდა არაგვს, ერის სიმბოლოდ ესახებოდა მუხა, ხმელი წიფელი, ხარი, ვაჟასავით ებრძოდა ნარ-ეკლების მომრავლებას, ვაჟასავით მაღლდებოდა ცაში, ელტვოდა „სიყვარულის სამეფოს", ვაჟასავით ერთგულებდა „კაი ყმის" იდეალს.

პოეტის მიმართება ვაჟა ფშაველასთან იყო არა ეპიგონის, შეგირდის დამოკიდებულება დიდოსტატთან, არამედ დაღვინებული, თავისი ხმისა და ხელწერის შემოქმედის გულწრფელი მოწიწება დიდი მაესტროსადმი.

ბეჟან ხარაიშვილი მომადლებული იყო ნათელხილვისა და ნათელსმენის ფენომენით. მას ხელეწიფებოდა პლანეტის საინფორმაციო ველზე გასვლა და წარსულის, აწმყოს ობიექტური შეფასების მიხედვით, მომავლის მოვლენების უტყუარი განჭვრეტა.

პოეტმა იწინასწარმეტყველა მომავლის კატაკლიზმები, მეოცე საუკუნის 90-იანი წლების სამოქალაქო ომი, ჩვენი მეზობელი ჩრდილოეთის იმპერიული მონსტრის მუხანათობა და ტერიტორიების დაკარგვა, წყალდიდობები ქვეყნის რეგიონებში, საკუთარი ნაადრევი აღსასრული. მისი ეჭვი მომავალ წარღვნაზე ეფუძნებოდა ადამიანთა უზნეობას, მორალური კატეგორიების უგულებელყოფას, ბუნების, სამყაროსადმი მტაცებლური ინსტიქტებით მიდგომას. ეს იყო საზოგადოების ძალზე გონივრული გაფრთხილება.

საგულისხმოა დიდი სათქმელით დატვირთული ბეჟან ხარაიშვილის სახისმეტყველება. პოეტმა ქარის, თოვლის, ნისლის, ხარის, მგლის, დევის, ბაღის, მთის, მუხის, წიფლის,

მიმინოს, არწივის სახეთა გამოყენებით შექმნა განუმეორებელი, ქვეყნის პრობლემებზე მიმანიშნებელი სიმბოლოები, მეტაფორები, შეგონებები..

„ეს ცხოვრება ბაგირია, ხან დავძლიე, ხან დამძალა“, ასკვნიდა პოეტი, რომელიც მხოლოდ მოვლენათა ზედაპირს კი არა, მის გულისყურს ხედავდა: „ნეტავ არ მეგრძნო ვარდის სუნი და ვარდს შიგნით შმორის“.

საგულისხმო ქვეტექსტების შემცველი პოეტური შეკითხვებია: „რა ხელმა უნდა აიღოს ნეტავ, რომ ვერ დასძალავს ისეთი გუნდა?“ „გათათრებული ქართველის სისხლზე ხომ არ ამოდიხარ, ძახველო?“ „ ამდენი ღვთის გლახა და ჭრელსისხლიანი ვინ გააქართველა, რამ გაადიდებულა?“

ბეჟან ხარაიშვილის შემოქმედებაში გვხვდება თავისებური, განსხვავებული ხილვები ბუნებისა: „ხევსურეთს ხმლისებრ იელვა არაგვმა და მთების უბეს შეასხიპა რუხი ნისლები“, „თოვს და მდინარის გაყინულ ენას შავი კბილებით იჭერენ ქვები“, „თეთრი ძაფებით მოგართმევს ჩემს სულს ზამთარი - ჩემი თეთრი თოლია“, „და ცის ნაჟურით გამომთვრალი ბებერი მუხები მთელ ღამეს ბარბაცებდნენ დაკოჟრილ ფესვებზე“, „მთები ჩანჩქერის სუფთა სარკეში თმებს ისწორებდნენ, როგორც ქალწულნი“, ოცდამეერთედ გამოჭაღდა ეზოს ტყემალი“, „ბალახები ჟანგისფერი სევდით ხუნდებიან“, „მტკვარი გველივით შეცურდა ჭადრებში და შეათამაშა მკერდზე ნატვრისთვალი – თბილისი“, „თოვლით აევსო გული ნასახლარს“, „ბუხარი ცხვირში დუმილს იხრჩოლებს“, „მთვარე ზვინების თეთრი ბოხოხით წყალში იხრჩობა“, „ნისლებს ეძინა რწევითა, ზოგ ზურგით ჩამავიტანე, ზოგ ჩამამყავდა თრევითა“, „არა ვარ მარტო, მთრთოლვარე ხელებს შუბლზე მისვამენ ჩუმად ვერხვები“, „სიმინდებში მთვარის ჩანამგალება“, „ფოთლის ცრემლში ტყის ლოცვათა ციმციმი“, „ცვრიან მთაზე ცხვარის გადათოვლება“, „მიყვარს ხოლმე ხევსურული ჩოხისებრ გაშლილ ცაზე გადაწინწკლა ვარსკვლავთა“, „შენ, ფშავ-ხევსურთა გიჟო ქალწულო, ო, როგორ გშვენის მტკვართან წაწლობა“, „იმ ჭადრის ხეს ვექართულები, ფესვი ხელახლა რომ გაუდგამს მტკვრის ნაპი-

რებზე", „დავრჩით ხელგაწვდილნი მთის მწვერვალზე, დავრჩით ასაფრენი არწივები".

პოეტს გამახვილებული მზერა ჰქონდა, ამიტომაც ხშირად არის მის ლექსებში აქცენტირებული თვალი, ჭარბობს ხედვითი სახეები: „ზეცა თვალებში ჩაყორნისფერდა", „დაჰქრის ბორანი მაგ თვალთა ზღვაში", „შენი ღიმილის ბროლის ბილიკებს რომელი თოვლი დათოვს და წაშლის", „თბილისი თვალს ხუჭავს, მტკვარს გულში იხანჯლავს", „მის თვალებს ჩაჰყოლიათ ცეცხლობა", „და საქართველოს სისხლიანი, ავი წარსული წვეთ-წვეთ თანდათან გამოჟონავს ჩემს თვალებიდან", „ჩუმჩუმად მივსდევდი მაგ თვალთა მიმინოს", „თვალთა საჭრეთლით ამომჭრა გულზე შენი სახელის ცოცხალი ასოები", „ქარმა თვალთა მიმინო კვლავ შენს სახლისკენ გადმოაფეთა", „თეთრი ტყეებით მსურს შემოფრინდე შენი თვალების ლურჯ სიამეში".

ასევე პოეტს მომადლებული ჰქონდა განსაკუთრებული სმენა, ესმოდა ბუნების, სამყაროს ენა, უცხო ხმები, მუსიკალურად აღიქვამდა გარემოს: „და მიჭიხვინებს ჯოხის ცხენი გარდასულ დროთა, ტირიფის ტოტი უკრავს ტყემლების ლურჯ სიმფონიას შეშლილ მორევის ლურჯ ფირფიტაზე, ყაზბეგის ასულო, - მყინვარო! შენი გულის კენტი სიმღერა ჩემთან ჩამოჰქონდა ცივ წყაროს, თითქოს ხმალით, დარდებს ჰკვეთდა სალამური, რტომან შინდებისმან იყვავილა და მზე ჩანჩქერების თარზე დნება, ყელშენათეთრი სუნთქავენ მთები, ტკბილ ნარნარი აღმაფრენით მთასაც ცრემლი მოსდიოდა, უხმო ზართა ენებს ლოკავს ნიავქარი...

შეუძლებელია უკეთესად გადმოიცეს ბუნების მკურნავი ძალა: „წამოდი ჩვენთან – ღია ფანჯრიდან ჭადრის ფოთლებმა ჩურჩულით მითხრეს, ჩვენ ჩვენნაირი ვიცით წამლობა, ბახუსს გაუვა როცა თაფლობა" ან: არა ვარ მარტო, მთრთოლვარე ხელებს შუბლზე მისვამდნენ ჩუმად ვერხვები"...

ბეჟან ხარაიშვილის ლექსში წინა პლანზეა სული, სულიერება, გული, მყინვარის გული, საქართველოს გამოხრუ-

ლი გული, გულის ძარღვები მამულის სუნთქვას იწერენ, პოეტის თქმით „ყველაზე დიდი სასაფლაოა გული“.

ნისლის და დევის სახეთა გამოყენებით გვამცნო პოეტმა საკუთარი აღსასრულის წინათგრძნობა: „დინჯად ალოკეს ძირულას ტალღები რუხმა კამეჩებმა ნისლებმა და ორ მთას-შუა, როგორც ნაცნობ დევის ხახაში ინამცოხრებენ ჩემს სიჭაბუკეს, ჩაკარგულს კენტი ბილიკივით ცვრიან ბალახში“. („დინჯად ალოკეს“).

პოეტი ხედავდა სულს, ხედავდა ორეულებს, მისთვის უცხო არ იყო სულის განთავისუფლება სხეულისგან და სულის ხელახალი დაბრუნება ხორცში ასე დააფიქსირა: „შეტორტმანდება უცბად მხარმარცხნივ ჰაერი მძიმე, ოდნავ ნოტიო და ლოკოკინას ინსტიქტის გეშით საკუთარ გვამში ზლაზვნით შევდივარ“ („აღარ დალიო“).

პოეტის ჯადოსნურ ხილვებში დიდი რუსთაველის სახეც გაკრთებოდა, რომელმაც სიზმარში კალამი უბოძა („უსახელო მკვდრები“), ხოლო ჩვენს ისტორიოგრაფიაში და პოეზიაში სამების მეოთხე წევრად გამოცხადებული თამარ მეფე ისე ემშობლიურებოდა, რომ წერს: „თითქოს ქოჩორზე გადამისვა ხელი თამარმა. დღეს შემიძლია დავიჭექო მტკვართან მეხივით, ბებერ მდინარეს დავადევნო სიტყვა თამამად... ფიქრო გამიძეხ, - სადაც მიცდის მწვერვალი შორი!“ („რუსთავი“).

წიგნში „ხვედრი პოეტთა“ ყურადღებას იქცევს ნეოლოგიზმები: ჩაყორნისფერდა, ატყემლისფერებენ, იხანჯლავს, მონამგლური, ჩანამგალება, გამოჭაღდა, გადმოაფეთა, მტრედისფერობს, იფურცლავ, დავიმაისებ, მაისობა, გარდაქნევა, ფერიფერობს, გაადიდებულა, ინამცოხრებენ, გადაწინწკლა, გადათოვლება, გადმოაფეთა, ცეცხლობა, ვექართულები.

გვხვდება როგორც ასონანსური (უშლის-გულში, გაშალახაშლამა, თოლია გამოჰყოლია, მოზვერო-ოხერო, დაგწყევლოს-ძახველო, ნატრობენ-დაგეპატრონონ, მოგიტანა-ჭორიკანა), ისე კონსონანსური რითმები (ქართველი-სათოფედ, მარტყოფი-მარტო ყოფნას, იხრჩოლებს-იხრჩობა, ივარცხნა-სიცოცხლე, ჩამოლექავს-გაგიქექავს).

პოეტი მიმართავს 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 14, 15 მარცვლიან საზომებს, ამასთან ერთმანეთის გვერდით განთავსებულია განსხვავებული საზომები, რაც რიტმის მრავალფეროვნების საწინდარია.

შეიძლება უყოყმანოდ დავასკვნათ, რომ ბეჟან ხარაიშვილი შემოქმედებითად აგრძელებს მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ტრადიციებს, რაც რწმენის, ეროვნულობის, რელიგიურ-ფილოსოფიური პრობლემების ახლებური, მაღალმხატვრული სახეებით გაცხადებაში ვლინდება.

ბეჟან ხარაიშვილი, მისი პოეტი დის, გულნაზ ხარაიშვილის მოურჩენელი ტკივილია, ამიტომაა, რომ ასე აღმერთებს ბეჟანის რძალს ხატია ხატიაშვილს.



(ლაშა ხარაიშვილი ბეჟანი როდესაც გარდაიცვალა 5 წლის დარჩა, ახლა იგი ცოლ-შვილიანია. ჰყავს მეუღლე – ხატია ხატიაშვილი და შვილები: გვანცა, ბარბი და გიორგი ხარაიშვილები)

ხატია

ბეჟანი ცაზე ვარსკვლავად ანთია,
პოეტი იყო და პიტომ,
ის ერთი კი არა, ათასჯერ ათია,
წაიდა... არაფერს ითხოვს.
დათოვა ლაშკოს, გაიზარდა და...
ჰქონდა დარდიც და ლხენაც,
მაინცგან გული გაებზარა და...
არ აკლდა ცრემლთა დენა.
ხატია, გამოჰხდი მის გადასარჩენად,
წყლული მოურჩინე გრძნობით.

კარგი ქალობა შენ ბევრჯერ გვაჩვენე,
არ გაუტეხიხარ ლოდინს.
ოჯახს აშენე ლამაზი გვანცკო,
თვალებ ბრიალა ბარბიც.
აქამდე ოჯახი იყო და არც იყო,
გოგონა სხვის სახლში გარბის.
ფუძეში გიორგი შემოაჯირითე,
ხარაიშვილების ჯიშის.
როგორ გაგეხარე, ჰო, შენი ჭირიმე
ალარ გვაქვს არაფრის შიში.

გულნაზ ხარაიშვი

LUARA SORDIA

BEDSCHJAN CHARAISCHWILI- SPERBER GEORGISCHER DICHTUNG/POESIE

RESÜME

Charaischwili Bedschjan hatte ein tragisches Schicksal. Er ist nur 20. Jahre. alt geworden, aber dank seiner aussergewöhnlichen Fahigkeit ist er in die Ewigkeit eingegangen,

Die Mission des Dichters, des literarischen Wortes urteilte er aus der Sicht heraus.von den grossen Dichtern Schota Rustaweli, Ilja Tschawtschawadse, Akaki Zereteli, Wadschja Pschawela. Galaktion und Terenti Graneli.

Er war sich mit der Bibel, der Mythologie, der Traditionen georgischer oder ausländischer klassischen Poesie gut vertraut. Die ewige göttische Weisheit und seine Anhimmelei zur Heimat waren ihm zu nah.

Seine Tatigkeit hielt er für die höchste Mysterie. Er suchte nach der ewigen Wahrhaftigkeit und hatte sie gefunden. Dafür hatte er Blut, Opfer und Abhauen des Armes lassen müssen. Seiner Meinung nach sollte der Menschenwert nicht nur durch die Langlebrigkeit, sondern auch durch die Reiternatur, durch das von ihm erfundene geistige Phänomen gemessen werden.

Charaischwili Bedschjan lebte in der atheistisch-sowjetischen Epoche, als unsere Heimat durch das Entnehmen der Staashochheit zum Prowinz der russischen Imperie wurde und sie unter dem nationalen Joch stand.

Der Dichter war nach seinen Ansichten Dissident, Gleichsinnige von Merab Kostawa und Gamsachurdia Zwiad, der sich als Schöpfer nicht nur neben dem Strom, sondern auch gegen den Wind bewegte. Er könnte die Geschehenisse objektiv einschätzen und ganz klar vorsehen, dass die Staatsoberhäupter die Prozesse im Lande durch falsche Richtung, Sklaverei, Ausrottung, Verneinung der Traditionen der Nachkomme, durch Ignorierung der nationalen Triade-"Sprache, Heimat, Religion führten. Er allarmierte, damit die Nation zu den ewigen Wertigkeiten zurückkerte und die zukünftige Orientierungen

suchte. Sein Hauptzweck war die Heimat zu retten und ihr kostenlos zu dienen.

Charaischwili Bedshjan fühlte sich "das Rytmus, die Pulssation der Nation, das"Aderschlagen. Er sah auch das "schwerverwundete Herz, das Elend des Landes, hörte das Herzenssinglelied des Gletschers-Mkinwari. Das alles hatte ihm die Möglichkeit gegeben neben den klassischen, patriotischen Meisterwerken seine solch höchstidielle und originelle Arbeiten zu stellen, wie :"Meine Heimat, "Der taubfarbige Heimat", "Kura schlängelt sich zwischen den Platanen," "Das goldene Vliess ist schon früh gestohlen, "Frühling", Chewsureti", "Rustawi."

Die georgische Psychologie des nationalen Schmerzens wird in folgenden Gedichten ausgedrückt werden;"Georgien ist anders geworden", "Nähere dich zu mir", "Ich lade alle zu mir ein", "Den Bächen wurde es im Gebirge kalt", "Traum", "Aussage des **Phåreidaner"**, Die Suche nach den Grün den der Leerung /des Verlassens der Gebirgzonen und nach der Entlarwung ist in folgenden Dichtungen gegeben'"Aus der Kluft Chdi', Chatobaschi"

Die Hoffnung auf die Rettung der Heimat wird ganz originell im Gedicht "Frühling"ausgedückt werden, wo diese Hauptidee des Dichters mit den auf dem Heimatweg stehenden Reihenbuåmen verbunden sind. Die Bäume leuchten unterwegs in der Art der grünen Ampel, das bedeutet-ich soll gehen. da vorne ist meine Heimat".

Die Kriege und auch die Bereitschaft waren immer die Existenzgarantien unseres Landes, Diesen Gedanke hatte Charaischwili Bedschjan in der Art der schwarz gepunhkten Möhnen durchgedacht, am Ende des Gedichtes auf die "Gedankenpunkte im Leben akzeptiert und damit hoffnungsvoll auf das ewige Problem des Seins und Nichtseins Georgiens geantwortet." Die schwarz gefärbte Punkte an den Blättern der roten und dünnen Möhnen sind die im Blut des georgischen Mannes durch den Kugel eingesetzte Gedankenpunkte seines Lebens", ("An den roten und dünnen Blättern der Möhnen")

Die fehlerlose Vorhersage der zukünftigen Naturkatastrophen in der Heimat ist im Gedicht: " Den Bächen wurde es im Gebirge kalt"gegeben. Als Zeichen der grossen nationalen Gefahr sah der

Poet die durch das "weisse Wind" gebrachte "Schneebriffe"des nördlichen, schneeigen, eisigen Reiches, die der Dichter mit einer besonderen Intuition genau auslesen und die Falle der, als Nähste angesehene/ verkündete"Fremde Bediener" entlarven könnte, als er uns darüber mitteilte, wie die blutdürstigen Wölfe auf unsere "Ochsen"warteten. Der Aufruf des Dichters zur Vorsicht, zur vernünftigen Politik blieb für die Schicksalschmieden unseres Staates ausser Acht.

In den Gedichten: (Ich lade alle ein". Nähere dich zu mir") zeigte er das nationale Phänomen und seine Gastfreundlichkeit, Toleranz, Humanismus. Den als Herrscher des paradiesähnlichen Landes aufgetauchten unwürdigen Menschen könnte er Gleichgültig-und Vergesslichkeit, Verzicht auf die Rolle des Besitzers , Fremdenverbleib, ihr Freibewegen, Eroberrung unserer Erde nicht vergeben("Bei mir zu Hause hockst du wie Besitzer") Die zuverlässig aufgetauchte, von der Zeit abhängige Menschen mit dem sklaverischen Geist könnten die Komplizität der Probleme nicht verstehen oder sie absichtlich vermeiden.

Er sah gut die Gefahr der nationalen Ausrotterung, des Verfalls ,auch die Gefahr der Vergiftung der Jugendlichen durch das Rauschgift und könnte den Verwirrter auf einen richtigen/wahren Weg hinweisen.

Der Dichter weinte sich die Augen über unsere Minderzahl, verlorene Terrotorien, durch die Türkei erroberte Tao-Klardschjeti aus.. Er verurteilte Neid und Feindseligkeit dieser Georgoer, die den nationalen Held, mutagen Reiter, Giorgi Saakadse, der der Heimat seinen Sohn opferte, entsprechend einschätzen und seinen Verdienst nicht hatten verstehen können. Durch den Verrat der Verleumder war Saakadse, als selbstloser Diener seiner Heimat gezwungen, anfangs nach Präussen und dann in die Türkei zu fliehen, was auf die Halbierung der nationalen Kraft, ihrer nationalen Energie deutete. ("Nicht für das Geld")

Die Gedichte von Charaischwili sind in die Chrestomatie einzutragen. Sie könnten neben den Meisterwerken der georgischen Klassiker gestellt werden, die durch die Eifer des wahren Sohnes die Pulsation des Staates prüften, die nach dem Bösen und Guten, dem Schicksal des Landes fragten und die zukunftswege suchten. Durch

ihre nationale Idelogie sonderten sich besonders Ilja, Akaki, Wadschja, Galaktioni, Assatiani Lado, Matschawariani Muchran, Nischnianidse Schota, Lebanidse Murman und Kalandadse Anna sonderten sich.aus. Charaischwili Bedschjan hatte sich seine eigene Mission, die Mission der Nation und den Platz der georgischen Vernunft planetenweit auf der internationalen Arena besonders gut geeignet und annerkannt.

Die Probleme des Neides, der Efersucht, des Vertrauens, des Bedauers werden im Schaffen des philiosopisch aufgelegten /gesinnten Dichter didaktisch beleuchtet. Unter diesem Leben verstand er den Kampf zwischen der Gütigkeit und dem Bösen.

Die Pflicht der Menschen war nach der Ansicht der religiosen, ortodoxen, christlichen Dichter zehn Gebote zu erfüllen, ihnen zu dienen, die Nähsten zu lieben und den Feinden zu vergeben, kein Vieh zu schlachten, das Blut der unschuldigen Schaffen nicht zu vergiessen.

Charaischwili Bedshjan glaubte an die Unsterblichkeit der Seele. Er idealisierte den heiligen Geist, die Seeligkeit, die geistige Welt und kaum die /"Welt des Fleisches"/

Als Erkenner des Schlechten und Gutes des Lebens, der Menschenpflicht strebte er sich auch zum Erschliessen der Heimatsgeheimnisses,

Er war in der Lage die Doppelgänger und jene Seite der Welt zu sehen, was von den anderen völlig unsichtg war,. In der Höhe von Rustaweli mass er die Mission der Poesie, berücksichtigte die Erfahrung der Wortmeister unserer Vortfahre/. Selbst er aber gehörte zu dem Schöpfer, der immer nur seinen Weg ging.

Seine besondere Aufmerksamkeit und die Liebe schenkte Charaischwili Bedschjan auf die Bergzonen-Thuscheti, Chewsureti, Pschawi, Swaneti.

Von den anderen Schöpfern hatte er Pschawela besonders Wadshja auserwählt und ähnlich dem Berggenie war er auch Apologet des Geistes, der Seeligkeit und kein Verteidiger des pragmatischen und irdischen Interesse.

Er idialisierte den Berg, die Reiternatur der Bergvölker, wie Wadscha . Er konnte ohne Schmerzen aufs Paradies nicht sehen, dass auf dem Wege der Leerung stand. Wie Wadschja besang der

Dichter auch den Fluss Aragwi. Er hielt die Eiche, die dürre. Buche, den Oxen für die Symbole der Nation. Wie Wadschja kämpfte er gegen die Vermehrung der Stachelsträucher/ Dörnersträucher. Er erhöhte sich in den Himmel, wie Wadschja. strebte er sich zum "Reich der Liebe und blieb dem Ideal "des "jungen Helden/jungen Kerls" treu.

Der Dichter verhielt sich zum Pschawela, wie schon ein formierter Schöpfer, der seine Stimme und Handschrift, seinen aufrichtigen Respekt vor dem grössten Meister hatte und nicht, wie sich der Epigone, der Lehrling zu seinem Grossmeister verhielt.

Die Natur hatte Charaischwili Bedschjan mit dem Phänomen des Hellsehens und-Hörens ausgestattet. Er war im Stande, die Informationen weltweit zu sammeln, nach der objektiven Einschätzung der Vergangenheit und der Gegenwart, die zukünftigen Geschehenisse wahr vorzusehen.

Der Poet hatte die zukünftigen Naturkatastrophen, den Bürgerkrieg in den neunzigen Jahren des zwanzigsten Jahrhunderts, Verrat/Treulosigkeit des imperialistischen Ungeheuers unseres nördlichen Nachbars, das Verloren der Territorien, die Hochwasser in den Staatsregionen, seinen frühzeitigen Tod propezeiet. Sein Verdacht auf die erwarteten Naturkatastrophe gründete sich auf die Unsicherheit der Menschen, die Vernachlässigkeit der moralischen Kategorien, auf die räuberischen Instikten im Verhalten zur Natur und zur Welt. Das war seine sehr vernünftige Warnung der Gesellschaft davor.

Ernennenswert ist die zu viel umfassende Gesichtssprache von Charaischwili Bedschjan. Der Poet hatte in der Art des Winters, der Schnee, des Nebels, der Oxen, des Wolfes, des Ungeheuers, des Gartens, des Berges, der Eiche, der Buche, des Sperbers und des Adlers die auf die Probleme des Landes anzeigende Symbole, Metaphers und Belehrungen geschaffen.

"Dieses Leben ist das Seil, bald habe ich es , bald hat sie mich beweltigt, uberwiegt", schloss der Dichter Rückschlüsse, der die Obefläche bis auf die Tiefste sehen könnte."Wenn ich die Rosenduft und innerhalb der Rose ein abscheuliches, widerliches Geruch nicht gespürt hätte."

Unter den poetischen Fragen ist etwas umfassendes und Wichtiges zu vermuten:"Wer nimmt doch sochen Klumpen in der Hand, damit er ihn nicht beweltigt? " 'Moosbeere! wächst du nicht aufs Blut der weishaarigen Georgier auf?" Wie wurden so viele armseelige/dürftige und buntblutige Menschen Georgier geworden? Wer hatte sie vergeorgischt? Wodurch sind sie so vortrefflich, gross geworden?

Im Schaffen von Charaischwili Bedschjan sehen wir eigenartige, abwechslungsreiche Naturbeschreibungen:" In Chewsureti hat Aragwi wie ein Schwert geblitzt und Bergfluss mit den grauen Nebeln bespritzt"'Es schneit und die Steinen halten die zugefrorene Zunge des Flusses mit den schwarzen Zähnen an", "Der Winter wird Dir meine Seele durch weissen Faden überreichen-meine weisse Möwe'" Und die mit der Himmelstropfen betrunkene alte Eichen schwankten die ganze Nacht auf die Wurzeln", "Die Berge ,wie die jungen Frauen , kämmen sich die Haare vor dem sauberen Spiegel des Wasserfalls", "Einundzwanzigstemal ist die Pflaume aufgeblüht". "Die Kräuter werden durch rostfarbigen Traurigkeit verbleicht werden", "Mtkwari schlängelte sich zwischen den Platanen und hatte auf seine Brust –Tbilissi als Edelstein behandelt, mit ihm gespielt, " "Herz des **Resthauses** ist voll von Schnee,""Offen verbirgt das Schweigen", "Der Mond, mit dem weissen Hut aus Heu, erstrikt sich im Wasser", Die Nebel sind durch Wiegen eingeschlaffen, einige habe ich mit meinem Rücken getragen, die Anderen aber schleppend",. "Ich bin nicht allein, die Eichen streicheln mich mit ihren zitternden Händen auf die Stirn", Der Mond geht zwischen den Meisen hinein", Das Glänzen des Waldgebetts in Laubtränen", "Zwrian Mtaze Zchwaris gadatowleba", 'Ich mag, wenn die Sternen am weit gezogenen Himmel, wie eine chewsurische Tracht Tschocha , glänzen" , " O, , Fräulein aus Pschaw-Chewsureti, wie schön siehst du am Ufer des Mtkwari aus", "Ich spreche mit der Platane georgisch an, die ihre Wurzeln am Ufer des Flusses Mtkwari wieder geschlagen hat," "Wir, Adler, die fliegen sollen, sind auf dem Berggipfel mit emporgehobenen Händen geblieben".

Die Natur hatte den Dichter mit einem herrlichen, besonderen Gehör ausgestattet. Er hatte ein gutes Verstndnis von der Natur, der

Sprache der Welt, von den fremden Stimmen. Die Welt könnte er auch musikalisch anerkennen."Holzernes Pferd erinnert mich an die vergangene Zeit", der Weidenzweig spielt die dunkelblaue Pflaumensimphonie auf der dunkelblauen Platte der wütenden Untiefe, Kasbegis Tochter-Gletscher Mtkwari! Kalter Bach brachte mir dein alleines Herzenslied, als ob die Rohrpfeife mit dem Schwert die Betrübtheit bekämpfte. Die Zweige der Kornelkirschen sind aufgeblüht, die Sonne schmilzt sich über den Wasserfall, weissbeschneidete Berge atmen, die Berge weinen vor Begeisterung, leichter Wind leckt die Zungen der stimmlosen Glocken.

Es ist unmöglich die heilende Kraft der Natur besser darzustellen:" Komm zu uns-die Platanenblätter haben mir durch offene Fenster flüsternd gesagt, wir können dich nach dem Katzenjammer, nach dem Rausch auf unsere Art behandeln', oder :" Ich bin nicht allein, mit ihren zitternden Händen streichelten mich die Espen leise auf die Stirn/

In der Vordergrund der Poesie von Charaischwili Bedschjan steht die Seele, die Seeligkeit, das Herz, das Herz des Gletschers und die tiefste Löcher, Schmerzen Georgiens". Die Adern des Herzens schreiben das Atem der Heimat hinein", der Dichter sagte dazu, dass das Herz der gröste Friedhof sei"

In der Gestalt des Nebels und des Ungeheuers teilte er uns über das Vorgefühl seines eigenen Todes mit:" Die grünen Oxen, die Nebel haben die Dsirulas Wellen vorsichtig geleckt und meine Jugend verschwindet sich in der Rache des bekannten Ungeheurs, als das Pfad zwischen den Bergen im taubedekten Grass verlorengeht."

Der Dichter könnte die Seele, die Doppelgänger klar hellsehen. Die Seelenwanderung, wie sich die Seele von dem Leib trennt, war ihm nicht fremd. Er hatte die Rückkehr der Seele ins Fleisch, Körper folgenderweise übergegeben:"Die Druckluft wird sich plötzlich links von dem Schulter stehenbleiben, ich trette kaum feucht und mit dem Instikt der Schnecke enthaltsam wieder in den eigenen Körper ein".

In den zauberhaften Hellsehen des Dichters tauchten ab und zu die Gesichter von grossen Schota Rustaweli und auch die in unserer Histographie, in der Poesie als viertes Mitglied aller guter Dinge verkündete Königin Tamari auf. Schota Rustaweli hatte dem Poet **die Feder** überreicht ("Namensloser Tod") Königin Tamari liebkostete

ihn folgenderweise:" Mir war es so , als ob Tamari mir auf den Scheitel gestreichelt hätte. Heute kann ich am Flussufer Mtkwari laut, wie möglich, wie es ein Blitz aus heiterem Himmel donnert, schreien und dem alten Fluss ein mutiges Wort sagen: "Mein Nachdenken -vorwärts! dorthin, wo auf mich der weite Gipfel wartet.

Im Buch unter dem Tittel "Das Schiksal der Dichter"soll man die Aufmerksamkeit auf die Neologismen richten: "tschakornisperda, atkemlisphereben, ixandschjlaws, monamgluri, tschanamgaleba, gamotschagda, gadmoapheta, mtredispherobs, iphurzlav, davimaiseb, maisoba, gardaqnewa, pheripherobs, gaadidebula, inamzochreben, gadazinzkwla, gadathowleba, gadmoapheta, zezxloba, weqartulebi,

Hier gibt es sowohl asonantishe /uschlis-gulschi, gaschala-chaschlama, tholia-gamochkolia ,mozwero-ochero, dagzkewlis-mdsachweli, natroben-dagepatronon, mogitana-tschorikana) als auch konsonantische Rythmen(qartweli-sathophed, martkophi-marto kop-nas, ichrtscholebs-ichrtschoba, iwarzchna-sizozxle, tschamoleqaws-gagikekaws)..

Der Dichter wendet sich an 5,6, 7, 8, 9,10, 11, 12, 14, 15-silbigen Mässe zu, ausserdem sind nebeneinander auch unterschiedliche Mässe gesetzt, die ein Vorwand für die Vielseitigkeit des Rythmus sind.

Man kann zuletzt ohne Zögern sagen, dass Charaischwili Bedschjan die Traditionen der hunderjährigen georgischen Literatur schöpferisch fortsetzte, was sich beim Ausdruck des Glaubens, der naionalen, religiösen-philosophischen Problemen durch die Verkündigung der neueren literarischen Gestalten gezeigt werden.

მადლშემოსილი



გულნაზ ხარაიშვილის სულის გალობა

მადლით და რწმენით გადარჩენა

ოცდამეერთე საუკუნემ მემკვიდრეობით მიიღო გაფეტიშებული ინტერნაციონალიზმის, კოსმოპოლიტიზმის, გლობალიზაციის, შხამით გაჯერებული მასონობის მომაკვდინებელი ბაცილები, რომელმაც მსოფლიოს მხსნელის მანტია მოირგო, გაუგონარი კატაკლიზმების რეჟისორად იქცა და არა მხოლოდ მცირე ერებს უქადის გადაშენებას, კოსმიურ ტრაგედიებს უდებს სათავეს. სამწუხაროდ, მას მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა და ტრადიციული ღირებულებების რღვევამ ისტორიაში, ფილოსოფიაში, რელიგიაში, ლიტერატურაში გაუგონარ მასშტაბებს მიაღწია.

ოსტატურად შენიღბულმა კეთილდღეობის ილუზიამ მოწამლა მილიონები და მოსყიდულთა არმია გადაგვარებით ემუქრება მამაპაპეულ, ჰუმანურ იდეალებს. სასაცილოდ იქცა ეროვნულობაზე, მშობლიურ გენზე დაფუძნებული ორიენტირები და არსებობს საშიშროება, რომ „გადაშენებით დასრულდება გადაგვარება“, როგორც ბრძანებდა სულკურთხეული მერაბ კოსტავა.

ასეთ კრიტიკულ დროს გადამრჩენის მისიას ყოველთვის რელიგია, მხატვრული სიტყვა იღებდა ხოლმე თავის თავზე და სიახლის პაროლით მოვლინებული მოძღვრების ბოროტეულ ძალას ყოველთვის მარადიული ფასეულობების ფარს აგებებდა.

საბედნიეროდ, ისევ გვყვანან ქრისტეს მებაღეები, „ქვეყნად მოსული უფლის ბაღის მოსაშენებლად“, რომლებიც ეროვნულ წისქვილებს ისევ მხნედ დარაჯობენ არსობის პურის საფქვავად, ხოლო მშობლიური ვაზის მტევნებიდან არა წყალგარეულ ღვინოს, არამედ ნამდვილ ზედაშეს, „სიბრძნის ღვინოს“ წურავენ.

გულნაზ ხარაიშვილის პოეზიაში შესასვლელ კარს ძალიან გარკვევით აწერია: „მამული, ენა, სარწმუნოება“.

პოეტი ქალის მხატვრულ სიტყვას ცხრა პოეტური და ერთი პროზაული კრებულით გავეცანი.

მისი წიგნებიდან გეცნაურებათ ქართული სული, ქართული მორალი, ეროვნული მაღალზნეობრივი ადათ-ტრადიციები, ხოლო სამყარო დანახულია საკუთარი კერიიდან, ანუ მაკროკოსმოსი განჭვრეტილია მიკროკოსმოსის საშუალებით.

მეფისტოფელის მომძლავრების, ავსულების თარეშის ჟამს პოეტი ცდილობს ეროვნული გენის, ძირების, ფესვების, ეროვნული ტრიადის – მამული, ენა, სარწმუნოება – ერთგულება ჩააგონოს თაობებს და ეს ჩამორჩენილობა კი არა, წინსვლის ურთულესი გზების გაკვლევაა, ვინაიდან, როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე იმოწმებდა ლაიბნიცის სიტყვებს, „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“.

მეფისტოფელის, ეშმაკის სათარეშოდ ქცეულ დროში ისევ ციმციმებს იმედის სხივი, ისევ გადმოდის ზეცის მადლი და სასწაულებით გვაფხიზლებს არსთაგამრიგე.

აპოკალიფსური განკითხვის, ახალი წარღვნის შიშით ძრწის საუკუნე, ცხადია, ანტიქრისტესთვის მზადდება ტახტი, მაგრამ „მადლის ტახტზე“ დაბრძანებულის ნებით გა-

ნადგურდებიან ბოროტეულნი, ხოლო უცოდველნი, რწმენისთვის სისხლის გამღებნი მარადისობაში დამკვიდრდებიან, „ახალ ცას და ახალ ქვეყანას“ იხილავენ, გვარწმუნებენ სულიწმინდის მადლით გაბრძნობილი ღვთისმეტყველნი.

„ცათა მაღალთა მადლით“ იქმნებოდა მხატვრული შედევრები, იგებოდა ტაძრები, ხუროთმოძღვრული ძეგლები, მტკიცდებოდა რწმენა, ვლინდებოდა გმირული სული და წინ ისწრაფოდა ადამის მოდგმა.

უზენაესი – ზეციური „მწყემსი კეთილი“ არასოდეს ტოვებს თავის სახედ და ხატად შექმნილს ნუგეშის გარეშე, მადლით და სასწაულებით აცისკროვნებს რჩეულთა სულებს.

„მადლით და ჭეშმარიტებით“ მკვიდრდება კაცთა შორის ღვთის სიტყვა – ქრისტე.

სულიწმინდის ქნარად წოდებული პავლე მოციქული გვაუწყებს: „ღვთის მადლი ყველა ადამიანის მხსნელია“ (პავლე მოციქული ტიტეს, 3,11).

„მწიგნობარი ფალავანი“ (იოანე დამასკელი) – სულიწმინდა არის ნიჭთა გამნაწილებელი, სიბრძნის სიტყვის, ცოდნის სიტყვის მომმადლებელი (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 12, 4-10).

ღვთის მადლი მარადიულად ცხადდება, რომ გაძლიერდეს რწმენა, სასიკეთოდ წარიმართოს, სასწაულით გაასკეცდეს ადამიანის ძალისხმევა, რადგან „ღმერთი სასწაულის მოქმედია“ (ფს. 76,15).

ბიბლია, რელიგია, ლიტერატურის ისტორია სავსეა ღვთის სასწაულებით.

გრიგოლ ხანძთელს, როგორც წმინდა სულის მოძღვარს, მკერდზე ჯვრის სახით უელავდა განმანათლებელი ცეცხლი, „ნათლის სვეტი“ (ღმერთი) ეცხადებოდა.

ვაჟა-ფშაველას „ოცნებაში“ პოეტის სატრფოს – სულიწმინდას ახრჩობდნენ, მაგრამ სამჯერ გაწყდა თოკი და იგი გადარჩა.

ფშაველი გენიოსის პოემა „უიღბლო იღბლიანში“ საბრალოს სამარის მადლი იცავდა ცხოველ-მცენარეს, მის საფლავს სასწაულმოქმედი ძალა ჰქონდა, ცოდვილი ძმების სამარე კი ჭაობად იყო გადაქცეული.

გოდერძი ჩოხელის „მგელში“ ზნეკეთილი თანდილა ყვავილების თაიგულს დაემსგავსა, რომელიც გამაბრუებელ სურნელს გამოსცემდა, თევდორე ყვავილით აფრთხობდა მგლებს (ყვავილი ღმერთის სიმბოლოა), ამაღლება დღეს ეკლესიის ეზოს სურნელოვანი ყვავილები დაეფინა, დონატა ცაში ამაღლდა, ლუკას სიზმრისეულ ხილვაში ღმერთი თეთრი მოხუცის სახით გამოეცხადა და ყვავილის პოვნა დაავალა.

გულნაზ ხარაიშვილის პოეტობა თვით ღმერთისაგან არის ნაკურთხი, იგი ხელდასხმულია უზენაესისგან, მასზე მართლაც არის გადმოსული ღვთის მადლი.

წერილში „მამა გაბრიელის საფლავიდან გამოყოლილი სასწაული“ – პოეტი თვით გვამცნობს ამ სულისშემძვრელი მოვლენის შესახებ. სამაგალითო დედა, გულმხურვალე მამულიშვილი, უანგარობით, კეთილშობილებით, რელიგიურობით გამორჩეული ქალბატონი 2003 წელს, 53 წლის ასაკში, ამაღლება დღეს მცხეთაში ჩავიდა მამა გაბრიელის საფლავის მოლოცვის მიზნით. წმინდანის საფლავის ზეთის ცხების შემდეგ სულში ზებუნებრივი ნათელი ჩაეღვარა, უხილავის ხელდასხმა, სულის გასხივოსნება, გონის უჩვეულო გამოღვიძება შეიგრძნო, ახალი თვალით, ახალი ფერებით იხილა სამყარო, მთელი ქვეყნის გულში ჩახუტება მოუნდა. სული თითქოს უზენაესის ძალით ამღერდა, ჯერაც უხილავ-მოუსმენელის განმცდელი, ახალი სიტყვებით ამეტყველდა და

სასწაულით ფრთაშესხმული, მიხვდა, რომ ეს სულიწმინდის საჩუქარი იყო.

სულიწმინდის, შთაგონების მოვლინებას შუა საუკუნეების ესთეტიკაში საღვთო ნიავის, სიოს, ქარის ქროლვასთან აიგივებდნენ.

გალაკტიონის პოეზიაში „ქარის დაბერვა“ გვამცნობს შთაგონების გამოცხადებას, მისი ლურჯა ცხენები – „ეფემერული და ფერადი ქარებით“ ქრიან (ეფემერა, ვერხვები). ტერენტი გრანელთან შთაგონების პროცესზე ყურადღება მახვილდება „უხილავი ქარის“, „სიჩუმის ქარის“, „იდუმალ მხარეების გრიგალის“ სახეებით.

გულნაზ ხარაიშვილს სულიერი სიწმინდის, სიკეთის საზღაურად ევლინება დიდი წყალობა – სულიწმინდის ნიავის სახით: „გულში დაჭრილებს ვამხნევებდი თბილი სიტყვებით, მათ შევუკერე იმედების, რწმენის ფუთები, ახლაც ლექსების, სულიწმინდის ნიავს მივყვები, რადგან სული მაქვს ფაქიზი და ნასათუთები“ (გულში დაჭრილებს ვამხნევებდი), „სულიწმინდის სიო მიწვდის ლამაზ ბგერებს“ ამბობს პოეტი და ელოდება „ზეცით დაქროლილ ნიავს“ (ქარი ძველებურად მემტერება).

პოეტი გულისყურით უსმენს სიოს (შდრ. გალაკტიონი – „სიო, სარკმლით მონაწროლი, ველთა ზღაპარს მეუბნება“), წმინდა სანთლებს უნთებს, როგორც თავისი ტკივილების მოზიარეს, პოეზიის მადლის მომფენს: „ჩემს ეზოში სიო არხევს ლელვის ფოთლებს და საუბრობს იმ წარსულზე, რაც გადახდა. მოთმინებით ვუნთებ ნიავს წმინდა სანთლებს, რადგან იგი ტკივილის დროს მე თან მახლდა“ (ჩემს ეზოში).

ამიერიდან სულიწმინდის ნიავის მოლოდინით ივსება სული: „ახლაც ლექსების, სულიწმინდის ნიავს მივყვები“, ამბობს პოეტი და ისმენს ზეციურ ხმებს, „ძარღვის ფეთქვას“, „დედამიწის ღერძის ტრიალს“, მრავლისმეტყველი ხილვებით ივსება...

„სულიწმინდით უკვე ვიწამლე", აცხადებს პოეტი.

მართლაც, ღმერთია ყველაზე დიდი მკურნალი: „მე ვარ უფალი, შენი განმკურნებელი (გამოსვლათა, 115,26).

„მკურნალობა უზენაესისგან არის და ნიჭიც მეუფისგან ეძლევა მას" (სიბრძნე ზირაქისა, 38,2).

პოეტი ქალი წმინდა ნინოს „მადლის კარებთან" დგას, „მადლის კოშკებს" აშენებს, სულიწმინდის მადლით ახარებს „სულის ჭადარს", მისი „გულის კარი სასწაულობს" (შენ მერცხალი ხარ).

მადლით ბეწვის ხიდზე გავლის ძალა ებოძა, ირწმუნა სასწაულები, რომ „ტოტს ჩამოხლეჩილს შეახორცებს ღვთის რწმენის ძალა" (ილია II), „მე შენი რწმენით ყინულს გავადნობ" წერს პოეტი (დღეს). მშობელი მიწის მადლის შემგრძნობი, სიმართლისათვის ღაღადებს: „მადლიანი მიწის შვილნი ვიყოთ ღმერთთან მართლები" (ქართველს).

იმედით, მადლით ავსებს „ფიქრის ტოლჩას": „ღიმილით სულში შემირხევ რტოებს, კამკამა ფიქრით ავავსებ ტოლჩას, გულის სიმშვიდევ, იმედო, მადლო", წერს პოეტი.

მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება ღვთის მადლით არის გაცისკროვნებული: „ღვთის განგებამ დამიფინა ხალიჩა მადლის, მადლის შუქში ვარ სიღრმით ჩაფლული, სული მადლის მმოსავი მზის სხივებით გამონაშუქია, სიყვარულით და მადლით მოსილია, ზეციდან უფლის მადლით ნაშუქია". მისი პოეზიის ლირიკული პერსონაჟი მადლისთვის ევედრება ღმერთს: „უფალო, შენი მადლი მაპკურე, ჰქმენ ისევ მადლი, ღმერთო, დაგვლოცე, ღმერთო, მომეც, რომ ვაპურო მშიერი, შენი მადლი ნუღარ დაიგვიანებს, მადლი მსურს იყოს ცამდე აწვდილი"... „იმედის მადლი", „იმედის ფიფქები" ათოვს...

„ფიქრის ყვავილიც" დედა ბუნების მადლია: „შენს გზას მოვფინე ფიქრის ყვავილი, ეს მომამადლა დედა ბუნებამ"...

„მადლს" ასე განმარტავენ წმინდა მამები: „მადლი არის

მოხილვა ჩვენი უფლისა მიერ და მისი ერთობა ჩვენთან" (თეოფანე დაყუდებული, სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, ტ. I. თბ. 1990, გვ. 319).

მადლი აღიქმება, როგორც ღმერთთან მიახლოება: „უმაღლესი ფასეულობა, უკანასკნელი მიზანი და ადამიანის ცხოვრების აზრი ქრისტიანისათვის ღმერთთან მიახლოებაა, რასაც რელიგიის ენაზე მადლი ეწოდება.. მარადიული ფასეულობის თვალსაზრისით, სრულყოფილი მადლი – ეს არის მხოლოდ ღმერთი და ერთადერთი რეალური ბოროტება – ცოდვა, ღმერთისგან დაშორება" (ნესტორ ყუბანეიშვილი, „პირველდაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე, ქუთაისი, 1915, გვ. 138).

მადლი არის კეთილი საქმის საზღაური, მადლი მორწმუნეზე გადმოდის „ქრისტე იესოს მიერ საქმეთათვის კეთილთა" (პავლე მოციქული, ეფესელთა მიმართ, 2, 10).

გადარჩენის საწინდარია „მადლი, რწმენა" (პავლე მოციქული, ეფესელთა მიმართ, 2,8).

„სული ვარ უკვე ცაში აჭრილი"

ოცნების ფრთებით ცაში ფრენა ღვთის მადლია.

ფრენენ წმინდანები, რომელთაც ცოდვა არ ამძიმებთ, რომელთაც დაამარცხეს თავიანთ თავში ხრწნადი და წარმავალი. ისინი ხედვენ სულს, აჩრდილს, უსაზღვროებას, წვდებიან უსხეულო არსებობის საიდუმლოებას.

„არ მიბობღნია დაბლა ქვემძრომად, მაღლა დავფრინავ, როგორც გავაზი" (ნუგეში მგოსნია), ამბობდა ვაჟა-ფშაველა.

„ფრთები არ მაქვს, მაგრამ ვფრინავ", ირწმუნებოდა აკაკი წერეთელი.

„მისტიური ფრთით“ შედიოდა გალაკტიონი „უცხო სიმსუბუქეში“, სილაჟვარდეში. „მემენტო მორის“ ავტორს ფრთები ეზრდებოდა რწმენით, ლოცვით, მარხვით.

ფრთოვანი არიან სულით წმინდა ადამიანები, „სათნოების ფრთა, სულიერი ფრთა, გონიერი ფრთა, სიწმინდის ფრთა“ ამაღლებთ ცაში დიდი სულიერი ძალის მქონე ნათელღებულთ. მათ ხელეწიფებათ გამოყონ ასტრალური ორეული და იფრინონ განუსაზღვრელ დროსა და სივრცეში, რაც საჭიროებს უდიდეს ძალისხმევას, უმაღლესი წესრიგის გამბედაობას, ასტრალური სივრცის სანახაობის წინაშე შიშის დაძლევას, სიმშვიდეს, საკუთარი ძალების რწმენას.

წმინდა, დისციპლინირებულ სულს ლოცვით, დუმილით ეზრდება ფრთები.

„ფრენა ბრწყინვალე სიტყვაა... ფრთები იზრდება ფიქრით, გაფრინდით ფიქრით“, ასეთია ელენე რერიხის მოწოდება.

სულიერ ზეცაში, „ცათა ცაში“ შეღწევა შესაძლებელია სულიერი განვითარებით, სულიერი თვითმფრინავებით, მენტალურ უნართა გაღვიძებით. სულით ზეცაში ქროდნენ რუსთველი, დანტე, ბოდლერი, ბლოკი, ვაჟა, აკაკი, გალაკტიონი, გრანელი.

დიდი ჩინელი ფილოსოფოსი ლაო-ძი ცად, ქარსა და ღრუბლებში მაღლდებოდა იანის ციური სხივებით შემოსილი, არაფრად აგდებდა ხელმწიფის კვერთხს, სიმდიდრეს, გამოჩინებას და განცვიფრებაში მოჰყავდა იმპერატორი.

იმედის, ზეციური მადლის ძალით ფრენს ცაში გულნაზ ხარაიშვილის სული: „იმედის ნაბადს თუ წამოისხამ, ოცნების ფრთებით ცად აფრინდები“, წერს პოეტი და ირწმუნება: „სული ვარ უკვე ცაში აჭრილი, „კიბეს მივადგამ ლექსით ცათამბჯენს“.

ლექსში „ვინატრებდი“ პოეტის სურვილია, სულს ვარდად

ეფინოს ცის სილურჯე: „სულზე ვარდად მოგიფენდი ცის ულურჯეს კიდეს“ (ვინატრებდი).

სული და ცა უსაზღვროებაა, პოეტურობის უცილობელი ატრიბუტი: „შენს სულს ვადარებ ცის ლამაზ სივრცეს“ (მეამაყები).

სულს უფლის მადლით ებოძა ფრენის ნიჭი, რათა ზეცაში გაშალოს ფრთები: „მე უფლის ჯილდო გამოვიცანი, ოცნების ფრთებით დავფრინავ ცაში, ლექსებს საჩუქრად იგი მიგზავნის, ბოლოს კი აფრებს ზეცაში გავშლი“ (გამოვიცანი).

ამაღლებული სულით მოიხილავს „გონიერ ცას“, ღმერთების საუფლოს, მზეს, ვარსკვლავებს, მთვარეს.

უფლის მადლი ვლინდება ახალი, ზეციური ხმების გაგონებაში, უხილავის ხილვაში, უიმედობის, სიკვდილის დამარცხებაში: „იალბუზიდან ხმები მესმის რაღაც ახალის... დაღლილი ვიყავ, სულიწმინდით უკვე ვიწამლე, ზარის ხმა ისმის და ვიხილე ბაღი ედემის... ლოცვამ მიშველა, რადგან ცრემლი ბევრი დავღვარე... სიკვდილი მოვკალ, მეუფეო, შენი იმედით... მერე ნერგები გავახარე სულის არეში. საკურთხეველთან ჩემი ფეხით, რწმენით მივედი, აღარ დავრჩები არასოდეს სიმწუხარეში“ (მეუფე თადეოზს).

„ხმავ ზეციურო, ისევ ჩემთან ამოზვიადდი“, ილოცება პოეტი.

გულნაზ ხარაიშვილი „გრძნობით დატვირთული გემთან“ დგას, „გრძნობის მათარა“ უპყრია, „გრძნობის ვულკანში“ იფერფლება, „გრძნობის საბანი“, „გრძნობის ნაბადი“ მოუხურავს, „გულის ბუხარი“, „გულის თონე“ აუგიზგიზებია, „გულის სურნელი“ დაჰყოლია მის სიტყვას (შდრ. პავლე მოციქულის „ქრისტეს კეთილსურნელება“), „ფიქრის ვულკანში“ გახვეულა, „ფიქრის ნაბადი“ აქვს მორგებული, „ვარდისფერაბენ ფიქრთა ბადენი“, ეთაყვანება „სურნელებიან ფიქრს“, „ფიქრის სერზე“ მიემართება, ფიქრის „ტანჯვის ფუთები“, „იმე-

დების, რწმენის ფუთები" მოუკიდებია, „გონების მართვა" ეხერხება, სწამს პოეტური სიტყვის ყოვლისშემძლეობის, რომ „ნიჭით გაატრიალებ ქარბორბალას, სუსხით რომ ყინავს", „ააცისკროვნებ ცისარტყელას", „დააპურებ მთელ საქართველოს", სიტყვის ძალით „ჩაჰკლავ ურჩხულს"...

ცის სამოთხეში მოხვედრილი, სხვადასხვაგვარი სიყვარულის-შემცნობი იტალიელი გენიოსი დანტე ბრძანებდა: „თვალი მივაპყროთ ახლა უკვე სიყვარულს პირველს".

„პირველი სიყვარული" ღმერთის სახელია (იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადება, თ. 2,4).

გულნაზ ხარაიშვილის უპირველესი სიყვარული ღმერთია და პოეტი „სიყვარულით დღეებს ითვლის იღბლიანს", „სიყვარულის დროშა" აღუმართავს, უგალობს ღმერთს – „ტრფობის მეფეს", მადლად მოვლენილ სიყვარულს, „ზეცით ნაკურთხი" სიყვარული აძლიერებს: „სიმაღლიდან ცა მიწვდიდა თავის ხელებს, გადამაკრა სიყვარულის არტახები" (მოველ).

პოეტის მიზანია „სიყვარულის გადარჩენა, სიყვარულის გამოხსნა" (იმერეთში).

ზეციური სიყვარული ხალხის, სიკეთის მსახურებისთვის მოუწოდებს: „ძილშიაც კი ამას ვფიქრობ სიყვარულით, რა ვაკეთო ხალხის გულის გასახარად" (რა ვაკეთო?).

აქ დიდი ილია ჭავჭავაძის აჩრდილიც წამოიმართება: „კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე: ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, – აბა, დღეს მე ვის რა ვარგე?" (დამაკვირდი).

„მიაყურადეთ, გაიგონეთ სულის გალობა"

დავით წინასწარმეტყველის მიხედვით, „ახალი გალობის" უნარი უფლისგან ებოძება ადამიანს: უფალმა „წარმართა ჩე-

მი ნაბიჯები... მისცა ჩემს ბაგეებს ახალი გალობა, განსადიდებლად ჩვენი ღმერთისა" (ფს. 39,3,4).

ლოცვის, ვედრების, გალობის ინტონაციების გათავისება, ინიციაციის უმაღლეს საფეხურზე აღწევა ცოდვებზე ამაღლებას, სულისთვის ხორცის გაწირვას, მსხვერპლის გაღებას, გოლგოთის გავლას მოითხოვს.

იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში მხოლოდ სიკეთის მსახურთ, რწმენისთვის სისხლის, მსხვერპლის გამღებთ მოსავთ თეთრი სამოსი და ხელეწიფებათ ზეციური საგალობლის შესწავლა.

გულნაზ ხარაიშვილს სწამს, რომ „ურელიგიო კულტურა ფსევდო-კულტურაა".

პოეტი რწმენით ახარებს „ფიქრის ყვავილს", „გოლგოთის გზებით" მწვერვალებისკენ მავალი „ცრემლის ტბაშია" განბანილი, „სისხლის ცრემლი" უღვრია, უზენაესის სასწაულებრივი მადლით ძლიერდება, ჯვარი, ჯვარცმაა მისი ხვედრი, რაც აღდგომის საწინდარია: „ლოყას ცრემლით ჯვარი დამეხატა", „გრძნობის ჯვარზე ვარ გადალანდული".

გრაალის, საწმისის თემას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული გონის სიდიადის, ჩვენი ისტორიის, კულტურის, მითოლოგიის, საერთოდ, ეროვნული ფენომენის სრულყოფილად გაგებისათვის.

„გრაალი არის სიმბოლო უზენაესი სიბრძნისა, სულიწმინდისა, ღვთისმშობლისა" (ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ. 1990, გვ 38).

გრაალის რაინდებში მხოლოდ ქრისტიანული მორალის, მაღალი სულიერების, ზოგადსაკაცობრიო იდეალების მსახურნი მოიაზრებიან, როგორც გრიგოლ რობაქიძის რომანში „მცველნი გრაალისა", როგორც ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას პოეზიაში.

გრაალის რაინდები მთელ მსოფლიოში მოგზაურობდნენ და რწმენის, სიკეთის, სამართლიანობის მსახურები იყვნენ.

გრიგოლ რობაქიძემ რომანში „მცველნი გრაალისა“ გრაალის მცველებად თავისი თანამედროვე, მწერლობისა და ხელოვნების წარმომადგენლები, სამშობლოს პატრიოტები გამოიყვანა.

გულნაზ ხარაიშვილი გრაალის რაინდებად მიიჩნევს „კოლხური ფსალმუნების“ ტიტანური ტომეულების ავტორს – ვაჟა ეგრისელს და მსოფლიო მოგზაურს, მსოფლიო სპორტსმენს – ჯუმბერ ლეჟავას. პოეტს თვითონაც „სიკეთის თასი“ უპყრია, „იდუმალების ყანწით“ ხარობს, „სიბრძნის ღვინით“ ავსებს „შვების ფიალას,“ გრაალზე და საწმისზე ლოცულობს, გრაალის რაინდებს ეძებს.

პავლე მოციქული შეაგონებდა თავის თანაამოაზრეებს: „ელაპარაკეთ ერთმანეთს ფსალმუნებით, გალობითა და სულიერი საგალობლებით, უმღერეთ და ეფსალმუნეთ უფალს გულებში“ (პავლე მოციქული, ეფესელთა 5,15).

გულნაზ ხარაიშვილის გალობისა და ლოცვის ენა ქართული ენაა, ერის გადამრჩენი, ხმლით და სიტყვით დასაცავი: „დედა ენავ“, გადამრჩენო ერის, ხმლით და სიტყვით გიცავთ შემართული, ლექსებს ვამბობთ, თუ ქართულად ვმღერით, გალობაა ის შენს ლოცვად თქმული“ (დედა ენის ძეგლთან).

საწმისის მადლს, საწმისის მირონს ნაზიარები სული შეიცნობა პოეტის სტრიქონებში: „საწმისიდან მადლი წვეთავს მისხალ-მისხალ, იფრქვევიან დილის ცვარზე ათინათად... იქ, ზეცაში ვარსკვლავს შუქი აუნთია. ამოდის მზე, საწმისიდან მირონს მისხამს“.

რწმენასთან წილნაყარი სიტყვა გამხდარა სიცოცხლის არსი: „ლექსი მამშვიდებს, ლექსი მშია, ლექსი მწყურია, სიცოცხლე არის ზეციური ღმერთს წყალობა, ჩემი ლექსები სი-

ოსავით საამურია, მიაყურადეთ, გაიგონეთ სულის გალობა“ (ლექსი).

კლასიკური მწერლობის პარამეტრებით იზომება პოეტური თვალსაწიერი: „მე მინდა, რომ ჩემი სიტყვა ერს მალამოდ დაეფინოს, ახალგაზრდებს სიბრძნე მისცეს, მტერს საზღვრამდე გაეკიდოს. სიყვარულს კი გზა გაუხსნას, დარდიანი გააცინოს, გულმა გული თუ იპოვა, ერთურთს აღარ დააცილოს“ (მე მინდა).

სულს აყვავებს, „ფიქრის ყვავილებს“ ზრდის რწმენა, სიყვარული და მოწოდებით პოეტისთვის არ არსებობს მხატვრულ სიტყვაზე უფრო ძლიერი გრძნობა: „ქაღალდი გახდა მესაიდუმლე, გულში დღეები ამიყვავილდნენ. მასში გაგცვალე, ნუ დამემდურე, ლექსზე ძალიან როგორ მიყვარდე?“ (მუზა).

ჭეშმარიტი სიტყვა უზენაესის გადასახედიდან იზომება, ის, უპირველესად, რელიგიურია, სიმართლის მსახური. ღმერთშემოსილ პოეტს „იმედის სანთელი“ უნთია, უშიშრად არქმევს მოვლენებს ადეკვატურ სახელებს: „უნდა დავანთო იმედის სანთელი, უშიშრად უნდა ვთქვა, რაც არის სათქმელი“ (დადგება საშველი).

ლექსი პოეტისთვის „ხან ბაჯაღლოა, ხან მზე და მთვარე, ის მტევნებივით სულში ასხია“.

„ოქრო რად მინდა? ოქრო ლექსია“, გულწრფელად ამბობს ლექსის ავტორი, რადგან არასოდეს ერევა ერთმანეთში ეფემერული და მარადიული ღირებულებები.

ამ დროს მახსენდება პოეტების მეფე გალაკტიონის გაუხუნარი სტრიქონები, რომლის მადლი გაუთავისებია ნამდვილი სიტყვის მსახურს: „არ მინდა ოქროს პოვნა, რაც მსოფლიოში არი, ჟღერს სამშობლოის ხსოვნად ძვირფასი ოქროს ქნარი“.

ასეთივე გაგებით მიმართავდა „არტისტული ყვავილების“ ჯადოქარი „მილიონებისა და მილიარდების“ ცნებას: „მილიონებში ხელისმრეველი“, „მართლაც ვარ მილიარდერი“.

ლექსია პოეტის პატრონი, შვილი, გულის ბატონი, სიყვარულის ქმნილება“ (გამიჭირდა).

მხატვრული სიტყვის ქმედითი ძალა „ხმლებისა“ და „ფარების“ საშუალებით გამოხატა: „უნებლიედ ლექსი რითმში ჩამოვქარგე, სტრიქონები ხმლებია და ფარებია“ (ავტირდები).

დავით წინასწარმეტყველის „ფსალმუნში“ უფალი არის „ფარი“, „ფარი ხსნისა“ (ფს. 17,3,36).

ახალი აღთქმის მიხედვით, ღმერთს ეწოდება „რწმენის ფარი, ხსნის ჩაჩქანი, სულის მახვილი“ (პავლე მოციქული, ეფესელთა მიმართ, 6,11,14).

„ჩემი ლექსები ჩემი სულია“ – ამბობს პოეტი და გვჯერა, რომ ეს სულიწმინდასთან წილნაყარი წმინდა სულია.

სახისმეტყველების ზოგიერთი საკითხი

გულნაზ ხარაიშვილის გზამკვლევია რწმენა, ბიბლიური სიბრძნე, იგივურ, სიმბოლურ-ალეგორიულ სახეებში, ქვეტექსტებში გაცხადებული.

მზით, ცეცხლით, შუქით არის პოეტის სული გაალებული: „მინდა ჩემში შევისახლო მზე, ცეცხლივით მოელვარე, ვცდილობ, შუქი დაგიბრუნო, მზის შუქს გაჩვევ“ (ველარ მამჩნევ), ასეა გამოხატული ღვთისნიერობა, რადგან ბიბლიის მიხედვით მზე, ცეცხლი, შუქი საღვთო სახელებია.

„მზე და ფარია უფალი ღმერთი“, გვამცნობს დავით წინასწარმეტყველი (ფს. 83,13).

„სახე უფლისა, ვითარცა ცეცხლი მოტყინარე“, ნათქვამია ბიბლიაში (გამოსვლათა, 180, 16).

„უფალი ჩემი შუქი არის და ხსნაა ჩემი – ვის შევუშინდე?“ (ფს. 26,1).

გულნაზ ხარაიშვილი ენიგმური სახეებით გამოხატავს თავის კავშირს უზენაეს ძალებთან: „მზემ გამიშუქა სინორჩე სულის“, „მზემ ღრუბლებიდან გამოანათა, შემომეფეთა თასი სიკეთის“, „მზე პატრონობს თბილად სულის არეს“, „აქ გულს გრძნობები ძლიერ მოშივდა, მზე კი სხივების ხელებს მიწვდიდა“.

მზის, ცისარტყელის, საღვთო ნათლის, მთვარის შუქის თანმხლებია პოეტი: „მზის ქვაბში დულს ჩემი სულის სიღრმე, ცისარტყელა მომეხვევა ტანზე, ვიცი, ერთ დროს გამიტაცებს ცაში, დავისვენებ მთვარის შუქის მხარზე, ვიცი, ცრემლად დაიღვრებით მაშინ“ (სულის სიღრმე).

ჩვენი დროის ძალზე საინტერესო მოაზროვნე, პოეტი და მწერალი სერგი ლომაძე „მზის წიგნს“ უწოდებს მის ერთერთ რჩეულს, რომლის სახელწოდებაა „მზის მკლავებში“.

სასწაულის იმედით მთვარესთან აღწევაზე ფიქრობს გულნაზ ხარაიშვილი: „... სასწაულებს თუ იღბალი დამპირდება, აი, მაშინ მოვირთხმები მთვარის ფეხთით“ (სიტყვით ვერ ვთქვი).

მთვარე არის შთაგონების წარმართული ღვთაება.

რელიგიურ სიმბოლიკაში მთვარე მოიაზრება ღვთისმშობლის სახელად (ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, 124).

ამასთან, წმინდა სულები ზეცაში, მზეზე, მთვარეზე მკვიდრდებიან გარდაცვალების შემდეგ.

მთვარეში ხედავს გარდაცვლილ მეუღლეს პოეტი (ზღვაში გავცურე), ფიქრებით მთვარისკენ ისწრაფვის: „ღამის ფიქრები მთვარეთან მიმყავს, სხვის ნათელ ვარდებს არ ვეკარები“.

მთავარი ორიენტირია მომავალში გაღწევა, არწივივით ცაში ნავარდი: „აფრებს გავშლი ისევ ცაში, აბა არწივს ისე როგორ დავეწევი?“ („ათინათი წმინდა ნინოს მადლითაა შემოსილი“):

ცისარტყელით მოსილი ასევე ღმერთშემოსილია, რადგან ცისარტყელა საღვთო სახელია (ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, გვ. 12.21).

ორიგინალური სახეებია: „ხუთი მზის სხივი ჩამოკრიფე ცათა ჭერიდან, მზის სხივების ხელები, მზის მკლავები, მთვარის შუქის მხარი...

მზით გასხივოსნებული უსამანო სული სიკეთის ღერძზე ტრიალებს, ტიტანურ შემართებას ავლენს, ახალ ნაპირებს, უცხო სამყაროს ეძებს: „სხვაზე არასდროს ცუდი არა ვთქვათ, სიკეთის ღერძი დავატრიალოთ, მოდი, ჩვენს სახელს გრძნობა შევარქვათ, დარდიც ვარდისფრად გავაღიაოთ... გავშალოთ მხრები ზღვას შევერკინოთ, გავცდეთ ზენიტს და ნაპირებს მივწვდეთ, უცხო სამყარო მიმოვირბინოთ, დავისვენოთ და მზის მკლავზე მივწვეთ“ (გულს ვესაუბრე).

შემთხვევით როდია შერჩეული მისი პოეტური კრებულების სახელწოდებები: „მზის ათინათი“, „მზის მკლავებში“, „სულის არეში“.

სული საღმრთო სახელია: „ხოლო უფალი სულია და სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა“ (პავლე მოციქული II კარინთელთა, 4,17).

სულით ზეცაში მოგზაური პოეტი ტკივილების თავშესაფარია, რადგან ჯვარცმის, ტკივილის გარეშე არ ხდება განწმენდა, ინიციაციის მაღალ საფეხურამდე მიღწევა: „მიკვირს, ტკივილი რად შევიკედლე, ან ცად რად აველ, ვით განიმედი“ (რუსთავი). პოეტის ვედრებაში სიცოცხლის ხის, ანუ

კვიპაროსის აყვავების სურვილი მჟღავნდება: „ამიყვავილოს, ამიკვირტოს კვლავ კვიპროსი" (ო, როგორ მინდა).

გულნაზ ხარაიშვილი ცაში მაღლდება, სულში ვაზს, კვიპაროსს ახარებს, სიკეთის ხეს რგავს, ხოლო ცა, ვაზი, კვიპაროსი საღვთო სახელებია.

ვაზის ტირილი, ცის სიშავე, ღრუბელ-ნისლით გაშავებული მზე ამცნობს, რომ რწმენის გზით არ მიდის ხალხი და წუხს: „ვაზი ტირის... ღრუბელს ხედავს თავაწეულს... ეს ლაქაა, თუ ცის კანის შავი ფერი. ვახ, მზის სხივი გადაფარა ნისლმა თქორით" (სიტყვით ვერ ვთქვი).

პოეტს უყვარს ბალახის, გადამწვარი მდელოს მაცოცხლებელი წვიმა (წვიმა საღვთო სახელია) და არა გუბეებში ჩამდგარი დამყაყებული წვიმის წყალი. ამ ზეციური „ცათა ცის" წვიმას იგროვებს სულში და განახლებასაც აღწევს („წვიმა").

ზღვას შევებმები, უნდა გავცურო

უსაზღვროების მოხილვის სურვილით ანთებული პოეტი ცხოვრებას მოიაზრებს, როგორც ზღვას.

ზღვის სიმბოლური გააზრების მაგალითები მრავლად არის ბიბლიაში, ღვთისმეტყველებაში, კლასიკური მწერლობაში.

ზღვა ჩვეულებრივი მეტაფორაა ცხოვრების აღსანიშნავად.

„ზღვა მწარეწყლიანი მარილისგან და მშფოთვარე ქარიშხალთაგან, სიმბოლოა ამა სოფლისა", ხოლო იოანეს სახარების ნეტარი ავგუსტინესეული განმარტებით, „ამ ზღვაზე გადასასვლელი გემია ძელი, იგივე ჯვარი, ჯვარცმა" (აღსარება).

ზღვა წმინდა წერილის ენაზე აჯანყებული, მოუსვენარი, ღვთისმოსაობის მტერი ხალხის სიმბოლოც არის (Толковая Библия, комментарии А. П. Лопухина, М. 1991).

ახალ აღთქმაში ნათქვამია, რომ წმინდა მამები ღრუბელში და ზღვაში იყვნენ მონათლული: „... ჩვენი მამები ყველანი ღრუბელქვეშ იყვნენ და ყველამ გაიარა ზღვაში და ყველანი მოინათლნენ მოსეს მიერ ღრუბელში და ზღვაში“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 10, 1, 2).

ზღვა, როგორც ცხოვრების მრავალსახეობის, ისე გენიის სიმბოლოც არის გალაკტიონის პოეზიაში. პოეტების მეფემ „გადაიარა მრისხანე ზღვები“, ანუ ამაღლდა ცოდვებზე. ზღვის ტალღებში იყვნენ განბანილი ბოდლერი, რემბო, გალაკტიონი, ვაჟა ეგრისელი.

ზღვასთან შებმის, ზღვის გადალახვის, ზღვის ტალღებზე სიარულის მაგალითებია ქრისტეს სიარული ზღვაზე (იოანეს სახარება 6, 15-20). მოსეს მიერ მეწამული ზღვის გადალახვა სასწაულებრივი კვერთხით თავის ხალხთან ერთად (გამოსვლა, 14, 15-30).

ზღვასთან შებმა, ზღვის გადავლა, ზღვის ტალღებზე სიარული, ცოდვებზე ამაღლება, სულიერი ნათელღება ბიბლიურ მოსესავით, წინაპარი კლასიკოსებივით დაჰბედებია გულნაზ ხარაიშვილს: „ცურვა მასწავლა ლურჯი ზღვის ტალღამ, ზღვას შევებმები, უნდა გავცურო“, (აღარ დამპირდე), ირწმუნება პოეტი და სხვებსაც მოუწოდებს: „ზღვას შევერკინოთ, ნაპირებს მივწვდეთ“ (გულს ვესაუბრე).

პოეტი უდარდელად დასეირნობს „ფიქრის ზღვაში“ (არ ჰგავს სიტყვა), არ უშინდება ბობოქარ ტალთებს: „მე მირჩევნია, ვიცურაო ბობოქარ ზღვაზე და არასოდეს გველის ფერით არ მოვიხიბლო“ (გზა მწვერვალისკენ).

ზღვა საყვარელი არსების ორეულია: „ზღვის ეკვატორის სილამაზემ თვალი წამართვა... ეკვატორი კი შენ იყავი, გულზე გიბნევდი“ (ზღვის ეკვატორი).

ზღვის ფსკერი, ლამი, წუმპე, წურბლების, ცოდვილთა, ეშმაკთა, წყლის ჯოჯოთა საბუდარიც არის.

შემაძრწუნებელია ფსკერის ბინადართა ბედი, პოეტი ღმერთს შესთხოვს, გზაარეულს გააგნებინოს სწორი სავალი (ზღვაში ჩავყვინთე და ზღვის ფსკერზე ლამში გიხილე).

აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერები

მითოლოგია, ბიბლია, უცხოური და ქართული კლასიკური მწერლობა განსაკუთრებულ ინტერესს ავლენდა აპოკალიფსური მხეცებისადმი.

ქართულ ლიტერატურაში აპოკალიფსურ ურჩხულებთან მამაცური შერკინების მაგალითები გვიჩვენეს მიხეილ ჯავახიშვილმა, კონსტანტინე გამსახურდიამ, გრიგოლ რობაქიძემ, გალაკტიონ ტაბიძემ, ტერენტი გრანელმა, ოთარ ჭილაძემ, გოდერძი ჩოხელმა, რევაზ მიშველაძემ, ვაჟა ეგრისელმა.

წმინდა იოანე ოქროპირი წერს „პატივმოყვარეობის კუნძულზე“ მცხოვრები ურჩხულების შესახებ: „... ეს ურჩხულები არიან მრისხანება, სასოწარკვეთა, შური, მტრობა, ცილისწამება, განკითხვა, სიცრუე, თვალთმაქცობა, მზაკვრობა, გულძვირობა უდანაშაულო ხალხის მიმართ, სიხარული მტერთა გაჭირვების გამო, მწუხარება მათ კეთილდღეობასა ზედა, თავის ქების სურვილი, ალერსი თვალთმაქცური, უგულებელყოფა გაჭირვებულთა, მსახურება მდიდრებისა... მონური შიში, გაუბედაობა, მოჩვენებითი სიმდაბლე, სიმკაცრე უზომო უბრალო ხალხის მიმართ, ძლიერთა წინაშე უსიტყვობა. ამდენს კი არა, ამაზე მეტ ურჩხულსაც კი იტევს ეს

კუნძული და თუკი მათ ერთხელ მაინც მოიტაცეს ვინმე, ისე დაიმონებენ, რომ ბევრ რამეს, რაზედაც ახლა უხერხულია ლაპარაკი, გააკეთებინებენ" (სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი III, თბ. 1991).

მეფისტოფელის საუკუნეში მომრავლდნენ აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერები – ნადირთა ხროვის, მელიის, მგლის, ვეშაპის, გიურზას სახით, რომლებიც ახალ წარღვნას ამზადებენ, სიკვდილის რაშს მოაჭენებენ.

გულნაზ ხარაიშვილის პოეზიაში ქვეყნის მტერია „თეთრი ვეშაპი", (ახალგაზრდობავ!), შავ ზღვაში ჩაწოლილი ნიანგის მოდგმა (უმთვარო ღამით).

ირგვლივ მრავლად არიან ცხვრის ტყავში გახვეული მგლები (ნაზამთრალ გულში), მგელი ცხვარს ემტერება, მელა კი ამის მაყურებელია, რომ ნადავლში დაიდოს წილი (ტრიალ მინდორზე).

ირგვლივ მგლების ხროვაა ჩასაფრებული და დიდი ძალისხმევაა საჭირო რკალის გასარღვევად: „რკალის გარღვევა ძალიან ჭირს, მგლების ხროვაა... ამ მგლების ხროვას არასოდეს არ დავნებდები" (მგლების ხროვა).

პოეტი ეურჩება უსახო არარაობებს, შხამიან მწერებს, მელიას: „არ მსურს ბეჭებზე რომ მაჯდეს მწერი, ან მელამ კუდი მომიქიცინოს, ანდა გადვიქცე ვით მიწის მტვერი, დადგნენ მერე და ჩემზე იცინონ" (არ მსურს).

„მზის ათინათის" ავტორს თავისი „სულთშესაფარი" აქვს, „ერთგულების ჯვებირით", „მაღალი გალავნით" შემოვლებული, რომ ერში მომრავლებულმა მგლებმა და გიურზებმა შიგ ვერ შემოაღწიონ.

პოეტის სულს ლექსის სიბრძნით დაუმარცხებია ურჩხული: „... როს წავიკითხე ლექსი ჩურჩულით... ბოროტების ჩავკალ ურჩხული, გულში სიცივე აღარ მათოვდა" (შეხვედრა).

ეშმაკები აშენებენ „დარდის მწვერვალებს," ადამიანებს ისინი უგზავნიან სიკვდილის რაშს: „მივხვდი, შენში ისევ ეშმა დაფათურობს, დღისით, ღამით, ყოველ წუთს და ყოველ წამშიც, შენ ხარ დარდის მწვერვალების დიდი ხურო, სიკვდილისგან მოგზავნილი შავი რაში" (ველარ მამჩნევ).

„მხეცთა ხროვას" რკინის ჯაჭვის პერანგით უმკლავდება პოეტი, რათა ბანაკში მტერმა ვერ შემოაღწიოს: „სხეულს რკინის ჯაჭვის პერანგს ვაცმევ, წინ შემომხვდა მხეცთა დიდი ხროვა. რაც ჩემია, მას არავის მივცემ... ჩემს ბანაკში მტერი ველარ მოვა" (ბანაკში მტერი ველარ მოვა).

„ლომთა ეშვები მოთხარე, უფალო", ევედრებოდა უზენაესს დავით წინასწარმეტყველი.

„მე თავი დავაღწიე ლომის ხახას", გვამცნობს პავლე მოციქული (II ტიმოთე, 4,17).

„ლომი ღრიალებს, ჩემი მიწა აღარ დამითმო", ჰგოდებს პოეტი და ღმერთს ევედრება, გადაარჩინოს ჩვენი მრავალტანჯული მამული.

„ლოყას ცრემლით ჯვარი დამეხატა"

გულნაზ ხარაიშვილი „დარდის თავქალია", დარდის თალხით აწრიალებული , დარდის დევები ასდევნებია, დარდის ფუთებს მიათრევს, დარდის მარწუხები უჭერს, დარდის კოცონი უნთია, დარდის ყორანი დასჩხავის, დარდის მწვერვალებზე სვლა დაჰბედებია, დრო „დარდის უსტარს" უგზავნის, მისი „გული დარდით სავსე დარბაზია". არ სცილდება დარდის ნისლები, დარდის ურემი, დარდის ტოტები, დარდის მთები, დარდის პირამიდები, დარდის თქეში, არ ასვენებს „დარდის ლოდები, სევდის სისხლის შადრევანი, ცის სიშავე, გლოვის კენჭი, გზაზე დაყრილი ქვების გროვა: „ამ ჩემს გულში ისევ დარდის ლოდებია, სევდის სისხლი შადრევანად

ამომსკდარი, ბაცი ფერი ცას მანტიად მოსდებია, ჩემს წინ ქვები თავდაყირა გორდებიან" (სიკეთეს დავეწიე).

„სევდის დედოფლის" სული „სევდის ქვაბში" იხარშება, „სევდის ნავი" არ შორდება, სულზე „სევდის ბოქლომი" ჰკიდია.

„საუკუნის ტკივილი" ამგზავრებია, „ტკივილების გიდია".

ტერენტი გრანელივით „დარდით თრობა" დაჰბედებია.

„დარდი ერისა ვეღარაფრით დავასამარე", წუხს საქართველოს დარდით დამწუხრებული.

პოეტს ასდევნებია „ცრემლდანამული სამშობლოს" სევდა. ცრემლის მდინარე, ცრემლის კაბა, ცრემლის ტბა, ცრემლის ღვარცოფი, ცრემლის საბანი, სისხლის ცრემლი, ცრემლის სასმისი, ცრემლის ტახტი არ შორდება.

ცრემლიანს ცრემლის სასწაულიც მოვლინებია: „ცრემლით ლოყას ჯვარი დამეხატა". გრძნობით ჯვარცმაც არ ასცდენია: „გრძნობის ჯვარზე ვარ გადალანდული".

ეს არ არის მხოლოდ პირადული უძლურების ცრემლი, „საშინელი დროით" მოგვრილი ცრემლია: „დავცქერი დაბლა ცრემლის გუბეებს, შენში არ დარჩა სინდისის გროში. მივდივარ წინ და ვხედავ წუმპეებს, ვჯავრობ, რომ ვცხოვრობ საშინელ დროში".

ცრემლი, სისხლი, ღვთისმეტყველთა მიხედვით, განწმენდის, ამაღლების, ინიციაციის ახალი საფეხურის მიღწევის გზაა.

„სიღრმე ყოველთვის დიდ სევდასთან არის წილნაყარი" (გრიგოლ რობაქიძე).

გულნაზ ხარაიშვილის შემოქმედებაში მამულის ბედით შეშფოთება, უღმერთობის ტრაგედია ვლინდება.

წმინდა მამა გვმოძღვრავს: „ღვთის გულისთვის დანაღვლიანება წარმოშობს სინანულს სახსნელად და არ გახდება

სანანებელი, ხოლო წუთისოფლის ნაღველი სიკვდილს წარმოშობს" (პავლე მოციქული, II კორინთელთა, 7, 10).

გულნაზ ხარაიშვილის სევდის მასაზრდოებელია უღმერთობა, ეროვნული პრობლემები.

ღმერთისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიებით დასევდიანებული პოეტი ეძებს ხსნის გზებს.

გოდერძი ჩოხელის პერსონაჟი ხალხის დარდებს აგროვებდა, გულნაზ ხარაიშვილს „დარდის ფუთები" ჰკიდია.

დავით გურამიშვილი ჩიოდა: „მარტო ვიყავ, არავინ მყავდა მე ღვთის მეტი სხვა პატრონი".

პოეტი ქალი კვნესის: „ფიქრია ჩემი პატრონი". ის „ობლად შთენილ მზეწვიას" ჰგავს.

მაგრამ მისი სულის თანმხლებია რწმენა, იმედი კი „ნათლის სვეტს" მოჰგავს. ფიქრები ზღვას და ცას ეტოლებიან, თავისუფლად განავარდობენ ყველგან, დარდის ღრუბლები კი სიგარეტის ბოლოკით სულის მჭვარტლით ავსებენ, მზეს ფარავენ, მაგრამ ძლიერი სულის პოეტი „დარდის გუდას" ფერთხავს, ისევ ნათელს ეზიარება („ფიქრის გუდა").

„მოვიწიე იმედის ტოტი", „ყველა ტკივილი გავაყოლე დარდთა თბომავალს", ასე ამარცხებს იმედი უიმედობას, რათა „იმედების, რწმენის ფუთები" გახდეს მისი ნუგეში.

ერიდე ქარბუქს, რადგან ირგვლივ დარბის სატანა

გულნაზ ხარაიშვილის „ფიქრის დაფაზე, ფიქრის სკივრში", „სულის რელიეფში" მოჩანს „შარიანი, ავსული, ბინძური, თავნება ქარი, ონავარი, მახის დამგები, დაუნდობელი, ნამქერიანი ქარი, ქარბუქი, კორიანტელი, ქარიშხალის ცივი ენები. „ქარის ბუმია" ირგვლივ, გრიგალისგან დალეწილია ტოტები, გაღებულია კარი, ნიავის სახით მოვლენილი, შემ-

დეგ კი გრიგალად გარდასახული ქარი ბუხარში ცეცხლის ჩაქრობას ცდილობს...

„სხვის საამებლად შენ ქარივით ნამქერს მაყრიდი“, „უიმედობით ამომივსე სულის კალათი“, გოდებს პოეტი.

ქარის პერსონიფიკაციით გვიჩვენებს პოეტი ცხოვრებისეულ წინააღმდეგობებს, ბოროტების პარპაშს.

ქარიშხლის სახეში მოაზრებული ავსული ეჭვის, შიშის მთესველია, რომელსაც რწმენა, სიყვარული უპირისპირდება: „ეჭვს გავურბოდი, შიშით ვცახცახებდი, სულში ქარიშხალი მამტვრევდა, მერე რწმენის მანდილს კდემით ვირგებდი და შენი ხმა სიცოცხლეს მმატებდა“.

რელიგიურ სიმბოლიკაში მანდილი, საფარველი მარიამ ღვთისმშობლის სახელია.

გაპერსონაჟებული ქარის შხამიან სულში საწამლავის მესერი ილანდება: „ქარო,.. შხამიან სულში საწამლავის მესერი გაკრავს“ (აგვისტოს მზე).

ქარის გამოყენებით შექმნილია განუმეორებელი სახე: „ბუმი აქვს ქარბუქს, იმედი ჩემი მოყოლილა ყინვის ფარეხში...“

გულში შემოჭრილი ქარის გრიალით მგლოვიარე პოეტი ეძებს გამოსავალს და რწმუნდება, რომ ბოროტი ქარის მომრევია სიყვარულის ძალა: „თუკი ვინმესთვის ტრფობით იწვები, ქარის გუგუნი იმ წამს ჩადგება“ (შენს წმინდა სულში).

ჭირხლი, ყინვა, ქარიშხლის ნამქერი გროვდება სულში, ქარი უნდობელია, ქარიშხალი თავზე ღვარცოფს ასხამს (წამებასაც ავიტან), ქარიშხალი წეწავს თმას, ლეწავს ფანჯრებს, ქარიშხალს მოაქვს სეტყვის კაკლები (ვერ დავიძინე), მოუხმობს ავ სულებს (სიკეთით გირჩევ), ქარიშხალი ვერაგია (რა ვაკეთოთ), მამული „ორპირ“ ქარშია, ღრუბელიც მიუსაფრობას აგრძნობინებს (მაინც ცივა). ქარი სატანური სულის ორეულია: „ქარმა თილისმად შემოგაპარა წამალი, სადაც შხამი

ერია, სატანამ თავის კვალში გატარა, ოროველასაც შენთან მღერიან" (ვცდილობ).

ბოროტი, ზნეობაზე უარისმთქმელი ადამიანის სიმბოლოა ნიავად გარდასახული ქარი, რომელიც მშვიდი, გაწონასწორებული პერსონის ნიღაბს იკეთებს, მაგრამ სახელგატეხილს აღარ ენდობიან. ლექსის ლირიკული პერსონაჟი უარს ამბობს ომობანაზე, რადგან ისიც: ამ ხანმოკლე სიცოცხლეში არა მტრობაზე, არამედ დიად საქმეებზე უნდა გაიხარჯოს ძალისხმევა („ქარო").

„დარდის ვალიდან" ამოსული პიროვნება არა ბოროტი სულის თარეშს უსმენს, არამედ ზეციურ ხმებს აყურადებს, ზენიტის მზეს შეჰხარის, მფარველი ღმერთის იმედი ასულდგმულებს („ქარო").

ბოროტი ქარის მეწყვილეს ასე შეაგონებს ლექსის ავტორი: „შენ ქართან ყოფნა გიხდება ისე, როგორც ბაძაძგნარს ყოჩივარდები... ქარიშხლის ნასუსხს კვალდაკვალ მისდევ, გაფრთხილდი – კლდიდან გადავარდები" („შენ").

ღრუბელ-ნისლთა გამფანტავი, გაზაფხულის სხივების მომფენი ქარის მოლოდინია ლექსში „ცის აივანი".

პოეტი გვაფრთხილებს: „ერიდე ქარბუქს, რადგან დარბის ირგვლივ სატანა", „ქარს არ აჰყვე, თავნებას და გიჟმაჟს".

„მტრულად გაანჩხლებულ ქარს" ებრძვის ლომი (ქარიშხალი).

გულნაზ ხარაიშვილიც ქართან უშიშრად მეომარია: „ქარს შეგეჯიბრე და გაგხადე ღონემიხდილი, ისევ ამ დროის ქარს გავეჯიბრე, ფეხით მოვთელე ნამქერების ქარტეხილები"...

თოვლი და ქარიშხლის ნამქერები წინსვლას მაინც ვერ აფერხებს: „თოვს და ქარიშხლის დგება ნამქერები, მაინც წინ-წინ უნდა წავიწიო" (მტკივა შენი დარდი), „არ შევდრკები ქარიშხალთა თარეშით" (სიცოცხლის გზა)., უშიშრად აცხადებს პოეტი

ზოგჯერ ქარი სიკეთის პერსონიფიკაციაა: „ქარი გადადენის ღრუბლებს“ (ღმერთო), „ქარმა გადამიფერთხა ფიფქები“ (გულში გაზაფხული მჭირდება).

ფიფქის სახე სიყვარულის გრძნობასაც დაუკავშირდა: „დაგადნები მხრებზე, როგორც ფიფქი“ (გამეხარდა).

თუ სხვა დროს „დარდთა თბომავალი“ ეახლებოდა, ამჯერად უკან დარჩენილ „სიხარულის თბომავალს“ ელოდება (ლექსიც ზეიმობს).

მაინც სასწაულმოქმედი ღმერთის ყოვლისშემძლეობის რწმენა ასულდგმულებს: „ზეცამ მაისშიც იქნებ მოთოვოს, ზამთარშიც ბევრჯერ კვირტი გამოვა, დიდმა უფალმა მოინდომოს და უდაბნოშიაც ია ამოვა“.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში მრავალმნიშვნელოვანი სიმბოლოა ქარი, ხოლო პოეტი არის „ქარი, გრიგალი, შერყევა“...

მიხეილ ჯავახიშვილის აზრით, „მწერალი ჰგავს ბერძნულ მითიურ არსებას, რომელმაც გრიგალი გამოიწვია და ვერ დააწყნარა“.

გულნაზ ხარაიშვილის სულიდან მშვიდი ნიავი უბერავს: „ჩემო მკითხველო... ელოდე მშვიდად ჩემი კალმით დაქროლილ ნიავს“ (ტკივილი მტკივა).

პოეტის იმედიან, მებრძოლ ხმებში მაინც ქალური სინაზე, სათნოება, სიმშვიდე ჭარბობს, კივილის ნაცვლად ჩურჩულით გამხელილი საიდუმლოა: „იფაფუკოს ამ ლექსმაც და არ იკივლოს“ (მანანა კვატაიას ხმა).

შარაგზას ვეძებ ეკლიან ტყეში

უფლის გზას, მარადისობის გზას ეძებენ ღვთისმეტყველები, ფილოსოფოსები, სიტყვის ოსტატები, მეცნიერები.

სწორი გზის პოვნა ყოველთვის ურთულესი იყო.

„შარაგზას“ ეძებს გულნაზ ხარაიშვილი, მაგრამ დაკარგულია გზა, ბილიკი, წმინდა გზა ძეძვს, ეკლებს დაუფარავს, მომრავლებულა სარეველა, „ეკალ-ბარდებით გზა ალანდულა“ (მხოლოდ შენს თვალებს).

„გზა ჩამიკეტეს ბურძგლა ბირკებმა“ (ჟინი რით მოვკლა) „ჩემი იმედი დიდ ეკლებთან დარჩა გადაღმა“ (ნაზამთრალ გულში), წუხს პოეტი.

„დარდები გულს ეკლად ესობა“ (მაინც ცივა), „ვერ გამოვლიე ბაძაძგნარი, ეკლის ძეძვები, გზა შემხვდა ეკლებით სავალი“, ასეთია ხვედრი პოეტისა.

ვარდისა და ეკლის, ჭინჭრისა და ყვავილის დაპირისპირებით შუქდება ზნეობრივი პრობლემა.

სატანისეულნი დაჭრილ გულს არა მალამოს, არამედ ჭინჭრის ფოთოლს აფენენ და ამით ჯოჯოხეთს იმზადებენ („ჭინჭარო“).

ყოველი ადამიანის მიზანი წმინდა გზის ეკლებისგან გაწმენდა უნდა იყოს: „მე ჩემი წილი ეკალი ვკაფე“ (სამშობლოვ), „სარეველა ვმარგლე, სარეველა მოვაცილე ყანას“ (სიკეთეს დავეწიე), ამბობს პოეტი.

ავსული „ედემის ბაღში“ ეკლად იბარტებს, სათნოებით სავსე კი – „აფრთიანებს... ხუნდებსა და მშვიდობის ბარტყებს“ (ველოდი ნაყოფს).

პოეტი „სიკეთის ლამაზ ბილიკით“ დადის (მინდა), „სიკეთის ნერგებს“ სამშობლოსთვის რგავს (ერთხელ მაინც), „წვალებ-წვალებით წალდავს გზას“.

ეკლიან ტყეში გზის ძებნა დაჰბედებია და შემწედ ჰყავს ღვთისმშობელი: „შარაგზას ვეძებ ეკლიან ტყეში, მივკაფავ ბარდებს და წინ მივიწევ, მათოვს და მაწვიმს დარდების თქეში, დედა ღვთისა კი კვლავ არ მივიწყებს“ (შარაგზას ვეძებ).

„გზას გაგიკვალავთ ეკლიან ტყეში“ (მიხარია), გვპირდება პოეტი. ეკლები ვერ მოერევა მის მიერ დარგულ მომავლის

ნერგებს: „მკაწრავს ეკლები, არ დავიდარდებ, რადგან უკვე დავრგე ნერგები“...

ახალგაზრდების ვალია ეკალ-ბარდებში ბილიკის ძიება და პოვნა: „მწვერვალებს აჰყეთ კლდის ლაღ ჯიხვივით, ეკლის ბარდებში ბილიკი ძებნეთ“ (ახალგაზრდებო).

ახალ აღთქმაში გარჩეულია „მწვანილეულის მომყვანი სასარგებლო მიწა და ეკლებისა და კუროსთავების აღმოცენებული, უვარგისი, დაწყევლილი მიწა, რაც ცოდვის საზღაურია და მისი ბოლოა დაწვა“ (პავლე მოციქული, ებრაელთა მიმართ, 6,7,8).

გულნაზ ხარაიშვილის გზაზე „ფიქრის ყვავილი“ ხარობს: „შენს გზას მოვფინე ფიქრის ყვავილი, ეს მომამადლა დედა ბუნებამ“.

პოეტის ლექსებს გამოარჩევს „გულის სურნელი, ფიქრთა სურნელი“ (შდრ. გალაკტიონის „დროის სურნელი“, პოეზიის სურნელი). აქ„ნაქარგ ენას“ „ვარდ-ყვავილთა სურნელი ასდის“ (ლამზირა შეყილაძეს).

ეკლებში გზი გაგნება, ცხოვრების სიძნელეებთან გამკლავება, ბეწვის ხიდზე გავლა მხოლოდ მორწმუნეს ხელეწიფება: „... ღვთის რწმენა კი ეს ხომ სულის წამალია, ბეწვის ხიდზე გაიარე ფრთხილად“ (ბეწვის ხიდზე).

პოეტმა ეკალ-ძეძვებიც ზნეობრივი პრობლემების გასაშუქებლად გამოიყენა და ამ უკეთურობის სიმბოლოდ მიჩნეულ სახეებშიც მონანიების ნიშნები მოძებნა: „ძეძვ-ეკლებშიაც შევამჩნიე მე სინანული“...

„კვლავ გავუყევი თოვლიან გზას და თანაც უკვლევს“

გულნაზ ხარაიშვილის სახეთა სისტემაში განსაკუთრებით თვალში საცემია თოვლის, ყინვის, სეტყვის, ავდრის, ნისლის,

ჭირხლის, ღრუბლის, წვიმის სახეები, რაც მინიშნებაა უსულგულობაზე, სიკეთის იგნორირებაზე, უღმერთობაზე, კოსმიურ სიცივეზე.

მისი ლექსების ლირიკულ პერსონაჟს ბოროტი ყინვა (რა დამავიწყებს) უთოშავს სულს, „ავდრების წკეპლა" ურტყამს (რად დამემდურე), ცივი ფიფქი მხარზე მანდილად ეფინება (ო, ცივო ფიფქო), „ყინვის ლოდები" ახვევია, თოვლის ფიფქში... იმედები ძრწიან" (გამაოცე), „სეტყვის კაკლები", „აცვივა (ვერ დავიძინე), ქარბორბალა სუსხით ყინავს (იმედის წყაროვ).

წვიმა, ეკლები, სიცივე შვილდაკარგული დედის მწუხარების მახასიათებელია ერთ უსათაურო ლექსში:„წვიმით დასველდა სულის მანტია და დამეკაწრა მკერდი ეკლებით, ჩემთვის მას შემდეგ ცივი მარტია, შვილს რომ ზეცაში ვეალერსები".

გულნაზ ხარაიშვილი სულიერი შემართებით კაფავს ეკლებს, გულის სითბოთი ადნობს ყინულს; „ეკლებს ჩემს ირგვლივ წალდით ავკაფავ, ბეწვის ხიდზე კი გავფენ ხალიჩას. კმაყოფილების ფთილებს დავართავ, ლოლოს ყინული სითბომ დახლიჩა" (დიდ მგოსანს).

ზეციური მადლით მოსილი, დაბრკოლებებს იოლად სძლავს: „იცით? მადლი მე კვალდაკვალ დამდევს, თოვლშიც მიზანს მოთმინებით ვაღწევ, შეშასავით ვიწვი საქმის ალში" („ათინათი" სიყვარულის ფრთებით შეგმოსავთ).

ზოგჯერ „სუსხიანი ფიფქი" ათოვს, გულს ყინვა მწარედ უკორტნის, მაგრამ მაინც ვერ აჩოქებს. „დარდის ცრემლი ბარდნის ფიფქებად", ზამთრის სუსხი, თოვლის ნამქერია... მიუხედავად ამისა, ისევ აისს ელოდება: „ვერ შემაშინებს ზამთრის სუსხი, თოვლის ნამქერი, მჯერა, ვიხილავ შენს ქუჩებში ისევე აისს" (რუსთავო ჩემო).

ღრუბლები, ყინვა, თოვლი, მიუსაფრობის გრძნობა აწამებს: „ღრუბლებში ვარ, მცივა, ვეძებ თავშესაფარს, ჩემთვის თოვს და ვიყინები. ვემსგავსები მიუსაფარს" (მაინც ცივა).

ყინვა „ფიქრის ყვავილს" ვერ აზრობს, გრძნობის ცეცხლი ყინვაშიც გიზგიზებს, „ცივი ზამთრის" წასვლის მოლოდინია ლექსში „ქარი".

„მე ჩემი რწმენით ყინულს გავადნობ", ამბობს უფლის სასწაულების მომლოდინე პოეტი. სიყვარულიც ყინვის დამარცხების საშუალებაა: „ყინულს ალღობს მისი თბილი ალერსი, ვისთვისაც მე ღამე მითენებია" (არის წამი).

დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნში მხოლოდ უფალია თოვლის, სეტყვის მომყვანი და მისი დამდნობი: „უფალი წარმოგზვნის თოვლს მატყლივით, თრთვილს ფერფლივით მიმოფანტავს, გადმოუშვებს სეტყვას პურის ნაცეხებივით, მოავლენს თავის სიტყვას და დაადნობს მათ..." (ფს. 147, 5, 6, 7).

ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში უზენაესის ძალით ცვივა და ნადგურდება ყინულის ქვები: „უთხარით მლესავთ, ჩამოწვება-თქო თქვენი კედელი, წამოვა თავსხმა და თქვენ, ყინულის ქვებო, ჩამოცვივდებით...

„ასე ამბობს უფალი ღმერთი. ავტეხავ ქარიშხალს ჩემი რისხვით, თავსხმა წამოვა ჩემი წყრომით და ყინულის ქვები გაცეცხლებით განადგურდება" (ეზეკიელ წინასწარმეტყველი, 13, 11, 13).

გულნაზ ხარაიშვილის პოეზიაში სიწმინდის სიმბოლოდ „სიცოცხლის ფიფქი" ფიგურირებს.

ჭეშმარიტი ოსტატობის საზომია არა სხვათაგან დატკეპნილ გზაზე სიარული, არამედ უშიშარი სვლა ჯერაც გაუკვალავ თოვლიან გზაზე: „კვლავ გავუყევი თოვლიან გზას და თანაც უკვლევს"... გულნაზ ხარაიშვილი ამ შემთხვევაშიც თავისი, სხვათაგან გაუკვალავი გზით მიდის.

შავი ფერის ღრუბელი „სევდის მკვიდრი დიშვილია“, შვილმკვდარი დედის ასოციაციას იწვევს (ღრუბელო, სევდის მკვიდრო დისშვილო).

ასევე ებრძოდა ზამთარს, უამინდობას, „საუკუნეთა თოვლს“ გალაკტიონი იმის რწმენით, რომ უფლის ნებით გალღვებოდა ყინული, მზის ელვარებით დადნებოდა თოვლი (მშვიდობის წიგნი).

„ცა იღრუბლება, მოდის ავდარი, მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის“ – ასეთ მასშტაბურ, გლობალურ პრობლემას დაუკავშირა ტერენტი გრანელმა ღრუბელი და ავდარი.

მოყვრად გექციოს სამშობლოს მტერი

გულნაზ ხარაიშვილის ლექსების თემაა ჩრდილოელი ყინულოვანი მონსტრის მარწუხებში მოქცეული, მისი ბინძური ჩექმებით გადათელილი მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის წმინდა მიწა, მუხანათურად წართმეული სამაჩაბლო და აფხაზეთი, 2008 წლის აგვისტოს ომში უშედეგოდ დაღვრილი ქართველთა სისხლი, სამშობლოს გამათხოვრება, ღალატი, გაუტანლობა, ქუჩაში ხელგაწვდილ უპოვართა არმია, საზღვარგარეთ ლუკმა-პურის საშოვნელად ნებაყოფლობით მონად ქცეული რჩეული ერის შვილები, ცრემლი, გლოვის შემაძრწუნებელი სურათები სერავს გულს.

გულნაზ ხარაიშვილის „შენ მენატრები“ (2006 წ.) „მზის მკლავებში“ (2012 წ.) და „მზის ათინათი“ (2009) ჩვენი გასაცოდავებული ყოფის ობიექტური მაღალმხატვრული მატიანეა.

პოეტს ყველგან უცხოს თარეში, უცხოს ცეცხლი ელანდება, უცხო ხმა ჩაესმის.. უცხოსთან დამოკიდებულებაში გამოჩენილი ჰუმანიზმი ხშირად ჩვენი უბედურების სათავე ხდება.

ბიბლიაში „უცხო სამოსელით შემოსვა“, „უცხო ვაზების ჩაყრა“ ეროვნული იდეალების, ეროვნული გზის ღალატია (ესაია წინასაწრმეტყველი, 14, 10).

„გადაჯიშებული ვენახი“ ჭეშმარიტი გზიდან აცდენილი ხალხია: „მე დაგრგე რჩეულ ვენახად, ჭეშმარიტ თესლად დაგთელე, როგორ გადაჯიშდი და უცხო ვაზად როგორ შემეცვალე?“ (იერემია წინასწარმეტყველი, 2, 21).

ფსალმუნში უცხო კერპებისკენ სწრაფვა უბედურების შემამზადებელია: „დარდი გაუმრავლდეთ, ვინც უცხო კერპებისკენ ისწრაფვის“ (ფს. 15, 16, 14).

საკუთარ მიწაზე უცხოთა გალაღებას მონობა მოსდევს: „ჩვენი სამკვიდრო უცხომ დაიმკვიდრა, ჩვენი სახლები გადამთიელმა“ (გოდება იერემიასი, 4, 8).

ჭეშმარიტი გზით მოარულნი ევედრებიან ღმერთს: „უფალო, მიხსენი და გადამარჩინე... უცხო ტომთა ხელიდან“ (ფს. 145, 7).

იერემია წინასწარმეტყველი ჰგოდებდა: „ჩვენი სამკვიდრო უცხომ დაიმკვიდრა, ჩვენი სახლები გადამთიელმა“ (4, 2).

გადამთიელთაგან მიტაცებულ მიწებს მისტირის გულნაზ ხარაიშვილი, ის წუხს, რომ ჩვენი „ვენახის მტევანს კრაზანა აზის“.

მამულის ხსნის იდეას ასე გამოხატავს პოეტი: „უნდა შევძლო და მივეპატრონო, რომ მოვაშორო ვაზს სარეველა“. აქ ვაზი ქართველი ხალხია, სარეველა – გადამთიელი. ნიანგის, მუმლის, კრაზანის, ვეშაპის სახეებით გვიცნობიერებს პოეტი თავსდატეხილ უბედურებას: „ვწუხ, რომ მამული არ არის მშვიდი, მუმლი ეხვევა, ქარიშხალია, ვეშაპი ჩაწვა პონტის ზღვაში და... მან ჩემი ფსოუს წყალიც დალია“ (იმედის რაში).

იმპერიული ამბიციებით ცნობილი ჩრდილოელი მეზობელი ამოიცნობა შემდეგ სტრიქონებში: „შავ ზღვაში ჩაწვა ნიანგის მოდგმა და წმინდა წყალი სულ მთლად დატბორა“ (უმ-

თვარო ღამით), „ლომი ღრიალებს, ჩემი მიწა აღარ დამითმო“ (მინდა კალმით შენ გიგალობო, უნეტარესო).

ერის ტკივილი მოსავს პოეტს, „სევდის პერანგი“ აცვია (გვახსენდება ტერენტი გრანელი: „დედიშობილა დავდივარ, პერანგად დარდი მაცვია“...)

მაგრამ ნამდვილი ქართველი არასოდეს გახდება „სხვისი ადათების“, სხვისი სიმდიდრის ტყვე, ის არასოდეს ივიწყებს ჩვენს საუკეთესო ტრადიციებს, წრეგადასულ სიკეთეს, სტუმართმოყვარეობას, მეგობრობას: „შენი გიყვარდეს, თუნდ იყოს ცუდი, ის არ გაცვალო სხვის ლამაზ ფერში, გინდაც მაცდურთა დაგიდგეს გუნდი, მას მოუფრთხილდი, რაც გიდევს გენში“.

პოეტი ჯიუტად ერთგულებს ბიბლიურ პოსტულატებს, ბიბლიური წინასწარმეტყველებით საკუთარი ვაზის გადაჯიშებას გმობს და, უპირველესად, ეროვნული ვენახის, ბაღის მოვლა-პატრონობას გვასწავლის.

„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე“ – ევედრებოდა უზენაესს ვაჟა-ფშაველა.

დღესაც აქტუალურია ეს საწუხარი და პოეტი ქალიც ილოცება ქვეყნის გამთლიანებისთვის, ცხოვრების ჩვენეული წესის ასრულებისთვის: „ღმერთო, სამშობლო გამიმთლიანე, ერთად ავისხამ იმედის მძივებს. ჩემი სამშობლო მინდა მთლიანი, რომ შემოვაძახო „რერო-დიელო“, ქართველი ვარ და მეგობრიანი, შენ შორს იყავი, გადამთიელო“ (სამშობლო).

დიდი მიზნისთვის გამთლიანება ესახება გამარჯვების გარანტად: „საუკუნიდან საუკუნემდე თუ მოვაგროვებთ გაფანტულ ხიზანს და ხვაშიადი ერთურთს თუ ვანდეთ, აუცილებლად მივაღწევთ მიზანს. აფხაზი, სვანი, მესხი, მეგრელი, გენეტიკურად ყველა ერთია, ქართლის, კახეთის და იმერეთის ერთიან სისხლს და ძარღვებს ერთვიან“ – ასეთ მესიჯს უგზავნის ქართული სულის პოეტი მუხანათ მტერს, რომე-

ლიც „გათიშე და იბატონეს“ პრინციპით მოქმედებდა ყოველთვის.

„უცხოს ნუ ელტვით, იამაყეთ ძველი ადათით, ილოცეთ ყველამ“ – მიმართავს თანამემამულეთ, მაგრამ აწუხებს ქართველი ემიგრანტების ბედი, „ქართული სისხლის აჯაფსანდალი“, რადგან ჩვენი თანამემამულეები ლუკმა-პურის საშოვნელად უცხოეთში გახიზნულან და უცხოელებთან ქმნიან ოჯახებს.

გულნაზ ხარაიშვილის პოეზიაში ყურადღებას იქცევს ყანის, ხორბლის, პურის სახეები და ეს მხოლოდ ხორცის საკვები კი არა, სულის მზრდელი პურია, რწმენაა: „... ასინეთივით შვილები ზარდეთ, რიჟრაჟზე საგზლად დაფქვით ხორბალი, იარეთ წინ და ღმერთს თავი ანდეთ, ას წელს დაიხვევს წლების გორგალი“.

დაბეჩავებული მამულის სევდა ჟონავს ყველგან, სიზმარშიც სამშობლოს ხატებას ხედავს, მაგრამ აღარ არსებობს ულამაზესი ზღვისპირეთის მშვენიერი პალმები: „მამულის გიყვარს ყვავილის მტვერიც, გულს ხანჯლით გიპობს ერის წუხილი, აფხაზეთს კაფავს ისევე მტერი, იარად გრჩება ომის ქუხილი. სიზმრად ნახულობ ზღვისპირა პარკებს, ფიქრებს გიპურებს ღამის ნიავი, ლამაზს და უჭნობს იგონებ პალმებს, მტერმა რომ მოსპო თავის სიავით“ (მამულის გიყვარს ყვავილის მტვერიც).

მხოლოდ ღმერთის იმედი ასულდგმულებს უთანასწორო ომში დამარცხებული სამშობლოს მკვიდრს: „ღმერთზე ძლიერი არა ხარ, მტერო და ის მოხედავს ჩემებრ ცრემლიანს, როდემდე უნდა მტანჯო და მსერო, ვერ მომკლავ, გული უკვე გრდემლია“.

„უფლის კალთის“ იმედით ნასულდგმულები სულია ლექსში „ღმერთო, იმედებს ხომ დამპირდები“.

უთანასწორო ომში ჩაბმული ტოლერანტული ერის შვილი მხოლოდ ღმერთზე ამყარებს იმედებს და ასე აფრთხილებს მტერს: „მცირე ერი ვართ, სიკეთეა ჩვენი თანმხლები, ამომიყორეთ ყველა მხრიდან სამშობლოს კარი... მალე გეწვევათ მსაჯულები დიდი უფლისგან, ჩემი სამშობლო მუჭში რომ გყავთ გამომწყვდეული“ (შეჩერდით-მეთქი!).

სამშობლოს ბედისწერა მუდამ მუმლის შემოსევა იყო: „ეს რამდენჯერ შეგსევია მუმლი, ეს რამდენჯერ გაგჩენია მტერი, მუხლის ჩოქვით ტაძარს ლოცვით ვუვლი, მიდღეგრძელე ღმერთო, ჩემი ერი“ (სვეტიცხოველი).

„ცრემლდანამული სამშობლო“ „უცისკროვნებს“ პოეტს სულს (ვინ უფრო მიყვარს?).

„თეთრმა ვეშაპმა ლამის ჩაგვყლაპოს“, აფიქსირებს რეალურ ვითარებას.

ასე ევედრება ჩვენი სამშობლოს მფარველ ღვთისმშობელს: „კალთა მომაფარე, ჩემო დედაღვთისავ, ეგებ დავიბრუნო, სხვამ რაც მიითვისა“ (ჩემი პოეზია).

დარდის და ტკვილის ადრესატი ისევ და ისევ სამშობლოა:

„ჩემო საქართველოვ, მტკივა შენი დარდი, გული შენგანა მაქვს გაფატრული“ (ღმერთო უშველე ჩემს საქართველოს).

„მამულის გულისთვის მიწაც მიპოტნია“ (ვისაც), ამბობს პოეტი.

შეჭირვებული მამულის სევდას რომ გვაზიარებდნენ, ამავე დროს, ხსნის გზებს ეძებდნენ, მომავლისკენ სულის თვალით იმედიანად იხედებოდნენ ჩვენი დიდი წინაპრები და სამშობლოს გადარჩენის, მისი მარადიულობის იმედს გვინერგავდნენ.

გულნაზ ხარაიშვილს სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია ადგილის დედის გარეშე, მისი „იმედი ნათლის სვეტს მოჰგავს, ნათლის სვეტი კი საღვთო სახელია, ანუ უზენაესის რწმენა ასაზრდოებს ღვთისმშობლის წილხვედრი, ედემისდარი ქვეყ-

ნის შვილს: „ჩამიჩუმობს იმედები კართან, სულ ქარიშხალი ამ ჩემს ერში იქნებ არ იყოს“. სატანის მოცილებას ამცნობს პოეტს ვარსკვლავების ციმციმი და „საქართველოს თვალი“ აფხაზეთის მიწაზე კვლავ ტკბილქართული ჰანგების აჟღერების მოლოდინი აძლებინებს: „მაგრამ ქრება დრო – სატანის კვალი, ვარსკვლავები განაგრძობენ ციმციმს, აფხაზეთი? – საქართველოს თვალი, კვლავ ქართულად ამღერდება, ვიცი“.

ისევ მამულში გამოზაფხულების რწმენა ავსებს, ქართული საყდრის ზარების რეკვა ესმის, აფხაზეთის დაბრუნებას ელოდება: „ჩემი ბუნების სუფთა ჰაერით მამულში ისევ გაზაფხულდება, დაირეკება საყდრის ზარები და აფხაზეთიც დაგვიბრუნდება“.

ქართული ეროვნული ფენომენის შეცნობა ჭეშმარიტი პოეტის უპირველესი მოვალეობაა. გულნაზ ხარაიშვილის შემოქმედებაში ყველგან ჩვენი მშობლიური ხალხის გენეტიკური სიკეთე ცხადდება. რუსეთისგან მოწამლული, მოძმე აფხაზისგან გამეტებული ქართველი, ბარით აჩეხეს, მისი მოჭრილი თავით სტადიონზე ბურთი ითამაშეს, მაგრამ მტერი მაინც ვერ გაუმეტებია ტერიტორიებწაგლეჯილი მიწის შვილს: „აცახცახდა ცოდვით მწვანე ფიჭვი, ახლაც ტირის სოხუმი და რიწა... ქრისტიანო, სხეულს ბარით მიჭრი, რად წამგლიჯე მამა-პაპის მიწა. პოეტს მკერდი დამისუსხე ჭინჭრით, ომი ფიქრმაც ველარ გადივიწყა. გაგიმეტო? ოი, როგორ მიჭირს, კეთილებს ზრდის ეს ქართული მიწა“.

პოეტი მტრის განადგურებას კი არა, მის შემორიგება – მიტევებას გვასწავლის: „ლექსო, ისეთი სათქმელი გეთქვას, მოყვრად გექციოს სამშობლოს მტერი“ (დაღლილი გული), „თუ გინდა სულშიც დაგტორონ, ბოროტი კეთილად აქციე...“.

„ჩემი გჯეროდეთ, მტერსაც არ მოვკლავ, თუმც ქარიშხალი ჩემს წინ თარეშობს, ვეცდები, მტერი მოვთოკო, შემოვი-

რიგო, მოვკლა კი არა, მე ჩემი რწმენით ყინულს გავადნობ, მოვეფერები მტერსაც ძმასავით“, ირწმუნება პოეტი.

დიდი გულის ავტორს დიდი სატკივარი და ცრემლი ამგზავრებია, მაგრამ მისი ნუგეშია ბოროტების წარმავლობის რწმენა, ლოცვა, სამართლიანობის ღმერთი.

მწერალი ისტორიიდან გამოიხმობს გმირ წინაპართა სულებს (დავით აღმაშენებელი, თამარი, ზვიად გამსახურდია), ამხნევებს მესიანისტური იდეა ჩვენი ქვეყნის მარიამ ღვთისმშობლის წილხვდომილობისა და იმედს უტოვებს, რომ ასეთი რჩეული ერი არ შეიძლება გადაშენდეს.

კითხულობ პოეტი ქალის ტკივილიან, ცრემლიან სტრიქონებს და გებადება კითხვა, რატომ არის ასე შეჭირვებული იესიან-დავითიანი, ბიბლიურ ქალდეველთა ჩამომავალი განსაკუთრებული ერი, გადარჩება თუ არა, გაუძლებს თუ არა იგი თავსდატეხილ კატაკლიზმებს და ზემოხსენებული წიგნების ავტორი, ამ სატკივრების მიუხედავად, იმედიან, გამამხნევებელ, ნუგეშისმომცემ პასუხს პოულობს: „ვიცი, რომ უფლით კვლავ ეწვევა სულს გადარჩენა და იმედებით გაბრწყინდება კვლავ საქართველო“...

რაა სიცოცხლე?

გულნაზ ხარაიშვილს აწამებს ყოფნა-არყოფნის მარადიული კითხვები, ადამიანის რაობა, ვინაობა, დანიშნულება, არსებობის მიზანი, სულისა და ხორცის მიმართება, სიცოცხლის წარმავლობა, „მზადება გასამგზავრებლად“ იმ სამყაროში, სადაც სამართალი არ მრუდდება და ადამიანები თავიანთი ცოდვა-მადლის მიხედვით უცდომლად განიკითხებიან ღმერთის სამსჯავროზე.

ცხოვრების წამიერობა, ადამიანის ნაფეხურების წაშლა დარდს განაცდევინებს: „მე ასე მჯერა, ყოფნა წამია და ქარი

წაშლის ჩემს ნაფეხურებს, ო, ეს ცხოვრება ზოგჯერ მწარეა, დარდის თავშალი მის მოვიხურე"...

ადამიანის გზა სავსეა ნარ-ეკლებით, მას ბეწვის ხიდზე უწევს გავლა, ამიტომ სიდინჯე, სიფხიზლე, ღვთის რწმენა უნდა იყოს მისი წინამძღვარი: „რანი ვართ და რა ვიქნებით ცას რომ წავალთ, სიცოცხლის გზა ნარ-ეკლებით სავალია, ამიტომაც უნდა იყო დინჯად. ღვთის რწმენა კი ეს ხომ სულის წამალია, ბეწვის ხიდზე გაიარე ფხიზლად" (ბეწვის ხიდზე).

„საკუთარი თავი გამოსცადეთ, თუ ხართ რწმენაში. საკუთარი თავი გამოარკვიეთ. ნუთუ არ იცნობთ საკუთარ თავს, რომ თქვენშია იესო ქრისტე. თუ არა და, მაშ გამოცდას ვერ უძლებთ", გვმოძღვრავს წმინდა მამა (პავლე მოციქული, II კორინთელთა, 13,5).

ცხოვრებაში „სიკვდილის სურნელიც" ტრიალებს და „სიცოცხლის სურნელიც", იმის მიხედვით, ვინ რას იმსახურებს: „ზოგისთვის სიკვდილის სურნელი სასიკვდილოდ და ზოგისთვის სიცოცხლის სურნელი სასიცოცხლოდ. ვინაა შესაფერი ამისთვის?" (პავლე მოციქული II კორინთელთა, 16).

ახალ აღთქმაში საყურადღებოა „შემეცნების კეთილსურნელება", „ქრისტეს კეთილსურნელება" (პავლე მოციქული, II კორინთელთა, 15).

გულნაზ ხარაიშვილი ასე ეხმაურება წიგნთა წიგნის შეგონებას: „ისევე რწმენით მაცოცხლე ღმერთო, არ გამინელდე გულის სურნელო" (გულის სურნელი). „სიცოცხლის სურნელს" აფრქვევს მისი სული, ფიქრიც „სურნელებით" გამოირჩევა.

პოეტი უშეცდომოდ აბარებს ცხოვრების გამოცდას, მისი წინამძღვარია რწმენა, სიყვარული, სიმართლე, უშურველად თესავს სიკეთეს, გზას ასუფთავებს ეკალ-ბარდებისაგან, რგავს მომავლის ნერგებს, ებრძვის „შარიან ქარს", მხეცურ ინსტინქტებს, არ ეშლება შავ-თეთრის გარჩევა, შეუძლია სა-

კუთარი თავის, საქვეყნო იდეალების შეცნობა, მიღმურში გადახედვა.

ასე ილოცება მისი პოეზიის ლირიკული გმირი: „ღმერთო, მომეც, რომ ვაპურო მშიერი, შენი მადლი ნუღარ დაიგვიანებს“ (როგორ მძულს).

მაღალი ზნეობრივი პრინციპების ერთგულება ასე გამოხატა: „არ მსურს, რომ მღვრიე დავლიო წყალი, არც სხვის წყაროში ჩავკლა წყურვილი“.

მადლით, იმედით, სიწმინდით ივსება მისი „ფიქრის ტოლჩა“: „კამკამა ფიქრით ავავსებ ტოლჩას, გულის სიმშვიდევ, იმედო, მადლო“ (როგორ მჭირდები).

ყვავილს, ყანას, ვაზს სარეველას გამოაცლის, ქარიშხალს ალაგმავს სიკეთის მსახური პოეტი.

ცაში ამაღლებული, უზენაესის მცნებებით გაბრძნობილი სული ცხოვრების ცოდვა-მადლის სურათებს ხედავს და რწმუნდება, რომ „სინდისის კრედოთი“ იზომება სიცოცხლის ფასი: „გადმოვიხედე კაბადონიდან, დაბლა, სამყაროს შევავლე თვალი, ბევრი სიმშვიდით სინდისს წონიდა და თვით სინდისის ბევრს ჰქონდა ვალი“.

ფუტკრის გულმოდგინებით, შრომისმოყვარეობით, სიყვარულითა და ერთგულებით გამორჩეულს, არ აშინებს გარდუვალი განსჯა, დაძლეული აქვს შიში: „გულს სიამაყით ჩუმად ვუთხარი, ჰა, მოგიწია განსჯა ათასთან, შენ დაფუსფუსებ, როგორც ფუტკარი და წერ სიყვარულს ფიქრის დაფასთან“ (ფიქრის დაფა).

„სიყვარულით ვიაროთ მთვრალი“, მოგვიწოდებს პოეტი.

მისი სათქმელის რეზიუმე ყოვლისდამტევი სიყვარულის სიტყვაა, რადგან „ღმერთი სიყვარულია“ (იოანე, I, 4,8).

ფილოსოფიური კითხვებით, ყოფნა-არყოფნის დილემით შეძრული პოეტი წუხს სიცოცხლის წარმავლობაზე, მაგრამ დარწმუნებულია სულის უკვდავებაში.

„სინდისის კრედოა“ ცხოვრების საზომი, სინდისის მიხედვით განისჯებიან ადამიანები უზენაეს მსაჯულთან.

სინდისის უგულებელყოფით ჭკნებიან სულის იები, ჩნდება „ცრემლის გუბეები, წუმპე“, რაც დროის მახასიათებელია: „ჭკნობა დაიწყეს გულის იებმა, დავცქერი დაბლა ცრემლის გუბეებს, შენში არ დარჩა სინდისის გროში, მივდივარ წინ და ვხედავ წუმპეებს, ვჯავრობ, რომ ვცხოვრობ საშინელ დროში“ (აკროსტიხებით იმიტომ ვწერ).

რადგან სინდისის დეფიციტი არსებობს, პოეტი მზად არის თავისი სინდისი უწილადოს ჭაობის ბინადარს: „რადგან არა გაქვს, ვიქნებოდი შენი სინდისი, ძარღვგამწყდარ შუბლზე სულ ცოტ-ცოტას შემოგაფრქვევდი“ (კოშკებს ვაშენებ).

საბედნიეროდ, იშვიათად მაინც გვხვდება სინდისის ერთგული ადამიანი: „შენში ღრმად არის სინდისის კრედო, ჰამლეტის მსგავსი კიდევ გვყოლია“ (ჰამლეტის მსგავსი – შალვა ილურიძეს)

პოეტი „დარდის მანდილთან“, „რწმენის მანდილთან“ ერთად, „ნამუსის მანდილითაც“ დაიარება და ამაშია მისი სულის ძალა: „... ჩემი წუხილი? ეს ომებია, მძიძგნის და ვით ყურძენს მწურავს. მაინც მე მტერი ვერ მომრევია, ნამუსის მანდილი მხურავს“ (ჩემი იმედი).

ქრისტიანული მრწამსით ნასაზრდოები მორალი იკითხება პოეტი ქალის მთელ შემოქმედებასა და ცხოვრებაში: „შემიძლია მე მოყვასის სიყვარული, თუნდ ვიარო ეკალ-ბარდის გზებით“, „სიკეთის თასი უნდა დავცალო“, „ვთესო კარგი, დავისახე მიზნად“...

ქარის ძალმომრეობას, ეკლის ტოტის გამოჩენას, ცივი ზამთრის მუქარას, წარღვნის მოლოდინს უპირისპირდება ბეწვის ხიდზე გამყვანი სიკეთე, სითბო, რწმენა: „ქარი გზავნის ისევ დარდის უსტარს... ლიკლიკს იწყებს ეკლის ტოტი სადღაც... ოფლს შევუშრობ მე მშვიდობის მუსტანგს, თორემ

კარზე მოგვდგომია წარღვნა. ვუწყალობებ ჩემს ერთგულთ და მლოცველთ, ვიცი, შევძლებ ბეწვის ხიდზე გავლას, წავის ქურქი ყველას უნდა მოგცეთ, ველოდები ცივი ზამთრის წასვლას" (ქარი).

სხვაგან „ფოლადის ხიდია" უფსკრულზე გადებული.

სიმართლის გამრუდებით ცნობილ ბოროტეულთ აფრთხილებს პოეტი, რომ ჯოჯოხეთს იმზადებენ თავიანთი ცოდვებით, უფლის განკითხვას ვერ გაექცევიან, ახალი წარღვნისას ნოეს კიდობანში მოხვედრის გარანტიას კარგავენ.

წმინდა მოციქული გვაფრთხილებს: „ცოდვის საზღაური სიკვდილია, ხოლო ღვთის მადლი-მარადიული სიცოცხლე ჩვენს უფალში, ქრისტე იესოში" (პავლე მოციქული, რომაელთა მიმართ, 7,23).

„ყოველი ჩვენგანი საკუთარი თავისთვის ანგარიშს ჩააბარებს ღმერთს" (რომაელთა მიმართ, 14, 12).

დავით წინასწარმეტყველი ევედრებოდა ღმერთს: „გამომცადე უფალო და შემამოწმე" (ფს. 25,2), „უფალო, გამომცადე და შემიცანი" (ფს. 138, 1).

საღვთო სიბრძნესთან, საღვთო სიყვარულთან წილნაყარი, რწმენით გაბრძნობილი სული თვითშეცნობას, სამყაროს შეცნობას ესწრაფვის: „... შევიცნო ჩემი თავი, ჩემი მოყვასი, მე უფლის ჯილდო გამოვიცანი, გულმა გული ცნო, გენმა კი გენი, მიხარია, რომ რაც ხარ, გაგიცან, რამდენიმე ამოვხსენი განტოლება, შემოვიხედე შენს სულის სკაში, შენს სულის სიღრმეს მინდა რომ მივწვდე, ნაზად ჩავუშვი სულში ანკესი, გულო, შეამოწმე შენი კიდეები, გულუბრყვილობის ავკეცე კიბე".

სიმართლეში, სულის სიწმინდეში დარწმუნებული პოეტი უზენაესის გადასახედიდან სჯის თავის გზებს: „გული წმინდაა, როგორც ბიბლია".

ამიტომაც არ უშინდება მთავარი მსაჯულის განაჩენს და გაბედულად აცხადებს: „შემისწავლე, როგორც წმინდა ბიბლია“ (არ გაბედო).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ცხოვრება არის გამოცდა: სიკეთის, სიწმინდის, ერთგულების, გაძლების, რწმენის, სიყვარულის...

„საკუთარი თავი გამოსცადეთ, თუ ხართ რწმენაში. საკუთარი თავი გამოარკვიეთ. ნუთუ არ იცნობთ საკუთარ თავს, რომ თქვენშია იესო ქრისტე? თუ არა და, მაშ, გამოცდას ვერ უძლებთ“ (პავლე მოციქული, II კორინთელთა, 13,15).

„ღვთისგან გამოვიცადეთ, ღმერთი სცდის ჩვენს გულს“, გვაუწყებს წმინდა მამა (პავლე მოციქული, I თესალონიკელთა, 2, 4).

„გულის ვულკანს“, „გრძნობის ფიალას“, „სიყვარულის ღადარს“ აწონასწორებს გონების ძალა, აკი ამბობს: „პოეტი ვარ და შევუდექი გონების მართვას“...

გულნაზ ხარაიშვილი თამამად უსწორებს თვალს უფსკრულის სიღრმეს, ზეცის სიმაღლეს, მიღმური სამყაროს საიდუმლოებებს...

„სულიწმინდის ნიავს“ მიჰყვება, „იმედების, რწმენის ფუთებით“ დაიარება ფაქიზი სულის პოეტი: „გულში დაჭრილებს ვამხნევებდი თბილი სიტყვებით, მათ შევუკერე იმედების, რწმენის ფუთები, ახლაც ლექსების, სულიწმინდის ნიავს მივყვები, რადგან სული მაქვს ფაქიზი და ნასათუთები“.

თავისი სიკეთით ფანტავს ნისლს, საკუთარი სულის შუქს უწილადებს ბნელის შვილებს: „... „სიკეთე ვარ... ძოწისფერით ნისლებს ვსერავ, ვცდილობ, შუქი დაგიბრუნო, მზის შუქს გაჩვევ“ (ველარ მამჩნევ).

თანამეინახეთ გულში დარგული ვაზის ნაყოფის განაწილებას, ძმრით კი არა, მაჭრით დარწყულებას ჰპირდება (გულში ვაზი დავრგე).

ცოდვა-მადლის გამრჩევი, მადლის წყაროს ეწაფება: „მადლს უხვად ვთესავ, არ მომკივის სხვისი ცოდვები".

მისი სახიდან ანათებს შრომით შეძენილი ღარები, „სიკეთის სხივი", „სინდისის ძარღვი", ფრთას ასხამს, მთვარეს აახლებს სიწმინდე (ველარ მამჩნევ).

სიკეთის მთესველი, კეთილი ანგელოზისთვის მლოცველია: „ღმერთო, კეთილი ანგელოზი მაახლე მგზავრად... მტერს მივუტევე... სიახლოვეს არა მჭირდება" (ღმერთო).

ანგელოზიც არ აყოვნებს გამოცხადებას: „აქ ანგელოზი მოფრინდა ჩემთან, კეთილი გრძნობა გამიზიარა. მით მოვიწიე იმედის ტარო" (მეგობრის თვალში).

„შარიანი ქარი" ამაოდ ცდილობს „კეთილი და მადლიანი გულის" პატრონი სწორ გზას ააცდინოს (შენ).

პოეტის გზამკვლევია წმინდა წერილის სიბრძნე: „თუ შენი მტერი მშიერია, დააპურე იგი, თუ სწყურია, დაალევინე, ვინაიდან ამის გაკეთებით ნაკვერჩხლებს აგროვებ მის თავზე.

„არ დაგძლიოს ბოროტმა, არამედ სძლიე ბოროტს კეთილით" (პავლე მოციქული, რომაელთა, 13, 20,21).

გულნაზ ხარაიშვილი თავის ვალად მიიჩნევს, ეს გამოცდა სხვებსაც ჩააბარებინოს უშეცდომოდ: „შეგეშველები მყარ, ძლიერ კიბედ, რადგან ცხოვრება არის გამოცდა".

თავმდაბალი, მადლიანი პოეტი „გულს გადაუშლის ბეჩავს და ჯაბანს", ქრისტესავით ყოველ უპოვარს უნაწილებს თავის სითბოს, მათშიც სიკეთის მარცვლებს აღვივებს (ვიცი).

„მზის ათინათის" ავტორს ასე გაუთავისებია მარადიული სიბრძნე: „თუ გინდა სულშიაც დაგტორონ, ბოროტი კეთილად აქციე" (მითხრა).

ყურადღებას იქცევს ასეთი განაცხადი: „არ ვემსგავსები ავი საქმით მხიარულ ავსულს" (ვცადე), „გავეცალე აბლაბუდებს", ამბობს პოეტი.

გვახსენდება ბიბლიური წინასაწრმეტყველი: „მოვიძულე კრებული უკეთურთა და უღმრთოთა თანა მე არა დავჯდე“ (ფსალმუნი, 169,5).

პოეტის „ფიქრის ფესვებს“ ასაზრდოებს სუფთა წყარო (წყარო – საღმრთო სახელია), მამულის სევდა, ამაღლებული იდეალებია მისი მზრდელი:

„გულო, დამშვიდდი, დარდთა დღეთა გამონახადო,
ხომ გეფერება ლურჯი წყაროს სუფთა შხეფები,
მეც შევეცდები, დარდიანი აღარ გაგხადო,
გარდავცვლებით, რომ გაგვიხმეს ფიქრის ფესვები“.

მილიონთა გულისთქმას უერთებს პოეტი თავის აზრს: „ეს იცოდე, პური არა, შენი სიყვარული მშია“, „გრძნობის გარეშე სიცოცხლეა ერთი კაპიკი“.

ხალხური გენიის სალაროდან ამოკრებილი სიბრძნე გვეცნაურება შემდეგ ლექსში: „თესო სიკეთე, ამას აქვს ფასი, ამაზე კარგი არაფერია, ყველა სხვა რამეს ედება ხავსი, ო, ასეთები განა ბევრია?“ (მეგობრის თვალში).

ამა ქვეყნის ძლიერთა, ვერცხლის, ოქროს, ნივთის მონების მიერ უპოვართა მიმართ გამოჩენილი გულგრილობა აძრწუნებს და ღმერთის განკითხვის შეხსენებით ცდილობს მათ მობრუნებას მოწყალებისკენ: „ხელგამოწვდილთან უკანასკნელი თეთრი გაიღე... მცირე ნაღველი შინაც წაიღე და კიდობანში შეგიშვებს ნოე“ (ხელგამოწვდილი).

სულწაბილწულთა გასაგონად აცხადებს: „არა მსურს მღვრიე დავლიო წყალი, ან სხვის წყაროში ჩავკლა წყურვილი“.

გვახსენდება წმინდა წერილი: „სვი წყალი შენი აუზიდან, და ანკარა ჭიდან“ (იგავნი სოლომონისა, თ. 5, 15).

გულნაზ ხარაიშვილის იდეალია სარწმუნოების, სულიწმინდის მადლით გაბრძნობილი ხელოვანი, რომელიც თავისი ნიჭით აპურებს ხალხს: „გინდა სითბოთი გამოალღო სულის

ხმელეთი. გინდა სიკეთის მთად გადიქცე, სიტყვით იხუმრო, გინდა განათდეს, ამზიანდეს სხივით ბნელეთი... სარწმუნოების, სულიწმინდის ვხედავ, მონა ხარ. ოქროს მონეტა გეჯავრება, არ გიყვარს ვერცხლი, დიდ გრძნობაში კი... შენმა სულმა შვება მონახა" (ამირან შალიკაშვილს).

პოეტი საგულდაგულოდ ეძებს სიკეთის, თანაგრძნობის, გულმოწყალების მაგალითებს და თავის მხატვრულ სიტყვაში აუკვდავებს.

„სევდის თავქალი" შეუძრავს ცნობილი დიდი მხატვრისა და მწერლის, ტიტანური ნაშრომის – „ცრემლში ნალესი ხმალის" ავტორის – ნიკო ხერკელაძის ცხოვრების ერთ ეპიზოდს: ნადირობისას ამ დიდბუნებოვან ადამიანს სხვა მონადირისგან დაჭრილი დათვის ბელი შემოფეთებია. როცა მის სისხლიან თათებს შეხებია, ისეთ სიბრალულს შეუპყრია უმწეო ცხოველის მიმართ, რომ სახლში წამოუყვანია. მცდელობა-ყურადღება არ დაუკლია, რომ გადაერჩინა თავისიანებს მოწყვეტილი ობოლი ნადირის ნაშიერი, მაგრამ ბელი მომკვდარა. ბატონ ნიკოს სულში ამ შემთხვევას ისეთი კვალი დაუტოვებია, რომ ბელის ფიტული დაუმუშავებია და სასტუმრო ოთახში განსაკუთრებული ადგილი მიუჩენია. იარაღი იქვე ჩამოუკიდებია გულდაწყვეტილ შემოქმედს და იმ დღიდან ნადირობა აუკრძალავს (მინიატურა „სასტუმრო ოთახში").

გულნაზ ხარაიშვილის ლექსიკონში ყველაზე ხშირად იხსენება სული, გული, გრძნობა, გონება და აშკარაა, ეს ორი უმთავრესი საწყისია მისი შემოქმედებითი ორიენტირი.

„სულის" ხსენების 150 მაგალითი მარტო ერთ კრებულში – „მზის მკლავებში" შეგვხვდა.

მისი შემოქმედების უარყოფითი პერსონაჟები პავლე მოციქულს რომ დავესესხოთ, „ხორცში მთესველები" არიან და

„ხორცისგან იმკიან ხრწნილებას“, ხოლო „სულში მთესველები“ – მარადიულ სიცოცხლეს ეზიარებიან.

მაღალი სულიერებით, რელიგიურობით, რწმენით დამუხტული გულნაზ ხარაიშვილის სიტყვა ღირსეულად ემსახურება „სულის ზრდის“ კეთილშობილურ მიზანს, უცდომელი ინტუიციით გამოირჩევა.

შეგონებები გულნაზ ხარაიშვილის ზნეობის ერთ-ერთი მახასიათებელია.

მას არ მოსწონს გამკილავი, სხვათა დამამცირებელი ადამიანები, ქარაფშუტუები, სხვათათვის ტალახის სასროლად მზადმყოფნი, ადვილად სამართავი უნებისყოფონი: „იყავი კაცი, თუ კაცო გქვია და ნუ გახდები სხვისი სამართი, ნურც დაუჯერებ საყვარელ იას, ასასვლელი გაქვს დიდი აღმართი“.

მოკვდავნი თავიანთი საქმისამებრ განისჯებიან მესისგან, მაშინ განიძარცვებიან ჭინჭებისაგან, ნიღბებისგან, „ნაზამთრალ ხესავით“ რჩებიან შიშველნი (გირჩევ).

პოეტი მარტო აშენებს სულის კოშკებს, მარტო აივლის მწვერვალებს, მას არ სცალია უაზრო ომებისათვის (რატომ გეგონა).

ნასეტყვი გულის, დაღლილი შემოქმედი ცაში, ცის იქით ეძებს სიწმინდეს, იდეალს, „სიმშვიდის ბაღს“, სანუკვარ სავანეს („სიმშვიდის ბაღი“).

ცაში ეძებს „რჩეულს“ - ღმერთს, ოცნებობს საღვთო ქორწილზე, იდუმალს ეზიარება, სფეროების მუსიკა ესმის („ცაში“).

„სიბრძნის მდინარეს“ ეწაფება, „ცის იქით“ იმზირება პოეტს სწამს, რომ წმინდა სულები კოსმიურში აღწევენ, ცისარტყელებად, ვარსკვლავებად ანათებენ („უსასრულობაში“).

„მიღმიერსაც მივწვდი ფიქრით“

გულნაზ ხარაიშვილმა სიკვდილის თემას ორი პოემა და ერთი მოთხრობა უძღვნა.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ სიკვდილი ყველაზე უფრო იდუმალი, ამოუცნობი, თავზარდამცემი, მარადიული პრობლემაა და ამ საიდუმლოებებით სავსე მოვლენის ამოცნობა უდიდეს სირთულეს წარმოადგენს, მიღმურ სამყაროში ჭვრეტის განსაკუთრებულ უნარს მოითხოვს.

ცნობილი პოეტი ამბობს: „და რა კაცია, ვისაც წამით სიკვდილისათვის სიცოცხლეშივე ერთხელაც არ მოუკრავს თვალი“ (ვაჟა ეგრისელი).

სიკვდილის პრობლემის გაანალიზებას მიეძღვნა ეგვიპტური და ტიბეტური მკვდართა წიგნები, ამ მოვლენის სტადიების გაცნობიერებას ეხება „მზადება სიკვდილისათვის“, „გარდაცვალების ხელოვნება“, „ცხოვრება გარდაცვალების შემდეგ (რუსულ ენაზე, მოსკოვი, 1990 წ.).

ამ საკითხით დაინტერესებული მეცნიერები ირწმუნებიან, რომ სააქაოსა და საიქიოს შორის ჩინური კედელი არ არსებობს, პირიქით, მუდმივი კონტაქტია და ეს „კომუნიკაცია“ რეალურია, ამიტომაც სიკვდილის საიდუმლოების გაცნობიერების საშუალებას იძლევა კლინიკური სიკვდილის გადამტანთა ნაამბობის შესწავლა და გაანალიზება.

„ცოცხალი მკვდრებთან ვსაუბრობ“, „სიყვრმითგან საიქიოსთან დამკვებებია კავშირი,“ აცხადებდა ვაჟა-ფშაველა.

აღნიშნავენ, რომ მიცვალებულები აფრთხილებენ ცოცხლებს, მიანიშნებენ მოსალოდნელ მოვლენებზე, გვეხმარებიან სიზმრებით, ხილვებით მომავლის განჭვრეტაში.

ცნობილია, რომ დანტეს გარდაცვალების შემდეგ ვერ იპოვეს „ღვთაებრივი კომედიის“ მეცამეტე თავი, რაც თავსატეხი გახდა. რვა თვის შემდეგ შვილს გამოეცხადა მამის აჩ-

რდილი და მიასწავლა, სად ინახებოდა ხელნაწერი. მართლაც მიკვლეულ იქნა პოემის მეცამეტე თავი.

საყოველთაოდ ცნობილია, როგორ გამოეცხადა ჰამლეტს სიზმარში მამის აჩრდილი, რომელმაც სასახლეში დატრიალებული თავზარდამცემი საიდუმლო ამცნო.

სიტყვის მეუფენი ერთდროულად ხედავენ მიწას და ცას, ეფემერულს და მარადიულს, ხილულს და უხილავს, ამქვეყნიურს და მიღმურს.

„არ ვარ მეხოტბე მარტოოდენ სიცოცხლის გრძნობის, სიკვდილის გრძნობაც შემიქია, მიდიდებია“, აცხადებდა უოტ უიტმენი.

„და მეძახიან მშვიდ სამეფოში სიზმრები, მთები და წინაპრები“, წერდა გალაკტიონი.

„თითქოს მეძახის საიქიოდან მამა სამსონი, დედა ივლიტა“, გვიმხელდა ტერენტი გრანელი.

„მწამს, რომ არსებობს სულთა კავშირი მარადიული და დიდებული“ – ეხმიანებოდა დიდ წინამორბედებს ანა კალანდაძე.

ცოცხლების გვერდით ყოველთვის ღირსეულ წინაპრებს მოიაზრებდა გრიგოლ რობაქიძე.

„კიდევ კარგი რომ ჩემთვის, ირაკლი, გარდაცვლილები არ არსებობენ“ – ასეთი იყო შვილმკვდარი მერაბ კოსტავას რწმენა.

გულნაზ ხარაიშვილის პერსონაჟები გამუდმებით ემზადებიან მიღმურ სამყაროში გასამგზავრებლად, სწამთ სულის უკვდავება, ორი სამყაროს კავშირი.

პოეტს თითქოს ზეციდან მომადლებია სულის იდუმალი კრიპტოგრამის ამოკითხვა.

ამ ასპექტით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი პოემები: „მდუღარე ცრემლი“, „მკვლელობა საკუთარ სახლში“.

ყველა რელიგია იზიარებს შეხედულებას, რომ ადამიანის გარდაცვალებისას კვდება ფიზიკური სხეული, მაგრამ ასტრალური და მენტალური სხეული ცოცხლობს და აკისრია განსაკუთრებული მისია.

მიღმური სამყარო მრავალ პოეტს განუჭვრეტია სულის თვალით (დანტე, გოეთე, სასულიერო პოეზია, ვაჟა ფშაველა, ფეტი, სოლოვიოვი, ბლოკი, გალაკტიონი, ტერენტი გრანელი, ვაჟა ეგრისელი).

გულნაზ ხარაიშვილი უცდომელი ინტუიციით აშუქებს ამ თემას.

პოემაში „მდუღარე ცრემლი“ აღწერილია აფხაზეთელი ქართველი ჭაბუკის – ბათუ ხარებავას ნაადრევი სიკვდილი ომის პერიოდში.

ნაწარმოების ღირსებად მიგვაჩნია, პიროვნული ტრაგედიის პარალელურად, ომის ცეცხლში გახვეული აფხაზეთის ჩვენება, დაფიქსირებულია სისხლის, ცრემლის ტბა, სულისშემძვრელია უცხოთა სიძულვილით სავსე ხმის მოსმენა, უცხოთა მიერ დანთებული გამანადგურებელი ცეცხლის აალება.

სოხუმში პალმის ადგილზე ბაბუაწვერა ამოსულა, გაუჩინარებულან თოლიები, ჭოტების და ბუს კივილი ავისმომასწავლებლად ეწვეთება სმენას, ყინავს სულში.

ვარსკვლავების მოწყვეტა მიგვანიშნებს ედემისმაგვარი მხარისთვის თავსდატეხილ უბედურებაზე.

აჩრდილისა და ტოროლას სახით ცხადდება ქართველი მიცვალებული და იმართება უხმო დიალოგი პოემის ავტორსა და ბათუ ხარებავას შორის. სულის „მეტყველებას“ აღწერდნენ დანტე („ღვთაებრივი კომედია“), გოეთე („ფაუსტი“), გალაკტიონი.

პოემის პერსონაჟის გამოცხადება მიღმური საუფლოდან პოეტის კალმის სასწაულთმოქმედებამ გამოიწვია. ავტორი მედიუმია ბათუასა და მის მშობლებს შორის.

ყველა რელიგიაში არსებობს ღვთაებრივი სასამართლოს იდეა, რომლის მიხედვითაც მიცვალებულის ცოდვები სასწორზე იწონება და ცოდვილი ჯოჯოხეთში, წმინდანი კი სამოთხეში მკვიდრდება, რათა თავის მარადიულ სავანეს, ზეცად დაუბრუნდეს.

სიწმინდემ და სიკეთემ ბათუ ანგელოზთა დასში დაამკვიდრა. მას ზეციური სულები ერის ტკივილს და ისტორიას აწერინებენ.

შემთხვევითი როდია ბათუს დანაბარები მშობლებთან, რომ ცრემლის, დარდის ნაცვლად, ილოცონ სამშობლოზე და მართალი ცხოვრებით თვითონაც სასუფეველს დაიმკვიდრებენ.

გულნაზ ხარაიშვილს აინტერესებს არა მხოლოდ ბუნებრივი სიკვდილით, ან ავადმყოფობით ჩვენგან წასულთა სატკივარი, იგი არაკაცთა, ბოროტთა მიერ ხელყოფილ ადამიანთა სულშიც იხედება და ქართული ზნეობის მიხედვით, ტრადიციული ჰუმანური მორალური გადასახედიდან განსჯის დანაშაულისა და სასჯელის პრობლემას.

ამჯერად, საკუთარ სახლში სადისტურად მოკლული ქართველი ვაჟკაცის – მერაბის ტრაგედიაა პოემის ცენტრში („მკვლელობა საკუთარ სახლში"). მაგრამ არც ეს პოემაა ერთთემიანი. მასში ჩვენი დროის სატკივარიც იჩენს თავს.

რუსთავში ინტენსიურია მშენებლობის პროცესი, მაგრამ უცხო ინვესტირების ხელშია ჩვენი სიმდიდრე, დაუსაქმებელია ქართველობა, ჩვენი ხალხი იძულებულია უცხოეთში მონობის ფასად იშოვოს ლუკმა-პური, გაყოფილია ოჯახები, ახალგაზრდობა საკუთარ ბუდეს ტოვებს და უცხოელთან ქმნის ოჯახებს, თუმცა საკითხავია, არის თუ არა ეს გადარჩენა, როცა გაუცხოებულია სამშობლო, ეროვნული სული, როცა იქმნება „ქართული სისხლის აჯაფსანდალი".

პოემის ავტორის სიზმრებში, ხილვებშია გაცხადებული მთავარი სათქმელი. მთავარი პერსონაჟის, მოკლული მერაბის მოვლინება ხდება სიზმარში.

ცნობილია სიზმრის სახეები: განცდილის ამსახველი, კომპენსირებული, წინასწარმეტყველური, მომავლის მაუწყებელი, ახალ საქმეებზე პროგრამირებული სიზმარი, სიზმრის კავშირი სინამდვილესთან (ფროიდი, იუნგი, დ. უზნაძე, რ. ნათაძე).

სიზმარში უკაცრიელ ადგილზე აღმოჩენილ ავტორს ჭექა-ქუხილის, მეხის მუქარა აძრწუნებს. გამოდარების შემდეგ კი ფრინველებს არწივი აუწყებს სამწუხარო ამბავს და ისინი ორ ვაჟკაცს – ბათუს და მერაბს გლოვობენ. ამ ეპიზოდს საფუძველად უდევს საინფორმაციო ველის არსებობის რწმენა, რომლის მიხედვითაც, ამ ველში ფიქსირდება წარსულის, აწმყოსა და მომავლის მოვლენები, ხოლო იქ გასვლა მხოლოდ ნათელმხილველთ, ნათელმსმენთ ხელეწიფებათ. ამასთან, ფრინველები, საერთოდ მრავალი სულიერი, მათ შორის ორგანული სამყარო, ამ ინფორმაციის მატარებელი და გადამცემია (ავისმომასწავებლად ითვლება ჩიტის გაუთავებელი ჭიკჭიკი, ძაღლის ყმუილი, ჭოტის კივილი).

ავტორს ნაადრევად გარდაცვლილი ძმის – პოეტ ბეჟან ხარაიშვილის ლანდიც ევლინება და ავალებს, დაწეროს პოემა. თან აუწყებს, რომ მერაბი სამოთხეშია, ბათუ ანგელოზთა დასს ხელმძღვანელობს...

გაუგებარ, აუხსნელ სიტუაციაში საკუთარ სახლში მოკლული მერაბის მოულოდნელ ტრაგედიას შეესატყვისება მისი სიტყვები: „იას ვთესავდი, ამოვიდა ეკალი დიდი“.

მისი სული ზეცაშია, რაც იმის დასტურია, რომ ღვთის სამართალი არასოდეს მრუდდება.

მერაბის სული შვილს ჩააგონებს, იყოს კეთილი, სხვათა შემბრალე, მათხოვრის გამკითხავი, მშრომელი, ეროვნული

ტრადიციების დამცველი, მამა-პაპათა მიწა-წყლის ერთგული, სიყვარულის მთესველი: „ზვინივით დადგით სიყვარულის დიდი კოშკები".

მოკლულის სული მარადიული მცველი იქნება ოჯახის, ქვეყნის: „ხან ღამე მოვალ, თქვენთან ფრთხილად მოსაფერებლად, ლოყაზე ამბორს დაგიტოვებთ ნატრულთ ბაგესი, ერთი შეხედვით, ცისარტყელას ბედის ვყოფილვარ, ამიტომ უცებ მოვედი და ცაში წავედი. დედა, მე ახლა ვარსკვლავებთან გავიფრთამალე, ამოფოფინდეს ჩემი ჯიშის ნორჩი ფესვები".

მტერთან დამოკიდებულება ყველა დროის, ყველა ქვეყნის აქტუალურ პრობლემათა რიგს განეკუთვნება.

ქართველ კაცს ამ მოვლენასთან ყოველთვის გამორჩეული მიმართება ჰქონდა, რასაც სახარებისეული სიბრძნე ასაზრდოებდა: „გიყვარდეთ თქვენი მტრები და სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს" (ლუკა, 6,27).

ქართულმა ხალხურმა გენიამ მტრისადმი თანალმობის საკაცობრიო ნიმუში მოგვცა „ვეფხვისა და მოყმის" ლექსის სახით, სადაც მოკლული შვილის დედა უმძიმესი მწუხარების მომენტშიც არ ივიწყებს თავის ნაშიერთან ბრძოლაში დაღუპული მოყმის დედის ტკივილებს და მზადაა, მასთან სამძიმრის სათქმელად მივიდეს: „იქნება ვეფხვის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა, წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა ჭირისა".

გულნაზ ხარაიშვილი ამბობს: „ვეფხვისა და მოყმის ლექსი მე თან დამსდევს ძმასავით", „ვცდილობ და ვიბრძვი მტერსაც არ ვძულდე"... დიდი, განუმეორებელი სიკეთისა და მიმტევებლობის ფონზე შუქდება გულნაზ ხარაიშვილის პოემაში მტერთან, მკვლელთან, ჯალათთან დამოკიდებულების იდეა. ავტორი მოკლულის სიტყვებით ცდილობს გამართლება არა, მაგრამ ახსნა მოუძებნოს ამ გაუგონარ ტრაგედიას

და ფიქრობს, რომ ან შეშლილობის, ან არასწორი ინფორმაციის, ბოროტი ენის წაქეზებით შეეძლო მკვლელს ასეთი ულმობელი ნაბიჯის გადადგმა.

მერაბის სული ოჯახს ურჩევს, რომ შურისძიებაზე არც იფიქრონ. ბიბლიის მიხედვით, შურისძიება მხოლოდ და მხოლოდ ღმერთის პრეროგატივაა.

ხალხური ლექსის მოყმის დედასავით მოითხოვს მოკლული, რომ მკვლელის დედას არ გააგონონ შვილის აუგი, რადგან წარმოუდგენლად მიაჩნია დედისგან იყოს ინსპირირებული ასეთი სისასტიკე.

ნუგეში ის არის, რომ მართალი მერაბი ზეცაშია, მკვლელი – ჯოჯოხეთში.

პოემაში ისევ ხიდი იდება ორ სამყაროს შორის, მერაბის აჩრდილი მარადიულად მოევლინება თავის ფუძეს: „ბევრჯერ მიხილავთ სიზმრის სახით ოთახში მავალს, იგრძნობთ ჩემეულ სითბოსა და გასძახეთ ექოს. რიგში ვდგავარ და კვლავ მოვყვები ქორწილის მაყარს, ოკეანესაც გამოვცურავ, თუ ძალა მეყო“.

მიცვალებულის შეგონება დიდი სიკეთის მუხტის მატარებელია: „გულში აინთეთ კვლავ სიკეთის დიდი სანთელი, ალმასისფერი ჩანჩქერებით იმედი მორთეთ. გაანაწილეთ სიყვარულის ქარვის მძივები. სევდას დავმალავ და ზეციდან მოგეფერებით“.

გულნაზ ხარაიშვილის პოეზიის მიხედვით, მიცვალებულის სული მიღმური სამყაროდან ევლინება და იფარავს ახლობლებს.

აჩრდილთა მოვლინებას თავისი მიზეზი და მიზანი აქვს.

მსოფლიოში ცნობილ დიდ მოგზაურს – ბატონ ჯუმბერ ლეჟავას ძვირფასი მეუღლის სული სდევდა ფათერაკიან გზებზე და მისი ტკივილის მოზიარე ხდებოდა.

ცხადსა და სიზმარში მრავალგზის მოვლენილი გარდაცვლილი დედის ლანდი თავის დამოკიდებულებას გამოხატავს შვილის ქცევებისადმი. გიორგი ლეონიძესავით სჯერა პოეტს, რომ დედის ცრემლები იას აღმოაცენებს: „ჩემო დედიკო, შენი ცრემლებით, ვიცი, მიწიდან იად ამოხვალ“.

იმდენად ორგანულია პოეტისათვის ორი სამყაროს მიმართების თემა, რომ ვერც პროზაში აღწევს მისგან თავს. მას მუდმივად ხედავენ ღირსეულთა აჩრდილები და მათი საშუალებით გვიმხელს თავის მორალურ კრედოს.

ცრემლიანი სტრიქონებით საუბრობს გულნაზ ხარაიშვილი ცნობილი მსახიობის, ნამდვილი ქართველი დედის – ლარისა ხაჭაპურიძის შვილის – დავით გამყრელიძის შესახებ, რომელიც 2008 წლის აგვისტოს დაიღუპა სამაჩაბლოში გაჩაღებული ომის ხანძრის კვალდაკვალ მიმავალი.

არსებითი, ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ მრავლისმეტყველი დეტალებით ცდილობს ავტორი ამ უნიჭიერესი ქართველი ახალგაზრდის მაღალი ზნეობის წარმოჩენას.

იგი ძალზე კეთილი და გულმოწყალეა, მამის ახალი ტანსაცმელი მათხოვარს მისცა დაუნანებლად.

ზაფხულის არდადეგებზე მშობლიურ რაჭაში ჩადის, წინაპრების საფლავებს წმენდს, მათ ხსოვნას ერთგულ დარაჯად უდგას, ერთ ოთახში მოწიწებით უკიდია მიცვალებულთა სურათები, მეგობრები ეხვეწებიან, გვეშინია და ჩამოიღეო.

დათო პასუხობს: „ცოცხლების უნდა გეშინოდეთ, რადგან არ იცით, ისინი რას მოიმოქმედებენ. ეს სურათები კი იმ ადამიანების არის, რომლებმაც ამ ოჯახისთივს სიკეთეები აკეთეს და მე რა უფლება მაქვს, ეს დავივიწყოო“.

წინაპრების საფლავებისადმი, ზოგადად საფლავისადმი დამოკიდებულებაში არა მარტო ერის ფსიქოლოგია ვლინდება, საფლავის საშუალებით, დამარხვის წესის გარკვევით

დგინდება ამა თუ იმ ხალხის საცხოვრისი, საფლავი საბუთია, დადასტურებაა იმისა, სად და როგორ უცხოვრია ამა თუ იმ ეთნოსს. საფლავი პოლიტიკური დავის საგნადაც იქცევა ხოლმე.

საბერძნეთის მეფე მინოსის ვერაგი პოლიტიკური ჩანაფიქრის მიხედვით, ბოგანო ფრიქსე უფლისწულის იმიჯით უნდა მოვლენოდა აიეტის კოლხეთს, აქ უნდა ეცხოვრა, აიეტის შვილზე დაქორწინებულიყო, აქ უნდა მომკვდარიყო, აქაურ მიწაში უნდა დამარხულიყო, რათა მის საფლავს მერე იაზონის, არგონავტების ლაშქრობა მოჰყოლოდა და ჩვენი მიწის ანექსია მოეხდინა (ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“). აქ წინაპარი თანამემამულის საფლავი საბაბია ჩვენს ქვეყანაში ლაშქრობისათვის.

რევაზ მიშველაძის ნოველებში ქართველთა საფლავებზე უცხოთა დასაფლავება ხდება, რათა ეს ფაქტი ამ მიწებზე პრეტენზიების საფუძვლად იქცეს.

გულნაზ ხარაიშვილის პოემაში მართალი ჭაბუკის სული ზეცაში წავიდა. მისი აჩრდილი ხშირად ევლინება შვილმონატრებულ დედას და ანუგეშებს: „ქვეყნად ბოროტები მოგროვდნენ. მათ სიკეთეზე ვუქადაგებ, რადგან საშიშროებაა, ცა და დედამიწა არ წაიჩხუბონ, მაშინ ხომ კაცობრიობა ამოწყდება“.

„ჩემი სამშობლოს, ჩემი ძმებისთვის ზეციდან უნდა ვილოცო“.

როცა გულნაზ ხარაიშვილის ასეთ ნაწარმოებებზე ვფიქრობ, მაგონდება ბერდაიევის ცნობილი სიტყვები: „ერი არის მისტიური ორგანიზმი. მისტიური პიროვნება, ნოუმენი ისტორიული პროცესებისა. ერი არ არის მხოლოდ ცოცხალთა თაობა, არ არის თაობათა ჯამი. იგი არის რაღაც დასაბამიერი ისტორიული პროცესის მარადცოცხალი სუბიექტი. მასში არანაკლებად ცოცხლობენ და მყოფობენ წარსული თაობე-

ბი, ვიდრე თანამედროვენი" (ნიკოლოზ ბერდიაევი, ერი და კაცობრიობა, თბ. 1993, თარგმანი ზ. კიკნაძის, გვ. 8,15).

„... ერის ნებაში მონაწილეობენ არა მხოლოდ ცოცხალნი, არამედ გარდაცვლილნიც, მონაწილეობს დიდი წარსული და ჯერ გამოუცნობი მომავალი. ერში შედიან არა მხოლოდ ადამიანთა თაობები, არამედ ტაძართა, სასახლეთა და კარ-მიდამოთა ქვებიც, საფლავის ლოდები, ძველი ხელნაწერები და წიგნები. და იმისათვის, რომ მივწვდეთ ერის ნებას, უნდა ვუსმინოთ ამ ქვებს, წავიკითხოთ გაცრეცილი ფურცლები" (იქვე, გვ. 29).

მერაბ კოსტავა მიმართავდა ნაადრევად, ტრაგიკულად დაღუპულ შვილს: „კიდევ კარგი რომ ჩემთვის, ირაკლი, გარდაცვლილები არ არსებობენ".

გულნაზ ხარაიშვილმა შეძლო უცდომლად, ქართული სულით განეჭვრიტა მზეგადასულთა ქვეყანა და ამ გზითაც მიეწოდებინა მკითხველისთვის აქტუალური მორალური ჭეშმარიტებები...

გულნაზ ხარაიშვილი საგულდაგულოდ ეძებს უჩვეულო სიკეთის, მტერთან ბრძოლაში იარაღით გამოჩენილი გმირობისა და სულიერი რაინდობის მაგალითებს, ორი სამყაროს, ამქვეყნიური და მიღმური სფეროების შეხმიანების ფაქტებს და საგულდაგულოდ აუკვდავებს საუკუნეებისთვის მისაბაძ-საგულისხმო მოვლენებს.

ლექსს „გმირობას აღემატება, ბატონო რეზო, შენი საქციელი" საფუძვლად დაედო რეალურად მომხდარი ამბავი.

1993 წელს რუსეთ-საქართველოს ომში გმირულად დაიღუპა რევაზ მიშველაძის ერთადერთი შვილი – აჩიკო. ეს იყო დიდოსტატი მწერლის, მეცნიერის, კრიტიკოსისა და პუბლიცისტის, მრავალტანჯული .მამულიშვილის „გულის ახანჯვლა", გაუძლისი ორმაგი ტრაგედია. სიცოცხლემ აზრი და-

კარგა, ირგვლივ წკვარამი გამეფდა. მამის ცრემლის ნიაღვარი ედინებოდა საფიცარი ჭაბუკის კუბოს.

ამ დროს გაუგონარი ამბავი მოხდა. მწუხარებისგან გაოგნებულ მამას მეგობარი გამოეცხადა, რომელსაც მხედრიონელები სიკვდილით ემუქრებოდნენ, წუთებში შეიძლებოდა სისხლი დაღვრილიყო. ერთადერთი გამოსავალი არსებობდა: მხოლოდ ბატონ რეზოს ავტორიტეტს შეეძლო სასიკვდილოდ ალესილი ხმლის შეჩერება. ვიდრე შიშისგან დაბნეული მთხოვნელის სიტყვებს გაითავისებდა, ზეციურმა ხმამ ჩამოსძახა: ხალხის მშველელო, დროს ნუ კარგავ, ფრთამოტეხილი ხარ, მაგრამ გამაგრდი, ისევ მადლი დათესე, ამით ცის სავალ გზას გამიკაფავ, სასწორზეა მეგობრის ბედი და თუ მას გადაარჩენ, გმირს გიწოდებო. თავად უფალმა გამოგიგზავნა კაცი საშველად, „ნატყვიარ გულმაც უნდა შეძლოს სხვათა მიხედვა, ო, დაგელოცოს, დიდოსტატო, ოქროს მარჯვენა“, ჩაესმა ისევ და შვილის ხმა შეიცნო. მიხვდა, ცხოვრება ისევ გრძელდებოდა, რომ ისევ თავგანწირული მეომარი უნდა ყოფილიყო: „მეგობრისთვის თავგანწირვა მაჯისცემაა, ეს გმირობაა, დაამარცხო მართლაც სიკვდილი“.

ამ სიტყვებმა მწერლის გენეტიკური სიკეთე ქმედით ძალად აქცია, სძლია პირადულ მწუხარებას და განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანი გადაარჩინა.

პოეტმა ქალმა* შეუპირისპირა ერთმანეთს ორნაირი გმირობა, სულის უკვდავების რწმენამ შეაძლებინა მოესმინა მზეგადასულის ხმა, რომლის გმირული სული ოჯახში, დიდბუნებოვანი მშობლების მიერ იყო მარადიულობისთვის ნაძერწი.

„სიკვდილი მოვკალი მეუფეო, შენი წყალობით“ (მეუფე, თადეოზს, მირიან იორამაშვილს), ამბობს პოეტი, რადგან ირწუნა სულის მარადიულობა, სიკეთის ნერგის ნაყოფის ფასი.

პოეტის „სულის ძიძები“

გულნაზ ხარაიშვილის „სულის ძიძები“ არიან ბიბლიური წინასწარმეტყველები, ქართული და უცხოური კლასიკური მწერლობის ვარსკვლავები, ცნობილი ღვთისმეტყველები, ასევე, ხალხური შემოქმედების მოგვები. ხალხური ინტონაცია მკაფიოდ არის აღბეჭდილი პოეტის „სულის რელიეფზე“.

დავიმოწმებთ პოეტის გამონათქვამს სერგი ლომაძის შესანიშნავი წიგნიდან „გზა მწვერვალისკენ“: „ნიკოლოზ ბარათაშვილი, აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, გალაკტიონი, ტერენტი გრანელი უდიდესი ვარსკვლავები არიან მთელ სამყაროში, მაგრამ შოთა რუსთაველი თვითონ არის სამყარო“.

გულნაზ ხარაიშვილს გათავისებული აქვს „ვეფხისტყაოსნის“ იდეების სიღრმე. ერთგან ამბობს: „მე სიყვარულში თინათინიც ვერ შემედრება“.

ნადირ-მხეცთა და ურჩხულთა ხროვასთან იგი ისეთი უშიშარი მეომარია, როგორც ტარიელი.

ამხანაგობა-მეგობრობაში, სიკეთის თესვაში „მზის ათინათის“ ავტორი რუსთველის ავთანდილის სულიერი ორეულია.

გულნაზ ხარაიშვილს შემოქმედებითად გაუთავისებია ქართული პოეზიის აზრთა საჭეთმპყრობელების სიბრძნე, სახეობრივი აზროვნების თავისებურებები. აქ არა მიბაძვა, არამედ ჯანსაღი გავლენა, დიდი წინაპრების სულიერი იმპულსები იგულისხმება, რადგან ყოველი სიახლე წინამორბედთა ჯანსაღი ტრადიციებიდან არის თავისებურად ამოზრდილი.

„ყვავილი ხრამში“ ვაჟასებური ჰუმანიზმის გამოვლენით იქცევს ყურადღებას. ლექსის ავტორი თავის ვალად მიიჩნევს, ხრამის პირას ამოსული, ქარების ორომტრიალში მოქცეული და სიკვდილისთვის განწირული ყვავილი ფხვიერ მიწაში გადარგოს და გადაარჩინოს.

მისი „სევდიანი ხე“ ვაჟას „ხმელი წიფლის“ ბედშია ჩავარდნილი. გრიგალისგან გახლეჩილი, მტირალა, გვალვაში გახ-

მობისთვის განწირულ ხეს ლექსის ლირიკული პერსონაჟი წყალს აპკურებს, მოაცოცხლებს და „ვალმოხდილად" თვლის თავს: „... მოვედი და ტოტებს წყალი დავაპკურე, მოვაცოცხლე ხის ტოტები უცებ. თუ მოყვარედ დამიგულე შენ, წიფელო, ვალმოხდილი გავუყვები ქუჩებს".

იფქლის ღეროს ღვარძლისგან წმენდს, ქარის დროს თაველს უბეში შეიფარებს ხვალისთვის მზრუნველი პოეტი („ათინათი" წმინდა ნინოს მადლითაა შემოსილი), ვაჟას ჩარგალში მიაყურადებს „სულდგმულ მთებს", ესმის ამ კავკასიონზე მიჯარული დევების სუნთქვა, უნაზესი ენძელების ჩურჩული.

ფშავში, ხევსურეთში საღვთო მადლს შეიგრძნობს.

იმერეთში „აკაკის ნატერფალზე" დადის, „ხედავს მგოსანს, სიყვარულით ღამენათევს" და ამბობს: „თამადა ვარ სიყვარულის გამოხსნაში, იმერეთში სხვაფერია გაზაფხული" (იმერეთში).

პოეტი ქალი ხედავს ფითრიან, ქარიშხლისგან კვირტებ და ფოთლებდაწყვეტილ ხეს, რომელიც ტირის, რადგან საზღვრებს იქით გაყიდულან მისი ტოლები და ლექსის ავტორი თავის ნატვრა-მოწოდებას ასე გამოხატავს: „...საღი ფესვი გაქვს, გამოისხი ისევ ყლორტები, ისევ ამაღლდი, აზვიადდი, ცად აიჭერი, შენმა შრიალმა გამახსენოს ძველი ნოტები"...

ხოლო კაცთა მოდგმას ასე მიმართავს: „ვთხოვ, კაცთა მოდგმას, კვლავ მოუხმონ სიბრძნეს, გონებას, ტყეა სიცოცხლე, გაუფრთხილდნენ და სცენ თაყვანი. მტერი მომრავლდა და აშკარად გვაქცევს მონებად, ტყე არის ჩვენი ჰაერი და ... ბავშვთა აკვანი" (ისევ ამაღლდი).

ბიბლიაში ბაღი ებრაელი ხალხის სიმბოლოა.

გალაკტიონის პოეზიაში ტყის, ბაღის, ვენახის განადგურება, მუხების მოჭრა, ხალხის, ერის მოსპობის ტოლფარდია (მშვიდობის წიგნი, მუხები).

ანალოგიური აზრი ამოიკითხება ოთარ ჭილაძის რომანში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, რომელშიც დარიაჩანგის ბაღის განადგურება ერის დაცემის, დაბეჩავების პრელუდიად ჟღერს.

მრავლისმეტყველი სიმბოლოა გიორგი ლეონიძის ლექსი „ოლე“, რომელშიც „მარტოხე“ „მარტოობის შხამით“ შიგნიდანვე გამომწვარია, ხოლო „ქარის ეშვებს“, მეხს მისი მოთხრა უნდათ, „ყინვის კარჩხი“, „წვიმის შუბი“, „ღრუბლის შვავი“ ურტყამს ხედ ქცეულ „ბალღამის და ცრემლის სვეტს“, ამაოდ ელის სიყვარულს, ესმის ყორნის ყეფა და ფრთებდაწყვეტილი დაკიდებულ არწივს ჰგავს.

პოეტი ასე მიმართავს ლიახვის კლდეზე მდგარ ნამეხარ მარტოხეს: „რაშო, მიწას მიჭედილო, გასჭერ, აიქროლე, მარტოობის არტახები გადახიე, ოლე“ – რომ სთქვა: გული თუ მტკიოდა, ახლა აღარ მტკივა; რომ ლიახვის რძიან ქაფში შემოცურდე ტივად,... რომ შენ იყო ჩემს დარბაზში შუაბოძის ტოლი, რომ გრძელ ტივებს მოუძღოდე, ხეთა წინამძღოლი!“

ოლე მრავლისმეტყველი სიმბოლოა, მასში ამოიკითხება როგორც მარტოსული ადამიანის, ისე მრავალტანჯული ერის ტრაგედია.

გიორგი ლეონიძესავით სჯერა პოეტ ქალს, რომ დედის ცრემლები იას აღმოაცენებს: „ჩემი დედიკო, შენი ცრემლებით ვიცი, მიწიდან იად ამოხვალ“, სხვაგან „ენძელებია ამოსული დედის ცრემლებით“...

აშკარაა, გულნაზ ხარაიშვილი წინაპარი დიდი პოეტის სულის ტალღას მოჰყვება თავისებური გაბედულებით.

პოეტ ქალს ხელეწიფება მსოფლიოში აღიარებული გენიოსების შეგონებების და ხალხური სიბრძნის ძალზე ორგანული სინთეზის (და არა სიმბიოზის) მიღება: „ბატონობას იოლად ისწავლიო, გოეთეს უთქვამს... გონივრულად მართვას სხვა ნიჭი

სჭირდება. შენი ნაბიჯი უაზროა. ისევ მე მთუთქავს, ფუყე თავთავთან, მეცოდები, გაგიჭირდება" (გაგიჭირდება).

ცნობილია, „ურელიგიო კულტურა ფსევდოკულტურაა", ჭეშმარიტი პოეზია თავისებური რელიგიაა.

სასულიერო პოეზიასთან, ბიბლიურ წინასწარმეტყველთა, ღვთისმეტყველთა სიბრძნესთან წილნაყარია გულნაზ ხარაიშვილის სიტყვა.

წმინდა წერილის მცნებებით, ქრისტიანული მორალით ნასაზრდოებია პოეტის სული და ამიტომ უფლება აქვს უზენაესი პოსტულატებიდან განსაჯოს საკუთარი თვალსაწიერი და ვისაც მისი სიტყვისა და საქმის ფასი შეუცვნია, არ უნდა გაუკვირდეს ასეთი გაბედული განაცხადი: „შემისწავლე, როგორც წმინდა ბიბლია"...

ტრადიციული პოემისადმი გულგრილობა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან გაძლიერდა, რაც, უპირველესად, სიუჟეტის იგნორირებასა და ამ ჟანრის ლირიკული ლექსის ტრადიციებთან მიახლოებაში გამოვლინდა.

გულნაზ ხარაიშვილი ჯიუტად ერთგულებს ტრადიციულს, თანაც აკროსტიხისადმი მიდრეკილებით გამოირჩევა, თუმცა არც ლირიკულ პოემას ემიჯნება, რომლის ნიმუშიცაა „ვაჟა ეგრისელი".

ბუნებრივია, პოემის მიზანია დიდი პოეტის, ტიტანური „კოლხური ფსალმუნების" ხუთტომეულის ავტორის ურთულეს სამყაროსთან მიახლოება და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩანაფიქრი მიღწეულია.

ვაჟა ეგრისელი მოხსენიებულია, როგორც კლდის ვეფხვი, ლომი, მთის არწივი, მისი სიბრძნისა და მშვენიერების სამყაროს მახასიათებლებია: ზღვა, ოკეანე, ქარი, მუხა, მზე, სხივი, ია, ვარდი, იასამანი, ვერხვი, წყარო, ცა, ხიდი, ოქროს მეტაფორები".

კოლხი „ქრისტეს მხედრის“ ლექსები სახელდებულია, როგორც „ქარვის თვლები, დიდი ცოდნა, ფსალმუნები, ლოცვები, სულის მზრდელი გალობა, სულიერი შიმშილის დასაპურებელი სიტყვა, სულის სანთელი, სიტყვის ჰარმონია“.

ჭეშმარიტი პოეზიის უპირველესი თვისება მისი სასწაულმოქმედი ძალაა და გულნაზ ხარაიშვილის დაკვირვებით, ვაჟა ეგრისელის სიტყვის „სეისმური ძალა“ ნიანგსაც აძინებს (თვით „კოლხური ფსალმუნების“ ავტორი თავის ლირიკას წინასწარმეტყველ ელისესავით მიცვალებულის გამაცოცხლებელ „სიტყვის ბალახს“ უწოდებს, ხოლო თავის სიტყვაში ჯადოსანი სირინოზების დამატყვევებელ ძალას ხედავს).

მინიატურაში „უმანკოებამ პოეზიით ფრთები გაშალა“, საუბარია იმაზე, რა ზემოქმედება იქონია ვაჟა ეგრისელთან შეხვედრამ გონებაარეულ ახალგაზრდებზე, როგორ მიაძინა მისმა ლექსებმა მათში თავქარიანობა, როგორ შეასხა პოეზიამ ფრთები მიჩქმალულ უმანკოებას და სულ სხვა სადინარი მისცა მოზარდის ვულკანურ ენერგიას...

ლექსში „დიდო მგოსანო“ „კოლხური ფსალმუნების“ ავტორი შედარებულია ქართული სიტყვის სამ გენიასთან: შოთა რუსთაველთან, ვაჟა ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძესთან.

ვინც იცნობს ვაჟა ეგრისელის პოეზიას, ეს აზრი არც უსაფუძვლოდ მოეჩვენება და არც მკრეხელობად.

ცნობილია, რომ „კოლხი ქრისტეს მხედარი“ ბიბლიური იაკობივით ერკინება ღმერთს, ეჯიბრება დავით წინასწარმეტყველს, პოეტების მეფეს, ხოლო ვაჟა-ფშაველა მოხსენებული ჰყავს, როგორც „ძმა, თანატოლი, მეგობარი“.

ვისაც სულის თვალით განუჭვრეტია ჩვენი თანამედროვე პოეტის უკიდეგანო სიტყვის ოკეანე, ამ განაცხადს სრულიად ბუნებრივად მიიჩნევს, კონკრეტულად კი ვაჟა ფშაველასა და ვაჟა ეგრისელის მთის სახისმეტყველებაზე და კიდევ

ბევრ რამეზე დაკვირვება ნათელს გახდის, რომ ვაჟა ეგრისელი, მართალია, წინაპართა ტრადიციებს შემოქმედებითად ითავისებს, მაგრამ იწყებს იქ, სადაც თავდება ვაჟა ფშაველა, სადაც წყვეტს თავის სათქმელს გალაკტიონ ტაბიძე.

მთის გენიოსი ვაჟა-ფშაველა კავკასიონის დევების მეხოტბეა, ვაჟა ეგრისელმა ხედვის არეალი უფრო გააფართოვა, მთების სახეებს ფილოსოფიური, რელიგიური, ესთეტიკური დატვირთვა მისცა კოლხმა პოეტმა, ჰიმალაის, შამბალას, ანდების, პარნასის მთები, პოლარული მთა მოიხილა და გრაალის ადგილსამყოფელი მთაწმინდაზე, კოლხეთში, „ჩე გოლას" მთასთან (სამეგრელოში) იგულვა.

რაც შეეხება რუსთაველთან ნათესაობას, არც ეს აზრია უსაფუძვლო თუნდაც იმიტომ, რომ რუსთაველივით ისიც მოციქულებრივ სიყვარულს, ანუ საღვთო სიყვარულს უმღერის, ისიც, „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟებივით ერკინება ლომ-ვეფხვებს, ანუ მდაბალ ვნებებს, ნეგატიურ საწყისებს, ისიც, ტარიელივით, „ვეფხისტყავით" მოსილია და ასევე ვეფხისტყავით მოსავს კოლხეთს. ვეფხის ტყავი კი ღვთისმეტყველთა აზრით, ვარსკვლავთა სამყაროს, ზეცის, ღმერთის სიმბოლოა, სამეფო ინიციაციის, უზენაესი გონების განსახიერებაა. ვეფხვი სიმბოლოა ქრისტესი, ხოლო ვეფხის ტყავით მოსილი ქრისტეშემოსილს ედრება (წმინდა ბასილ დიდი). კოლხი ქრისტეს მხედრის სამოსელთა შორის, განსაკუთრებით აქცენტირებულია ნათელშემოსილი, მზითშემოსილი, ცეცხლშემოსილი, ზეცითმოსილი. ხოლო მის ძირეულ საღვთო სახელთა რაოდენობა ასზე მეტია, რაც აღემატება რუსთაველის, გურამიშვილის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის, ტერენტი გრანელის რელიგიურ სიმბოლიკას. ამასთან, მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ მათი რაოდენობა, არამედ ორიგინალური ელფერით მოსილი, განსაკუთრებული ელვარების მქონე მეტაფორები და გვახსენდება პროფესორ

ტიტე მოსიას განაცხადი, რომ „რუსთაველის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონის შემდეგ ქართულ პოეზიას არ ჰყოლია უფრო დიდი მეტაფორულენოვანი პოეტი, ვიდრე ვაჟა ეგრისელია" („იქმენ ნათელი" ანუ პოეტური წარმოსახვის ფუროორი", ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები", ტ. 3, 2006, გვ. 10).

გულნაზ ხარაიშვილის ამ პოემამ (თუ ლექსმა) მერაბ კოსტავას „გალაკტიონი" გაგვახსენა, რადგან ორივე ნაწარმოები ამ ორი პოეტის ურთულეს სამყაროში შესასვლელი უცდომელი გზამკვლელია... ვისაც აინტერესებს, გალაკტიონისა და ვაჟა ეგრისელის მიმართება, საკმარისია მოიძიოს მზის, მთვარის, ზღვის, ქარის სახეები და პრობლემები ორივე პოეტთან.

პოეტი არ ერიდება გაბედული პარალელების გავლებას ვაჟა-ფშაველასა და ვაჟა ეგრისელს შორის: „...ფშაველა მთების არის არწივი, ეგრისელი კი პოსეიდონი. ვიცი, ორივე არის ნაწილი ჩვენი სამშობლოს მთის და მინდორის".

ცისა და მიწის მომღერალს, თავის თანამედროვეს ასე ახასიათებს ლექსის ავტორი: „შენ იცი, ქვეყნად დადის პოეტი, ვინც ცას დაადო მთვარის ბოქლომი და დასტრიალებს ვით კაპოეტი, მშობლიურ მიწას მზით მოოქროვილს".

„კოლხური ფსალმუნების" ავტორი „ქვეგამხედვართა" რისხვაა, „სიბრძნის ღვინით" სნეულთა მკურნავია, ხოლო მისი „იქმენ ნათელი" ათასწლეულებისთვის განკუთვნილი წიგნია: „სძულს მოღალატე, ქვეშგამხედვარი და სიბრძნის ღვინით კურნავს სნეულებს, „იქმენ ნათელით" ქრისტეს მხედარი გადაუქროლებს ათასწლეულებს" (ვაჟა ეგრისელის პოეზია).

„სიბრძნის ღვინო" ზეცის სავანეშია, იგი თვით ღმერთია, როგორც ესაიას წინასწარმეტყველებაში „ძველი, დაწმენდილი ღვინო" (ესაია წინასწარმეტყველი, თ. 25,6).

„სიბრძნის ღვინის“ ვარიაციებია გალაკტიონის „ძველის-ძველი ღვინო“, „ცისფერი ღვინის“ წყურვილი, ხოლო „ძველი ღვინით“ თრობა, „მეზღვაურებისთვის“ (პოეტებისთვის) ღვინის შეთავაზება მარადიულ სიბრძნესთან, უცვლელ ჭეშმარიტებებთან ზიარების მომასწავებელია.

გამორჩეული ეპითეტებით და შედარებებით არის დახასიათებული ვაჟა ეგრისელის პოეტური იმპერია: „რუსთველს, აკაკის და გალაკტიონს არ მიწყენს ღმერთი, რომ შეგადარო, გავხარ ზღვის ტალღას, ლამაზ რიონსაც და ხელისგულზე გიდევს სამყარო. პოეზიაში? ბერმუხად დგახარ, ცის ფირუზი ხარ და ეკვატორი... შენი ლექსები ლამის ცას ასწვდეს, რიტმით, სტილით და მეტაფორებით“...

ისევ და ისევ ახალ-ახალი სახეებით ხდება „კოლხური ფსალმუნების“ ხუთტომიანი, ხუთი ათას გვერდზე აღმატებული კრებულების ავტორის დახასიათება: „დიდო პოეტო, ფრთაშესხმული აზრის სარდალო, გულით გიმღერი, მოკაშკაშე ლექსით შუქმფინარს. აბა, მე თავი მუზის ღმერთკაცს ვით შევადარო, ო, მაპატიე, სუსტი ფრთებით თუ ახლოს ვფრინავ“.

სხვა ლექსში პოეტის რწმენით სავსე გალობით მოხიბლულია თვით მაღალი ზევსიც და პარნასში იწვევს ქართველ პოეტს.

კოლხი პოსეიდონი „აზრის კუნძულზე“ თვრება „იდუმალების ყანწით“, სახეთა ღრმააზროვნებით, „წმინდა ცეცხლით“, სულის სინაზით გვაოცებს მისი თვალუწვდენელი მწვერვალები, ლოცვის, გალობის ინტონაციები („იქმენ ნათელის“ შთაბეჭდილება).

პოეტის სიტყვის ძალა „ააცისკროვნებს ცისარტყელას, ყინულს ადნობს, ნიანგს აძინებს ჰარმონია, აზრთან ჭიდილი, ურჩხულს ასამარებს... ნიჭით გაატრიალებს ქარბორბალას,

სუსხით რომ გვყინავს, დააპურებს მთელ საქართველოს (იმედის წყაროვ).

გოდერძი ჩოხელი მიჩნეულია, როგორც „ნაწილიანი", ანუ ღვთისგან ხელდასხმული, ნათელხილვის და ნათელსმენის ფენომენებით მომადლებული, „ნაწილიანები" არიან მისი პერსონაჟებიც – თანდილა, თევდორე, დონატა...

პოეტისთვის მახლობელია რომან „მგელის" ავტორი, ბნელი ინსტინქტების, აპოკალიფსური გველეშაპის, მგლების, ნადირ-მხეცების წინააღმდეგ მეომარი დიდი მწერალი, რადგან თვითონაც ვეშაპის, ნიანგის, მელიის, დათვების, „მგლების ხროვის" ბოროტებასთან შეურიგებელია: „ამ მგლების ხროვას არასოდეს არ დავნებდები" (მგლების ხროვა).

გულნაზ ხარაიშვილის პოეზია ამაღლებულის, ტრაგიკულის, მშვენიერების, სიკეთის ფლუიდებით გამორჩეული ფენომენია.

ჯერ კიდევ ფსევდო ლონგინე წუხდა „ჭეშმარიტად დიდბუნებოვანი და სულიერ სიმაღლეთა წვდომის ნიჭით ცხებული ნატურების იშვიათობას და ამაღლებულის უკვალოდ გაქრობას.. ბერწი ეპოქის წყევლად და საყოველთაო უბედურებად მიიჩნევდა, რასაც თავისუფალი სულის უქონლობით ხსნიდა.

ფსევდო-ლონგინეს მიხედვით, „ამაღლებულის გრძნობა ბუნებისგან თანდაყოლილია და არა განსწავლით შეძენილი, ხოლო გარკვეული მეთოდი გვაწვდის ყველა ცალკეულ შემთხვევაში ამაღლებულის თავის დროსა და თავის ადგილას ხმარებას... ამაღლებულის ხუთი ნიშანია: „სულის სიმაღლე და სითამამე – მძაფრი და ზეაღმტაცი ვნება, აზრობრივი და სიტყვიერი ფიგურების მწყობრი ერთობლიობა, სიტყვაკაზმულობა (ტროპებითა თუ ხატოვანი გამოთქმებით მდიდარი მეტყველება, ორგანული მთლიანობა და ამაღლებულის ხა-

რისხში აყვანილი ერთიანობა" (ამაღლებულისათვის, გვ. 200, 99, 111).

გულნაზ ხარაიშვილი ასევე წილნაყარია ხალხურ სიბრძნესთან, ხალხურ ინტონაციებთან: „რასაც დათესაც, რა კარგია, იმას იმკიდე, გულის ტკივილო, შენ დააჩოქებ უღელ ხარ-კამეჩს, ცხვრის ტყავში გახვეული მგელი ხარ, ფუყე თავთავთან, მეცოდები, გაგიჭირდება, ალხანას ჩალხანები არ მოაკლდება, ერთი კი სულით ჯოჯოხეთის მაშხალასა ჰგავს, ჭყინტი ყველივით გამომწურა ფიქრმა საერთოდ, დარდის ურემი გადაყირავდა".

პოეტური გაოცება ხალხური ელფერის მქონე სტრიქონებით გამოიხატა: „მიკვირს, სიმართლეს ფეხქვეშ მიწა რატომ ეცლება, ანდა სიკეთეს რად არ ხედავს მავანთ-მავანი. უწყლოდ მცენარეს ბუნებრივად ფერი ეცვლება, ყვავმა აკენკა იმედების ყურძნის მტევანი".

პოეტის მორალური კრედო ისევ ხალხური ინტონაციით შეიმოსა: „სხეულს რკინის ჯაჭვის პერანგს ვაცმევ, წინ შემომხვდა მხეცთა დიდი ხროვა, რაც ჩემია, მას არავის მივცემ... ჩემს ბანაკში მტერი ველარ მოვა" (ბანაკში მტერი ველარ მოვა).

„ლექსით ვაფრთიანებ... ხუნდებსა და მშვიდობის ბარტყებს" – ასე სადად გამოვლინდა პოეტის კრედო ლექსში „ველოდი ნაყოფს".

ზეცისკენ დაუოკებელი სწრაფვა, მზის, მთვარის, ვარსკვლავების სავანეში სულით ხეტიალი, სულიერი ცის საიდუმლოებათა შეცნობის სურვილი, მზის ათინათით, მთვარის შუქით, ცისარტყელებით სულიერი ნათელდება გვარწმუნებს, რომ გულნაზ ხარაიშვილის პოეტური პლანეტა ამაღლებულის ერთ-ერთი ძალზე შთამბეჭდავი სახეა, ის ხომ „ნარნარა, ფურცლებს ცისარტყელას ფერებში" ავლებს, „ცისარტყელა ახვევია ტანზე". მისი სტრიქონები მკითხევ-

ლისთვის არის ნიავი, გაზაფხული, სიკეთე, სიყვარული, ანგელოზი, მკურნავი, მეკვლე, მუხა, თბილი ტალღა, მზის ორიონი... (ჩემო მკითხველო).

სიმაღლისკენ სულის ფრთებით მიმსწრაფი „ფიქრის სერს“ აივლის, აღმართზე როდი ჩერდება, მწვერვალებისკენ აგრძელებს გზას.

შემოქმედებითი თავისებურების ზოგიერთი ასპექტი

გულნაზ ხარაიშვილი აგრძელებს ქართული კლასიკური პოეზიის ტრადიციებს, მისთვის ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვა არის რწმენის, სულიერების, ეროვნულ-ფილოსოფიური პრობლემების განცდა-გაანალიზება, განჭვრეტა.

პოეტის შემოქმედება რელიგიურია, რაც მოითხოვს ენიგმური სახეების საჭიროებას და ბუნებრივია, საღვთო სიმბოლოების არსებობა მის პოეზიაში, როგორიცაა: მზე, მთვარე, ვაზი, კიპარისი, სული, ნაძვი, იმედის წყარო.

ცხოვრების წინააღმდეგობრივი ხასიათის გაშუქებისას ხდება ქარის, წვიმის თოვლის, ეკლის, ზღვის, ქარის, აპოკალიფსური სახეების (მხეცი, მგელი, მელა, დათვი, ნიანგი, ვეშაპი, გიურზა), პერსონიფიკაცია, ალეგორიულ-სიმბოლური პარადიგმებით ასახვა. მადლშემოსილ პოეტს სჯერა ღმერთის, რწმენის სასწაულების, ნიჭის ყოვლისშემძლეობის: „მე შენი რწმენით ყინულს დავადნობ, მოვეფერები მტერსაც ძმასავით“, „ლოყას ცრემლით ჯვარი დამეხატა“, „გრძნობის ჯვარზე ვარ გადალანდული“, „ტოტს ჩამოხლეჩილს შეახორცებს ღვთის რწმენის ძალა“, „ნიჭით გაატრიალებ ქარბორბალას, სუსხით რომ ყინავს“, „ააცისკროვნებ ცისარტყელას“, „დააპურებ საქართველოს“, „კალმით ვირჩენდი ბევრჯერ იარას“, „ნაკუწ-ნაკუწ დავშლი სალ კლდეს, თუ აშარდა“,

„სტრიქონები ხმლებია და ფარებია“, „შარს და ქარიშხალს ხელოვნებით უნდა გაგვყარო“.

გულნაზ ხარაიშვილის სახეების უმეტესობა ხალხური ელფერით, ხალხური ინტონაციით, სასაუბრო ლექსიკით სავსეა. ის გვარწმუნებს ქართული მხატვრული სიტყვის ახალ-ახალი შესაძლებლობის გამოვლენაში: „ნაისრი მკლავი კვლავ გაუძლებს ურჩხულთან ბრძოლას“, „იაგუნდების სამყაროში რას ჩხავის ყვავი“, „ზღვა არის ლურჯი, სადაც დიდი ვეშაპი ცურავს,“ „ააცისკროვნებ ფუნჯით სიოს, სუნთქავს ბუნება“, „ჩუმად დარდები მახრასავით ძარღვებს დაღრღნიან“, „ლალისფერ მძივებს ბღუჯად ფეხთით მოვანიავებ“, „აფრებად გაშლი იალქანზე ფიქრებს ყიჟინით“, „ლეღვის ჩირივით ტკბილი იყო ჩემი ბავშვობა“, „შავო ღრუბელო, რად მესროლე წყლიანი გუნდა“, „აზვირთებულ ნიჭს ღვთის ქუდი რომ ხურავს მეფური“, „ესხივფერება შენს პალიტრას მზის ათინათი,“ „ენძელებია ამოსული დედის ცრემლებად“, „ძველ რძესავით კი იმედები სულმთლად აჭრილა“, „ნეტავ სად ფრინავს, ვის ახარებს ჩემი მერცხალი“, „არ ვემსგავსები ავი საქმით მხიარულ ავსულს“, „შენამდე ცრემლი ყანწებით მასვეს“, „ბედისწერა კი მტანჯავს ტიალი“, „ლოთი ქალივით დარდმა დამათრო“, „ჩემი იმედები დიდ ეკლებში დარჩა გადაღმა“, „ეს ქარბორბალა ლამაზ ქალაქს რას შეეჩვია“, „პური არა, შენი სიყვარული მშია“, „ქარს არ აჰვე თავნებას და გიუმაჟს“, „გულში მიტომ შემომთოვა, უშენობით რომ ვღონდები“, „გულში ამომსვლა ფითრი“, „ფიქრის გორა კი გულით დამაქვს როგორც ლოდები“, „დევის ფრჩხილივით წამოზრდილა ნაძვის წიწვები“, „სიმინდის კაჭაჭები ისე ჩამწკრივებულან, როგორც სამხედრო ჯარისკაცები“, „ხელს მიფათურებს სულში ფიქრები,“ „ცხვარი ხარ და მგელთან რომ ხარ, კვლავ მებრალები“, „ღალატისთვის კუპრის ალში იწვიან“, „ყვავმა აკენკა იმედების ყურძნის მტევანი“, „შენით სალ

კლდეს ქვიშასავით დავშლი, „ღრუბლის კიბეს ავყევ მაღლა, მიღმუთსაც ფიქრით მივწვდი“, „სატანამ თავის კვალში გაატარა“, „ხან მახრასავით ჩამცელავენ მწარე ეჭვები“, „ცრემლის ბურთებს ვკიდებ ამ ჩემს წამწამებს“, „მაჯლაჯუნა მიფათურებს თათებს“, „სევდის სეტყვა და ღრუბლის ფენა ხარ“, „ია ვიყავ და ბოლქვად გავქვავდი“, „ცის ვარსკვლავები ნიყვებივით უნდა დავკრიფო“, „გაზულუქებულ ღიპუცებზე ზიზღით ივსები“, „ხორცის საჯიჯგნად წუთიერად ქარს მოეწონე“, „ლამისაა ზეცას ჭერი ავხადო“, „ჩემმა დარდებმა ლამის ნამრეშოს“, „ჩემს წინ ქვები თავდაყირა გორდებიან“, „გული ჯავრისგან თორნესავით გახურებულა“, „ბუმია ირგვლივ ბინძური მტვერის“, „ხელს მიფათურებს სულში ფიქრები“, „შენ ხარ დარდის მწვერვალების დიდი ხურო, სიკვდილისგან მოგზავნილი შავი რაში“, „წლების ურემი გადაყირავდა“, „ტკივილი გაჰყვა დარდის ქარავანს“, „იცინის ეშმა, მოჯირითობს სიკვდილის რაში“, „ვწუხ, მომრავლდა ერში გიურზები“, „ველარ გავლიე ლიანი“, „ვაი-ვიშების ეპოქაში რაღა ვაშენო“, „რიჟრაჟია და, ქარო, სულში ნუ ეფეთები“.

ზოგჯერ პირდაპირ გამოყენებულია ხალხური ფრაზები, ანდაზები, შეგონებები: „ალხანას ჩალხანები არ მოაკლდება“, „გადაგიბრუნდა ბედის ურემი“, „რა ჯაჭვით ჰქონდა ბედი დაბმული“, „იმედი თოკით არის დაბმული“, „გავეცალე აბლაბუდებს“, „ობლის კვერი გამოცხვება“, „არ გეგონო მე რიოში“, „ტანზე კაბად სხივები მაცვია“, „გულის ტკივილი ხარ“, „ფუყე თავთავთან მეცოდები, გაგიჭირდება“, „ერთი კი მართლაც ჯოჯოხეთის მაშხალასა ჰგავს“.

ხალხურ ფრაზებში, რვა, ათმარცვლიან და თორმეტმარცვლიან ლექსებში შეჭრილია ახლებური ელფერით აელვარებული სახეები. პოეტი არასოდეს გამოდის მიმბაძველად, პირიქით, გრძნობ, როგორ ახლებურად გაუთავისებია ცნობილი ქართული სახეები.

მისი პოეზია ავლენს ქართული ენის ამოუწურავ შესაძლებლობებს: „ცის ვარსკვლავები ნიყვებივით უნდა დავკრიფო“, „ჩემი ლექსია გაზაფხულის იასამანი“, „გულო, შეამოწმე შენი კიდეები“, „ერთგულების ყვავილებს გირგავ“, „სულზე ვარდად მოგიფენდი ცის ულურჯეს სივრცეს“, „გამიშუქა მთვარემ გულის უბნები“, „შარიანი ქარიშხალის ჯიბრზე, ეზოშიდაც გავახარებ ვარდებს“, „ფეხით მოვთელე ნამქერების ქართეხილები“, „ღრუბლის კიბეს ავყევ მაღლა, გადვიხედე ცის მთის იქით“, „ფიქრით ვწიწკნიდი ღრუბლების ფთილებს“, „ნაკუწ-ნაკუწ დავშლი სალ კლდეს“, „გულუბრყვილობის ავკეცე კიბე“, „ცივ ჩანჩქერიდან ასხლეტილ კალმახს დაუნდობელად ფატრავენ მუცელს“, „ნაწილ-ნაწილად გადავკუჭავ ფიქრს სულაწეწილს“, „ნაწვიმარ სულში ქარმა ბუმი დაატრიალა“, „ცის ბილიკები მიმოვირბინოთ“, „ვცდილობ, ჩაგისახლო სულში ყვავილი“, „ერთგულების ყვავილებს გირგავ“.

ლექსებში გვხვდება შეგონებები, ბრძნული აზრები: „ღრუბლები ტალღებს აორთქლებდეს, ეს სად ყოფილა, ან ნოსტალგიას გაეფანტოს დარდის ღრუბლები“ (შთამომავლობა), „ღმერთი აგაცდენს ტანჯვას და საფრთხეს სუსტი, უმწეო თუ შეიფარე“ (სიკეთის თესვა) „ქარს არ აჰყვე თავნებას და გიუმაჟს“ (გამეხარდა) „ძეძვ-ეკლებშიაც შევამჩნიე მე სინანული“, „სულგაწმენდილნი მიღმიეთში დასეირნობენ“, „სულის წვიმებად ნუ გახშირდები“, „მეგობრისათვის თავგანწირვა მაჯისცემაა“, „ავი სულების ნემსების ჩხვლეტით ჭკვიანი ცხვარიც მგლად გადაიქცა...“ „საით წაგიყვანს ბედისწერა, არ გეკითხება, დარდით ივლი თუ მეფესავით გიწევს ცხოვრება, აისი ბევრჯერ ახლოსაა, ხან ქარით ფრთხება...“

ზეციურთან წილნაყარს, ესმის სხვათაგან მოუსმენელი: „სიო მაწვდის ლამაზ ბგერებს,“ „მესმოდა ძარღვების ფეთქვა“, „ყურში ჩამესმის დედამიწის ღერძის ტრიალი“, „ხმავ ზეციურო, ისევ ჩემთან ამოზვიადდი“.

არც პოეტური ბგერწერაა პოეტისათვის უცხო: „მოგონებები აგოგმანდება, დარდით გავფითრდი ისე, ვით ფითრი“.

მრავლად გვხვდება მშვენიერებასთან წილნაყარი ამაღლებული სახეები: „ჩემო ნაზო და ზეყანა“, „არ დამეკარგო გულის სურნელო“, „ფიქრს დავიტოვებ ლამაზსა და სურნელებიანს“, „ვარდისფერობენ ფიქრთა ბადენი“, „მე სიყვარულში თინათინიც ვერ შემედრება“, „ვარდის ფურცელივით გულის გადაშლა“, „მთვარემ გამიშუქა გულის უბნები“, „სულის სამზეოს შევეხიზნები“, „მზემ გამიშუქა სინორჩე სულის“, „სულზე ვარდად მოგიფენდი ცის ულურჯეს კიდეს“, „იმედები ვარდისფერად შეფერადდა“, „მოგონებები აგოგმანდება“, „ლალისფერად ავუხავერდე ხელოვანს სიტყვა“, „ლექსის ყანწით იმედები შევსვი“, „იმედებით ცას მოვჭედავ, ვცდილობ, სულში ჩაგისახლო ყვავილი“, „ერთგულების ყვავილებს გირგავ“, „ხუთი მზის სხივი ჩამოვკრიფე ცათა ჭაღიდან“, „ღრუბლის კიბეს ავყევ მაღლა, მიღმიეთსაც მივწვდი ფიქრით“, „ჩემი ერთგულება სპეტაკი თოვლია“, „ია-იები სისხლს იდენენ თოთო ვენიდან“, „კალამს ცისარტყელების ფერში ვავლებ“...

პოეტის ლექსები 8-10-12 მარცვლიანებია, მიმართავს ჯვარედინ რითმებს, რომელთა უმეტესობა კონსონანსურია: მენატრებოდა – მემატებოდა, მდინარე – გულმომცინარე, მილხინდა – მიღრღნიდა, გამინაპირო – გამიაპრილო, სარჩენი – ნარჩენი, ბევრია – წევრია, შვილო – მაშიმშილო, დაღვრილი – დაღლილი, გიყვები – მივყვები, თბილი – ფრთხილი, მთა-ველი – მფარველი, ნაქურჩო – ვაჩუქო, მწყემსო – ნემსო, შიშველი – გიშველი, მესმის – ლექსი, დარია – სიმწუხარეა, მატყვია – მარტოა, ნიყვებად – მიმყვება, ნეშო-დაიხვნეშებს, ლექსია – ასხია, აუწყვია – გადამავიწყდე, კაპრიზი – პირიმზე, გიპყრობ – გამოყო, მტორავ – მიმატოვა, მოგეფერები – ნაირფერები, ფანჯრები – მანჯღრევენ, ნიავი – სი-

ავე, მოგატოლებ – ვიტოვებ, გულმოწყალეა – დალია, აუწყო – გადამავიწყდე, დაჯეგა – აჯობა, ფანდური – ფაიფური.

ცალკე ყურადღების ღირსია მისი აკროსტიხები. ამ ურთულესი პოეტური ხერხის გათავისებით შექმნილია პოემები.

სინესთეზიის ნიმუშია ლექსი, „მანანა კვატაიას ხმა“, აქ ხმა ბრილიანტს და ნატვრის თვალს ჰგავს, ყურძნის წვენის მირონის სიტკბო აქვს, ორქიდეას, ტიტების სახეებს წამოშლის, ანუ მასში გაერთიანებულია ხმა, ფერი, სუნი.

ნეოლოგიზმებია: ავხელა, ავპირი, ავქარი, ქარბუქობ, ვიხანჯლავდით, ავუხავერდე, აშარდა, აკვირტება, აავება, მივეხაფიფო, ასურნელება, იზაფხულებს, კიდეგანი (განაპირებული), თავქალი, ამიკვირტოს, გადაიბატა, იფაფუკოს, ფრთაფაფუკა, მანანობენ, თივთიკობენ, დარდწამოსხმული, გავიფრთამალე, ამოფოფინდეს, აგიცეკვოს, ესხივფერება, აგვიწკეპლეს, გადამეწვერა, მოვანიავებ.


ორიგინალური სიტყვათშეთანხმების მაგალითები იმდენია, გიჭირს გამორჩევა, მრავალთაგან რამდენიმეს დავიმოწმებთ:

„მადლის ხალიჩა, ლალისფერი იმედები, ავდრების წკეპლა, სულის ცელი, გრძნობის გემი, გულის თონე, სულის ჭა, გულის ვულკანი, დარდის ფუთები, დარდის თბომავალი, იმედების რწმენის ფუთები, დარდის ნიავი, ავპირი ქარი, ფიქრების აბლაბუდები, ფიქრის ედემი, ცრემლის ნისლები, ცრემლის ხავსი, გულის სკივრი, გულის ბუხარი, იმედის მტევანი, სულის ყაწიმი, სულის მაყარი, დარდის მძივები, დარდის რაში, დარდის ხურო, ფიქრის უბე, სევდის ყანა, გრძნობის მათარა, ტრფობის მძივი, გულის ღილი, გრძნობის რტოები, ერთგულების ყვავილები, სევდის ბოქლომი, დარდის მარწუხები, იდუმალების ყანწი, მსუნაგი ფიალა, იმედის მაჯა, ფიქრის გუგული, იმედის ტარო, ცის მთა, იის ვენა, ბაბუაწვერა-სავით ნაზი სული, ლელვის ჩირივით ტკბილი მოგონება, სითბოს ნაბადი, დარდის ხურო, იმედის გედი, სულის ზარი, მად-

ლის ქუდი, სულის ჩარჩო, სიტყვის ღვარცოფი, ყოფნის ხალიჩა, ლექსის სანთელი, ერთგულების ხიდი, სიწმინდის კარი, იმედის ფესვი, სიტყვის სერიალი, სხივის მკვლავები, ფიქრის პერანგი, ფიქრის ფესვები, სევდის ნიავი, დარდის ხიდი, ლექსის ყანწი, დარდის ხმელეთი, სიკეთის გორა, სისხლის აჯაფსანდალი".

ჩემი შთაბეჭდილება მხოლოდ და მხოლოდ ნაუცბათევია, მცირედი ნაწილია იმ დიდი მთელისა, რაც არის პოეტი ქალის შემოქმედებაში.

გულნაზ ხარაიშვილის სულის ყვავილი ზრდის სტადიაშია, ზეცას, მიწას, მიღმიეთს თამამად უსწორებს თვალს, დროის ქარბორბალას, ეპოქის უამინდობას, აპოკალიფსური მხეცების ნაშიერებს მთელი ძალისხმევით ებრძვის, ღრუბლის კიბეს მიჰყვება მაღლა, უხილავ-ფარულის ხილვა-შეცნობას ესწრაფვის, საზღვრების იქით მოილტვის და საბოლოო გამარჯვების მოლოდინით ცხოვრობს, რადგან უზენაესის ძალით გაბრწყინებული, ნათელშემოსილი, მადლშემოსილი და სხივშემოსილია.



სერგი ლომაძე



„მადლშემოსილი“

ველოდი ამ წიგნს და აი, ქალბატონმა გულნახმა, ბოლო-ბოლო, მაკწია: მსის სინათლე იხილაო ლუარა სორდიას კიდევ ერთმა ცალკე გამოცემულმა ნაშრომმა და წინ დამიდო პატარა, მაგრამ ბეურისდამტევი წიგნი-ბროშურა „მადლშემოსილი“ („გულნაზ ხარაიშვილის სულის გალობა“). მოკლედ, ერთი დიდი ადამიანი წერს მეორე დიდი ადამიანის

შესახებ, ხოლო სადაც სამართალია, ორივე მათგანი, – ქალბატონი ლუარა, ქალბატონი გულნახიც, უნდა დარჩნენ ქართული ლიტერატურის ისტორიაში, როგორც მეცნიერ-ხელოვანნი, და საერთოდ, როგორც დიდმოღვაწენი.

ეს მეორე წიგნია, რომელიც გულნაზ ხარაიშვილს მიეძღვნა. პირველი მე დავწერე („გზა მწვერვალისკენ“). პირველს მეორე სჯობია. ეს უფრო ღრმაა, ყოვლისმომცველი. თანაც აქ ფილოლოგიის სამი დოქტორი ერთად შეკრებილა: თვითონ ავტორი – ლუარა სორდია, წიგნის ტექნიკური რედაქტორი-ლამარა გერგედავა და ბოლოს რეზო მიშველაძე - უცნობილესი მწერალი! (სწორედ იგია წიგნის მთავარი რედაქტორი). აი, ამჯერად როგორი სამეულისაგან უწევს ალიარება ხვედნი აკადემიის უცვლელ პრეზიდენტს!

რაც შეეხება კონკრეტულად ავტორს ნაშრომისას ქალბატონ ლუარას, იგი თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი ფილოლოგია ზოგადი ფაქტორისა გამო. მის ფენომენს ყველაზე კარგად ხსნის შემდეგი ხაზი: ლუარამ თავისი ფილოლოგია ფილოსოფია-თეოლოგიას დააფუძნა ისეთ, როგორც ეს ქართული ფილოლოგიის მეფემ-კორნელი კეკელიძემ და მისმა თაობამ გააკეთა თავის დროზე.

მაინც რატომ გააკეთა ეს ამბავი ბატონმა კეკელიძემ? (ასევე- ნუცუბიძემ, ხიმშიაშვილმაც).

პასუხი მარტივია: ჩვენი დიდი ლიტერატურა პაგიოგრა

ფიალჰიმნოგრაფიას, ანუ სასულიერო მწერლობას ეფუძნება, ამიტომაც მკვლევარი ჩვენებური ლიტერატურისა, ქართველი მეცნიერ-ფილოლოგი, ფილოსოფიაშიცა და ფილოსოფიის უმაღლეს სახეობაშიც-თეოლოგიაშიც (ღვთის სასულიერო- მეცნიერული შემეცნება, ღვთაებასთან მიახლოება პოეტურად ცოდნისმიერი, ლოგოსისმიერი გზით) უნდა ერკვეოდეს.

კორნელი კეკელიძის ხაზი, შემდეგში არაერთმა დიდმა მეცნიერმა გააგრძელა, მათ შორის-რეზო სირაძემ, გრიგერ ფარულავამ, ტიტე მოსიამ და სხვებმა. სწორედ ერთი იმათგანია ლუარა სორდიაც ერთ-ერთი ყველაზე უფრო განათლებული ადამიანი, რომლის ყოველი სტატია, ყოველი წიგნი (მათ შორის ზოგი მონუმენტური ნაშრომიც არის) მნიშვნელოვანია. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ნებისმიერი რანგის, თვით უმაღლესი რანგის ადამიანისთვისაც კი, პრესტიჟულია, თუკი ქალბატონი ლუარა მის შესახებ სტატიას მაინც დაწერს, რაიმე, მცირე რეცენზიას მაინც, ხოლო როცა საქმე თვით წიგნის დაწერას ეხება!..

ო, ეს უკვე ძალიან დიდი ამბავია!..

და ქალბატონი გულნაზი სწორედაც რომ იმსახურებდა ასეთ დაფასებას, – დიახ, ბრწყინვალე ფილოლოგმა ამჯერად სწორედ მასზე შეაჩერა არჩევანი, მას, მის შემოქმედებას მიუძღვნა წიგნი.

ეს წიგნი შედგება თხუთმეტი კარისაგან (თავისაგან), ხოლო ამ თხუთმეტეულში ლამის მთელი სამყაროა ჩატეული. ქალბატონი გულნაზის შემოქმედება განხილულ-გაანალიზებულია მსოფლიო ცოდნის სამზერიდან. აი, ეს კარნი:

მადლით და რწმენით გადარჩენა;
სული ვარ, უკვე ცაში აჭრილი;
მიაყურადეთ, გაიგონეთ სულის გალობა;
სახისმეტყველების ზოგიერთი საკითხი;
ზღვას შეეებმები, უნდა გავცურო;
აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერები;
ლოყას ცრემლით ჯვარი დამეხატა;
ერიდე ქარბუქს, რადგან ირგვლივ დარბის სატანა;

შარაგზას ვეძებ ეკლიან ტყეში;
კელავ გაეუცვები თოვლიან გზას, და თანაც უკვლევს;
მოყვრად გექციოს,(სამშობლოსთვის) სამშობლოს მტერი;
რაა სიცოცხლე?;
მიღმიერთსაც მიეწედი ფიქრით;
პოეტის „სულის ძიძები“;
შემოქმედებითი თავისებურებების ზოგიერთი ასპექტი.

წიგნის ყოველი თავის სათაური აქ იმიტომ ჩავწერე, რომ თუნდაც მარტო ამ სათაურთა გადაკითხვა მიახვედრებს გამოცდილ მკითხველს, თუ რარიგ ღრმა ნაშრომთან გვაქვს საქმე. აქ, ამ კვლევაში, გადააწყდებით სინათლეს ძველი და ახალი აღქმისას, და ასევე-უამრავი ქართველი თუ არაქართველი ლეგენდარული ადამიანის სახელს. აი, როგორი სპექტრითაა განხილული ქალბატონი გულნაზის შემოქმედება, აი, როგორაა, (ლუარასეულად), გააზრებული პოეტისეული (გულნაზისეული) სამყარო.

იბადება კითხვა:

კი მაგრამ, მიუხედავად ყველა დამსახურებისა, მაინც, არის კი ქალბატონი გულნაზი იმ რანგის ხელოვანი, შემოქმედი, რომ მისი პოეზია ასე გაანალიზდეს, ასეთ დონეზე ამაღლდეს? გასაგებია, რომ ის დიდი მოღვაწეა, საზოგადო მოღვაწე, მაგრამ არის თუ არა იგი დიდი სალიტერატურო მოღვაწეც, უფრო კონკრეტულად-დიდი პოეტიც?

ქალბატონი ლუარა თავის წიგნში ამას დამაჯერებლად ამტკიცებს: დიახ, იგი გულნაზ ხარაიშვილის პოეზიას აანალიზებს, როგორც დიდ პოეზიას, და ამას წარმატებით ახერხებს;

ხოლო დანარჩენი მკითხველმა განსჯოს...

როდესაც მე დავწერე წიგნი ქალბატონი გულნაზის შესახებ, ბევრმა ქებით ცაში ამიყვანა (მადლობა მათ!), ხოლო ზოგიერთმა გამაკრიტიკეს კიდეც. მათ გასაგონად ვამბობ, რომ ქალბატონ ლუარას წიგნის გაკრიტიკება გაცილებით უფრო რთული საქმეა. რადგანაც მთელს წიგნს ერთ სტატიაში ვერ გააშუქებ, მაგალითად მოვიყვან მის თუნდაც ერთ თავს: „ლოყას ცრემლით ჯვარი დამეხატა.“ ჯერ მარტო სა-

თაურს დააკვირდით-მეთქი: უკვე თვით ეს სათაურია პოეზია უმაღლესი! ეს ფრაზა, მეცნიერმა, ქალბატონი გულნაზის შემოქმედებიდან ამოიღო, რაც მეტყველებს პოეტის დიდ ხელოვნებაზე, ხოლო წიგნში მოტანილმა სტროფმა, პოეტის ლექსიდან, პირდაპირ გულზე გადამიარა:

„დავცქერი, დაბლა, ცრემლის გუბეებს,
ქვეყნად არ დარჩა სინდისის გროში,
მივდივარ წინ და ვხედავ წუმპეებს,
ეჯავრობ, რომ ვცხოვრობ საშინელ დროში!..“

ო, როგორი ნამდვილია ეს სტრიქონები, და რა ზუსტად დაუწერია პოეტს! და რა ზუსტად შეურჩევია ფილოლოგს საკუთარი წიგნისათვის.

ცრემლი და ჯვარი კი, ჯვარი და ცრემლი, უძველესი სიმბოლიკაა (ქვეყნად არაფერია ახალი, მთავარია, თუ როგორ განაახლებ მათ შენ), რომელიც შესანიშნავად დაასურათხატა პოეტმა. იქვე მოჰყვას, ლუარა სორდიას, პოეტის კიდევ ერთი გასაოცარი ფრაზა, – „გრძნობების ჯვარზე ვარ გადალანდული.“ ატყორცნილი ბოლო სიტყვით -„გადალანდული“, რომელიც რაღაც საოცარ მისტიკურობას ანიჭებს ისედაც მეტაფიზიკურ ოთხსიტყვედს.

ლუარა სორდია წერს: „სევდის დედოფლის“ სული „სევდის ქვაბში“ იხარშება, სულზე „სევდის ბოქლომი“ ჰკიდია. „საუკუნის ტკივილი“ ამგზავრებია, „ტკივილების გიდია.“

ტერენტი გრანელივით „დარდით თრობა“ დაჰბედებია.

ბევრიც რომ ილაპარაკონ ჩემზე, რომ მჩვევია, როგორც საკუთარი თავის, ისე სხვა ადამიანთა ზედმეტი ქება, მაინც უნდა ვთქვა, რომ აღტაცებული ვარ ლუარა სორდიას თითეული ფრაზითაც კი! თუნდაც აი აქ, რა ზუსტად აქვს ნახსენები იგავმიუწვდომელი ტერენტი გრანელი, ერთ-ერთი ღმერთთაგანი ქართული პოეზიისა! დიახ, თუკი „სევდის დედოფალი“ ახსენე (ვინც არ უნდა მოიაზრებოდეს მასში), იქ „სევდის მეჯვეც“-ც‘ამოგაგონდეს, განა რა გასაკვირია, და ბუნებრივია, ლამაზია, პოეტურია,ამას რომ ქალალდზე გადაიტან, სიტყვით რომ დაბეჭდავ და შთამომაყოლობას ასე დაუტოვებ, სიტყვით... მითუმეტეს, თუ – „მადლით და ჭეშმარიტებით“ მკვიდრდება

კაცთა შორის ღვთის სიტყვა-ქრისტე“...

ქალბატონი ლუარას ნაშრომის შესახებ უამრავი რამ მინდა ვთქვა, უამრავი, მაგრამ... სულ ამას ვწუწუნებ: მოკლეა არეალი სტატიისა... რაღა თქმა უნდა, უმჯობესი იყო, რომ ვრცელი წიგნი დამეწერა ამ პატარა წიგნის შესახებ, რომელიც ლუარა სორდიამ ჩვენს დიდებულ გულნაზის მიუძღვნა. დამიჯერეთ, ახლა ისე ვარ ანთებული, აი ახლა, „მაღლშემოსილის“ წაკითხვის შემდეგ, რომ ამასაც შეეძლებდი, მაგრამ... მაგრამ სწორედ ახლა ემუშაობთ, „სღვარის ბიჭები,“ ჩვენი ჯგუფის კიდევ ერთ წიგნზე, რომელსაც, ალბათ თებერვალში დავასრულებთ და ესაა. მოგეხსენებათ, „სღვარი“ ჩვენთვის ყველაფერი ხშირად ისიც კი გვგონია, რომ ამ ჯგუფამდეც მისი წევრები ვიყავით და საერთოდ, სამარადისოდაც მის წევრებად დავრჩებით. ხომ ყოველი ადამიანი, ხომ ყოველივე, მოელი სამყარო სღვარია თავისებურად (ანუ- უსასღვროებაც), მაგრამ ჩვენ – ჯგუფ „სღვარის“ წევრები, /(მითუმეტეს-ძირითადი წევრები) მაინც განსაკუთრებით და სამუდამოდ აღვიბეჭდეთ სღაპრის ნიშნით, როგორც სიცოცხლეში, ასევე იქნება, ალბათ, სიკვდილის შემდეგაც, და რაც არ უნდა შეიცვალის, ეს მაინც სამარადისოდ ასე დარჩება. მაგალითად: პირადად მე იმასაც კი ვეღარ ვარჩევ, თუ სად სრულდება კონკრეტულად ჩემი შემოქმედება, და სად იწყება შემოქმედება ჩემი ჯგუფისა (ან- პირიქით). მოკლედ, ჩვენ, „სღვარელები“ ერთნი ვართ, და როცა საერთო საქმეზე ვმუშაობთ, ჩვენთვის უმთავრესზე, სხვა საქმეებისათვის ნაკლებადღა ვიცლით, თორემ..

თორემ სხვა რა დაუდგებოდა წინ დიდებული ლუარა სორდიას ფილოსოფიური (დიახ, სწორედაც რომ ფილოსოფიური!) წიგნის შესახებ წიგნის დაწერას!

ახლა კი....

თუმცა შეიძლება ოდესმე ამ საქმეს მაინც მოვკიდო ხელი. ხოლო ახლა, ვიმეორებ, რომ ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფის თითოეული წევრი არა მატო ერთობლივად წარმოვიდგენთ „სღვარის,“ არამედ ცალ-ცალკეც, ჩვენ-ჩვენი ნაღვაწიც კი ვეღარ გაგვისხვავებია ჯგუფის საერთო ნაღვაწი-

საგან, და ახლა ერთ კონკრეტულ გეზზე ვდგავართ, ამიტომაც სჩვა გეზს ვერ ავიღებ: ახლა „ხღვარის“ წიგნს ვამთავრებთ.

სტატიის შემაჯამებლად იმას ვიტყვი, რომ ლუარა სორდიას ნაშრომს თითქმის

ვერსად მოედავები. არის მხოლოდ ერთი თავი - „პოეტის „სულის ძიძები“, სადაც შეიძლება გარკვეული კითხვები დაისვას. მაგალითად: ამ თავში გამოცხადებულია, რომ ვაჟა ეგრისელი შეიძლება უმაღლესი რანგის ნებისმიერ ხელოვანს დაუდგეს გვერდით, როგორც ახალი, ისე ძველი დროისას, და ზოგი სუპერლეგენდარული სახელია, იქვე დაწერილი.

სიმართლეს ვიტყვი:

მე კარგად ვიცი, რომ როგორც ქალბატონი ლუარა, ასევე ქალბატონი გულნაზიც ძალიან აფასებენ ვაჟა ეგრისელის ვრცელ პოეტურ სამყაროს.

თუმცა ისიც ვიცი, რომ ბატონ ვაჟას, ბევრ მომხრესთან ერთად, მოწინააღმდეგეც ბევრი ჰყავს.

რომელი მხარეა მართალი?

მოდით, ეს საკითხი უდიდეს მსაჯულს, დროს მივანდოთ, იშვიათად-მტყუანს, უმეტესად- ყველაზე უფრო სამართლიანს.

დღემდე არიან ქართულ პოეზიაში ხელოვანები, რომელთა შესახებაც კამათი არ წყდება. მაგალითად: არიან თუ არა, ვთქვათ, ნიკო სამადაშვილი, შოთა ჩანტლაძე, გიორგი კორნაჟელი, შალვა მშველიშვილი, ბადრი გუგუშვილი და ზოგნი სხვანი გენიოსები?

ამ კითხვაზე ღღესაც დიდი ყოყმანია, ზუსტად პასუხს კი არა, მიახლოებით პასუხსაც კი ძნელათ თუ ვინმე გაგცემთ. უფრო ის ურჩევნიათ გითხრან: განმიმარტე, ზუსტად რას გ'ულისხმობ სიტყვა „გენიოსშიო“.

საბოლოოდ, იმ პოეტებს, ისევე,როგორც გახმაურებულ ვაჟა ეგრისელს, დრო ყველაზე უკეთ შეაფასებს. დრო ზოგს მოაკლებს რამეს, ზოგს მიუმატებს, თუმცა ყველას თავის ჭეშმარიტ ადგილს მიუჩენს.

ერთი კი ვიცი: თუ შორეულ მომავალშიაც წაიკითხავენ ლუარა სორდიას წიგნებს, ასე იტყვიან ამ ქალბატონის შესახებ: აი იგი, ვინც თავისი ნიჭს ტიტანური შრომისმოყვარეობა შეუზავა და ფილოსოფიურ-ფილოლოგიური შედევრები შექმნა; აი იგი, ვინც ლიტერატურულედ დახატა ბატონი რეზო მიშველაძე, ბატონი ვაჟა ეგრისელიც, ქალბატონი გ'ულნაზ ხარაიშვილიც და სხვანიც, და შექმნა ეპოქალური პორტრეტები თავისი დროისა, ლიტერატურულად დახატა თავისი ეპოქაც და სხვაც, რამეთუ იგი თუნდაც გენიალური გალაქტიონისა და გრანელის სახეებსაც ხატავდა თუ აქანდაკებდა სიტყვით... ხოლო რა არის ეპოქა?

ამ ბგერათნაერთს სხვადასხვაგვარი განმარტება აქვს. ჩემთვის კი, ახლა, ეპოქაკონკრეტული დროის სული არის.

საერთოდ?

საერთოდ დროის დიდი მონაკვეთის აღმნიშვნელად უფრო ამბობენ ხოლმე....

ახლა ზამთარია. იანვარი, თვე პირველი, ორი ათას თექვსმეტი წლისა.

გუშინ მაჩუქეს ქალბატონი ლუარას წიგნი.გუშინვე წავიკითხე, როგორც იტყვიან ერთი ამოსუნთქვით, დღეს კი, აი, უკვე დავწერე ეს სტატია; არა, არც შემეძლო. არ დამეწერა, – ძალზე მსურდა, რომ რაღაც მაინც მეთქვა ამ წიგნისა და მისი ავტორის შესახებ!


გამოვტყდები: ამ ნაშრომს, სანამ ცალკე წიგნად გამოვიდოდა, მანამდეც ვიცნობდი, თუმცაღა მისმა მეორედ წაკითხვამ ჩემში გაციცლებით მეტი აღტაცება გამოიწვია.

დიახ, როგორც ჩანს, მართლაც საჭიროა, რომ კიდევ და კიდევ მიეუბრუნდეთ ერთხელ უკვე წაკითხულ ქმნილებებს...

2016 წელი. თბილისი.

P. S. თუმცა უკვე საშუალო ასაკსაც მივაღწიეთ და ცხოვრებაში თითქმის ყველაფერიც ვნახეთ, მე და ჩემი მეგობრები, ხელოვნება-ფილოსოფიის გარდა, მაინც, თითქმის ყველგან, ჯერაც ისევ ახალმაძიებელთა სტადიაზე ვართ, თითქოსდა ახლად ვეცნობით, ვსწავლობთ, ვეძიებთ, ვეძებთ და

ვიკვლევთ სხვადასხვა გზებს (სხვათაშორის, ასეთ ახალმაძიებლებად ვრჩებით, ჯერ-ჯერობით, ვთქვათ, პოლტიკაში.) აი, ხელოვნება-ფილოსოფიაში კი პროფესიონალებად ვთვლით საკუთარ პიროვნებებს, და მინდა აქვე ვთქვა, რომ ქალბატონი ლუარას ნაშრომმა, განსაკუთრებით-სწორედ რომ ფილოსოფიურ – თეოლოგიური თვალსაზრისით, არა მარტო პირადად ჩემი, არამედ-მთელი ჩემი სამეგობროს აღტაცებაც გამოიწვია.



გვანცა ხარაიშვილი

მზის ქვეყანასთან მიახლოვება



ახალგაზრდა შემოქმედის საგულისხმო განაცხადი გვანცა ხარაიშვილის „რძისფერი ლექსების, პოემებისა და მოთხრობების კრებული", ჩმ. 2014 წ.

ნამდვილი მწერლობა, ნამდვილი მუსიკა, სულის ხმა, „სულის სიმღერაა", „საკრალური სიყვარულია". გვანცა ხარაიშვილის ძიების უპირველესი ორიენტირები.

გალაკტიონ ტაბიძემ თავისი დრო „მეფისტოფელის საუკუნედ" მონათლა, ტერენტი გრანელმა გალიად, გვანცა ხარაიშვილისთვის „ჯურღმულია", „ბანალურია", „უგრძნობია" ეს საუკუნე „მარგინალურია" ეს ქალაქი.

ხელოვნების მისია კი დასაბამიდან უცვლელია: „სინათლისა და ჭეშმარიტებისკენ გაუძღვეს", „ოცნებების მცველად" იქცეს თაობებისთვის.

ამისთვის აუცილებელია რწმენა, „რწმენა კი დაძრავს მთებს", ასე გაუთავისებია ახალგაზრდა შემოქმედს წმინდა წერილის სიბრძნე.

ძიებას სჭირდება „მხარზე გადებული იმედი", როგორც უზენაესი, რადგან წმინდა პავლე მოციქულის მიხედვით, ყოველგვარი ნიჭი სულიწმინდის მადლია (I კორინთელთა, თ. 12, 4-11).

მესამე თვალი, „შინაგანი მზერა", „შინაგანი ხმა", დიდი ინტუიცია და ინტელექტი თუ მიგაგნებინებს მიუგნებელს („მიუგნებელი მხარეები თუ აიძულეთ" ბრძანებს გალაკტიონი) ფსევდოპოეზიის ტევრში.

გვანცა ხარაიშვილს მართლაც მომადლებია ყოვლის

მხილველი თვალი, დედამიწაზე, ზეცაში მონავარდე, თუ კოსმიურში გამყვანი ფრთები, „სულიერი ფრთა“, „გონური ფრთა“, როგორც ჰიმნოგრაფებს, როგორც აკაკი წერეთელს, ვაჟა ფშაველას, გალაკტიონს, ტერენტი გრანელს.

„რადგან მოაქვს ფრთებიც, ვეკიდები უკულმა ხეებს და ხიდებს, შენობებს, ღამეს, სანამ სხივებს არ დამიშენს ცის მშვილდი, ფორთოხლისფერა“გვამცნობს გვანცა ხარაიშვილი (რაღაც ჩემებური).

ასტრალური მოგზაურობა განსაკუთრებულ ძალისხმევას „უმაღლესი წესრიგის“ გამბედაობას, სიმშვიდეს, შიშზე გამარჯვებას, საკუთარი ძალების რწმენას მოითხოვს. Рамачараина, Основа миросозерцания индийских иогов, Петербург, 1913, стр. 124)

ელენე რერიხის მიხედვით, სიკეთეს ზიარებულის სულის დისციპლინა იგივე ფრენის უნარია. საჭიროა ლოცვა სულის ფრთების გაძლიერებისთვის. ფრენას ჭირდება ისეთი სხეული, რომლითაც არ ეშინია სულს ფრენის. ფრთები იზრდება აზრით, შესაძლებელია გაფრენა ფიქრით.“ (Мозаика, Огни иога, в двух книгах, книга I, Тбилиси, 1990, стр. 31, 45, 88, 98).

ტრანსცენდენტურ პლანეტებზე გამგზავრებისთვის სულიერი ზეცის მისაღწევად საჭიროა სულიერი სხეული.

სხვა პლანეტებზე მოგზაურობის მსურველს ჰქვია „ხარვაგატა“, რაც ნიშნავს მას „ვისაც ყველგან მოგზაურობა სურს.“

„შრიმად-მჰაგავატი“ მე-2-ის სიმღერაში აღწერილია სულიერი ზეცისა და მისი მცხოვრებლების ბუნება.

„ჰაგავად-გიტაში“ დიდ მოგზაურობაზეა საუბარი. ჩვენ უნდა გადავლახოთ მატერიალური სამყარო და შევიდეთ სულიერ ზეცაში. ეს შესაძლებელია არა კოსმასური ხომალდებით, არამედ კრიშნას ცნობიერებით, სულიერი განვითარებით.

მწვერვალზე „ ცის არის მშვილდს“ ხედავდა გალაკტიონი „მე მოვდიოდი ერთი“, ეს სახელი რაღაც „რწმენის ფარი, სიმართლის ჯავშანი, ხსნის ჩაჩქანი, სულის მახვილი, ხსნის იმედის მუზარადი,“ არის ღვთის სიტყვა. (პავლე მოციქული ეფესელთა 6-17 თესალონიკთა 5,8).

პოეტ ქალს მზე, ზეცა, ვარსკვლავები უდგას თვალებში (შდრ. გალაკტიონი: „როცა თვალებში მზე იხედება, ნუ გენანება ხმის გამეტება“).

გვანცა ხარაიშვილი ეძებს „დროის მდინარის სათავეს, მიისწრაფვის „აღმა სათავისკენ, ამღვრევს „ბედისწერის მდინარეს“.

გალაკტიონი უახლოვდებოდა „მზის სათავეს“, მზე კი საღვთო სახელია: „მზე და ფარია უფალი ღმერთი.“ (ფს. 84,12).

პოეტი ქალის მიზანია „ოქროსფერ მზის ქვეყანასთან მიახლოება, „საწყისიდან საბოლოო პუნქტამდე მიღწევა.

გალაკტიონი საუბრობდა სულიდან მრავალი ანკარაწყაროს ამოჩქეფვაზე.

გვანცა ხარაიშვილი ელოდება „სულის ხევიდან“ ნაკადულების ამოხეთქვას.

გალაკტიონს ჰქონდა „ათასის მზერა“, „ათასის იერი“, მსოფლიო სივრციდან „ტიტან ტვირთებს“ ეჭიდებოდა.

გვანცა ხარაიშვილი „ათასთა სულის იარებს“ იტევს და თავს გრძნობს სამყაროს გულში: „... აქ თავს ისე ვგრძნობ თითქოს ვიყო სამყაროს გულში“.

სტეფან ცვაიგი საუბრობდა „ნაცნობი სულიერი სამყაროს ნაპირებიდან ბნელით მოცული შეუცნობლობის სვლისკენ, გრძნობის ახალი ზონებისკენ, სულიერი ცხოვრების ახალი სფეროებისკენ სვლაზე“, რაც ხელეწიფებათ არა მკვლევარ-მეცნიერებეს, არამედ „დიად-მაცნეებს, დიად მეოცნებეებს“. (დოსტოევსკი, ფანტასტიკური ღამე, 1960 წ, გვ 276).

გალაკტიონი წერდა: „ვიცნობ იმ ნაპირთა ასავალ-დასავალს, მაგრამ ყველაფერი ენით არ ითქმება“...

გვანცა ხარაიშვილი ეძებს საკუთარ სამყაროს, თავის ნაპირებს, რათა „მისი სული ნაპირებთან ღუზა ჩაუშვან“.

წარმატების სურვილს ეჭვებიც აემგზავრებოდა: „... მართოობა ზღვისფერი რწმენით, რომ არასოდეს აივსება სიცარიელე და იქნება მხოლოდ არდამტკბარი ლექსების მტვერი“.

ანა კალანდაძეც ხომ „სინათლისკენ ეჭვებით, უფსკრულებიდან ძლევამდე“ მიემართებოდა.

გვანცა ხარაიშვილს ჩაესმოდა შემოქმედისთვის აუცილებელი შეგონება: „ნურასოდეს დახუჭავ შინაგან თვალს“. იპყრობდა „ ცხრა მთის, ცხრა ზღვის გადავლების, ახალი ზღაპრების შექმნის“ სურვილი.

„მჭირდება სიტყვა, ვით წყალი თევზებს“, ირწმუნებოდა ტერენტი გრანელი. „მჭირდება სივრცე“, აღმოხდა პოეტ ქალს. დიდ ხელოვანში მრავალი მეა, მის სულში მთელი სამყარო სახლობს. ახალგაზრდა პოეტი შეპყრობილია საკუთარი თავის, სხვათა შეცნობის, სრულყოფილების მიღწევის სურვილით: „რომ არ ვიცოდე ვინ ვარ, რომ არ ვიცოდე ვინ ვარ, რომ არ ვიცოდე ვარ ყველა, ვინც არ მინდა, ვინც შემიძლია და არ შემიძლია ვიყო, ის მეყვარებოდა, ვინც დღის სინათლეზე წრფელი თვალებით ჩემში არარსებულ სრულყოფილებას მაპოვნინებდა“ (გვ 44).

მაქსიმალისტი პოეტის მიზანია „წარსულსა და მომავალში ცქერა“, „უკვდავების ნექტართან ზიარება, ზღაპრის სასახლის“ აშენება, „პირველ სხივებთან“ შეხვედრა.

აკი გალაკტიონი თავის „მშფოთვარ“ ყოფნაში „ნუგეშს“, „პირველი სხივის“ მოვლინებას ევედრებოდა „ხანდახან მშფოთვარ ქალაქის ხმაში“.

„მიწა რომელიც არ ორსულდება მუზებით, მოწამლულია შხამით“ და ამიტომაც პოეტი „მკვდარ გულწითელებს გულის სასაფლაოზე“ მარხავს. მისი წინამორბედი პოეტი ბიძისთვის, ბეჟან ხარაიშვილისთვისაც „ყველაზე დიდი სასაფლაოა გული“.

გალაკტიონის „ლურჯა ცხენები“ „ეფემერული და ფერადი ქარებით“ ქროდნენ, გვანცას სულშიც შთაგონების ქარები იჭრებიან, ზღვის ხმაურია სულში, როგორც გალაკტიონის არემარეში, რომლთანაც ზღვა შეთანაბრებულია მის გენიასთან: „ზღვა ახმაურდა, ეს ნიშნავს, რომ ახმაურდა გენია“.

დიდი პოეტები პოლუსებს, მერიდიანებს, პლანეტებს, კოსმიურს ელტვიან, როგორც გოეთე, ვაჟა, გალაკტიონი, ტერენტი გრანელი.

გვანცა ხარაიშვილის „რძისფერი მეგობარი,“ ანუ, „საუ-

კეთესო მეორე მე" საპირისპირო პოლუსებზე მკვიდრდება,წარსულსა და მომავალში ცქერის უნარით არის მომადლებული, მუდამ ფხიზლობს მისი სული, „შინაგანი თვალებით" ხედავს უხილავს, ესმის „შინაგანი ხმა".

პოეტი აფიქსირებს, რომ „ ერთისთვის წერა ფანატიზმამდე სისულელეა, სხეული კი სულის გარეშე ხე რჩება მხოლოდ".

„ერთადერთი გზა კაცობრიობის შეცნობისკენ საკუთარი თავის, ერის ფენომენის, მრავლის შეცნობისკენ, მწერლობაა". კონსტანტინე გამსახურდია ხომ მწერლის ამოცანას კეთილშობილი იდეებისათვის ლაშქრობაში ხედავდა. გალაქტიონი ხომ ცრემლებით რწყავდა თავისი სულის ყანის ვარდებს: „ო, იმ ცრემლებით ირწყვებოდა ჩემი ვარდები". გვანცა ხარაიშვილი ცრემლებით რწყავს შროშანებს, რაც მასთან პოეზიის რელიგიის მიხედვით მარიამ ღვთისმშობლის პარადიგმაა.

პოეტი ცხოვრების არსის, ჭეშმარიტების ძიებაში ათენაღამებს, მაგრამ ასკვნის, რომ „შეუძლებელია ჭეშმარიტება იქ იმალებოდეს, სადაც ასფალტი მარხავს მკვდრებს, მიწა კი ცოცხლებს." (რაღაც ჩემებური).

გალაკტიონი გარბოდა სნობებით სავსე ქალაქიდან, ხელთათმნიანი ფსევდოპოეტებისგან, ცოდვებით სავსე ჯოჯოხეთიდან ტყისკენ, ინაცვლებდა სადაც ესმოდა „ჯეჯილის მარაო-ქროლვა", „ძველებური არყების" შრიალი. ბუნების ციფერი ფერი ხიბლავდა, „ცისფერი სიტყვით" ეძებდა (გზაში ქალაქისკენ).

გვანცა ხარაიშვილი ტყეში, მინდორში „ლავიწებით' იშენებს „არტერიებით" შემოღობილ სახლს „ზეცის სახურავით", რათა „რძის გზიდან" შესვას უკვდავების ნექტარი, მზის „პირველ სხივებთან ერთად აშენებს ზღაპრის კოშკების „სასწაულს".

გალაკტიონიც ხომ „ნუგეშს პირველი სხივის" მოვლინებას ევედრებოდა. (ხანდახან მშფოთვარე ქალაქის ხმაში).

პოეტ ქალს გულწითელები უმღეროდნენ მზის სიმღე-

რებს, ნისკარტით მოჰქონდათ „მთავრეზე დაკრეფილი ქრიზანთემები". „სხეულში უცნაურ მელოდიას აჟღერებდნენ ბუნების სიმები". შემოქმედებას ცრემლი და გულის სისხლი ჭირდება, მსხვერპლის გარეშე მიუწვდომელია უზენაესი იდეალი. ამიტომაც ილანდებოდა პოეტი ქალის სახეზე სისხლის კვალი.

ტყის სევდები ყვავილებად ფეთქდებოდა, თვითონ კი ზმანებების, სიზმრების, ოცნებების ტყვედ იქცეოდა, ხარობდა იმედებით.

ტყის დევების, ჭინკების, ავსულები, არტერიებთან მოსული ტურების მოგერიება შესაძლებელი ხდებოდა „ელვის ცეცხლისებური ბრწყინვალებით" (რაღაც ჩემებური).

საერთოდ, მხეცები, ნადირები, გველეშაპები განასახიერებენ ადამიანის სულში არსებულ უკეთურობებს, რომლებიც მკვიდრობენ „პატივმოყვარეობის საშიშ კუნძულზე" (იოანე ოქროპირი, მართლისა სარწმუნოებისა, წ. მე-3, გვ. 160-161).

სახარების ღვთისმეტყველების ენაზე მებადურისა და მონადირის საქმიანობა იგავურად გაიგება და ვნებების, უკეთურობის დათრგუნვას ნიშნავს: „ნადირობა არის ბრძოლა ადამიანის ნეგატიურ საწყისებთან". რაინდულ სიმბოლიკაში მონადირე, რაინდი ის არის, რომელიც გადის კათარზისს, სპობს თავის ინსტიქტებს, ვნებებს, სურვილებს, რომლთაც განასახიერებენ მხეცები" (ზვიად გამსახურდია „ვეფხისტყაოსნის" სახისმეტყველება, წ. 1991, გვ 257).

სასულიერო პოეზიაში წმინდა გიორგი არის „ქრისტეს მონადირე, რომელმაც დასცა მხეცი იგი მძვინვარე" (იოანე მინჩხი, გალობანი გიორგისანი, ქართული მწერლობა 30 ტომად, ტომი პირველი, წ 1987, გვ. 507).

პოეტს მეგზურებად ჰყავს „რძის ფერი მეგობარი" , „ზღაპრული ნათლია" და „ცრემლებჩამდგარი ღამე მეცმეტე ზღაპრის ასულებს".

ცხოვრობს ზღაპრული აჩრდილების სამყაროში, ზმანებებით, სიზმრებით ევსება სული, ხოლო ზღაპრები, სიზმრები

მისი პოეტური გამონაგონის, წარმოსახვების სიმბოლოებია, როგორც ბოდლერთან, გალაქტიონთან, ტ. გრანელთან და გრ. რობაქიძესთან,

შემოქმედებით ფანტაზიის გამონაგონის სამყაროში შეჭრილი გალაქტიონი აცხადებს: ეს მართლა ხდება თუ მესიზმრება?

ტერენტი გრანელისთვის ხომ შემოქმედება დედამიწის სიზმარი იყო.

გვანცა ხარაიშვილი დიდი კლასიკოსების დონეზე ხსნის შემოქმედების ფსიქოლოგიას: „როცა მარტო ვარ და საკუთარი სხეულის ქუჩებში ცნობისმოყვარე ნაბიჯებით დავსეირნობ უამრავ სახეს ვაწყდები მეხსიერების ქვაფენილზე".

გალაქტიონი „მოგონებების ტალღათა მკრეფი" იყო

გვანცა ხარაიშვილისთვისაც მთავარია „მოგონებების კრეფვის გზა".

პოეტი ისახავს სულის უკვდავების გარდასხეულების თეორიას და დიდი ბერძენი ფილოსოფოსის - პლატონის დარად შემეცნების ერთ-ერთ უმთავრეს საფეხურად მოგონებას მიიჩნევს, რომლის მიხედვით პოეზია, ხელოვნება მოგონებაა, არა მხოლოდ ფიზიკური სამყაროსა, აწყმოს მოვლენების, არამედ მრავალი წინა ცხოვრების შთაბეჭდილებათა, გამოცდილებათა, ფაქტიურად ინტეგრირებაა, როგორც რეალური ისე სულიერ ქვეყანაში, ხილული საიდუმლოებების, რასაც გალაქტიონი „პოეზიის ინტეგრალებს" უწოდებდა.

გალაქტიონი ხომ „მოგონებათა მერანზე" იყო ამხედრებული, ტერენტი გრანელი „მიღმური სამყაროს" ხილვებს აცოცხლებდა თავის პოეზიაში.

გვანცა ხარაიშვილს, როგორც ორივე ქვეყანასთან წილნაყარ, ოცნებების მტრებისკენ, პრაგმატულობისთვის სიზმრებში გამოაქვს განაჩენი, ფარდას ხდის მათ „მჟავე სულებს" ჩვენმა სიზმრებმა, მერამდენედ აგვხადეს ფარდა, როცა ოცნებებს ვასხამდით მჟავას.

იმედის რაშებით დაჰქრის მრავალსახოვანი არუტინ მამათაშვილის მერნისა და გალაქტიონის ლურჯა ცხენების კვალდაკვალ.

თითქოს „გალაქტიკის ფერხულშია“ ჩაბმული მზერას აპარებს „თავგასული მერკურისკენ“ თუმცა უფრო „ადამიანური მარსისკენ“ მიუწევს გული.

პოეტს მიგნებული აქვს ზღვასავით უძირო სულის საიდუმლოებები, გაკვალული აქვს ზღვის „იასამნისფერ-ცისფერი ბილიკი გონებისა და გულისკენ მიმავალი“.

„კანი ხელის მტევნებში დაძარღვულ საუკუნეს უგრძნობდა“, ნათქვამია პოეტის „ალდერ ეგოს“- მართას შესახებ მოთხრობაში „მართა“.

არა ხორციელ, წარმავალ, ეფემერულ, არამედ ზეციურ, მარადიულ სიბრძნეს ეძებს, რაც დაუბადებელია მიწაზე, ძნელად მისაღწევია და მხოლოდ „უცხო შორეულ ქვეყანაში“ არსებობს, გალაქტიონს რაღაც წმინდა შორი ქვეყანა ესიზმრებოდა.

„ჭეშმარიტი სილამაზე იმაშია, რაც არ დაბადებულა, არასოდეს თქმულა და ამხდარა“, ასე ეხმიანება გენიალურ წინამორბედს გვანცა ხარაიშვილი.

ხელოვნის ნიჭი სასჯელია, მსხვერპლის გარეშე არ მიიწვდომება მარადიული ღირებულებები, რაც უდიდეს ძალისხმევას, გულის სისხლის, მთელი სიცოცხლის გაღებას მოითხოვს და ყოვლისშემძლეობის რწმენას უნერგავს შემოქმედს: „სასჯელად ოცნებების ახდენა დაუწესეს, ამიტომაც ტკიოდა ხოლმე დილაობით ლავიწები. ლავიწები ყოველთვის გრძნობენ, რომ რეალურად, შეუძლებელი არაფერია სამყაროში, წერს პოეტი ქალი.

გალაქტიონი „ქუხილს“ ელოდებოდა: „ქუხილო გელით, შენთან ვიბრძოლებთ, გამოექანე ზვირთი დასძარი, გვახსოვს, დილით მზე ამოდიოდა, მკვდარი მზე შენ კი ამოასწარი“ (ქუხილო გელით).

გვანცა ასე ეხმიანება დიდ წინაპარს: „ფიქრი არაფერია, თუ არა მომავლის ქუხილი ტვინში (მართა, გვ. 55).

დიდი პოეტები ადამიანური შესაძლებლობის იქით, ბედს იქით მიისწრაფვიან, რაც არც ამ ახალბედა, მაგრამ უნიჭიერესი პოეტისთვის არის შეუძლებელი: „... შემდეგ დროის ღო-

ბე მოარღვია და სულ მარტივად იქცა სიზმრები მოგონებებად"...

გალაქტიონს ესმოდა „ოცნების შრიალი" (მერი), წამწამების კანკალი (სამრეკლო უდაბნოშ), ტერენტი გრანელს - ცრემლის შრიალი.

უნიკალური სმენის პოეტ ქალს, ესმის რითმების სულში ფუთფუთი მატლებივით „ყურში გაცრუებული იმედების საშინელი ხმაური". მუდმივ შთაგონებული და სიზმრების სამყაროში მყოფი გალაკტიონი სინამდვილესაც სიზმრად აღიქვამდა: „ქვეყნად ყოველი დღე სიზმარია და სინამდვილეც მიჰყვება სიზმარს".

რეალობისა, სინამდვილისა და სიზმარ-ფანტაზიების სამყაროს და დაპირისპირება ასე გამოხატა გვანცა ხარაიშვილმა: „უსიზმრობამ მის სხეულში საუკუნის შეგრძნებები გაამძაფრა. სცადა მოგონებებს ჩასჭიდებოდა, მაგრამ ისინი ეროზიისგან შეჭმული მიწის მსგავსად უსხლტებოდა და რეალობის ციცაბო ბილიკზე თავქვე მიექანებოდა. უსიზმრობა, არაშთაგონებულობა მიწიერი სამყაროს ნეგატიურ შეგრძნებებს ამძაფრებს, ამიტომ ნუგეშია „მოგონებების ტალღათა კრეფა" (გალაკტიონი).

დიდ პოეზიაში მთავარია ნათელხილვა, ნათელსმენა, რაც მომავალში გაღწევის ერთადერთი გარანტიაა საღვთო სიბრძნესთან, საღვთო სიყვარულთან, ზეციურ მუსიკასთან ერთად.

გვანცა ხარაიშვილს სწყურია ღმერთი, „საკრალური სიყვარული", „შინაგანი ხმა აისისკენ უხმობს", ყურში ესმის „იმედების ხმაური", საკუთარ არსებაში „ორი საწყისის შეგრძენება" აქვს. არც წინათგრძნობებია მისთვის უცხო. „წინათგრძნობები... არაფერია, ვიდრე ძლიერი სურვილი რაიმეს მოხდენისა". რთული ამბები მისთვის მარტივია, შეუძლია „ქვეცნობიერის მართვა" (მართა, გვ 38).

მისი მიზანია „უმიზნო ხეტიალი", როგორც გალაკტიონისთვის, ტერენტი გრანელისთვის, რადგან ხეტიალი, მოგზაურობა ანტიკურ და შუასაკუნეების პოემებში ერთ-ერთი

მთავარი კომპონენტია ინიციატივისა. ასე, მაგალითად, მოგზაურობა იაზონისა, ოდისევსისა, ენესისა, შუა საუკუნეთა საგებისა და რაინდული რომანების პერსონაჟებისა (ზვიად გამსახურდია, ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, წ. 1991, გვ. 212).

პოეტის თვალებში ზეცა, ვარსკვლავები, მზე იხედება, რეალობაში კი „უსიცოცხლო თვალების მთელი ბილიკია" (მე, შენ და ანიკა გვ.76).

საკუთარ არსებაში ორ საწყისს შეიგრძნობს.

ვაჟა ფშაველა წერდა მიწას მიწურად და ცას ციურად .....

აკაკი წერეთლი „ხან მიწისა იყო, ხან ცისა".

ტერენტი გრანელი აცხადებდა: „ზეცა მწყურია და მიწა მშია".

დიდ ხელოვანების მახასიათებელია იდუმალება, ენიგმები. გვანცა ხარაიშვილის შემოქმედებაში „იდუმალების საბურველს" ენაცვლება „დავიწყების საბურველი".

მიზანი უნდა იყოს არა „ჩაფერფლილ ბუხართან" ჯდომა, არამედ მისი ხელახალი აგიზგიზება, დავიწყებული, უარყოფილი რწმენის – ცეცხლის ანთება-აალება.

სჯეროდა, რომ ლექსებით, სიტყვებით შესაძლებელია „ბედისწერის გარდუვალი რიტმების დამარცხება", მის „სხეულში ბუნების უცნაურ მელოდიას აჟღერებენ ბუნების სიმები".

პოეტი შემოქმედის მარადაქტუალურ კითხვას: „რა მოაშუშებს ათასობით სულის იარებს, რა მოაშუშებს, რა უწამლებს, ღირს კი გამიქრეს? აქ თავს ისე ვგრძნობ თითქოს ვიწვე სამყაროს გულში".

შემოქმედების იმპულსი, ტკივილები, წინააღმდეგობებია სამყაროს მრავალფეროვნება და არა იდილია, ამიტომ გრძნობს პოეტი „სამყაროს გულში." და თუმცა ტკივილი მწვავეა, ის არ უნდა გაქრეს.

პოეტი არა მხოლოდ თანადროულობის, არამედ ყველა დროის ტკივილებს დაატარებს, იზიარებს რა გარდასხეულების თეორიას: „ ჩვენ ვარსებობდით ბევრად ადრე სამყაროში. ჩემი წინა ცხოვრების ტკივილები სიზმრებში იხსნება და

ვთავისუფლდები იმ უსახელო ტვირთისგან, რომლისგან თავის დაღწევაც იმ გრძნობას ჰგავს, ვიღაცამ კოსმოსის სიმძიმე გამოგიდევნოს სხეულიდან.“

პოეტს მოაქვს არა მხოლოდ ხილული სამყაროს, არამედ სულიერ სამყაროში მიღებული შთაბეჭდილებები, თავისი მრავალი მეს ხილვა-ტკივილები.

გვანცა ხარაიშვილის ტრილოგია „ჩემი სამყარო“ (მესამე ნაწილი)

გვანცა ხარაიშვილი მისტიკოსი, მიღმურში მჭვრეტელი, ფილოსოფიურ პრობლემებთან შეჭიდებული პოეტია.

ორიგინალურია მისი ხელწერა მინიშნებებით, ქვეტექსტებით, ნიუანსებით მთელზე, არსებითზე მიმანიშნებელი.

მისი ტრილოგიის – „ჩემი სამყაროს“ ბოლო, მესამე ნაწილი ძიებაა სულის უკიდეგანო, განუჭვრეტელ ტევრში, შემოქმედის ურთულესი ფსიქოლოგიის ახალ-ახალი ასპექტებით დანახვა.

მეტაფორულია მისი სტილი, დეტალებით, ნიუანსებით არსებითის გაცნობიერებისთვის გამიზნული.

არაჩვეულებრივია ეს სამყარო, მიმანიშნებელი არა მიწიერ, ყოფით სამყაროზე, არამედ სულის კოშკებზე, სიტყვის ციხე-სიმაგრეზე.

„კაბა მაქვს მარჯნის, სამყურა ბალახი თითებს შორის ამომეზარდა, როგორ დავკარგო ის რაც ვიპოვნე, როგორ დავკარგო?“ – ასე გვიბნევს თავგზას მისი პარადიგმები, რადგან აქ არაფერია ემპირიული.

ხოლო ხელოვნება, პოეზია არის „გამოგონება, აღმოჩენა, შექმნა“, რაც გვანცა ხარაიშვილის სამყაროს ყველაზე მეტად მიესადაგება.

სწორედ პოვნის, ძიების ურთულეს გზებს ასდევნებია პოეტი.

მისი „ბედნიერების სახლი“ არც ქვით, არც ხით, ნივთიერი მასალისგან არ არის ნაშენები, ეს არ არის მიწიერთა, აგურის ნაშიერთა სამყოფელი, პრაგმატული ბედნიერება...

პოეტის საზრდოა „ჭიქა წყალი“ და „წვიმა“.

წვიმა უფლის სახელია ფსალმუნში: „ იგი ჩამოვა, როგორც წვიმა მოთიბულ მდელოზე, როგორც წვეთები მიწას რომ რწყავენ“ (ფს. 71,6).

„ვარდისფერი წვიმა“ მოდის ანა კალანდაძის პოეზიაში, ტერენტი გრანელი ელოდება „ცისფერ წვიმას“, ანუ უზენაეს მადლს.

მხოლოდ უფლის წვიმაა სულიერი გვალვის წამალი, ამიტომ არის გვანცა ხარაიშვილისთვის წვიმის მოვლენა „ ხელახალი დაბადების“ მაცნე.

წყალიც საღრმთო სახელია. ღმერთის სიმბოლო არის „სიცოცხლის წყალი“ (იოანე მოციქულის გამოცხადება 22, 17), „ცოცხალი წყლის მდინარე“ (იოანე, 7, 38).

წყლის ძალას შეიგრძნობს პოეტი ქალი, ამბოხების ცეცხლია მის არსებაში.

ედგარ პოს მიხედვით, შემოქმედი საჭიროებს ისეთ ცეცხლს, რომელსაც ვერ უძლებს ჩვეულებრივი მოკვდავი („ოვალური პორტრეტი“).

პოეტები მეცხრე-მეათე ცაში სახლობენ. იქ აღწევა კი ჰგავს (ოთხივე ოკეანის ნიჩბიანი ნავით გადაცურვას“, გვამცნობს გვანცა ხარაიშვილი.

ამაღლებისთვის საჭიროა ცოდვების ზღვის, უკეთურობის ქვეყნიდან გაღწევა, როგორც ბიბლიაში, უცხოურ თუ ქართულ პოეზიაში.

სამშობლოდ უნდა იქცეს ზეცა, სიწმინდის, უზენაესის, ანგელოზების სავანე, როგორც ტერენტი გრანელთან („ჩემი ნაზი სამშობლო ლაჟვარდები ცისფერი“), გალაკტიონთან („შუქად მშობლიურ ცას შეეშენები“), როგორც მერაბ კოსტავასთან („ჩემი სამშობლო ზეცაა თავად“).

გალაკტიონი „ვარდისფერი საფეხურებით“ მიიწევდა ქვეცნობიერის სიმბოლო დიონისესკენ („მარმარილო“).

გვანცა ხარაიშვილი „მარადიულობით დათოვლილი მწვერვალებისკენ ისწრაფვის „თვალუწვდენელი კიბეებით“.

კიბე მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოდაც გაიაზრება სიღვთიმშობლო სახისმეტყველებაში.

მაღალი მიზნის მიღწევას სჭირდება რწმენა, არაადამიანური ძალისხმევა, მსხვერპლი და პოეტი „სისხლის ნაკვალევს“ ტოვებს.

შემოქმედისთვის შეუძლებელია ბედნიერება იყოს მატერიალური ფასეულობები, ოქრო.

გალაკტიონი ამბობდა: „არ მინდა ოქროს პოვნა, რაც მსოფლიოში არი, ჟღერს სამშობლოს ხსოვნად, ძვირფასი ოქროს ქნარი“.

პოეტი კლონდაიკისკენ – ოქროს საბადოსკენ ისწრაფოდა სიტყვის ოქროს საძებნელად ისევე, როგორც ადგარ პო კოლორადოსა და ელდორადოში არა ნივთიერი ოქროს, არამედ ოქროს სიტყვის მოსაპოვებლად.

გვანცა ხარაიშვილს გაცნობიერებული აქვს თავისი გზის სიძნელე, გარჩეული აქვს მიწიერი და ზეციური სიბრძნე, ის საღვთო, მარადიული სიბრძნის, საღვთო სიყვარულის, ზეციური მუსიკის ტრფიალია...

პოეტის ბედნიერება „კედლებზე სუროს ფოთლების“, „გარითმული ფიქრების“ ხილვაა.

ძიების შედეგების წინასწარი გაელვებაა შემდეგ სტრიქონებში: „ეზოში, ცრემლებივით მარილიან ტბაში დაცურავდნენ ჯერ არდამდგარი დღეები და ეს დღეები სიტყვებს ჰგავდნენ ჩურჩულით ნათქვამს.“

აქვე, „თხუნელების გადათხრილ ოთახში შპალერი წერილებს ისხამს. შენი თითებისსუნიან წერილებს“ (შდრ. ახალი აღთქმის „სიკვდილის სურნელი“ და „სიცოცხლის სურნელი“ ან გალაკტიონის „დროის სურნელი“).

ბედნიერება აღმოჩნდა „დიდი სახლის კედლებზე“ „სუროს ფოთლების“ და „გარითმული ფიქრების“ პოვნა.

ასევე ხედავდა გალაკტიონი მესამე თვალით ჯერ არდაბადებულ ფიქრებს მთელ სამყაროში. „დედამიწას გარინდებულს მოხვევია ფიქრთ სამოსი“, „ფიქრში გახვეულა ბნელი დერეფანი“, „ჰკრეფს ცის ლაჟვარდი ფიქრთა შადრევანს“, „ხევში მიმოჰქრის ნელი ნიავი, ნიავი ფიქრთა ათასი ნავით“...

გრიგოლ რობაქიძე ასევე კითხულობდა საიდუმლო ნაწერებს ყველგან: „რაც ხდებოდა, ყველაფერი იწერებოდა, ოღონდ არა ღიად, არამე საიდუმლოდ, როგორც ინდოელთა აკაშა. იწერებოდა ხეზე, ქვაზე, ძაღლის დინგზე, ადამიანის შუბლზე, მთის ფერდობზე, ტალღებზე, ხავსზე, (....). საიდუმლოდ ყველაფერი იწერებოდა ყველგან." (ჩაკლული სული).

ყველას როდი აქვს მომადლებული „სევდის ბოლქვებით დანაყრების" უნარი, არც ზღვის მლაშე წყალი კლავს წყურვილს და აუცილებელია „მზის სხივების" კონა ბრწყინავდეს სულში.

მაგრამ როგორც პოეტი ამბობს, ღმერთს სხვაში ვერ იპოვნის ის, ვინც საკუთარ თავში დაკარგავს მას.

„მშვიდი ძილი" დასასრულის დასაწყისია, რადგან შემოქმედება გამუდმებული შფოთვაა, ხილვების, წარმოსახვების მოვლინებაა, უხმო ხმების მოსმენაა, ცხადში მარადიულ ბორიალი, „თვალღია სიზმრებში ცხოვრება".

პოეტები იხრჩობიან დიდი „სიყვარულის ზღვაში. ზღვის გადალახვასავით ძნელია სიყვარულის ზღვის გათავისება, ბევრნი იხრჩობიან მასში. შემოქმედებას მუზა აჭირდება, ერთგულების ფიცი მრავალგზის წარმოთქმულა, მაგრამ „ფიცი იდება იმისათვის, რათა ოდესმე გასატეხად გაიმეტო", გვიზიარებს თავის გამოცდილებას გვანცა ხარაიშვილი.

ხდება „დაპირების თაფლივით, ტკბილი სიტყვების გულწრფელობის სასმისით გამოცლა", მაგრამ სიყვარულში იმედის გაცრუების გამო სისხლით იღებება მოგონება, ხდება გრძობის ცეცხლზე უფერფლოდ დაწვა.

და „სულზე დატოვებულ წითელ ლაქებზე შავი წერტილების" დასმით ამოდის „ბევრი ყაყაჩო"...

„ფილტვები გაზაფხულზეც დაითოვლა".

გალაკტიონის პოეზიაში გაზაფხულზე თოვლით იმოსება ნაძვი, გაზაფხულზე იყინება ნაკადული, „ავდრის მოლოდინია" ირგვლივ. უამინდობა დაღუპვის შიშს უმძაფრებს ტერენტი გრანელს: „უამინდობამ მე დამამძიმა და ისევ მოდის

დღე დამღუპველი". ავდრის მოლოდინისგან შფოთავდა გალაკტიონი.

„მეცხრე ცის თავზე მეათე ცა უამინდობით დაავადდა". გვანცა ხარაიშვილისთვის ყველაზე დიდი ტრაგედია სულის უამინდობაა. მთავარი გადარჩენა და მეცხრე ციდან მიწაზე დაბრუნებული პოეტის – უძღები შვილის საკუთარ „მარტოობის სავანეში" „დავიწყებისგან გადარჩენილი მიზნების" ერთგულებაა.

ჩაბნელებულ სულში დემონები მკვიდრდებიან, ისინი აღვიძებენ სულის კუნჭულში მთვლემარე ანგელოზებს და იმართება მათ შორის ჭიდილი... რომელი რომელს სძლევს ამ ბრძოლაში დამოკიდებულია იმაზე, რამდენად არის გაფხრეწილი სულის კუნთზე, აქ მთავარია ავტორის ძალისხმევა, ასე ფიქრობს გვანცა ხარაიშვილი.

გულის ჯებირი მორღვეულია, „ცოცხალი აჩრდილების ბორიალია ამ სამყაროში".

აჩრდილებმა ხელ-ფეხი უნდა შეიხსნან, სული უნდა ჩაიდგან შემოქმედისგან.

გარდაცვალება დავიწყებას არ ნიშნავს, ჩვენგან წასულთა კვლავ მოვლინების, სიტყვაში გაცოცხლების, ან გარდასხეულების რწმენა-მოლოდინია ნუგეში, პოეტს აქვს განცდა, რომ ცხოვრობდა „ათას ერთი წლის წინათ", იშვა „ათას მეერთედ".

მთავარია გამარჯვება-დამარცხების გაკვეთილებიდან სწორი დასკვნების გამოტანა, ცხოვრების გამოცდების წარმატებით ჩაბარება, გამოცდების, განსაცდელების მოვლინება კი მრავალგზის ხდება უზენაესისგან, ადამიანებისგან.

პოეტი გაკვეთილს იღებს „მინდვრის ყვავილებისგან", რათა ისწავლოს „ზამთრის გამოდევნა ფიქრებიდან", გაზაფხულისთვის მზადება, „ძებნა მხარზე გადებული იმედით", რათა გაასწროს დროს, რადგან მისი განცდით, „დღეა შვიდი ათას ოცდამეთხუთმეტე", რაც მომავალში გადახედვის მომასწავლებელია, როგორც გალაკტიონთან, რომელიც აცხადებდა: „დრო ხვალინდელი გააწინდელა"...

გვანცა ხარაიშვილი „ბედისწერის გამჭვირვალე მდინარეში“ ეძებს თავის „რძისფერ მეგობარს“, ანუ მეასე თუ მეშვიდე მეს, ემოციებით დახუნძლულს, მაჯისცემაში შემოაქვს საუკუნეები, წარსული, მომავალი.

უძლები შვილის მიწაზე დაბრუნება აუცილებელია, რათა „მარტოობის სავანეში“ გადაისინჯოს მიზნები, რადგან შტაინერისა არ იყოს, ადამიანის მიზანი მაინც დედამიწაზეა საძიებელი, მაგრამ ცხოვრების გარდაქმნა, მასზე ზემოქმედება მხოლოდ სულიერ სამყაროსთან, შემოქმედ ძალასთან წილნაყართ ხელეწიფებათ, მიწისა და ზეცის შეერთებით, გრძნობადისა და ზეგრძნობადის დაკავშირებით.

გვანცა ხარაიშვილს სწამს, რომ „მზისფერი დედოფალივით“ შეიმოსება „მოლურჯო კაბით“ და „უნიღბო მეჯლისზე“ გამოცხადდება, როგორც გალაკტიონის „დომინოში“ დომინო, დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ დომენიკო – ქრისტეს მებაღე. მჯერა, მკითხველი მოუთმენლად დაელოდება პოეზიის „მზისფერი დედოფლის“ – გვანცა ხარაიშვილის ხელახალ მოვლინებას სიტყვის მეჯლისზე.

დიდი ხელოვანი უპირველესად, როგორც საკუთარ სულს, ისე ენის ფენომენს უნდა აცნობიერებდეს. იგი ერის სრულყოფილი სახეა, მისი ყველა ნაკლის, ყველა ღირსების, მისი პლიუს-მინუსების კარდიოგრამაა, რათა დაძლიოს ნეგატიური მხარეები, დავიწყების უფსკრულში ჩაძიროს მანკიერებები: „გულში რა მიდევს სრულიად ერის ყველა ნაკლი, ყველა ღირსება, დაძლევისა და დავიწყების პერსპექტივებით“. (უსათაურო, გ.ხ.)

სჯერა, რომ ლექსებით, მიზანმიმართული სიტყვებით შესაძლებელია „ბედისწერის გარდუვალი რიტმების“ დამარცხება.

აძრწუნებს, საზოგადოებაში გაუცხოების პრობლემა, რომელსაც დაბადებიდანვე შეიგრძნობდა: „ ერთი თვის იყო, როცა მიხვდა რომ ადამიანები სამყაროსთვის ისეთივე უცხო სხეულები არიან, როგორც პირისთვის საწოვარა“.

მრავალგზის იჩენს თავს არასრულყოფილებით გამოწვეული სატკივარი: „ თუ კი „დედამიწა“ ჩვენი სახლია, რატომ ვერ ვეტევით მაშინ ოცნებით და რატომაა ასეთი დიდი ჩვენი რეალობისთვის.“

აღდგომის იასამნისფერი სუნი რომ სცემს, აღდგომის მოლოდინი რომ აქვს, იმასაც ხაზს უსვამს, რომ „აღდგომა შეუძლებელია უცეცხლოდ,“ ანუ უღმერთოდ, რადგან ცეცხლი საღმრთო სახელია.

„მარგინალურ ქალაქში“ გაუცხოებაა, მაგრამ „გაცრეცილი გოგო გაცრეცილ წინაპრებს“ ყოველ დილით ზეცის კიდესთან ხვდება მზის ამოსვლისას.

„სიკეთეშიც კი მეტასტაზებია წასული მარგინალურ ქალაქში, სამაგიეროდ ბოლმა ზეიმობს თავის ას მეერთე დაბადების დღეს.“ (დარჩენა, გვ 53).

მხოლოდ პოეზიით, შემოქმედებით ქრება „ერთფერი, გაცვეთილი სიცოცხლის ერა, „ჩრჩილშეჭმულია ამაღლებული სურვილები“.

შინაგანი ხმის კარნახია „ნურასოდეს დახუჭავ შინაგან თვალს“.

ირგვლივ „უნიჭო ნიღბებია, წაშლილი სახეები“.

იქ, შიგნით, წაშლილი ნაკვთებით, შიშით, სიცრუის ნაჭუჭში გამოკეტილები, წიწილის ჩანასახოვან უჯრედებს ჰგვანან, შეიძლება ნაჭუჭში მოკვდნენ, ან მკვდრები დაიბადონ.“

„წყლისფერი გოგო ისე მიაპობს დამრეც ქუჩებს, ჩქამსაც არ იღებს ემოციის არცერთი ტალღა.“

„იწვება ღამე გრძნობების ცეცხლში და ახლა არვინ ეძებს იესოს რათა ჯვარს აცვას. ჩვენმა სიზმრებმა მერამდენე აგვხადეს ფარდა, როცა ოცნებებს ვასხამდით მჟავას.“

და სავალალო დასკვნა: დრო არასოდეს არ ასხამს ჩვენს წისქვილზე წყალს, ბედნიერებამდე კუს ნაბიჯებით მიღოღავს, ბედნიერებიდან კი ქარივით მიჰქრის და ნალოლიავებ ოცნების ხუხულას ისე შლის, როგორც სანაპიროს ტალღები ქვიშის კოშკებს.“

პოეტს სცემს „არყოფნის სუნი, ლოდინისა და სიკვდილისგან აჩრდილადქცეული „მე". ამასთან, „აქაფებულ ტალღებში „რძისფერი მეგობრის" ზმანება ჩნდება, რომლის თვალებშიც ინახება „საუკეთესო მე".

პოეტი ხედავს „დამშრალ წყაროებს, დედამიწის ღრმა ქანებში „ჩაკარგულ-დაწრეტილთ", ეკლიან გზებს, ტრამალს, უდაბნოს.

ფილოსოფიურ პრობლემებში ჩაღრმავებული მწერალი სვამს კითხვას: „ოცნებები უნდა ხდებოდეს, თუ სწორედ მათ მიუწვდომლობაშია მთელი სიდიადე?" (გვ 106)

პასუხიც ასეთია, „ზოგი უნდა ხდებოდეს, ზოგი არა".

„ადამიანებმა კი ახდენილი თუ აუხდენელი ოცნებებით ერთნაირად ტკბობა უნდა ვისწავლოთ... ადამიანი ტანჯვისთვისაა გაჩენილი... ხომ გაგიგია: „მაგრამ ზოგჯერ ჩუმ ტანჯვაშიც, არის დიდი ნეტარება," იმოწმებს ავტორი წინაპარ კლასიკოს პოეტს.

მთავარია „რეალურ დროსა და სივრცესთან კავშირი" (გვ. 60).

მის პერსონაჟს შინაგანი ხმა გარეთ, არსისკენ უხმობს (გვ.59).

შეუძლია „თავისი ქვეცნობიერის მართვა, რასაც რაციონალურად იყენებდა კიდეც თავისი მიზნისთვის – ადამიანებს ემოციებს პარავადა და სარკის უსასრულო სივრცეში აგურებად ათავსებდა" (გვ 58).

„ოთახში მთვარეულივით დადიოდა და ემოციების სარკეში ხელებს აფათურებდა..."

სარკე ქრისტიანობამდელი, ანტიკური ეპოქიდან მომდინარე სიმბოლოა.

ტიბეტურ მკვდართა წიგნში გვხვდება კარმის სარკე, რომელშიც აირეკლება მიცვალებულის კარგი და ცუდი საქმეები (ზველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, 1990 წ, გვ 260).

პლატონის „ტიმაიოსში" (თბ. 1994 წ.) „გონებიდან მოანებრი აზრობრივი ძალმოსილების არეკვლაზე სარკის მიერ,

რომელიც იჭერს საგანთა გამოსახულებებს და ლანდებსღა უბრუნებს მზერას" (გვ. 333).

ნეოპლატონურ და ანტიკურ ესთეტიკაში სარკე მიიჩნეოდა გონების სიმბოლოდ. სარკე იყო აგრეთვე ეთერისა და ცის თაღის სიმბოლოც.

დიონისო სარკეში ჭვრეტდა თავისთავს და ქვეყნიერებას.

სიბრძნის ქალღმერთ ათენას გამოსახავდნენ სარკით ხელში.

სარკე გონების სიმბოლოა დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში", აგრეთვე ღმერთის ყოვლისმხილველობის: „უფლის გარშემო დადგმულია სარკენი დიდნი" (გვ 311).

გოეთეს ფაუსტში „სიმართლის სარკე" არის ღვთაებრივი გონების სიმბოლო.

სარკისა და სახის „გაიგივება ხდება პავლე მოციქულის სიტყვებში (მეორე კორინთელთა, 3,18).

სარკე გონებას აღნიშნავს „ვეფხისტყაოსანში". ავთანდილის ფრაზას: „იაგუნდი ეგრეცა სჯობს, ათასჯერამც მინა მინდა", ასე განმარტავს ზვიად გამსახურდია: „თინათინის (გონება სარკის) სამყარო შუშაა, ტარიელ-ნესტანის სამყაროსთან, იაგუნდთან შედარებით. გონებისადმი სიყვარული ვერ შეედრება ღვთის სიყვარულს, საღვთო მიჯნურობას. იაგუნდი, ანუ იადინთი სიმბოლოა საღვთო სიყვარულისა" (ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის" სახისმეტყველება თბ. 1990, გვ 250).

„სარკით ღმრთის მხედი" გონებით ღმერთის მხედი, სარკის გაწმენდა გონების გაწმენდაა" (იქვე, გვ 25).

სარკის სიმბოლო გვხვდება რილკეს, სიმბოლისტების, რეალისტების, გალაკტიონის შემოქმედებაში.

გვანცა ხარაიშვილი ხაზს უსვამს ქართველთა ტოლერანტულ ბუნებას.

სიკეთის არსებობას მაინც აღიარებს: „ სასწაული კი არა შანსი მჭირდებოდა, შანსი იმისათვის, რომ ვინმესთვის ბედ-

ნიერება მიმენიჭებინა და გასამრჯელოდ ჩემი სითბოჩამდგარი თვალები მიმეღო".

მეგობრობის ჰიმნია „ძალიან არასაახალწლო მოთხრობა". „მჯერა, რომ მეგობრობა შეიძლება თვალებით და ხელებით დაიწყოს", გვარწმუნებს ავტორი (გვ 93).

მოთხრობაში „მე და ჩემი ქუჩის მათხოვარი" ისევ სიცოცხლის მიზნის ძიებაა: „ რა რთულია არსებობდე ისე, რომ შენ ყოფნას ახსნა მოუძებნო" (გვ 82).

და ისევ კითხვა: „რატომ ხდება ზოგიერთის ზღაპარი და რატომ აქვს უმრავლესობის ოცნებას ჩანასახშივე ფრთები შეკვეცილი?" (გვ 82-83).

მათხოვარი ლოცვით ეძებს „სინათლის რაიმე წყაროს ავი ფიქრების გასაფანტავად".

როცა ერთმა ინტელიგენტმა მამაკაცმა ყვავილები აჩუქა ქუჩის მათხოვარს, მან „გაიღიმა ისე, თითქოს ამ ყვავილებს პირთამდე აევსოთ მისი ბედნიერების ფიალა, თითქოს გვირილების ყვითელ გულებში მზის სხივებს დაედოთ ბინა, თითქოს რაიმე ჯადოსნობის წყალობით დაებრუნებინოთ მისთვის ახალგაზრდობა."

„იმ წუთას მივხვდი, რომ არსებობდა რაღაც, რაც გვაერთიანებდა მე, ჩემი ქუჩის მათხოვარს და სრულიად სამყაროს ერთმანეთთან – ეს იყო იმედი იმისა, რომ ამქვეყნად ყოველთვის იარსებებს ადამიანი, ნაცნობი თუ უცნობი, რომელიც ყველაზე რთულ მომენტშიც კი მოგცემს უფლებას გაიღიმო, გიყვარდეს, გჯეროდეს" (გვ 84).

გვაგონდება ნიკო ლორთქიფანიძის „დადიანის ასული და მათხოვარი", რომელშიც მათხოვარს ომის დროს მის გადამრჩენ თავადის ასულთან მადლობის ნიშნად მიაქვს ყვავილების თაიგული.

მეგობრობის, სიკეთის ჰიმნია გვანცა ხარაიშვილის „ძალიან არასაახალწლო მოთხრობა", რომელშიც სტუდენტი ახალგაზრდების უანგარო მეგობრობა და ჰუმანიზმია წინა პლანზე წამოწეული.

სიკეთე უკიდეგანოა. ნიუ-იორკში გამგზავრებულმა სტუდენტმა გოგონამ „საკუთარი მათხოვარი გაიჩინა, ამაზე მეგობარს მისწერა თბილისში (ამით მასაც მისცა ქველმოქმედების სტიმული): „ ... უკვე ჩემი მათხოვარიც მყავს ქალაქში. სრულუფლებიანი ნიუ-იორკის მოქალაქე მაშინ ხდები, როცა საყვარელი მათხოვარი შენი ქუჩის კუთხეში თვალანთებული გელოდება“ (გვ. 92). „მახსოვს რამხელა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მისმა სიტყვებმა. ამის შემდეგ მეც გავიჩინე ჩემი პირადი მათხოვარი და დღე არ გავიდოდა, ხურდა ფულით ან სასუსნავით არ გავმასპინძლებოდი“ (გვ. 92).

მთხრობელი მაქსიმალისტია, უზარმაზარ ფილოსოფიურ პრობლემებზე შეჭიდებული, სიცოცხლის არსის, მიზნის მაძიებელი და მისგან ბუნებრივია ზღვარის გავლება სიცოცხლეა და არსებობას, უმიზნო სუნთქვასა და ამაღლებული იდეალების მსახურებით მიღწეულ ბედნიერებას შორის: „სიცივისგან აბრაწულ სახეს ვუშვერთ ფიქრებს – მხოლოდ ასე შეიძლება იგრძნო – რა ახლოა სიცოცხლე და რა შორს არსებობა. (ძალიან არასაახალწლო მოთხრობა, გვ. 104).

მრავალმნიშვნელოვანი პასუხი შეიძლება არსებობდეს კითხვაზე: „რას აკეთებენ ადამიანები როცა ბედნიერებას პოულობენ?“

ან: „ რა მოაშუშებს ათასობით სულის იარას ღირს კი გამიქრეს?“

ქართველი მკითხველი განებივრებულია „ვარდისფერი თოვლის“,

„ვარდისფერი სიკვდილის“, „ცისფერი სიკვდილის“ სახეებით.

გვანცა ხარაიშვილთან ნაცრისფერი, იასამნისფერი, ვარდისფერი ფერები „ვარდისფერი წვიმის“ მონატრებაა: „ცას აღარ უნდა ასე ითოვოს, ცას უნდა მხოლოდ ვარდისფერი წვიმებით წვიმდეს.“

„ვარდისფერი წვიმა“ საღვთო სახელია ანა კალანდაძის ლექსში „მე მივატოვებ აიდის ქვეყნებს“. ანალოგიური შინა-

არსისაა ტერენტი გრანელის „ცისფერი წვიმა, შორეული ღრუბლის წვიმა“.

„ლურჯი ფერის სიკვდილი და ანთების“ მოლოდინია გვანცა ხარაიშვილის შემოქმედება.

მისთვის უცხო არ არის გლობალური დათბობის, დედამიწის გარდაცვალების შიში (შდრ. ჟიულ ლაფარგის „სამგლოვიარო მარში დედამიწის გარდაცვალებაზე“, გალაკტიონის მზის გახელილი თვალებით სიკვდილი).

გვანცა ხარაიშვილისთვის ორგანულია „ზღვაში ჩაკარგული ვნებების ხორცშესხმა, ტალღებთან საშიში თამაში, ჩაძირვა სულის სიღრმეებში, სიტყვების გალაქტიკის ფერხულში ჩაბმა“, აღდგომის მოლოდინი.

წიგნში მრავალი ორიგინალური შედარება, ეპითეტი თუ სიმბოლოა: „მყარი რეალობის ამებისმაგვარი სხეული, ფთილა ღრუბლებზე უფრო მკრთალი სული, აქ სევდა არ ითქმის და არ იწერება, ის შეიძლება მხოლოდ გაიგონო, შეიგრძნო „ჰაერში მოციმციმე მოლეკულების მყრალი სუნი, არყოფნის სუნი, შროშანის სული, აღდგომის იასამნისფერი სული“.

გვაგონდება გვანცას „წერილი ბეჟანს“, რომელშიც ხაზი გაუსვა თავის სულიერ თუ გენეტიკურ კავშირს ბიძასთან –პირველხარისხოვან პოეტთან – ბეჟან ხარაიშვილთან. მას უწყვეტი შინაგანი სიახლოვე აქვს მარადიულ სავანეში დამკვიდრებულ ღირსეულ წინაპართან, გამუდმებით გრძნობს მის მზერას, „მარადიულ სევდას“.

ახალგაზრდა პოეტს არ ეშინია სიკვდილის, რადგან სჯერა სულით წმინდა ადამიანთა უკვდავება, რომ მიღმა სამყაროში, სივრცეებში ისინი ერთმანეთს შეხვდებიან, როგორც „პალადინები ერთი იმედის“.

„დღეს სიცივეს მათრახი გადუჭირა მზის ათინათმა“, წერს პოეტი და მართლაც, მზის ათინათი გვარებს გვანცას შემოქმედებაში, როგორც მისი სახე – გულნაზ ხარაიშვილის გამორჩეულ კრებულში „მზის ათინათი“.

აშკარაა, გვანცა ხარაიშვილს ძალზე საგულისხმო იმედისმომცემი განაცხადი გააკეთა თავისი პირველი წიგნით.

ამ სახეების წყაროა ფსალმუნი: „იგი ჩამოვა, როგორც წვიმა მოთიბულ მდელოზე, როგორც წვეთები, მიწას რომ რწყავენ“ (ფს. 71, 6),

ან: „ბარაქიანი წვიმა აწვიმე, ღმერთო შენს ამკვიდროს“ (ფს. 67,10).

ჩვენს მიერ მოძიებული პარალელები კლასიკოსებთან არამც და არამც არ არის ახალგაზრდა პოეტის ეპიგონობის მაგალითები, პირიქით, დასტურია იმისა, რომ მის მაღალ, ციცაბო მწვერვალებს შესდგომია და ხელეწიფება მხარი გაუსწოროს წინაპარ ტიტანებს, გაითავისოს მათ მიერ დამკვიდრებული სიახლეები, რათა საკუთარ, განუმეორებელ გზაზე მყარად დადგეს და გვჯერა, ეს ასეც იქნება.

შეგონებანი, ხატოვანი ფრაზები გვანცა ხარაიშვილის წიგნიდან „რძისფერი ლექსების, პოემებისა და მოთხრობების კრებული“ თბ. 2014.

ფიცი იდება იმისთვის, რომ ოდესმე გასატეხად გაიმეტო.

ღმერთს ჯერ საკუთარ თავში პოულობენ, მერე სხვებში.

მეცხრე ციდან მიწაზე დაბრუნება იყო უძღები შვილის დაბრუნება სახლში.

დემონები მონდომებით აღვიძებენ სულის კუნჭულში მთვლემარე ანგელოზებს.

გარდაცვალება დავიწყებას როდი ნიშნავს.

წინ კიდევ ბევრი გაკვეთილია, მასწავლებელი – უფრო მეტი.

გულის მორღვეულ ჯებირებში ვინც შემოვა, ყველა როდი შეძლებს დარჩენას.

ნამდვილი მწერლები, მხოლოდ სიყვარულით წერენ.

ნამდვილი პოეტი ყოველთვის მუზებს ელოდება, რათა ისინი აქციოს ზღაპრების ზეიმად, სიზმრების ქალღმერთებად, ოცნებების მცველებად.

ნამდვილი მუსიკოსები სულის სიმღერებს მღერიან, რათა სხვების შინაგან სამყაროს გაუძღვნენ სინათლისა და ჭეშმა-

რიტებისაკენ და ასე აქციონ ადამიანები საკუთარი თავების დამსჯელ-მიმტევებლებად.

ნამდვილი კომიკოსები ცრემლს და ღიმილს ერთნაირი ოსტატობით გვგვრიან, რათა თავად გადავწყვიტოთ, თუ რომელმა მათგანმა შეაღწია ჩვენს გულებსა და ემოციებში ისე ღრმად და ნაყოფიერად, როგორც პაწაწინა მდოგვის თესლმა ნაწვიმარ მიწაში.

ნამდვილი ხელოვანები გულმავიწყები არიან, რადგან შემოქმედება მოითხოვს დაივიწყო ყველა ის წვრილმანი, რითაც სამყარო და ხალხი ერთნაირი მონდომებით გბორკავს.

ადამიანებს სჭირდებათ იყვნენ სხვისი მუზები. ჩვენივე ამპარტავნებიდან გამომდინარე, ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საკუთარ სულში მოფრთხიალე შთაგონება.

შეუძლებელია არ გიყვარდეს მუსიკა, სულის ხმა, რომელიც ერთადერთი, განუმეორებელი ფარვანაა ჯურღმულ საუკუნეში.

მაღვიძებს ნათ კინგ კოულის ჰანგები და ოპტიმიზმი, რომ რწმენა დაძრავს მთებს.

თუ მეცოდინება საწყისი, ოდესმე საბოლოო პუნქტამდე მივალ.

შეუძლებელია ჭეშმარიტება იქ იმალებოდეს, სადაც ასფალტი მარხავს მკვდრებს და მიწა კი ცოცხლებს.

ბუნებას თავისი კანონები აქვს, რაღაც აუცილებლად უნდა გასცე იმისთვის, რომ სამაგიეროდ ის მოგცეს, რაც ასე სასიცოცხლოა შენი არსებობისთვის.

მიჩნდება კითხვა, რომელიც ადამიანურობასთან მაბრუნებს: რას აკეთებენ ადამიანები, როცა ბედნიერებას პოულობენ?

ნურასოდეს დახუჭავ შინაგან თვალს...

სიცრუის ნაჭუჭში გამოკეტილები, წიწილის ჩანასახოვან უჯრედებს ჰგვანან – შეიძლება ნაჭუჭში მოკვდნენ, ამ მკვდრები დაიბადონ.

სიმშვიდე ღვთაებების ნექტარი გახლავთ.

ჩვენმა სიზმრებმა მერამდენედ აგვხადეს ფარდა, როცა ოცნებებს ვასხამდით მჟავას.

დრო მეტია, ვიდრე ქვიშის ჩამოცლა, სხეული კი სულის გარეშე ხე რჩება მხოლოდ.

ერთისთვის წერა ფანატიზმამდე სისულელეა, თუმცა ამასთანავე, ერთადერთი გზაა კაცობირობის შესაცნობად.

კანი ხელის მტევნებში დაძარღვულ საუკუნეს უგრძნობდა.

ფიქრი არაფერია, თუ არა მომავლის ქუხილი ტვინში.

გულში რა მიდევს? სრულად ერის ყველა ნაკლი, ყველა ღირსება, დაძლევისა და დავიწყების პერსპექტივებით.

ჯობია ვეწამო, ვიდრე მაწამონ.

მზე ზღვაზე სტაფილოსფრად ჩაესვენა. ჩაესვენა ჩვენი მზეც. მხოლოდ ჩემში დატოვა იასამნისფერ-ცისფერი ბილიკი, გონებისა და გულისკენ მიმავალი.

სიკეთეშიც კი მეტასტაზებია წასული მარგინალურ ქალაქში.

იმედის გარეშე მთელ ცხოვრებას ან აპათიაში გაატარებდნენ, ან სიცოცხლეს რამე ორიგინალური საშუალებით მოისწრაფებდნენ.

ის ცხოვრების მაყურებელი უფროა, ვიდრე შემოქმედი.

წინათგრძნობები არაფერია, ვიდრე ჩვენი ძლიერი სურვილი რამის მოხდენისა.

სისასტიკე ზოგჯერ ყველაზე დიდი დანდობაა დედამიწის ზურგზე.

უსიცოცხლო თვალების მთელი ბილიკი გავიარე.

ცარიელი არ ვარ, უბრალოდ შევსება მჭირდება.

საუკუნის კიდემდე ლამაზი სახელია „მოდი“.

ბედის ირონიაა, შეცდომებით ამდენი რამის სწავლა რომ შეიძლება.

ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა ყველა და ყველაფერი ტყუის და მაშინ უნდა გეყოს ძალა, დარჩე გულწრფელი.

რა რთულია არსებობდე ისე, რომ შენს ყოფნას ახსნა მოუძებნო.

როცა ბერდები, ცხოვრება იძრობს უდარდელობის საბურველს, თვალზე ვარდისფერის ნაცვლად რეალურად გამჭვირვალე სათვალეს იკეთებ და ასე აგრძელებ ჟამთა სვლას.

არ მესმის, თუ რატომ ხდება ზოგიერთის ზღაპარი და რატომ აქვს უმრავლესობის ოცნებას ჩანასახშივე ფრთები შეკვეცილი.

ამქვეყნად ყოველთვის იარსებებს ადამიანი, რომელიც ყველაზე რთული მომენტშიც კი მოგცემს უფლებას გაიღიმო, გიყვარდეს, გჯეროდეს.

კაპიტალიზმის პირობებში არსებული კონკურენცია დამატებით მოტივაციას წარმოადგენს კარიერისტებისთვის.

მარტოობა ადამიანს უცნაური ქცევებისკენ უბიძგებს.

მეგობრობა შეიძლება თვალებით და ხელებით დაიწყოს.

რა ახლოა სიცოცხლე და რა შორს არსებობა.

მოულოდნელი და ექსტრემალური სიტუაციები ადამიანებს აახლოებს.

ოცნებები უნდა ხდებოდეს, თუ სწორედ მათ მიუწვდომლობაშია მთელი სიდიადე?

ადამიანებმა ახდენილი თუ აუხდენელი ოცნებებით ერთნაირად ტკბობა უნდა ვისწავლოთ.

ადამიანი ტანჯვისთვისაა გაჩენილი... ხომ გაგიგიათ, „მაგრამ ზოგჯერ ჩუმ ტანჯვაშიც არის დიდი ნეტარება“.



გელა ლარიაშვილი (მოქანდაკე), ლევან ბაბუხადია, გულნაზ ხარაიშვილი, ბეჟანის ბიუსტი, ერეკლე საღლიანი და გერონტი მესხი



გვანცა და გულნაზი ხარაიშვილები

შინაარსი

შესავალი 3

ბეჟან ხარაიშვილის პოეზია 7
ნიშატნი საჩანგდაფენი 23

ბეჟან ხარაიშვილი – ქართული პოეზიის მოძღვარი

თავი I

ბეჟან ხარაიშვილის ცხოვრების გზა 40

თავი II

ხვედრი პოეტთა 50

თავი III

დღეგრძელი იყოს საქართველო უკუნისამდე 57

მხეცვარი გველივით შეცურდა ჭადრებში, ჩემი მამულია, არაგვი, და რომ მტრედისფერობს, შემოდგომით, რკალთავე. ღერის სანმისი ადრე მოიპარეს, წახდა საქართველო, ლერძენა მიჩვეულმა ბავშვმა, ფერეიდნელის ნათლვამი, მომიახლოვდი, მწვანე შუქნიშნად ინთებიან გზაზე ბევრი, სნოს ხეობიდან, მე მოვდიოდი საქართველოს გამოტრუნულ გულში, არაგვს, გერგეტის ტაძართან, ხევსურეთი, ლუხუმმა კი არა, ხატობაში, ჩემს სახლში რომ მასპინძლად დამიჯექი, გპატიჟობთ ყველას, ფულისთვის კი არა, მომიახლოვდი, გაზაფხული, ყაყაჩოს წითელ და თხელ ფურცლებზე, ხსოვნის ეკრანი.

კოშმარული სინამდვილის სიზმრით გაცხადება ლექსში „სიზმარი“ 73

მგლისა და ხარის პარადიგმებით სამშობლოს განსაცდელზე მინიშნება ლექსში „შეციებიათ მთაში ღელეებს“ 80

თავი IV

ფილოსოფიური პრობლემები 86

სიკვდილის გამოცანა, არ გიკვირს, ასანთის ღერით, სამოცს გადასცდაო, ძაღლის ბედი, ხატობაში ეს ცხოვრება

ჰადესში მოგზაურობა 97

ორეულთან შეხვედრა 106

თავი V

ვაჟა–ფშაველას რემინისცენციები ბეჟან ხარაიშვილის შემოქმედებაში 114

სანაპიროზე, არაგვს, მთაში, ცაა რომ მტრებისფერობს, ლუხუმმა კი არა, ზამთრის სურათი, სადღაც, რუსთავო, ნ. გ–ს, ამ თბილ მიწაზე, ხატობაში, შემოდგომით, ჩემი მამულია, არ ჩანს ვარსკვლავი, წერილი მამას, მრავალჟამიერ, ჩემო ბეჟანა.

თავი VI

წინასწარმეტყველური ხილვები 126

ეჭვი, შეციებიათ მთაში ღელეებს, დინჯად ალოკეს, ნება–ნება, მდინარეზე, ისევ გინატრე, შენ ვის დარჩები, და ვტოვებ, ვტოვებ, მრავალჟამიერ, ჩემო ბეჟანა, ხვედრი პოეტთა, შეციებიათ მთაში ღელეებს.

თავი VII

რას იტყვიან, რას იტყვიან ნეტავ ჩემზე 134

თავი VIII
შემოქმედებითი თავისებურების ზოგიერთი ასპექტი.....147

რეზიუმე ქართულ ენაზე 154
რეზიუმე გერმანულ ენაზე 162

მადლშემოსილი
გულნაზ ხარაიშვილის სულის გალობა

მადლით და რწმენით გადარჩენა.....171
სული ვარ უკვე ცაში აჭრილი.....177
მიაყურადეთ, გაიგონეთ სულის გალობა.....180
სახისმეტყველების ზოგიერთი საკითხი.....184
ზღვას შევებმები, უნდა გავცურო.....187
აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერები 189
ლოყას ცრემლით ჯვარი დამეხატა.....191
ერიდე ქარბუქს, რადგან ირგვლივ დარბის სატანა 193
შარაგზას ვეძებ ეკლიან ტყეში 196
კვლავ გავუყევი თოვლიან გზას და თანაც უკვლევს.....198
მოყვრად გექციოს სამშობლოს მტერი 201
რაა სიცოცხლე?.....207
მიღმიერსაც მივწვდი ფიქრით 217
პოეტის „სულის ძიძები“.....228
შემოქმედებითი თავისებურების ზოგიერთი ასპექტი 238

სერგი ლომაძე
„მადლშემოსილი“ 245

გვანცა ხარაიშვილი
მზის ქვეყანასთან მიახლოვება.....253



ლუარა სორდია არის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. მისი კვლევის სფეროა მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ესთეტიკის პრობლემები, თანამედროვე ლიტერატურული პროცესები.

სრულიად საქართველოს გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატორთა კავშირის მიერ დაჯილდოებულია პოეტის სახელობის მედლითა და პრემიით. ასევე, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის მიერ მიღებული აქვს ბეჟან ხარაიშვილის სახელობის პრემია მონოგრაფიისთვის – „ბეჟან ხარაიშვილი – ქართული პოეზიის მიმინო".

ლუარა სორდია ავტორია შემდეგი მონოგრაფიების: გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის პრობლემური საკითხები, „განათლება, თბ.1991 (დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტებისთვის), უცნობი სფინქსი (დაკვირვებები ტერენტი გრანელის პოეზიაზე), „ალაშარა", სოხუმი, 1992, გალაკტიონ ტაბიძის სიმბოლიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1993 (სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკის საკითხები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1996 (სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), რევაზ მიშველაძის შეგონებანი, გამონათქვამები, ხატოვანი თქმები, ფრაზები, „ობოლი მარგალიტი", თბ. 1999, რევაზ მიშველაძის ნოველათა სამყაროში, გამომცემლობა „ნეკერი", თბ. 2001, ანა კალანდაძის პოეზია (ბიბლიურ–ქრისტიანული ასპექტები), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2005 (სტუდენტთა დამხმარე სახელ-

მძღვანელო), გალაკტიონ ტაბიძე და ტერენტი გრანელი (შე
მოქმედებითი ნათესაობის საკითხები), „მერიდიანი“, თბ. 2005
წერილები, ბიბლიის ერთი კონცეფცია, აპოკალიფსური სახეე
ბი, გრაალის იდეალი, „უნივერსალი“, თბ. 2009, საღვთო სიბ
რძნისა და საღვთო სიყვარულის ადეპტები ქართულ პოეზიაში
„უნივერსალი“, თბ. 2009, ქრისტიანული სახისმეტყველების სა
კითხები XX საუკუნის ქართულ პოეზიაში, „უნივერსალი“, თბ
2009, ანა კალანდაძის ესთეტიკის საკითხები, „უნივერსალი“
თბ. 2009, გოდერძი ჩოხელის „მგელი“ (პრობლემატიკა და სახე
ები), „უნივერსალი“, თბ. 2009, გალაკტიონ ტაბიძის სახისმეტ
ყველებისა და მსოფლმხედველობის საკითხები, თბ. 2009 (სტუ
დენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), გალაკტიონ ტაბიძის ეს
თეტიკის საკითხები, „უნივერსალი“, თბ. 2011, ტერენტი გრანე
ლის ბედისწერა, „უნივერსალი“, თბ. 2011, მეფისტოფელის საუ
კუნე და გალაკტიონ ტაბიძის პოეზია, „უნივერსალი“, თბ. 2011
მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ოპოზიციურ
ლირიკა, „უნივერსალი“, თბ. 2011, ანტიციპაცია მეოცე საუკუ
ნის ქართულ ლიტერატურაში“, „უნივერსალი“, თბ. 2011, ქარ
თველი მამულიშვილი მსოფლიოს გზებზე (მსოფლიოში მოგზა
ურ და მსოფლიოს რეკორდსმენ ჯუმბერ ლეჟავას ფენომენი)
WWW. Sou.edu.ge 2012. ქრისტეს მხედარი კოლხეთიდან (ვაჟ
ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები) WWW. Sou.edu.ge 2012
ქართული სულის კოლიზეუმი (ვაჟა ეგრისელის პოეზია) „უნი
ვერსალი“, თბ. 2015. მადლშემოსილი (გულნაზ ხარაიშვი
სულის გალობა), „უნივერსალი“,თბ. 2015, ბეჟან ხარაიშვი
ქართული პოეზიის მიმინო, „უნივერსალი“, თბ. 2016, ტერენტ
გრანელის ენიგმები, „უნივერსალი“, თბ. 2016, მერაბ კოსტა
პოეზია, „უნივერსალი“, თბ. 2017, გრაალის ორდენის რ
გრიგოლ რობაქიძის მსოფლმხედველობისა და სახისმეტ
ბის ზოგიერთი პრობლემა, „უნივერსალი“, თბ. 2017. ჭ
ტიონის პოეტური სამყარო WWW. Sou.edu.ge 2018.